# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 16 დეკემბერი 2000 №243 (1265) | ფასი 50 თეთრი


## ბურთის მადლი




**დვირკივშჩინა, კოლმეურნეობა... მილანი, კინო, ჯორჯო არმანი, მონტე კარლო, ჩოგბურთი**


ექსკლუზიური ინტერვიუ ანდრეი შევჩენკოსთან იხილეთ მეოთხე გვერდზე


## ხიზანიშვილი ჩაქუჩს არსენალს მოუღერებს

ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედში“ გასასი-
ჯად მყოფმა ზურაბ ხიზანიშვილმა სამშაბათს
...საძლოა „არსენალის“ წინაალმდეგ ჩაქუჩე-
...ს სარეზერვო გუნდში ითამაშოს.
...ბედის ირონიაა, აბა, რა? ზუსტად ორი თვის
...ნ გასასინჯად ხიზანიშვილი სწორედ „არსე-
...ლში“ იყო, მაგრამ, მოგეხსენებათ, ამ საქმი-
...ან არაფერი გამოვიდა.
გუშინ კი საქართველოს ფეხბურთის ფედე-
...ციამ ინგლისელებს ფაქსი გაუგზავნა, ყა-
...ულს ვართ, ხიზანიშვილმა „ვესტ ჰემის“ სა-
...დარიგო გუნდში ერთი მატჩი ჩაატაროსო.
...ვათა შორის, ასეთივე ნებართვა ზურას წინა
...ონდონური ვიზიტისასაც ჰქონდა, მაგრამ არ
...მოადგა, რადგან „არსენალის“ და „საუთჰემ-
...ტონის“ სამარქაფოთა მატჩი მაშინ წყალდიდო-
...ს გამო გადაიდო.
ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის ამჟამინდელი
...აქცია გვაფიქრებინებს, რომ ამჯერად გაუთ-
...ლისწინებელი ალარაფერი უნდა მოხდეს. ამა-
... ფედერაცია თავადვეა დაინტერესებული, რა-
... ხიზანიშვილის ჩაშლილ ტრანსფერში საკუ-
...რი უბრალობა დაამტკიცოს.
ხუთშაბათიდან ლონდონის ერთ-ერთ სასტუ-
...რში მყოფ ზურაბ ხიზანიშვილს გუშინ ტე-
...ეფონით დავუკავშირდით და ახალი ლონდო-
...ური შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვეთ.


იხილეთ მეორე გვერდი


# №50 ვლადიმერ სტეფანია

## ქართველი ცენტრი ნიუ ჯერსის ბადეში გაეხვა

გუშინ, ამერიკაში დილით, ჩვენი დროით კი საღამოს, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბის, „ნიუ ჯერსი ნეთსის“ პრეზიდენტმა როდ თორნმა ისტ რეზერფორდში პრესკონფერენცია გამართა და ქართველთათვის სასიამოვნო სიტყვები წარმოთქვა:

„ნიუ ჯერსი ნეთსმა“ აიყვანა თავისუფალი აგენტი, ცენტრი ვლადიმერ სტეფანია. სასიამოვნოა მისი ჩვენთან მოსვლა. ვლადიმერი ნიჭიერი მოთამაშეა და გუნდის წინა ხაზს მოქნილობას შესძენს.“

ასე დასრულდა 24 წლის პირველი ქართველი პროფესიონალი კალათბურთელის თვენახევრიანი უგუნდობა და უქმობა. შეგახსენებთ: წინა სეზონი სტეფანიამ „სიეტლ სუპერსონიქსში“ ჩაამთავრა. სეზონთაშორისი პერიოდი კი „ნიუ იორკ ნიქსში“ და „ტორონტო რეპტორზში“ გაატარა, მაგრამ წარუმატებლად — ჩემპიონატის დაწყების წინა დღეს „ტორონტომ“ იგი დაითხოვა.

სტეფანიას და „ნეთსის“ („ბადეების“) კონტრაქტის პირობები არ გახმაურებულა. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ვლადიმერი ნომერი 50 მაისურათი ითამაშებს. იმისთვის, რომ ქართველისთვის ადგილი გაეთავისუფლებინა, „ნეთსმა“ უკანახაზელი კევინ ოლი დაითხოვა.

„ნიუ ჯერსი“ 8 მოგებით და 14 წაგებით ატლანტიკის დივიზიონში ბოლოსწინა ადგილზეა. გუნდს წინა ხაზში პრობლემები მოეძალა — არ ჰყავს ხეირიანი ცენტრი, ფორვარდი კიტ ვან ჰორნი ფეხმოტეხილია და მთელი სიმძიმე ახალბედა ფორვარდს, წლევანდელი დრაფტის პირველ ნომერ კენიონ მარტინს აწევს. სტეფანიას ახალი თანაგუნდელები იქნებიან ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო უკანახაზელი სტივენ მარბერი, გამოცდილი ვეტერანები შერმან დუგლასი, კენდალ გილი და სხვები. „ნიუ ჯერსის“ მწვრთნელია წარსულის განთქმული კალათბურთელი, 80-იანი წლების დიდი „ლეიკერსის“ წევრი ბაირონ სკოტი.

უახლოესი თამაში „ნეთსს“ დღეს ელის — „ატლანტა ჰოქსს“ ესტუმრება, 17 დეკემბერს კი „საკრამენტო კინგზს“ უმასპინძლებს. ვინძლო სტეფანიამ ორივე მატჩში მიიღოს მონაწილეობა.





გუშინ ბათუმში. ბასკო — აზოტი 113:87. ნუგზარ კოკოლაშვილმა (№14) ბასკოელი ვახტანგ ნაცვლიშვილი ვერ შეაჩერა

# ბასკო ასიანია

**გუშინ ბათუმში გაიმართა საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის მეორე წრის მთავარი მატჩი, რომელსაც გვარიანი ინტრიგა ახლდა: შეძლებდა თუ არა მეორეადგილოსანი რუსთავის „აზოტი“ გათამაშების ლიდერ „ბასკოს“ დაუმარცხებელი სვლის შეწყვეტას. ინტრიგა ერთობ მცირე ხანს გასწვდა: დასაწყისშივე მოპოვებული დიდი უპირატესობა „ბასკომ“ ბოლომდე არ დათმო და 113:87 გაიმარჯვა. ბათუმელთათვის ჩემპიონატის პირველი ეტაპი დასრულდა — მათ წაუგებლად, ასპროცენტიანი მაჩვენებლით შეაბიჯეს ექვსეულში და წლეულს სხვების პაექრობასღა მიადევნებენ თვალს. ახლა მთავარი ბრძოლა გაგრძელდება მეექვსე ადგილისთვის, რომლისკენაც თბილისის „შევარდენმა“ გუშინ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა — აუტსაიდერი სსუ დაამარცხა.**


რეპორტაჟები ბათუმიდან და ვერის ბაღიდან
იხილეთ მეთხუთმეტე გვერდზე



ზურაბ ხიზანიშვილი (ბურთით) სამშაბათს „არსენალის“ რეზერვებს ეთამაშება

# ხიზანიშვილი ჩაქუჩს არსენალს მოუღერებს

დასაწყისი პირველ გვერდზე

**— „ვესტ ჰემის“ დახვედრა „არსენალისასგან“ განსხვავდებოდა?**

— დიდად არა. ინგლისელი „ვესტ ჰემშიც“ ინგლისელია და ისეთივე თავაზიანი, როგორიც არსენალელი. რა თქმა უნდა, „არსენალი“ დიდი კლუბია და სტუმარ-მასპინძლობაც უფრო მდიდრული აქვს, მაგრამ ნაკლები არც „ვესტ ჰემია“. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა.

**— უკვე ივარჯიშე?**

— ამ დილით, ცხრის ნახევარზე ძირითად გუნდთან ერთად.

**— არც ჰარი რედნაპის ვარჯიში განსხვავდებოდა არსენ ვენგერისასგან?**

— რა ვიცი. ჩვეულებრივი, მატჩისწინა ვარჯიში იყო — „ვესტ ჰემი“ ხვალ ლივერპულში „ევერტონს“ ეთამაშება.

**— ალბათ დაგპატიჟებდნენ ამ მატჩზე.**

— წასვლა არ გადამიწყვეტია. 4 საათის გზაა და არ გამოვრიცხავ, ლივერპულში გაყოლას ლონდონშივე დარჩენა და, ვთქვათ, რატი ალექსიძის „ჩელსის“ მატჩზე დასწრება ვარჩიო.

**— „ვესტ ჰემის“ თავკაც ჰარი რედნაპს თუ ელაპარაკე?**

— რა თქმა უნდა, გავეცანი, მაგრამ ვარჯიშის მერე აღარ გვისაუბრია. სამაგიეროდ, ჩემი აგენტის თანაშემწესთან კმაყოფილება გამოთქვა და აღნიშნა, არ ეტყობა, რომ ასე ახალგაზრდა, 19 წლისააო.

**— რედნაპი მხოლოდ ვარჯიშით ალბათ არაფერს გადაწყვეტს?**

— სამშაბათს სარეზერვო გუნდი „არსენალს“ ეთამაშება და მეც საბოლოოდ იქ გამომცდიან.

**— შესაძლო თანაგუნდელებს თუ გამოელაპარაკე?**

— ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების წევრები ჯო კოული და ფრენკ ლამპარდი თავად მოვიდნენ — მიდლსბროში ქართველი ახალგაზრდების 6:1 ძლევა გამახსენეს და მკითხეს, შენც ხომ არ თამაშობდიო. ვუპასუხე, არამეთქი, მე ხომ მეორე დღეს ფრაიბურგში საქართველოს ეროვნული გუნდის შემადგენლობაში ვითამაშე.

**— ალბათ ხიზანეიშვილში აერიე?**

— არა მგონია. ისე, ჩემი გვარის გამოსათქმელად ენას მაგრად იტეხენ.

**ვახტანგ ჭიჭაძე**

# ხუთი დღე სპორტის სასახლეში

**გუშინ** გაირკვა იმ რვა გუნდის ვინაობა, რომლებიც 23-27 დეკემბერს სპორტის სასახლეში, „ბენდელას თასის“ გათამაშებაში მიიღებენ მონაწილეობას. მინი-ფეხბურთის ამ ტრადიციული ტურნირის ორგანიზატორებს თამაშზე თანხმობა „ვიტ ჯორჯიამ“, თსუ-მ, ქართველ ლეგიონერთა ნაკრებმა „ბენდელა მორკინალმა“, „მერანმა“, „იბერიამ“ და „ლოკომოტივმა“ განუცხადეს. მათ „დინამოს“ ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ერთი გუნდიც დაემატება. გამორიცხული არც ის გახლავთ, ტურნირში მონაწილეთა რაოდენობა კიდევ გაიზარდოს, ყოველ შემთხვევაში, ორგანიზატორებს რამდენიმე გუნდი უკვე შეეხმიანა.



ბენდელას თასი

წლევანდელი „ბენდელას თასის“ გენერალური სპონსორი ფირმა „ჯეოსელი“ იქნება, ხელშემწყობი კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, რომელმაც თანამშრომლებს უკვე მისცა შესაბამისი მითითებები. მსაჯობას კი პირადად ფედერაციის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის უფროსი ანატოლი მილჩენკო გააკონტროლებს.

„ბენდელას თასის“ პარალელურად, სპორტის სასახლეშივე კიდევ ორი ტურნირი გაიმართება. ერთის ორგანიზატორი ახლახან გახსნილი ბაშვთა საფეხბურთო სკოლა „საბურთალო“ იქნება, მეორეში კი პარლამენტარების, მერიისა და საკრებულოს, პოლიციისა და სპორტული ჟურნალისტების ნაკრებები მიიღებენ მონაწილეობას.

ორგანიზატორებს ტურნირში მონაწილეთა კენჭისყრა და პრესკონფერენცია 21 დეკემბერს, 15 საათზე, სასტუმრო „მორკინალში“ აქვთ დაგეგმილი.

დანარჩენი კი, როგორც ვთქვით, 23-დან 27 დეკემბრის ჩათვლით, სპორტის სასახლეში...

**ლუკა თალაკვაძე**


## ექიმი კარდიოლოგი
## გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109





გამოვიდა რევაზ შენგელიას „ქართული ფეხბურთის ყოველწლიური წიგნი“, რომლის შეძენაც 5 ლარად შეგიძლიათ საგაზეთო ჯიხურებსა და კერძო გამავრცელებლებთან.

# ტრიკოტაჟის ფაბრიკაში პრეზიდენტი დამტკიცდება

**წლის** ბოლო, ათასწლეულის ბოლოო... ჰოდა, ითვლის ხალხი, აჯამებ[s] სამომავლო გეგმებს სახავს.

მკითხველმა იცის, რომ 22 დეკემბერს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის სხდომა უნდა გაიმართოს, ოთხი დღით ადრე ანუ ოთხშაბათს, დეკემბერს, კი ტრიკოტაჟის ფაბრიკა თბილისის ფეხბურთის ფედერაციის მეორე პლენარულ სხდომას უმასპინძლებს.

როგორც ცნობილია, სფფ-ის ახალი რეგლამენტის თანახმად, ცალკე ჩამოყალიბდა რეგიონული ფედერაციები, რომლებიც რეგიონულ პირველობებს კურირებენ. ერთ-ერთ მათგანია თბილისის ფეხბურთის ფედერაციაც, რომელსაც აქამდე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ნოდარ ანდრიაძე თავკაცობდა. 18 დეკემბრის კონფერენციაზე კი ახალ პრეზიდენტს აირჩევენ. პრაქტიკულად ოფიციალური მხარეა მოსაგვარებელი, თორემ ახალი პრეზიდენტობის ვინაობა ცნობილია. 18 დეკემბრიდან თბილისის ფეხბურთის ფედერაციას ავთანდილ კოკაია უხელმძღვანელებს, რომელიც აქამდე ვიცე-პრეზიდენტის ფუნქციებს ასრულებდა.

ორშაბათის სხდომის დღის წესრიგში სხვა საკითხებიცაა:

1. საანგარიშო მოხსენება
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში
3. დამატებებისა და ცვლილებების შეტანა თბილისის ფეხბურთის ფედერაციის წესდებაში
4. ალმასკომის წევრთა არჩევა
5. სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა

დაბოლოს, დაინტერესებულთ ვაცნობებთ, რომ ტრიკოტაჟის ფაბრიკაში თბილისის ფეხბურთის ფედერაციის მეორე პლენალური სხდომა დღის პირველ საათზე დაიწყება.

**ბაატა კვანტალიანი**

# კრილიას ეული ქართველი ფრთა ნისლმა დაზაფრა

## გვარამაძისგან და ფოფხაძისგან მიტოვებული წიკლაური ქართველობს

**სამარულმა** „კრილია სოვეტოვმა“ სამი ქართველით ჩაამთავრა რუსეთის ჩემპიონატის გასული სეზონი. დავით გვარამაძეს და ზურაბ წიკლაურს ბოლოს ნიჟნი ნოვგოროდიდან დაბრუნებული ზურაბ ფოფხაძეც შეუერთდა და წესით და რიგით სამივეს მარტიდან კვლავაც „კრილიას“ ღირსება უნდა დაეცვათ.



ზურაბ ფოფხაძე

გვარამაძეს იჯარის ვადა კი დაუმთავრდა, მაგრამ ახალ კონტრაქტს სთავაზობდნენ, ფოფხაძემ ერთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა სამარელებთან, წიკლაურს კი კონტრაქტით კიდევ ორი წელი ჰქონდა დარჩენილი. მაგრამ გვარამაძემ აღარ ისურვა „კრილიაში“ თამაში, ფოფხაძემ კი, არც მეტი, არც ნაკლები, ერთწლიანი ხელშეკრულება დაივიწყა და ჩინეთში გაემგზავრა კარიერის გასაგრძელებლად. და დარჩა წიკლაური სამარაში.

იგი სამარაში დაბადებულ-გაზრდილია, ქართულსაც გაჭირვებით ამტვრევს, მაგრამ იქაურ ჟურნალისტებთან ურთიერთობისას შემთხვევასაც კი არ უშვებს, თავის ქართველობას ხაზი რომ არ გაუსვას.

ასე მოხდა რამდენიმე დღის წინაც. „კრილია“ საწვრთნელი შეკრების გასავლელად კისლოვოდსკს ეწვია, სამარელთა თვითმფრინავი მინვოდის აეროპორტში დაეშვა და ლამის კატასტროფა განიცადა, მიზეზი ნისლი იყო. ფეხბურთელები გვარიანად შეშინდნენ. აბა, ჟურნალისტები ასეთ შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდნენ, სამარელებს დაეხვივნენ და... „ცოტა და[...] ფრული ვარ, მაგრამ ცოტა ხანში [...] აღარც მემახსოვრება, არ დაგავიწყდე[...] მე ხომ ქართველი ვარ“ — ამ სიტყვ[...]ბით დააკმაყოფილა წიკლაურმა მედ[...]ელთა ცნობისმოყვარეობა. ზურაბს იმ[...] თქმაც არ დავიწყებია, რომ გას[...] საფეხბურთო სეზონისგან განსხვა[...]ბით, გაზაფხულიდან გოლების გატ[...]ნას მოუხშირებს.

**ბაატა კვანტალიანი**

## იტალია

სერია B. XVI ტური

პიაჩენცა 1:0 კიევო

## ბელგია

XVII ტური

შარლორუა 2:2 ვესტერლო

0:1 ზილენსკი (10), 0:2 ბოგუა ლისისი (53), 1:2 ადელინო (54), 2:2 როხასი (65)

## ინგლისი

მეორე დივიზიონი

XXI ტური

კემბრიჯი 0:0 პიტერბრო

## პორტუგალია

XV ტური

კამპომაიორენსე 0:1 გიმარაეში

## გერმანია

XVIII ტური

უნტერჰახინგი 2:0 აინტრახტი

1:0 პირში (19), 2:0 ბრაიტენრაიტერი (86)

მეორე ბუნდესლიგა

XVIII ტური

ოსნაბრიუკი 1:0 არმინია

ულმი 1:3 დუისბურგი

## თურქეთი

XVII ტური

ფენერბაჩე 2:1 სამსუნი


რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

**საქართველოს ჩემპიონატი — უმაღლესი ლიგა — საშემოდგომო ეტაპი** 12

# №4 ვიტ ჯორჯია

# გატეხილი ნავსი


ლოკომოტიველი ბორის გონჩაროვის დარტყმულს ვიტ ჯორჯიელი გიორგი ჭანკოტაძე (№21) აფარებს

**გასაკვირი** იყო ახალგაზრდული „ვიტ ჯორჯიას" ვიცე-ჩემპიონობა. ერთი შეხედვით, გუნდი თითქოს მზად არ იყო მსგავსი წარმატებისთვის, მაგრამ ფსიქოლოგიურ ზეწოლას გაუძლეს ვეტერინარებმა და ვერცხლი დაისაკუთრეს.

შემთხვევით არ მოსულა ეს წარმატება. „ვიტ ჯორჯია" ნელ-ნელა, დღითი-დღე იზრდებოდა და ძლიერდებოდა. კლუბში ერთი დღეც არ დაგვიანებულა ხელფას-პრემია, მზრუნველობა არ მოჰკლებიათ ვიტელებს. წინ კიდევ არაერთი პრესპექტივა ჩანდა და ეს უფრო მატებდა ენერგიას ახალგაზრდა გუნდს.

რა თქმა უნდა, შიგადაშიგ პრობლემებიც იჩენდა თავს, ორგანიზაციულიც და სათამაშოც. ზოგიერთმა ახალწვეულმა ვერ გაამართლა, ზოგმაც ტრავმა მიიღო და თავისი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოავლინა.

ორგანიზაციული შეცდომა, ჩვენი აზრით, საზაფხულო შეკრებისას დაუშვა კლუბის ხელმძღვანელობამ. „ვიტ ჯორჯია" გერმანიაში გაემგზავრა. მყუდრო გარემო და ჩინებული პირობები, მაგრამ საკონტროლო თამაშები თითქმის ყოველ მეორე დღეს...

გერმანული ლიგების კლუბებთან გაჯიბრება და ძალების მოსინჯვა ურიგო როდია, მაგრამ ამდენს რომ ითამაშებ, ცხადია, მოსამზადებელი დრო აღარ რჩება.

ჩემპიონატიც ყინჩად დაიწყეს ვეტერინარებმა — პირველივე მატჩი დიდი ანგარიშით მოიგეს და ევროთასის თამაშმაც მოაწია.

პირველი იმედგაცრუებაც „ბეითარი" იყო. „ეროვნულზე" ებრაულმა კლუბმა სამი უპასუხო გოლი გაუტანა საქართველოს ვიცე-ჩემპიონს. ვიტელებმა, მართალია, იომეს, არც მხართეძოზე წამოწოლილან, მაგრამ უპირველესად იმიტომ დამარცხდნენ, რომ თავისი ფეხბურთი არ უთამაშიათ. ფეხბურთელები რატომღაც გადაღლილები ჩანდნენ. გადაიარა საევროპო კრიზისმა. მანამდე „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელი სერგო კოტრიკაძე დაეთხოვა და გუნდის მესაჭეობა ვლადიმერ ხაჩიძეს ანდეს.

ბეითართან წარუმატებლობის შემდეგ „ვიტ ჯორჯიას" გონზე მოსასვლელად კიდევ ორი ტური დასჭირდა. წაგება „სიონთან" და ფრე თითქმის მოგებულ შეხვედრაში „მერანთან". უიღბლო მატჩები კიდევ იყო, მაგრამ ვიტელებმა „დინამოსა" და „ლოკომოტივს" მოუგეს, არ წააგეს ქუთაისში.

მეორე წრე და კვლავ არასტაბილური თამაში. „დინამოსთან" ოთხი უპასუხო ბურთით დამარცხების შემდეგ ვიცე-ჩემპიონს მეორე მთავარი მწვრთნელი, ვლადიმერ ხაჩიძეც გაეყარა და „ვიტ ჯორჯიაში" თემურ მახარაძის ერი დადგა. მისი თავკაცობით უწია „ვიტ ჯორჯიამ" თასის ნახევარფინალსა და საშემოდგომო ეტაპის ფინიშს.

ერთიც აღსანიშნავია — წლევანდლამდე ვეტერინარები თასის მეოთხედფინალს ვერ გასცდენოდნენ. შარშანწინ გაიოზ დარსაძის „სამგურალი" იყო გადაულახავი ბარიერი, შარშან კი რევაზ ძოძუაშვილის „ლოკომოტივმა" იძალა.

ფეხბურთელთა ავანჩავანიც გავარჩიოთ: 20 მოთამაშე ჰყავდა „ვიტ ჯორჯიას" საჩემპიონატო განაცხადში და ოცივე (თითოჯერ მაინც) იყო მოედანზე. ყველაზე მეტი მატჩი დავით დილმელაშვილმა, თენგიზ კობიაშვილმა და ლაშა ნოზაძემ ჩაატარეს.

ჩვიდმეტივე თამაში არც ერთს გამოუვიდა. მიზეზი კი ერთია — სამტრედიული „იბერიასთან" საგარეო დაპირისპირება არ შედგა. ვიტელებს მოგება ჩაეთვალათ. გასხოვთ ალბათ, მაშინ „ეროსი მანჯგალაძის" სტადიონი სათამაშოდ მზად არ დახვდა სტუმარმასპინძელს.

ვეტერინარებს სამი მეკარე ჰყავთ და სამივე რიგიანი. მათგან უპირველესი მირზა მერლანია, რომელსაც ჩავარდნა ერთადერთ მატჩში, „დინამოსთან" ჰქონდა.

სერგო ჭურაძე სეზონის დასაწყისიდანვე დაშავდა და ვარჯიში საშემოდგომო ეტაპის ბოლოსკენ განაახლა.

ზვიად სტურუასაც აწუხებდა ტრავმა და პირველი ეტაპი მერლანის დუბლიორობაში გალია, მაგრამ იმ ორ თამაშში, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო, უშეცდომოდ, აუღელვებლად გაისარჯა და თავი არ შეირცხვინა.

დაცვაში ჩემპიონატის მთელმა სიმძიმემ გიორგი ჭანკოტაძის, თენგიზ კობიაშვილის, ედიკ საჯაიას და ჯაბა მუჯირის ზურგზე გადაიარა. ცენტრალური მცველების მიმართ (ჭანკოტაძე, კობიაშვილი) მწვრთნელებს პრეტენზია არ ჰქონიათ. საჯაიამ და მუჯირმა კი ისე ვერ ითამაშეს, როგორც მოსალოდნელი იყო.

საჯაიას სეზონის წინ მიღებულმა ტრავმამაც შეუშალა ხელი და ზოგჯერ ხაჩიძე დავით დოლიძესაც შეუნაცვლებდა ხოლმე, თუმც მაინც საჯაიას ამჯობინებდა.

ნახევარდაცვაში დავით დილმელაშვილი, ლაშა ნოზაძე, გიორგი დეკანოსიძე, საბა სულთანიშვილი, მიხეილ თაყაძე და ზოგჯერ ვლადიმერ გოჩიაშვილიც ცდილნენ ბედს. პირველი სამეული თითქმის შეუცვლელი იყო, მაგრამ ჩვენ მაინც დეკანოსიძეს გამოვარჩევთ. თსუ-დან გადმოყვანილი ახალგაზრდა ვიტელთა გამთამაშებლად გადაიქცა და ხშირად მის მიერ წამოწყებული იერიშები, მისი საზრიანი გადაადგილებები იყო წარმატების საწინდარი. გიორგის ფიზიკური მომზადება ჰლალატობს და თუ ამ ხარვეზს გამოასწორებს, მაშინ...

სათადარიგო შუახაზელები ზვიად გვაზავა და ირაკლი ხაჭაპურიძე იყვნენ. პირველმა სეზონი კარგად დაიწყო, მერე თითქოს ბულგარეთში უნდა გაეგრძელებინა კარიერა, მაგრამ დაბრუნდა და მოედანზე სულ რვაჯერ ვიხილეთ. ხაჭაპურიძე კი ძირითადად ტრავმასაც იშუშებდა და მის შესაძლებლობებზე ჯერ ვერაფერს მოგახსენებთ.

გარემარბებად ამზადებდა ხაჩიძე საბა სულთანიშვილსა და მიხეილ თაყაძეს. საბამ ბლომადაც ითამაშა, მიშამ — გაცილებით ნაკლები. გორის საფეხბურთო სკოლის აღზრდილებს ახალ კლუბში გასაშინაურებლად გარკვეული დრო დასჭირდათ. შეკრებები ჯერ კიდევ წინაა და ვნახოთ, როგორ გამოიყენებს ორ ფეხმარდ მოთამაშეს თემურ მახარაძე.

„ვიტ ჯორჯიას" ძირითადად სამი თავდამსხმელი ჰყავს: ლევან მელქაძე, გიორგი ქორიძე და ვლადიმერ გოჩაშვილი. წლეულს მეგოლე მელქაძეა. მან დიდი და სასარგებლო საქმე გააკეთა გუნდისთვის. სისწრაფით მაინცდამაინც არ გამოირჩევა, მაგრამ აქვს ძლიერი დარტყმა და ჩინებულად თამაშობს თავით. საშემოდგომო ეტაპზე ლევანი ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

შედეგიანობის მხრივ ქორიძე გუნდში მეორე გახლავთ, მაგრამ გიორგიმ გატანას უკლო და შარშანდელთან შედარებით წლეულს უარეს ფორმაშია, თუმც ორჯერ, „დინამოსთან" მცხეთაში და „სიონთან" ბოლნისში, „ვიტ ჯორჯიასთვის" მეტად საჭირო გოლები გაიტანა.

ერთი შეხედვით მოუხეშავი თავდამსხმელია გოჩაშვილი, დიდად ვერც შედეგიანობით გამოირჩევა, მაგრამ უსიტყვოდ, თავდაუზოგავად მშრომელი, ათლეტური, თავით კარგად მოთამაშე ფორვარდია. გადამწყვეტი და მეტად საჭირო გოლების გატანა მასაც ეხერხება.

„ვიტ ჯორჯიას" თერთმეტი ფეხბურთელი მოხვედრილა სარბიელისეულ სიმბოლურ ნაკრებში, ერთხელ გვილიარებია საუკეთესო გუნდად და ერთხელაც ხაჩიძე ყოფილა რჩეული. ტურის სიმბოლურ ნაკრებში კი ყველაზე მეტჯერ დეკანოსიძეს დაუმსახურებია კუთვნილი ადგილი.

| ვიტ ჯორჯია 2000-01 | | | |
|---|---|---|---|
| ტურის № მეტოქე | ანგარიში | სად | მეგოლე |
| 1 დილა | 3:0 | ს | ლ. ნოზაძე, ქორიძე ყიფიანი |
| 2 სიონი | 0:1 | შ | |
| 3 მერანი | 2:2 | ს | მელქაძე 2 |
| 4 დინამო | 1:0 | შ | ქორიძე |
| 5 იბერია | 3:0 | ს | ტექნიკური მოგება |
| 6 ბათუმი | 1:0 | შ | მელქაძე |
| 7 გორდა | 0:0 | ს | |
| 8 ლოკომოტივი | 1:0 | შ | დეკანოსიძე |
| 9 თსუ | 4:1 | ს | ქორიძე, დეკანოსიძე დილმელაშვილი ვ. გოჩაშვილი |
| 10 კოლხეთი | 0:1 | შ | |
| 11 ტორპედო | 1:1 | ს | ვ. გოჩაშვილი |
| 12 დილა | 3:0 | შ | დილმელაშვილი ლ. ნოზაძე მელქაძე |
| 13 სიონი | 1:1 | ს | ქორიძე |
| 14 მერანი | 1:0 | შ | ქორიძე |
| 15 დინამო | 0:4 | ს | |
| 16 იბერია | 4:0 | შ | მელქაძე 2, დილმელაშვილი ლ. ნოზაძე |
| 17 ბათუმი | 1:1 | ს | კობიაშვილი |

| სახელი გვარი | თამაში | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | ცვლილება |
|---|---|---|---|---|---|
| დავით დილმელაშვილი | 16 | 3 | 1 | 0 | 2 |
| თენგიზ კობიაშვილი | 16 | 1 | 1 | 0 | 3 |
| ლაშა ნოზაძე | 16 | 3 | 2 | 0 | 3 |
| ვლადიმერ გოჩაშვილი | 15 | 2 | 2 | 0 | 2 |
| გიორგი დეკანოსიძე | 15 | 2 | 3 | 0 | 4 |
| ლევან მელქაძე | 15 | 6 | 5 | 0 | 2 |
| მირზა მერლანი | 15 | -12 | 0 | 0 | 2 |
| ჯაბა მუჯირი | 15 | 0 | 1 | 1 | 1 |
| გიორგი ჭანკოტაძე | 15 | 0 | 2 | 0 | 2 |
| ედიკ საჯაია | 14 | 0 | 2 | 0 | 1 |
| საბა სულთანიშვილი | 13 | 0 | 2 | 0 | 0 |
| გიორგი ქორიძე | 12 | 5 | 2 | 1 | 0 |
| დავით დოლიძე | 11 | 0 | 3 | 0 | 0 |
| ზვიად გვაზავა | 8 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ყიფიანი | 6 | 1 | 3 | 0 | 1 |
| მიხეილ თაყაძე | 4 | 0 | 2 | 0 | 0 |
| ალექსანდრე ინწკირველი | 4 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ირაკლი ხაჭაპურიძე | 3 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ზვიად სტურუა | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კახა შოშიაშვილი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |

ვეტერინარებს მეტად ემოციური და გუნდს გადაგებული ხელმძღვანელობა მფარველობს. იმის გამო, რომ ნერვები ვერ მოუთოკავთ, დირექტორატის წევრებს შენიშვნაც არაერთხელ დაუმსახურებიათ, მაგრამ ფაქტი ერთია — ისინი ქართული ფეხბურთს ემსახურებიან.

„ვიტ ჯორჯია" ფინანსურად წელგამართული გუნდია. ვიტელებს ბევრისთვის სანატრელი სიკეთე არ აკლიათ. ჯერ არ აქვთ კეთილმოწყობილი, თანამედროვე სტადიონი და ბაზა, მაგრამ გვექნებაო, გვპირდებიან. სხვათა შორის, ერთი სავარჯიშო, წიდისსაფრიანი მოედანი მალე მზად ექნებათ.

„ვიტ ჯორჯიამ" ნავსი გატეხა, როგორც იქნა, თასის ნახევარფინალში გააღწია და გზად „დინამო" ჩამოიცილა.

წინ იტალიური შეკრება და მძიმე გაზაფხულია. უეფას თასის საგზურიო, თასი და ჩემპიონობაო... მართალია, მიუღწეველი არაფერია, მაგრამ უმაღლეს წარმატებას ძლიერი, შეუმცდარი და სტაბილური თამაში სჭირდება. ვნახოთ, ძალიან შორს არც გაზაფხულია.

**მამუკა ქვანტალიანი**

## საუკეთესო მოთამაშე

**ლევან მელქაძე**

12.12.79

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 95-96 | ალგეთი | B | 15 | 4 |
| 96-97 | თსუ 2 | B | 37 | 13 |
| 97-98 | თსუ 2 | C | 13 | 11 |
| | თსუ | A | 8 | 0 |
| 98-99 | დინამო | A | 7 | 2 |
| | დინამო 2 | B | 8 | 6 |
| 99-00 | თბილისი | A | 13 | 6 |
| | ვიტ ჯორჯია | A | 5 | 1 |
| 00-01 | ვიტ ჯორჯია | A | 15 | 6 |






| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლოკომოტივი | 17 | 14 | 1 | 2 | 32:7 | 25 | 43 | 8 | 7 | 0 | 1 | 19:3 | 16 | 21 | 9 | 7 | 1 | 1 | 13:4 | 9 | 22 |
| 2 ტორპედო | 17 | 12 | 3 | 2 | 28:6 | 22 | 39 | 9 | 6 | 2 | 1 | 15:4 | 11 | 20 | 8 | 6 | 1 | 1 | 13:2 | 11 | 19 |
| 3 დინამო | 17 | 12 | 1 | 4 | 43:17 | 26 | 37 | 9 | 7 | 0 | 2 | 28:7 | 21 | 21 | 8 | 5 | 1 | 2 | 15:10 | 5 | 16 |
| 4 ვიტ ჯორჯია | 17 | 9 | 5 | 3 | 26:12 | 14 | 32 | 8 | 6 | 0 | 2 | 11:2 | 9 | 18 | 9 | 3 | 5 | 1 | 15:10 | 5 | 14 |
| 5 კოლხეთი | 17 | 8 | 3 | 6 | 19:14 | 5 | 27 | 8 | 5 | 2 | 1 | 8:4 | 4 | 17 | 9 | 3 | 1 | 5 | 11:10 | 1 | 10 |
| 6 მერანი | 17 | 6 | 6 | 5 | 17:17 | 0 | 24 | 8 | 4 | 4 | 0 | 10:4 | 6 | 16 | 9 | 2 | 2 | 5 | 7:13 | -6 | 8 |
| 7 ბათუმი | 17 | 6 | 3 | 8 | 22:24 | -2 | 21 | 9 | 5 | 1 | 3 | 17:12 | 5 | 16 | 8 | 1 | 2 | 5 | 5:12 | -7 | 5 |
| 8 სიონი | 17 | 4 | 4 | 9 | 12:27 | -15 | 16 | 9 | 2 | 3 | 4 | 8:12 | -4 | 9 | 8 | 2 | 1 | 5 | 4:15 | -11 | 7 |
| 9 გორდა | 17 | 3 | 7 | 7 | 13:22 | -9 | 16 | 9 | 3 | 4 | 2 | 11:7 | 4 | 13 | 8 | 0 | 3 | 5 | 2:15 | -13 | 3 |
| 10 დილა | 17 | 4 | 3 | 10 | 13:32 | -19 | 15 | 8 | 3 | 2 | 3 | 11:12 | -1 | 11 | 9 | 1 | 1 | 7 | 2:20 | -18 | 4 |
| 11 თსუ | 17 | 4 | 2 | 11 | 17:32 | -15 | 14 | 9 | 2 | 1 | 6 | 7:15 | -8 | 7 | 8 | 2 | 1 | 5 | 10:17 | -7 | 7 |
| 12 იბერია | 17 | 0 | 2 | 15 | 3:35 | -32 | 2 | 8 | 0 | 1 | 7 | 1:17 | -16 | 1 | 9 | 0 | 1 | 8 | 2:18 | -16 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

EXCLUSIVE

# ბურთის მადლი



**ანდრეი შევჩენკო**

დაიბადა 1976 წლის 29 სექტემბერს დვირკივშჩინაში
თავდამსხმელი. სიმაღლე 183 სმ, წონა 72 კგ
უკრაინის ორგზის საუკეთესო ფეხბურთელი
დებიუტი სერია A-ში: 29.08.99 ლეჩე 2:2 მილანი (1 გოლი)
დებიუტი ევროთასებზე: 23.11.94 სპარტაკი 1:0 დინამო
დებიუტი ეროვნულ გუნდში: 25.03.95 ხორვატია 4:0 უკრაინა
კლუბები: დინამო (1994-99) 118 მატჩი, 60 გოლი;
მილანი (1999-დან) 42 მატჩი, 34 გოლი
სერია A-ს 1999-00 სეზონის ბომბარდირი და საუკეთესო ლეგიონერი

კობა ინასარიძის ექსკლუზიური ინტერვიუ

## დვირკივშჩინა, კოლმეურნეობა... მილანი, კინო, ჯორჯო არმანი, მონტე კარლო, ჩოგბურთი



თბილისშიც ყოფილა და ეროვნული სტადიონის გაყვითლებული მინდვრის ირგვლივ ურბენია. თამაშით არ უთამაშია, ტრავმა ჰქონდა და გართულებას მოერიდა.

მაშინ კიევის „დინამოს“ თავდამსხმელი გახლდათ, უკრაინაში ბადალი არ ჰყავდა.

ახლა იტალიაშია, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის — „მილანის“ თავდამსხმელია, იქაც უბადლოა, „სან სიროს“ სტადიონის ხასხასა მინდორზე შესაშური სისწრაფით დარბის და გოლი გოლზე გააქვს.

20 წელიწადია, სერია A-ს ასეთი რამ არ ახსოვს — იტალიაში ჩასული უცხოელი პირველივე სეზონში ბომბარდირი გახდა. ეს შარშან, 23 წლისამ შეძლო და საამისო შანსი წლეულსაც დიდი აქვს.

ადრე ფეხბურთთან ერთად ჰოკეისაც თამაშობდა. მალე მსახიობობაც მოუწევს. მართლმორწმუნე ქრისტიანი უკრაინულ ეკლესიასაც ხშირად შესწევია.

ხასიათით თავისებურია. ცინცხალი მაგალითი: ფიფას მიერ მოწყობილ საუკეთესოთა დაჯილდოების გალა-წარმოდგენაზე დაპატიჟებული რომში არ წავიდა.

ამას წინათ „მილანის“ მოწადინებით ევროკავშირელის სტატუსი მიიღო. ახლა კი შანსი აქვს, „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვაშიც გაიმარჯვოს და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი შეიქნეს.

ერთი სიტყვით... წაიკითხეთ „სარბიელის“ ინტერვიუ „მილანის“ უკრაინელ თავდამსხმელ ანდრეი შევჩენკოსთან. მას იტალიაში ტელეფონით დავუკავშირდით.

**— გამარჯობათ, საქართველოდან გაწუხებთ, გაზეთი „სარბიელი“...**

— დიახ, გისმენთ, რეზო ჭოხონელიძემ მითხრა ამის თაობაზე.

**— საქართველოში ბევრი გქომაგობთ, ინტერვიუ უნდა გთხოვოთ.**

— სასიამოვნოა. მე ქართველებს პატივს ვცემ. გისმენთ, გიპასუხებთ.

**— როგორ ფიქრობთ, უკვე სრულფასოვანი ვარსკვლავი ხართ?**

— მე არ შემიძლია ამის თქმა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ჟურნალისტებისა და სპეციალისტების აზრს, ესე იგი, გარკვეულ დონეს მივაღწიე, თუმცა მეტიც შემიძლია.

**— „ოქროს ბურთზე“ რას იტყვით? გახდებით ევროპაში საუკეთესო?**

— ძნელი იქნება.

**— რატომ?**

— იცით, მე ძალიანაც მსურს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი გავხდე, მაგრამ უკრაინის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ვერ მოხვდა, ეს კი ბევრს ნიშნავს. სლოვენიისთვის რომ მოგვეგო და ევროპის ჩემპიონატზე გვეთამაშა, მაშინ საუკეთესოობის დიდი შანსი მექნებოდა. არადა, შარშანდელ გამოკითხვაში მესამე ვიყავი და წლეულს, ვგრძნობ, უკეთეს ფორმაში ვარ. ისე, ღმერთმა ქნას, საუკეთესოდ მე დამასახელონ.

**— შარშანდელ სეზონში 24 გოლით სერია A-ს ბომბარდირი გახდით. წლეულსაც მოახერხებთ იგივეს? ბატისტუტაა თქვენი კონკურენტი...**

— ის წინა სეზონშიც კონკურენტი იყო, მაგრამ მაინც ვაჯობე. ახლაც იგივეს ვეცდები. ხომ ვთქვი, თავს ვატყობ, შარშანდელზე უკეთ ვთამაშობ და, ალბათ, 24 გოლზე მეტს გავიტან, თუმცა ეს მარტო ჩემზე არ არის დამოკიდებული, შევჩენკო მოედანზე მარტო არ თამაშობს, პარტნიორებმაც უნდა შემიწყონ ხელი.

**— ვინ არის თქვენი საუკეთესო პარტნიორი „მილანში“ და ვისთან მეგობრობთ?**

— აქ კარგი ბიჭები არიან — კოსტაკურტა, სერჟინიო, ამბროზინი, განსაკუთრებით ალბერტინი, მსიამოვნებს მასთან ურთიერთობა. ძალიან ძლიერი ფეხბურთელია, როცა მცველისგან გავთავისუფლდები, მისგან პასი არ მიგვიანდება, ჩინებულად გვესმის ერთმანეთის მოედანზეც და ცხოვრებაშიც.

**— ოთხი ფეხბურთელი ახსენეთ და მათ შორის არც ერთია ფორვარდი. თავდასხმაში ვისთან გიადვილდებათ პარტნიორობა?**

— ვერ გამოვარჩევ. ბირჰოფი, ხოსე მარი, კომანდინი, თავის დროზე ვეას გვერდითაც მითამაშია და ყველასთან ერთად გამიტანია გოლები. ეს კი თავდამსხმელისთვის მთავარია. ჩემთვის პრობლემა არაა, წყვილში ვისთან ვთამაშობ.

**— „მილანში“ ახალგადასულს ძალიან გაგიჭირდათ?**

— საკმაოდ. რამდენიმე წელი უკრაინის ჩემპიონატში ვთამაშობდი და მერე ევროპის ყველაზე ძლიერ ლიგაში აღმოვჩნდი. ველოდი კიდეც, რომ თავიდან გამიჭირდებოდა, მაგრამ თანდათან ბევრი რამ ვისწავლე, ყველაფერი დალაგდა და... ახლა ძაკერონიც ბოლომდე მენდობა. თუ გახსოვთ, შარშანდელი სეზონის დასაწყისში ხშირად მცვლიდა.

**— „მილანისთვის“ ტიტულებიდან მთავარი რომელია?**

— იტალიის ჩემპიონობაც და ჩემპიონთა ლიგის მოგებაც. ჩემთვის კი „ოქროს ბურთიც“.

**— ისევ „ოქროს ბურთზე“ ჩამოვარ... სიტყვა. საუკეთესოობის ყველაზე დი... შანსი ვისა აქვს?**

— ზიდანს.

**— ფიგუს?**

— ფიგუსაც.

**— თქვენი კოზირი რა არის?**

— სისწრაფეში ბურთს კარგად ვ... მორჩილებ.

**— კარგად და ძლიერადაც ხომ ურ... ტყამთ?**

— კი, მაგრამ კოზირად ის მაქვ... რაც გითხარით.

**— თქვენ ვან ბასტენსაც გადარებე... ამის თაობაზე რას იტყვით?**

— რა თქმა უნდა, მსიამოვნებს, ას... ფეხბურთელს რომ მადარებენ, ამით ვ... მაყობ კიდეც, მაგრამ მე მისი თამა... კარგად არც მახსოვს. მხოლოდ მა... ჩების ვიდეოფირებიდან მექმნება მა... ზე წარმოდგენა. ვან ბასტენი რომ ბ... წყინავდა, მე მაშინ ბლოხინის, პროტ... სოვისა და ლიტოვჩენკოს თამაშს ვუყ... რებდი. და მიუხედავად ყველაფრის... მსურს, „მილანში“ ჩემი სახელი დავტ... ვო, ჩემი სახელი მქონდეს.

**— თავისუფალ დროს რას აკეთებ... ჰოკეის ქომაგი ყოფილხართ...**

— კი, ადრე ჰოკეის თავადაც ვ... მაშობდი და ახლაც სიამოვნებას მ... ჭებს. მილანში ორი გუნდია, მ... არც ერთია ძლიერი და მატჩებზე შ... იცარიაში დავდივარ, აქედან 20 კილ... მეტრია, იქ უკეთ თამაშობენ.

ძალიან მიყვარს ჩოგბურთიც. მონტ... კარლოში ჩემი მეგობარი ჩოგბურთ... ლი ანდრეი მედვედევი ცხოვრობს, ... სახლი მეც მაქვს და ჩავდივარ, ან... რეის ჩოგბურთს ვეთამაშები-ხოლმ... შინ, მილანში კი ტელევიზორთან მ... ვკალათდები ხოლმე და „მილანის“ მ... ტჩების ფირებს ვუყურებ.

**— ახლა ანდრეი შევჩენკოს ფილ... შიც ილებენო, მართალია?**

— მართალია. რა ვიცი, მეუბნები... ფოტოგენური ხარო. საავტომობილ... კონცერნების წარმომადგენლებიც ხშ... რად მაკითხავენ და ნაირ-ნაირ სარ... ლამო კლიპებში მონაწილეობას მ... ხოვენ. რამდენიმე დღის წინ კი „ჯ... რჯო არმანიდან“ მესტუმრნენ და კ... ტრაქტის გაფორმება შემომთავაზე...

**— ყოველი გატანილი გოლის შემ... მაისურას რომ თავზე იფარებთ, ამ... რას გამოხატავთ?**

— მხოლოდ სიხარულს, ჩვეული რი... ტუალია — მაისურას თავზე დაფარ... ბა და ხელების გაშლა ყოველი გოლ... შემდეგ. ეს მომენტი ძალიან მსიამ... ვნებს.

**— მარცხენა მაჯაზე თეთრი სამაჯ... რიც ჩვევაა?**

— კარგად მაქვს დაცდილი. თა... მაჯაც მიმეჩვია. თუ უსამაჯუროდ ვ... მაშობ, თითქოს რაღაც მაკლიაო, ... ვგრძნობ თავს.

**— შვიდნომრიანი მაისურაც კარ... გაქვთ დაცდილი?**

— დიახ. ადრე „დინამოში“ და ... რებში მეათე ნომრად ვთამაშობდი... შვიდიანი მომცეს. ეს ჩემთვის ბედ... რი რიცხვია და ნაკრებში პარტნიო... ბსაც ვთხოვე, შვიდნომრიანი მაის... ჩემთვის დაეთმოთ.

**— პირჯვარსაც ხშირად იწერთ...**

— მორწმუნე ვარ, ყოველი გოლის შემდეგ ჯვარს ვეამბორები ხოლმე. ... თხელ აქ მილანში ჩემმა მოძღვარმა... ჩამომაკითხა უკრაინიდან.



სარბიელის არქივიდან

ანდრეი შევჩენკო: კიდევ ერთი გოლი, ჩვეული რიტუალი



სარბიელის არქივიდან

„მილანის“ ვარსკვლავმა მორიგი მეტოქე ჩამოიტოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მცველის პირადი მცველი



ბიქსენტე ლიზარაზუს ეტა-მ თმები ყალყზე დაუყენა

**იყო დრო,** მიუნხენის „ბაიერნი-ს“ და საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელი ბიქსენტე ლიზარაზუ თავისი ბასკური წარმომავლობით ძალიან ამაყობდა, ახლა კი თავბედს იწყევლის და ალბათ, გულში ბასკებს გვარიანადაც აგინებს.

რამდენიმე დღეა, ლიზარაზუ გარეთ გულის კანკალით გადის და არ იცის, შინ საღ-სალამათი დაბრუნდება თუ არა. „ნამდვილად ვიცი, რომ ჩემს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება“ — განუცხადა ფეხბურთელმა ბასკეთის დედაქალაქ ბილბაოში გამომავალ გაზეთ „ელ კორეოს“.

ცოტა ხნის წინ საფრანგეთის სამხრეთში მდებარე ქალაქ ანდეიში ფეხბურთელის დედამ ბასკეთის ტერორისტული ორგანიზაცია ეტა-სგან წერილი მიიღო, რომელშიც ტერორისტები „ბაიერნის“ მცველს ფულს სთხოვენ, აქაოდა, ბასკობაზე რომ დებ თავს, „რევოლუციურ გადასახადს“ რატომ არ იხდიო.

ლიზარაზუ ამ ამბავმა შეაშფოთა, გუშინწინ კი კიდევ უფრო შეშინდა, რადგან მის მობილურზე ანონიმური ზარი აწკრიალდა, ბიქსენტეს ეტა-ს მავანი წევრი დაუკავშირდა და მოკლედ მოუჭრა, ან ფულს გადაიხდი, ან...

„ეს ნამდვილი საშინელებაა, ასეთი რამ დაუშვებელია, ფეხბურთელს ატერორებენ! სად გაგონილა?“ — აღშფოთებულია ბავარიელთა მთავარი მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი.

საქმე იქამდე მივიდა, ხუთშაბათს ლიზარაზუ „ბაიერნის“ ვარჯიშზე პირად მცველთან ერთად გამოცხადდა. მანამდე, წინა დღეს, მიუნხენში „ბაიერნმა“ „ჰამბურგს“ უმასპინძლა. იმ შეხვედრაში ლიზარაზუს არ უთამაშია, საპატიო სტუმართათვის განკუთვნილ ლოჟაში თანამემამულე ვილი სანიოლისთან ერთად იჯდა და თამაშს იქიდან უცქერდა, ლოჟას კი ოთხი მცველი იცავდა. სტადიონის შესასვლელშიც რამდენიმე გადაცმული სამართალდამცავი იდგა და საეჭვო პიროვნებებს გულდასმით აკვირდებოდა.

ხუთშაბათს 31 წლის ფეხბურთელმა ავტომანქანაც გამოიცვალა. BMW-ს მარკის ლიმუზინში გადაჯდა, რომელსაც მინები დაბურული აქვს. როცა ლიზარაზუ კლუბის ბაზაზე მიდის, იქ დაცვა ძლიერდება. ვარჯიშის დროსაც მინდვრის კიდესთან პირადი მცველი დგას. აღარც ქომაგებს აქვთ საყვარელი გუნდის ვარჯიშზე დასწრების საშუალება. საინტერესოა, როგორ გადაწყვეტს „ბაიერნის“ ხელმძღვანელობა ლიზარაზუს უსაფრთხოების საკითხს, ოფიციალური მატჩებისას. თუმც ცნობილია, რომ ფეხბურთელის დასაცავად გერმანულმა პოლიციამ საგანგებო ზომები მიიღო.

მიუხედავად ამისა, ფერდაკარგულები არიან სხვა ბაიერნელებიც. „ჩვენ ვნერვიულობთ და გვეშინია „ლიზას“ გამო“ — ამბობს მიუნხენელთა ბრაზილიელი თავდამსხმელი პაულო სერჟიო.

თავად საფრანგეთის ნაკრებისა და მიუნხენელთა მცველი, რომელიც ერთხანს ბასკური ბილბაოს „ატლეტიკის“ ღირსებასაც იცავდა, თავს ყველაზე მშვიდად მაშინ გრძნობს, როცა გვერდით პირადი მცველი უდგას.

**ვანო ოქროპირიძე**



ტრიბუნაზე ეულად მჯდომი მამა-შვილი „ინტერის“ თამაშს სევდიანად უცქერს

## იტალია

### თასის მეოთხედფინალი

საპასუხო მატჩი

**ინტერი 0:0 პარმა (ხ6)**

**ინტერი:** ბალოტა, კორდობა (სიმიჩი 81), ჩირილო, ბლანი (დი ბიაჯო 46), გრეშკო, ხ. ძანეტი, ფარინოსი, ზეედორფი (პირლო 66), სერენა, კინი, სამორანო
**მწვრთნელი:** მარკო ტარდელი
**პარმა:** გუარდალბენი, ტურამი, სენსინი, ბენარივო, სარტორი, აპია (ბოგოსიანი 72), ალმეიდა, ჟუნიორი (ფალსინი 37), სერჟიუ კონსეისაუ (დი ვაიო 46), მონტანო, მბომა
**მწვრთნელი:** ალბერტო მალესანი
**გაფრთხილება:** კორდობა
1 114 მაყურებელი

**სანამ** მატჩი დაიწყებოდა, „ინტერი“ თავის ავტობუსიანად ხულიგანმა ფანებმა კინაღამ გადაწვეს. გუნდი „სან სიროს“ სტადიონზე შედიოდა, როცა ვილაც თავქარიანმა, კლუბის წარუმატებლობითა და კრიზისით ეტყობა ერთობ უკმაყოფილომ, ავტობუსს ასაფეთქებელი სითხით სავსე ბოთლი ესროლა. ასეთი ბომბები „მოლოტოვის კოქტეილის“ სახელწოდებითაა ცნობილი. მილანელთა ბედად, ბოთლმა ფანჯარა არ გატეხა და სალონში არ შევარდა, ცეცხლი კორპუსს გარედან მოეკიდა, რაც კარაბინიერებმა უმალ ჩააქრეს. „ინტერის“ პერსონალიდან არავინ დაშავებულა... მოკლედ, დიდი ამბებია მილანელთა თავს.

თამაში წვიმაში ჩატარდა და როგორც იუწყებიან, მეტად უსახური გამოდგა. პირველი მატჩი „ინტერს“ 1:6 წაეგო და ეჭვიც არავის ეპარებოდა, რომ ნახევარფინალში „პარმა“ გავიდოდა. თუმცა „სან სიროს“ ბინადართა თავკაცს მარკო ტარდელის მანამდე უთქვამს: „მართალია, მომდევნო ეტაპზე გასვლა უფრო ოცნებაა, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვიბრძოლოთ და შეძლებისდაგვარად კარგად ვითამაშოთ. როგორც წესი, წარმატების მთავარი წინაპირობა შეუპოვარი ხასიათია. თუ გუნდს ეს არ სჩვევია, იგი აგებს.“

ჯერჯერობით ვერ გამოდგა ტარდელი კარგი მასწავლებელი, მილანში კი ახლა „ინტერის“ პერსპექტივაზე მეტად, ალბათ, იმაზე მსჯელობენ, თუ რამდენ ითმენს მასიმო მორატი და ღმერთმა ნუ ქნას, განრისხდეს...

ორიოდ სიტყვით ამ წყვილიდან მომდევნო ეტაპზე გასულ გუნდზეც ვთქვათ. თამაშზე და საერთოდ, „პარმაზე“ მათივე მწვრთნელი ალბერტო მალესანი საუბრობს: „წინა მატჩის შედეგიდან გამომდინარე, ალბათ, თავად „ინტერსაც“ ეჭვი ეპარებოდა თავის წარმატებაში. ჩემს გუნდზე კი იმას ვიტყვი, რომ ახლა სერია A-ს მატჩი გველის „ვიჩენცასთან“ და უნდა მოვიგოთ. წინა ტურში „იუვენტუსთან“ წაგების შემდეგ საქმეები ჩვენს სასიკეთოდ უნდა შემოვატრიალოთ.“

**ნიკა შუბლაძე**

# მსოფლიო უმიუნხენოდ?!



ფრანც ბეკენბაუერი

**„მსოფლიოს** ჩემპიონატს არ სჭირდება მიუნხენი და თუ ამ ქალაქს არ ექნება საკადრისი სტადიონი, მაშინ პლანეტის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირს ვერ უმასპინძლებს“ — თქვა გუშინ ფრანც ბეკენბაუერმა, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ.

ალბათ, მიხვდით, ისევ „ოლიმპიაშტადიონზე“ ვსაუბრობთ. შეგახსენებთ: სამსოფლიოჩემპიონატოდ ამ არენაზე დიდი რეკონსტრუქცია იყო დაგეგმილი, რომელიც მიუნხენის მერიამ და არქიტექტორთა ჯგუფმა ჩაშალა. მათ სარეკონსტრუქციო გეგმა დაიწუნეს, რომელშიც თურმე მინდვრისა და ტრიბუნების გათბობა არ იყო გათვალისწინებული. ეს პროცესი 400 მილიონი მარკა ჯდებოდა, ასეთი თანხის გაღების პერსპექტივა კი ქალაქის მუნიციპალიტეტს მაინცდამაინც არ ხიბლავდა. მერიამაც ახალი გეგმა შესთავაზა ორგკომიტეტს — 140 მილიონ მარკად „ოლიმპიაშტადიონზე“ კოსმეტიკური სამუშაოები ჩავატაროთ და პრობლემაც ამით დამთავრდებაო. როგორც ჩანს, ბეკენბაუერი და საორგანიზაციო კომიტეტის სხვა ხელმძღვანელები ამის წინააღმდეგნი არიან.

„რა პრობლემაა, 15 ქალაქი მაინც მოიძებნება ისეთი, ახალი სტადიონის აშენებაზეც რომ არ იტყვის უარს, ოღონდ კი მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლოს“ — დასძინა „კაიზერ ფრანცმა“.

მაგრამ გერმანელებს ვერც კი წარმოუდგენიათ, როგორ შეიძლება პლანეტის ჩემპიონატმა ქვეყნის საფეხბურთო დედაქალაქ მიუნხენს გვერდი აუქციოს. თუ რაიმე მნიშვნელოვანი ჩატარებულა გერმანიაში, თითქმის ყველაფერი „ოლიმპიაშტადიონზე“. 1974 წელს გერმანიის ნაკრები სწორედ მიუნხენში გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, 1988 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩიც იქ გაიმართა.

რა იქნება ახლა? ეს ჯერ არავინ იცის. საორგანიზაციო კომიტეტმა, უბრალოდ, თავისი პოზიცია გამოხატა და აღნიშნა, რომ თუ რეკონსტრუქცია არ ჩატარდა, მიუნხენის კანდიდატურას მოხსნის. არადა, სულ ცოტა ხნის წინ მიუნხენისა და ბერლინის სტადიონებს, ფაქტობრივად, კონკურენტი არ ჰყავდათ. ის კი არა, გადაწყვეტილი იყო, გახსნისათვის მიუნხენს ემასპინძლა, ფინალისთვის — ბერლინს. ახლა კი...

თავადაც იცით, ბეკენბაუერი მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტიც გახლავთ. ჰოდა, ცოტა ხნის წინ ამ კლუბის წარმომადგენელმა ინფორმაცია გაავრცელა, მალე აქციები უნდა გამოვუშვათ და საფონდო ბირჟაზე გავიტანოთ, რათა შემოსავალი გავზარდოთ და ცალკე სტადიონი ავაშენოთო. შეგახსენებთ, ახლა „ოლიმპიაშტადიონზე“ „ბაიერნთან“ ერთად „მიუნხენ 1860“-იც თამაშობს. ჟურნალისტებმაც დამოძღვრეს, მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი კლუბი გყავთ, სტადიონის აშენებასაც აპირებთ, ჰოდა, ჩემპიონატსაც თქვენს ახალ სარბიელზე უმასპინძლეთო.

„ჩვენი ფინანსური შესაძლებლობები იმის საშუალებას არ გვაძლევს, რომ 2006 წლისთვის უმაღლესი კლასის სტადიონი ავაგოთ“ — იყო პასუხი.

**ვანო ოქროპირიძე**

# ჯანყი ტურინში
## ან მათამაშეთ, ანაც გამიშვით



ფილიპო ინძაგი: მინდა მე ფრანგული ყაიდა?

**ტურინის** „იუვენტუსის“ მწვრთნელ კარლო ანჩელოტის ფორვარდი ფილიპო ინძაგი აუჯანყდა და ულტიმატუმიც წაუყენა — ან კვლავ დამაბრუნე ძირითადში და მათამაშე, ანაც კლუბიდან საერთოდ წავალო. ინძაგის ამ ხმამაღალ განცხადებას იმწამსვე მისი მსურველი კლუბებიც გამოეხმაურნენ. „მილანი“, მადრიდის „რეალი“ და „ბარსელონა“ მზად არიან, „ბებერი ქალბატონის“ თავკაცობას ნებისმიერ დროს დაელაპარაკონ.

რამ მიიყვანა ინძაგი აჯანყებამდე? რამ კი არა, უფრო სწორად, ვინ? ვინ და დავიდ ტრეზეგემ. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ფრანგი ზაფხულში „იუვენტუსმა“ „მონაკოსგან“ თითქმის 20 მილიონ დოლარად იყიდა. ჰოდა, ამ თანხას „ამოღება“ ხომ უნდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ტრეზეგე ახლა მართლაც საუცხოო ფორმაშია.

საინტერესოა, რას ფიქრობს თავად ანჩელოტი.

აი, მისი პასუხიც:

„ვცდილობ, „იუვენტუსი“ ფრანგულ ყაიდაზე ვათამაშო — ერთი წინწაწეული ფორვარდით, ამ დროს კი ინძაგის ადგილი ფაქტობრივად არც არის. ტრეზეგე ჩინებულ ფორმაშია. მისი თამაში საშუალებას გვაძლევს, ფლანგებიდან უკეთ შევუტიოთ მოწინააღმდეგის კარს. ამასთანავე ზინედინ ზიდანსაც მეტი სივრცე ექმნება თავისი იმპროვიზაციის გამოსავლენად“.

ანჩელოტი ან ბოლმით ამბობს ამას, ანაც მართლაც ასეა. ინძაგის კი რა? ალბათ წასვლა უჯობს, მით უმეტეს, მსურველები უკვე ჰყავს. ისე, ზემოთ ნახსენებმა გრანდებმა „იუვეს“ ამ ზაფხულსაც მიმართეს, პიპო დაგვითმეთო, მაგრამ მტკიცე უარი მიიღეს.

**გიორგი ვაჩაძიძე**

# თქვენ იმყოფებით...




**შავი** მარგალიტი, ცოცხალი ლეგენდა, ტომით მოზამბიკელი, სულით და გულით კი პორტუგალიელი... ლეგენდარული ეუსებიო ხომ გახსოვთ — 60-იანი წლების ლისაბონის „ბენფიკას“ სუპერვარსკვლავი. მას სამშობლოში დღესაც უდიდეს პატივს სცემენ, ძეგლიც კი დაუდგეს „ბენფიკას“ „დუშ სანტუშის“ სტადიონის ტერიტორიაზე.

ახლა კი ეუსებიო ამაყად აცხადებს, ხალხის გულში თუ ვინმე შემცვლის, ეს მხოლოდ მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველი ლუიშ ფიგუაო.

„ფიგუ ეროვნული სიამაყეა. ძალიან გული დამწყდა, მსოფლიოს წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული რომ არ მიანიჭეს, ის ამას იმსახურებს. რომში პირადად მისი მიწვევით ვიმყოფებოდი და ცხადია, ლუიშს ვქომაგობდი. ღრმად მწამს, ფიგუ მსოფლიოს თუ ვერა, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი მაინც გახდება. მას მთელი ქვეყანა ეთაყვანება, ამის ღირსია და სრულიადაც არ მეწყინება, თუ ჩემზე პოპულარული გახდება. ერთ მეგობრულ რჩევასაც მივცემდი — ღრუბლებში ნუ იფრენს, იყოს ის, ვინც არის.“

ესეც ასე. დღესდღეობით მსოფლიოში ორი ფეხბურთელია, რომლებსაც სიცოცხლეშივე აუგეს ძეგლი: პორტუგალიელი ეუსებიო და არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტა. ვითომ მალე გვეტყვის მავანი, თქვენ იმყოფებით ფიგუს ძეგლთანო?

# ჰერლიხს მომავლის სჯერა

**„დორტმუნდის“** თავდამსხმელის ჰაიკო ჰერლიხის თავს კარგი ამბავია. თავის ტვინის კიბო, რომელიც მას ექიმებმა ზუსტად ერთი თვის წინ აღმოუჩინეს, კეთილთვისებიანი გამოდგა. ჰოდა, ექიმების განცხადებით, ჰერლიხის სიცოცხლეს უახლოეს მომავალში საფრთხე არ ემუქრება. ეგ კი არა, ფორვარდი შეიძლება განიკურნოს კიდეც ამ უმძიმეს დაავადებისგან.

14 ნოემბერს საფეხბურთო გერმანია შოკში ჩავარდა: დორტმუნდის ნეოქირურგიულ საავადმყოფოში ჩატარებულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ჰერლიხის ტვინი მეტასტაზებს მოეცვა, 29 წლის ფეხბურთელი სიკვდილის პირას იყო. ბევრი მის ადგილას სულიერად გატყდებოდა, ჰაიკო კი...

„მინდა ბიჭებმა იცოდნენ, რომ დღეიდან ბრძოლას ვიწყებ, კიბოს უნდა ვძლიო“ — ეს სიტყვები ჰერლიხმა იმ წერილში დაწერა, რომელიც კლუბის პრეზიდენტ გერდ ნიებაუმს გაუგზავნა.

„ასეთმა დიაგნოზმა შეიძლება თავზარი დაგცეს, მაგრამ ჰაიკო მებრძოლი სულის ადამიანია და სიმსივნის დამარცხებაც ძალუძს. თავადაც ამას ფიქრობს, ეს კი გამოჯანმრთელებაში მნიშვნელოვნად დაეხმარება“ — თქვა მაშინ ფეხბურთელის მამამ, ბერნდ ჰერლიხმა. „ჩემი შვილის მტკიცე ნებისყოფის იმედი მაქვს“ — ამბობდა ჰაიკოს დედა, ერიკა.

ჰაიკო ჰერლიხი მართლაც გაუტეხელი ყოფილა. იგი უკვე იტარებს მკურნალობის კურსს და როგორც ჩანს, წარმატებითაც. სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ ეს შემზარავი სენი ცნობილმა საოპერო მომღერალმა ხოსე კარერასმაც დაამარცხა.

ახლა ჰერლიხმა თერაპიის კურსი უნდა გაიაროს. მას თავში ზონდიც უნდა ჩაუდგან. თავიდან ლაზერული სხივებით უმკურნალებენ, თუმცა არ არის გამორიცხული, ქირურგიული ჩარევაც დასჭირდეს. ბოლო დროა, ფეხბურთელს თავს ცნობილი სპეციალისტები დასტრიალებენ, რომლებსაც ვერ გადაუწყვეტიათ, გაუკეთონ თუ არა ავადმყოფს ოპერაცია.

ჰერლიხი თანაგუნდელთა და კლუბის ხელმძღვანელთა მხარდაჭერას მუდამ გრძნობს. დორტმუნდელებმა რამდენჯერმე მოინახულეს თავიანთი თავდამსხმელი, ცოტა ხნის წინ კი კლუბის კრება გაიმართა. რომელშიც ტელეგადამცემის საშუალებით საავადმყოფოში მწოლმა ჰერლიხმაც მიიღო მონაწილეობა. კლუბის ოფისში მოთავსებულ ეკრანზე რომ გამოჩენილა, „დორტმუნდის“ ზოგიერთ წევრს თვალები აცრემლებია.

ფეხბურთელი არც ქომაგების უყურადღებობას უჩივის.



ჰაიკო ჰერლიხი

იგი ყოველდღიურად რამდენიმე ათეულ წერილს იღებს. გარდა ამისა, გულშემატკივრები ყველა საშინაო მატჩისას ერთ სიმღერას უძღვნიან.

ყოველივე ეს ჰერლიხს ოპტიმისტურად განაწყობს. თანაც იგი, როგორც ვწერდით, ძალიან მორწმუნეა და ღვთის იმედიც აქვს. „მე ქრისტიანი ვარ და მჯერა, ამქვეყნად ყველაფერი ისე ხდება, როგორც ღმერთს სურს“ — უთქვამს ჰაიკოს თავის დროზე. ორიოდე დღის წინ კი გერმანულ „ბილდს“ ეს განუცხადა: „ყველაზე მეტად ღმერთის მწამს. იგი არ გამწირავს და ყველაფერი კარგად იქნება“.

**ვანო ოქროპირიძე**

# შენ გადაიხადე გადასახადი?!

**22 დეკემბერს** „ჰამბურგის“ განელი თავდამსხმელის ტონი იებოას კარიერა შესაძლოა დასრულდეს. 34 წლის ვეტერანი წლინახევრით თუ ციხეში ჩააყუდეს, ვეჭვობთ, გამოსვლის შემდეგ ფეხბურთს მოუბრუნდეს. ისე, ფაქტობრივად, ახლაც ჩამოშორებულია — 3 აგვისტოს მერე მას ფრანკფურტში უფრო დიდხანს უწევს ყოფნა, ვიდრე ჰამბურგში.

მიზეზი გასაგებია — ფრანკფურტის სამოქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე იურგენ რადკესთან იებოა ლამის კვირაში ორჯერ ჩადიოდა. ვარჯიში კი თითქმის დაივიწყა. „ტონი ფორმიდან აშკარად ამოვარდნილია. მისი დღევანდელი მზადყოფნა ბუნდესლიგისთვის არადამაკმაყოფილებელია“ — ამბობს „ჰამბურგის“ თავკაცი ფრანკ პაგელსდორფი, რომელიც განელ ფეხბურთელს ბოლო დროს თითქმის აღარ ათამაშებს. იებოამ წლეულს სულ სამი გოლი გაიტანა: ერთი ჩემპიონატში, ორი ჩემპიონთა ლიგაში. არადა, იყო დრო, მას ამდენი ბურთი ერთ კვირაში გაჰქონდა.

განელის კარიერა რომ თავქვე მიდის, ჰამბურგელთა ხელმძღვანელობა უკვე მიხვდა და რამდენიმე დღის წინ შესაბამისი ნაბიჯი გადადგა — ინგლისური „ლივერპულიდან“ ჰოლანდიელი თავდამსხმელი ერიკ მეიერი უფასოდ გადმოიბირა.



ტონი იებოა ან ძალიან საწყალია, ან ძალიან ეშმაკი

ახლა კი სასამართლოს ამბავს დავუბრუნდეთ.

18 თვე იებოას — მოითხოვა ფრანკფურტელმა პროკურორმა იურგენ რადკემ. სამართალდამცავებმა იებოას კონტრაქტი შეამოწმეს, რომელიც მას ყოფილ კლუბ „აინტრახტთან“ აკავშირებდა (განელი ფეხბურთელი ამ კლუბში 1990-95 წლებში თამაშობდა, სხვათა შორის, ჩვენებურ კახა ცხადაძესთან ერთად), მერე მის საბანკო ანგარიშებსაც გადასწვდნენ, არც საშემოსავლო დეკლარაციაში ჩახედვა დაივიწყეს და აღმოაჩინეს, რომ გერმანიის ბიუჯეტი 2,3 მილიონი მარკით დაზარალებულა. ცხადია, გერმანიის ბიუჯეტს ორიოდე მილიონი ვერაფერს დააკლებს, მაგრამ აქ ხომ კანონიერებაზეა საუბარი, რომელსაც ამ ქვეყანაში დიდ პატივს სცემენ.

პროკურორი იებოას მხილებით არ დაკმაყოფილდა. ალბათ იფიქრა, ეს ის კაცი არაა, თავად აწარმოებდეს ფინანსურ მაქინაციებს, ვინ მისცა მაგდენი ჭკუაო და ძაფს მიჰყვა. ძაფმა ის ბერნდ ჰოლცენბაინთან, ვოლფგან კნიშპელსა დ იოჰან ვან ბერკთან მიიყვანა. განვმარტოთ: პირველი თავის დროზე ჩინებული ფეხბურთელი და „აინტრახტის“ ყოფილი ვიცე-პრეზიდენტია, მეორე — იმავე კლუბის ასევე ყოფილი ხაზინადარი, ხოლო მესამე — იებოას ფინანსური მრჩეველი (ცხადია, ყოფილი). პროკურორი ამტკიცებს, ფეხბურთელის შემოსავლების დამალვის გეგმა სწორედ მათ დასახეს და ცხადია, თავადაც სარგებელი ნახესო. მათი დაპატიმრებაც მოითხოვა — ჰოლცენბაინის და კნიშპელისა ორ-ორი წლით, ხოლო ვან ბერკისა — 15 თვით. ამასთანავე, იებოასთვის დამატებით 300 ათასმარკიანი ჯარიმაც მოითხოვა. თანხის გადახდა კნიშპელსაც მოუწევს — იგი 100 ათასი მარკით დაჯარიმდება, ვან ბერკი კი პატიმრობისას 600 საათს გასამრჯელოს გარეშე იმუშავებს.

ფეხბურთელი წაყენებულ ბრალდებას უარყოფს და თავს ისაწყლებს, ფინანსებისა არაფერი გამეგება, მით უმეტეს, გერმანული საგადასახადო კოდექსისო. რასაც მეუბნებოდა ვან ბერკი, იმას ვაკეთებდი, მრჩევლადაც ხომ ამიტომ მყავდაო.

სასამართლო ვერდიქტს, თავშიც ვთქვით, 22 დეკემბერს გამოიტანს.

**გიორგი დარჯანია**




**იტალიის** ჩემპიონმა „ლაციომ“ არგენტინის ნაკრების ნახევარმცველ ხავიერ ძანეტის დაადგა თვალი და როგორც იუწყებიან, „ინტერთან“ მოლაპარაკებებს მალე დაიწყებს. რომაული კლუბიდან კიდევ ერთი სიახლეა: პორტუგალიელ მცველ ფერნანდუ კოუტუს ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია ჯერ კიდევ წინა კვირაში სამამდე შეუმცირეს, მაგრამ „ლაციომ“ სასჯელის კიდევ უფრო შემსუბუქება მოითხოვა. ფედერაციამ აპელაცია კვლავ დააკმაყოფილა და კოუტუ, რომელმაც ორი მატჩი უკვე გამოტოვა, კვირას „რომას“ წინააღმდეგ ითამაშებს.

**ნორვეგიელი მცველი ჰენინგ ბერგი „ბლექბერნმა“ „მანჩესტერ იუნაიტედისგან“ 1,7 მილიონ გირვანქად შეიძინა. ვარაუდობენ, რომ ფეხბურთელი კვირას „ბარნლის“ წინააღმდეგ ითამაშებს. „სასიხარულოა, გამოცდილი მცველი შევიძინეთ. იგი ჩვენ ძალიან დაგვეხმარება“ — განაცხადა პირველდივიზიონელთა შეფმა ჯონ უილიამსმა. აღსანიშნავია, რომ ბერგი „მანჩესტერში“ 1997 წელს სწორედ „ბლექბერნიდან“ გადავიდა. ალექს ფერგიუსონის გუნდმა მაშინ მის სანაცვლოდ 5 მილიონი გირვანქა გადაიხადა.**

**სამხრეთაფრიკელები** ფიფაში ჩივილს აპირებენ, რადგან ამ ქვეყნის ერთ-ერთ ფეხბურთელს, დუმისა ნგობეს თურქული „ანკარაგიუჯიუ“ ნაკრებში სათამაშოდ არ უშვებს. ამავე მიზეზით გამოტოვა 23 წლის მოთამაშემ სიდნეის ოლიმპიადა, სადაც იგი სამ ასაკგადაცილებულ თანაგუნდელს შორის ერთ-ერთი უნდა ყოფილიყო. „სხვა არაფერი დაგვრჩენია, ფიფაში უნდა ვიჩივლოთ“ — აცხადებენ სამხრეთაფრიკელები, რომლებმაც მალე აფრიკის ეროვნებათა თასის ნახევარფინალში უნდა ითამაშონ.

**ინგლისური „ვესტ ჰემის“ თავკაც ჰარი რედნაპს ლონდონში რობი კინის მიწვევა სურს და თანახმაა, „ინტერს“ 10 მილიონი გირვანქა გადაუხადოს. „ჩვენი წარმომადგენლები იტალიაში იმყოფებოდნენ, მაგრამ ჯერჯერობით შეთანხმებას ვერ მიაღწიეს“ — განაცხადა რედნაპმა და დასძინა, რომ „ლიდსში“ რიო ფერდინანდის 18 მილიონ გირვანქად გაშვების შემდეგ თავს უფლებას აძლევს, ძლიერი ფორვარდისთვის 10 მილიონი არ დაიშუროს. შეგახსენებთ, რომ რობი კინი „ინტერმა“ ივლისში „ქოვენთრიდან“ გადაიბირა, თუმცა იგი მილანელთა ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად ვერ ხვდება.**

**ინგლისურმა** „არსენალმა“ მისივე აღზრდილი პაოლო ვერნაცა „უოტფორდში“ გაუშვა, თუმც კლუბებს სატრანსფერო თანხა ოფიციალურად არ გაუმხელიათ. ამ ფეხბურთელმა „მეთოფეთა“ ძირითად შემადგენლობაში სულ 12 მატჩი ჩაატარა, ამიტომ ლონდონური კლუბის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით გადაწყვიტა, სხვაგან გადასულიყო.

**შვედმა მცველმა იოაკიმ ბიორკლუნდმა ვარჯიშის დროს ხელი მოიტეხა და „ვალენსიას“ დაახლოებით ერთი თვით დააკლდება. ადრეც ამბობდნენ, შვედი ძირითად შემადგენლობაში ხშირად ვერ ხვდება და შესაძლოა კლუბი დატოვოსო, მაგრამ ბიორკლუნდმა ჭორები გაფანტა: „ვალენსია“ ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია, ამიტომ არც ერთი სხვა კლუბი არ მაინტერესებს“. ახლა ტრავმირებული მოთამაშე ცოტა ხნით ოჯახთან ერთად სანტა ბარბარაში დაისვენებს.**

**გერმანიის** 21-წლამდელთა ნაკრების ნახევარმცველის სებასტიან კელის შეძენის სურვილი დორტმუნდის „ბორუსიამ“ გამოთქვა. ამ ფეხბურთელმა, „ფრაიბურგმა“ აპრილში „ჰანოვერიდან“ 200 ათას მარკად რომ გადაიბირა, მიმდინარე სეზონში 11 შეხვედრა ჩაატარა. კელის „ფრაიბურგთან“ ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. გავრცელებული ინფორმაციის პასუხად მან განაცხადა, სულ მცირე ზამთრის არდადეგებამდე არაფერს გადავწყვეტო.

**იტალიურ „ფიორენტინას“ განუზრახავს, თავის ორ პორტუგალიელს მეც, ემილიუ პეიშეც შეჰმატოს. 27 წლის ფეხბურთელი ახლა „პორტუში“, მანამდე კი ლისაბონის „სპორტინგსა“ და „სევილიაში“ თამაშობდა. სულ ახლო ხან პეიშეს „მარიტიმუც“ ეპატიჟებოდა, მაგრამ მან თავად განაცხადა უარი.**

**შოტლანდიურმა** „სელტიკმა“ კენი დალგლიშს 600 ათასი გირვანქა გადაუხადა იმის გამო, რომ ივლისში იგი დროზე ადრე გაათავისუფლა მწვრთნელის თანამდებობიდან. აღსანიშნავია, რომ დალგლიში თავიდან საკომპენსაციოდ მილიონ გირვანქას ითხოვდა, მაგრამ ედინბურგში გამართულ სასამართლო პროცესზე მისი ადვოკატები ნაკლები თანხის მიღებაზეც უმალ დათანხმდნენ. დალგლიში „სელტიკში“ შარშან დაბრუნდა და ჯონ ბარნსთან ერთად გუნდის ხელმძღვანელობას შეუდგა, შემდეგ ბარნსი მწვრთნელის პოსტიდან მოხსნეს და დალგლიში დანიშნეს, მაგრამ დიდხანს არც მას უმუშავია — გლაზგოურმა კლუბმა ოთხი თვის შემდეგ მასთანაც შეწყვიტა კონტრაქტი.

**საფრანგეთის ჩემპიონ „მონაკოს“ კაპიტანმა მარტინ ჯეტუმ საზარდულის ტრავმა მიიღო და სულ მცირე, ორ კვირას ვერ ითამაშებს. „სამწუხაროა, კაპიტანი მართლაც ძალიან დაგვაკლდება“ — წუხან მონაკოელები. თანაც ჩემპიონებს ახლა არ ულხინთ: ცხრილში მეთორმეტე ადგილზე არიან.**

**იტალიის** ჩემპიონატის ლიდერი „რომა“ ლიდსში წარმომადგენლების გაგზავნას აპირებს, რათა მარკ ვიდუკა „ელანდ როუდიდან“ „სტადიო ოლიმპიკოზე“ გადაიბიროს. „მთავარია, ავსტრალიელი მანამდე შევიძინოთ, სანამ სხვა რომელიმე კლუბში გადავა. ძალიან ძლიერი ფორვარდია და გაბრიელ ბატისტუტას ჩინებულ პარტნიორობას გაუწევს“ — განაცხადა „რომას“ ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა. იმასაც იუწყებიან, რომ იტალიელებმა ინგლისელებს ვიდუკას სანაცვლოდ 15 მილიონი გირვანქა შესთავაზეს.

**შვეიცარიელი რამონ ვეგა მალე ალბათ „ტოტენჰემიდან“ „სელტიკში“ გადავა. ფეხბურთელს ლონდონელები იოლად გაუშვებენ. მათ ურჩევნიათ შეთავაზებული 350 ათასი გირვანქა ახლავე აიღონ, რადგან სეზონის ბოლოს ვეგას „ტოტენჰემთან“ კონტრაქტი უსრულდება. „მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს და კარიერას ალბათ „სელტიკში“ გავაგრძელებ. მარტინ ონილს ძლიერი გუნდი ჰყავს. მათ რიგებში ჩარიცხვა სასიხარულოა“ — განაცხადა 29 წლის მცველმა, რომელსაც ადრე იტალიურ „კალიარიშიც“ უთამაშია.**

**ბელგიურმა** „ჰარელბეკემ“ მწვრთნელი ჰერმან ჰელეპუტე გაათავისუფლა და მის ნაცვლად გერმანელი გერდ ცაისე დანიშნა. გუნდი აშკარა კრიზისშია და თავკაციც ამის გამო გაუშვეს, ცაისეს მოყვანაში კი ახალ სპონსორს, გერმანულ ფირმა „კუადროს“ შეუტანია დიდი წვლილი. 48 წლის სპეციალისტს აქამდე მშობლიური კლუბები — ესენის „როტ ვაისი“ და „ობერჰაუზენი“ გაუწვრთნია.

**შოტლანდიელი ნახევარმცველი გარი მეისონი „დანფერმლაინში“ გადაბარგდა. „მანჩესტერ სიტის“ 21 წლის მოთამაშემ ახალ კლუბთან ორწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. საგულისხმოა, რომ მეისონი ბოლო ორი სეზონი „სიტის“ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა. იგი მინდორზე მხოლოდ მაშინ ჩნდებოდა, როცა მანჩესტერული კლუბი მეორე დივიზიონში თამაშობდა. „მეინ როუდის“ ბინადრებმა ახლა ფეხბურთელი კონტრაქტისგან გაათავისუფლეს. „კარგი კლუბის დატოვება ყოველთვის ძნელია, თუმცა რეგულარულად შემადგენლობაში მოხვედრა, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანია“ — განაცხადა მეისონმა.**

# ფიფა ეშმაკობს
## ევროკავშირი არ ტყუვდება

**ბრიუსელში** ფიფას, უეფას, ევროკავშირისა და საფეხბურთო პროფკავშირების წარმომადგენლები შეიკრიბნენ და იმ კანონპროექტის თაობაზე ისაუბრეს, რომელიც 31 ოქტომბერს ფიფამ ევროკავშირს წარუდგინა. შეგახსენებთ, რომ საქმე ეხება არსებული სატრანსფერო სისტემის ძირეულ შეცვლას, რომელსაც მსოფლიო ფეხბურთის მამები ქაოსურს უწოდებენ, ხოლო ევროპის მმართველები ევროკანონმდებლობასთან შესაბამისობის აუცილებლობით ხსნიან. ასევე გავიხსენოთ, რომ ჯერ ფიფამ ითხოვა რამდენჯერმე პროექტის წარდგენის ვადის გადადება, მერე კი ევროკავშირელებმა ვერ მოახერხეს დათქმულ დროში დოკუმენტის სრულყოფილად შესწავლა.

თათბირი სამსაათნახევარს გაგრძელდა, რომლის დასრულების შემდეგაც ფიფას გენერალურმა მდივანმა მიშელ ზენ-რუფინენმა განაცხადა: „დიდი კმაყოფილებით გაცნობებთ, რომ ევროკავშირი ჩვენს გეგმას დაეთანხმა. ცხადია, ეს არ ნიშნავს, თითქოს ყველაფერი მოგვარებულია, მაგრამ მათი კეთილგანწყობა მაფიქრებინებს, რომ იანვრის შუა რიცხვებისათვის დარჩენილ სადავო საკითხებსაც შევათანხმებთ.“

ახლა უეფას გენერალურ მდივან გერჰარდ აიგნერს მოვუსმინოთ: „საბოლოო შეთანხმებაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, თუმცა ევროკომისიის სამუშაო განწყობა ოპტიმიზმით ალგვავსებს. ყველანაირი საფუძველი არსებობს იმისთვის, რათა ორივე მხარისთვის მისაღები კანონი მივიღოთ.“

აგაშენათ ღმერთმა, თურმე რა იოლი ყოფილა საერთო ენის გამონახვა, არადა, რამდენი მწარე სიტყვა გითქვამთ ერთმანეთისათვისო, იტყვის გულუბრყვილო ადამიანი. რატომ გულუბრყვილო? რატომ და, პირადი გამოცდილებით ვიცით, რომ ბობოლა ჩინოვნიკთა ნათქვამი პირდაპირ არ უნდა გავიგოთ, ახლა თუ ფიფასეული პროექტის ხუთ ძირითად პოსტულატს გავიხსენებთ.

*1. 18-წლამდელთა ტრანსფერების აკრძალვა.*

*აღსანიშნავია, რომ ევროკავშირს ამგვარი აკრძალვის მოთხოვნა არ წაუყენებია და ეს ფიფამ თავად გადაწყვიტა. მოლაპარაკებებისას ზენ-რუფინენმა აკრძალვის დაკანონება ღარიბი ქვეყნებიდან ევროპაში წასული ახალგაზრდა ფეხბურთელების დაცვის აუცილებლობით მოითხოვა. არგუმენტი ასეთია — თუ ყმაწვილმა მოთამაშემ კლასის ამაღლება ვერ შეძლო, ის ბედის ანაბარა რჩება, რის გამოც 18-წლამდელთა ტრანსფერის აკრძალვა მათი დაცვის საუკეთესო მექანიზმია.*

ევროკავშირი, ცხადია, ეთანხმება ყმაწვილთა დაცვის აუცილებლობას, მაგრამ ტრანსფერების აკრძალვა გამოსავლად არ მიაჩნია. ევრომამების თქმით, აქ სხვა მექანიზმებია ასამუშავებელი, თორემ ადამიანისათვის ასაკის მიხედვით სამუშაოს შეცვლის აკრძალვა არასწორია. რაც შეეხება კომპრომისს, ევროკავშირის პრეს-მდივანი ამელია ტორესი ამბობს: „პრინციპში, თუ ასაკს 18-დან 16 წლამდე შევამცირებთ, პრობლემა არ უნდა იყოს — როგორც არასრულწლოვანებს, გარკვეულ შეზღუდვებს დავუწესებთ.“ დავუმატოთ, რომ თექვსმეტწლამდელთა საერთაშორისო ტრანსფერი არცთუ ბევრია, რის გამოც ფიფას წარდგენილი კანონპროექტის ამ პუნქტის ევროკავშირისეული რედაქციით დამტკიცებას დიდი პრაქტიკული დატვირთვა არ ექნება.

*2. კომპენსაცია 23-წლამდელთა კლუბიდან კლუბში გადასვლის დროს.*

*ფიფას პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით დიდი ხანია ცნობილია: კომპენსაცია დაიანგარიშება ფეხბურთელის აღზრდაზე დახარჯული თანხის, მისი ასაკის, ჩატარებული მატჩების რაოდენობის, კონტრაქტის ვადის ხანგრძლივობის და ფეხბურთელის პოტენციური შესაძლებლობების გათვალისწინებით.*

დაახლოებით თვენახევრის წინ ვწერდით, რომ ფიფა ევროკავშირს თითოეული ამ კრიტერიუმის მიხედვით შესაბამისი „ტარიფის“ შედგენას დაჰპირდა, მაგრამ ამ მიმართულებით ჯერაც არაფერი გაკეთებულა. ყოველ შემთხვევაში, ბრიუსელის შეხვედრაზე არაფერი თქმულა. ერთადერთი, რაც გერჰარდ აიგნერმა ზენ-რუფინენის მხარდაჭერით განაცხადა, ის იყო, კრიტერიუმები სავსებით ობიექტურიაო. დაგვეთანხმეთ, ერთობ ზოგადი განცხადებაა. ამ პუნქტთან დაკავშირებით მსჯელობა, ფაქტობრივად, არც გამართულა და მოგვიანებით ზენ-რუფინენმაც აღიარა, ეს საკითხი კვლავ ღიად რჩებაო.

*3. კლუბიდან კლუბში გადასვლის დროის მკვეთრად შეზღუდვა.*

*ეს ნიშნავს, რომ სატრანსფერო „ფანჯარა“ წელიწადში მხოლოდ ორი იქნება, ხოლო მისი ხანგრძლივობა ძალიან შემცირდება. გიხაროდენ! ერთადერთი პუნქტი, რომელსაც ევროკავშირი დაეთანხმა, ხოლო ამელია ტორესმა კონსტრუქციული წინადადება უწოდა.*

*4. კონტრაქტისადმი პატივისცემა.*

*რას ნიშნავს ეს მუხლი, ევროკომისიამ ვერ გაიგო. რაღა დავმალოთ და, ჩვენთვისაც გაუგებარია და ვეჭვობთ, ფიფამაც იცოდეს. არსი ასეთია: ფეხბურთელმა კონტრაქტის დარღვევისაგან თავი უნდა შეიკავოს. აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, როგორ ჩაიწერება ეს კანონში: გთხოვთ, კლუბიდან კლუბში კონტრაქტის გასვლამდე ნუ გადახვალთ, თორემ... ვერ დაგსჯით. როგორია? როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.*

*5. საფეხბურთო არბიტრაჟის შექმნა.*

*ფიფა ეშმაკობს და სურს, კლუბსა და ფეხბურთელს შორის წამოჭრილი დავის გადაჭრა ამ ახალ ორგანოს მიაბაროს, რომელიც მისივე შექმნილი იქნება. ფაქტობრივად, ფიფა კვლავ მოსამართლედ რჩება, როგორც ახლაა და საკუთარი სიტყვის უზენაესობის შენარჩუნებას ცდილობს. უამრავი შემთხვევაა, როცა ამ უფლებით აღჭურვილი ფიფა სახელმწიფოთა შინაურ საქმეებშიც ერევა. მაგალითი გავიხსენოთ: პოლიციამ დააპატიმრა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და თაღლითობის ბრალდება წაუყენა, ფიფამ კი, ჩემდამი დაქვემდებარებული პირის დაპატიმრებას როგორ ბედავთო, ტანზანიას წევრობა შეუჩერა. ცოტათი გადავუხვიეთ საუბრის თემას. უბრალოდ იმის თქმა გვსურდა, რომ ფიფა საკუთარ თავს უზენაეს ინსტანციად მიიჩნევს და არბიტრაჟის შექმნით ლამობს ასეთადვე დარჩეს.*

ევროკავშირელებმა ფიფას გენერალურ მდივანს ჰკითხეს: „კლუბი და ფეხბურთელი რაღაცაზე ვერ შეთანხმდნენ. თქვენ ამბობთ, რომ არბიტრაჟს უნდა მიმართონ. ეს ნიშნავს, რომ სასამართლოში წასვლა ეკრძალებათ? არადა, სასამართლოში სარჩელის შეტანა ნებისმიერი პიროვნების თუ იურიდიული პირის უფლებაა. აქედან გამომდინარე, რისთვის უნდა იარებოს ამ ახალწარმონაქმნმა? ამასთანავე, არბიტრაჟის გადაწყვეტილებით რომელიმე მხარე აუცილებლად უკმაყოფილო დარჩება და საბოლოოდ მაინც სასამართლოში მივა.“ ევროკომისიის ამ არგუმენტის საპასუხოდ ფიფას კონტრარგუმენტი არ აღმოაჩნდა.

შევაჯამოთ: ფიფას ხუთი პოსტულატიდან ევროკავშირმა სრულად მხოლოდ ერთი მიიღო და ერთსაც ნაწილობრივ დაეთანხმა. ახლა ზენ-რუფინენის თავში მოყვანილი სიტყვებიც გავიხსენოთ: „დიდი კმაყოფილებით გამცნობთ, რომ ევროკავშირი ჩვენს გეგმას ნაწილობრივ დაეთანხმა“.

კიდევ დავუმატოთ, რომ პროფესიონალ ფეხბურთელთა კავშირების უმრავლესობამ ბრიუსელში ჩასვლა დროისა და ფულის ფლანგვად მიიჩნია და შეხვედრას ოდენ სამი პროფკავშირელი დაასწრო. ერთ-ერთმა მათგანმა, თეო ვანზეგენელმა კი აღნიშნა, ევროკავშირი მოთამაშეთა ინტერესებს იცავს და ფიფასთან კომპრომისებზე არ მიდის, რითაც დიდად კმაყოფილები ვართო.

მომავალი ასეთი შეკრება ერთი კვირის შემდეგაა დაგეგმილი.

**გიორგი დარჯანია**



REUTERS ბრიუსელიდან

ფიფასა და უეფას გენერალური მდივნები მიშელ ზენ-რუფინენი და გერჰარდ აიგნერი (მარჯვნივ). ამ ხალხის ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს.

# დაუმის ფილოსოფია



**ამერიკაში** მყოფმა „ლევერკუზენის“ ექს-თავკაცმა კრისტოფ დაუმმა ცოტა ხნის წინ ესპანური მადრიდის „ატლეტიკოსგან“ შეთავაზება მიიღო. „ატლეტიკომ“ კონკრეტული წინადადებით მომმართა. ესპანელებს დიდი სურვილი აქვთ, მეორე დივიზიონში მყოფი კლუბი ახლავე ჩავიბარო, მაგრამ უარი ვუთხარი“ — განუცხადა დაუმმა გერმანულ „ბილდს“.

რაც დაუმმა ამერიკაში ხელმეორე ექსპერტიზით თავისი უდანაშაულობა დაამტკიცა, რამდენიმე გუნდმა და ნაკრებმა შესთავაზა თავისთან მუშაობა. თუ რატომ უთხრა უარი, „ბილდი“ კრისტოფს ამაზეც ესაუბრა.

„ატლეტიკოს“ წინადადება კონკრეტული იყო, მაგრამ იმიტომ ვიუარე, რომ მათ ახლავე ვჭირდებოდი, მე კი ჯერაც გადავწყვიტე, ზაფხულამდე მწვრთნელობას არ დავუბრუნდე“ — თქვა დაუმმა და ირანის ნაკრებზე გადავიდა — „ჩემთვის მართლაც დიდი პატივია ირანის ეროვნულ გუნდში მუშაობა. მათ წინადადებაზე ჯერაც ვფიქრობ. ირანელებს პასუხი არ ეჩქარებათ. მეც ყველაფერს კარგად მოვიფიქრებ და საბოლოო ნაბიჯსაც მერე გადავდგამ. გადაწყვეტილებას მომავალი წლის აპრილში მივიღებ. უარი ვუთხარი შვეიცარიის ნაკრებსაც, რადგან მათ თავადაც ბევრი მაღალი კლასის მწვრთნელი ჰყავთ და ჩემი მიწვევის საჭიროებას ვერ ვხედავ. თურქეთში გატარებული დრო კი არასდროს დამავიწყდება, რადგან ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ლამაზი წლები იყო. არ გამოვრიცხავ, ისევ დავბრუნდე ამ ქვეყანაში, მაგრამ ამ ეტაპზე ამას არ ვაპირებ.“

დაუმი ბუნდესლიგაში გავრცელებულ ხმებსაც შეეხო — თითქოს იგი „შტუტგარტის“ მწვრთნელობას უმიზნებდეს.

„დარწმუნებული ვარ, „აინტრახტთან“ 4:1-ის მოგების შემდეგ შტუტგარტელები მომდევნო მატჩშიც გაიმარჯვებენ და მწვრთნელის პრობლემაც გადაწყდება. რანგნიკი გუნდში დარჩება“ — თქვა დაუმმა.

ამის მერე გერმანელმა სპეციალისტმა მომავალზეც ისაუბრა: „ჩემი უპირველესი საზრუნავი ის გრანდიოზული გეგმაა, რომლის განხორციელებასაც უახლოეს მომავალში ფლორიდაში შევუდგებით. იქ უდიდესი ცენტრის შექმნას ვაპირებთ და ამასთან დაკავშირებით ახალ-ახალი იდეებიც გვაქვს. ახლა გადავწყვიტეთ, რომ მწვრთნელთა მოსამზადებელი კურსებიც დავაარსოთ, რაც ჩვენს გეგმას უფრო სრულყოფს. ყველაზე სასიამოვნო მაინც ის არის, რომ ამერიკაში ყველაფერს უმაღლესი კლასის სპეციალისტები გაუძღვებიან. თუნდაც სარეაბილიტაციო ცენტრი ავიღოთ — მას ამერიკის საუკეთესო ორთოპედი პროფესორი პოლომბო გაუძღვება.“

ამ პროექტის განხორციელებას რამდენიმე წელიწადი სჭირდება. იმ ხანში დაუმი მწვრთნელობას დაუბრუნდება. ეს უკვე გადაწყვეტილი ჰქონია.

ბოლოს კი დაუმის „ღრმა ფილოსოფიური“ ნათქვამი აღვნიშნოთ:

„ფლორიდაში ფიქრისთვის დიდი დრო მქონდა. ბევრი ვიფიქრე და რომ ვუკვირდები, ცხოვრებაში ყველაფერი ისე ვერ არის, როგორც გვინდა. მეც ბევრი შეცდომა დამიშვია. ახლა საგნებსა და მოვლენებს სულ სხვა თვალით ვუცქერ. შინ რომ ვყოფილიყავი, იქ ბევრი მომცემდა რჩევას, აქ კი ყველაფერზე მარტო ვფიქრობდი, ყველაფერი თავად გადავწყვიტე. მომავალში დროის გარკვეული ნაწილი ჩემი ცოდნის გაღრმავებისთვისაც უნდა გამოვიყენო. თანაც გერმანიაში რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავბრუნდე და ყველა კითხვას პასუხი გავცე. კიდევ ბევრ რამეს უნდა მოვფინო ნათელი. ეს ალბათ აპრილში მოხდება.“

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XVII ტური

**ფიურტი 2:1 ჰანოვერი**

1:0 სურმანი (7), 2:0 შკარაბელა (65), 2:1 მოლატა (83)

**ზანქტ პაული 1:0 ნიურნბერგი**

1:0 ლოტერი (48)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 17 | 12 | 3 | 2 | 35:14 | 39 |
| ზანქტ პაული | 17 | 8 | 6 | 3 | 39:27 | 30 |
| ჰანოვერი | 17 | 8 | 5 | 4 | 30:17 | 29 |
| გლადბახი | 17 | 7 | 7 | 3 | 30:19 | 28 |
| როიტლინგენი | 17 | 8 | 4 | 5 | 38:31 | 28 |
| დუისბურგი | 17 | 7 | 5 | 5 | 26:20 | 26 |
| ფიურტი | 17 | 7 | 5 | 5 | 26:20 | 26 |
| ვალდჰოფი | 17 | 7 | 5 | 5 | 26:22 | 26 |
| ობერჰაუზენი | 17 | 8 | 2 | 7 | 24:24 | 26 |
| ზაარბრიუკენი | 17 | 7 | 4 | 6 | 26:32 | 25 |
| ალემანია | 17 | 6 | 5 | 6 | 27:33 | 23 |
| ალენი | 17 | 5 | 6 | 6 | 25:30 | 21 |
| არმინია | 17 | 5 | 4 | 8 | 24:23 | 19 |
| ულმი | 17 | 5 | 4 | 8 | 21:24 | 19 |
| მაინცი | 17 | 4 | 5 | 8 | 17:23 | 17 |
| კიკერსი | 17 | 3 | 7 | 7 | 14:22 | 16 |
| ოსნაბრუკი | 17 | 2 | 4 | 11 | 14:32 | 10 |
| ქემნიცი | 17 | 2 | 3 | 12 | 14:43 | 9 |

## ბრაზილია

ჩემპიონატის ნახევარფინალი

პირველი მატჩები

**სან კაეტანო 3:2 გრემიო**

**ვასკუ და გამა — კრუზეირო**

გადაიდო

გიო ახვლედიანის



სვეტი

# დღეს რომ არჩევას დაიწყებ

**სამყარომ**, უფრო სწორად კი ფიფამ, ეგრეც ვერ მოახერხა საუკუნის ფეხბურთელის დასახელება. უფრო სწორად, საინტერნეტო გამოკითხვისა და მსოფლიო ფეხბურთის თავკაცთა აზრები ერთმანეთს არ დაემთხვა და ვერც დაემთხვეოდა. პირველთა რჩეული მარადონა გამოდგა, მეორეთა — პელე.

საქმე ისე წარიმართა, როგორც უნდა წარმართულიყო: მარადონამ ქოში უკუღმა ჰყარა, პელემ ჩვეული ამაყი სიდინჯე გამოავლინა და ჯილდოც გაიყო.

ამით ჯილდო სასაცილო შეიქნა, ფიფამ კი სრული მოუქნელობა და მოუმზადებლობა გამოამჟღავნა. პელეს რომ ირჩევდა, ფიფა არა მხოლოდ სპორტული მიღწევებით და ნიჭის დაფასებით ხელმძღვანელობდა, არამედ იმითაც, რომ პელე ჯენტლმენური განწყობის კაცია, მარადონა კი უმართავი, უფრო გეტოს მენტალიტეტის ჯეელი.

მაგრამ ფიფას კონსერვატიზმი, ორ დიდ ფეხბურთელს შორის უფრო წესიერი მოქალაქის არჩევას რომ გულისხმობდა, უძლური აღმოჩნდა. მარადონას წესიერება კი არა, ამერიკის პრეზიდენტის უწესობა შეიქნა სალაღობო და გასართობი. ასეთია დღევანდელი მსოფლიო. ოცდაათი წლის წინათ საქმე სხვაგვარად იქნებოდა, მაგრამ ის, რაც მაშინ მიუღებელი რამ იყო საზოგადოების თვალში, დღეს უფრო ხშირად გასართობია. ბევრ რამეში ასეა და ძველნი და ახალნი ერთმანეთს „საუკუნის ფეხბურთელის“ საკითხშიც შეეტაკნენ.

შეეტაკნენ და ჯილდოც გაიყო.

სხვაგვარად რომ შევხედოთ, საუკუნის ერთი რჩეულის დასახელებაც არ არის მთლად სწორი რამ. მხოლოდ არასწორი კი არა, სისულელეა. ახლა მეფეების დრო გადავარდნილია. ამიტომაც გამოვიდა ისე, რომ მაინც არ მოხერხდა ერთი მეფის კურთხევა.

რა დროს მეფეებია?

ფეხბურთი ხალხისთვის არის.

ხალხი კი ბევრად ძლიერი და თავისუფალია, ვიდრე ძიები, სოლიდურობას და წესიერებას რომ ქადაგებენ და თავადაც ვერ არიან მთლად სოლიდურნი და წესიერნი. ამიტომ მოხდა, რომ... თორემ ვინ ოხერი იტყვის, მარადონა სანიმუშო კაცია და პელე უწესო კაციაო. უბრალოდ, დღევანდელებს უფრო ის უყვართ, ვინც დღეს იყო, ვინც მათსავით უბრალო და სასაცილოა და ვინც მართლა ზღაპრულად თამაშობდა ფეხბურთს. ამიტომაც ფიფას კომისია უფრო პატარა გამოდგა, ვიდრე ინტერნეტის ხაზებით მოსული შედეგი.

დღეს სამოცი წლის კაცები პოპულარულნი არ არიან, დღეს ორმოცი წლის ჯეელების დროა.

ასეა და ფიფაც ამიტომ გამოჩნდა სასაცილო.

# პოლონელი, რომელმაც კანადელები შეურაცხჰყო

**ერთი** ამ კაცს შეხედეთ, აქამდე სად იყო. როგორი სისწრაფე აქვს, გოლის ალღოც არასოდეს ღალატობს. საოცარია, საკვირველია...

„ინგლისის ჩემპიონთა მცველები კანადელი ვარსკვლავის ელვისებურ გარღვევებს ვერაფრით გაუმკლავდნენ" — წერდნენ ბრიტანელი ჟურნალისტები „მანჩესტერ იუნაიტედის" „ანდერლეხტთან" დამარცხების შემდეგ.

მაღალს ვერაფრით დაარქმევ, 174 სანტიმეტრია, თუმცა ხშირად საჰაერო ბრძოლასაც იგებს. მაგრამ მთავარი ღირსება მაინც სისწრაფეა.

27 წლის პოლონური წარმოშობის კანადელს, ტომაშ რაძინსკის წლევანდელ შემოდგომამდე თითქმის არავინ იცნობდა. წლების განმავლობაში კანადის ლიგაში, პოლონეთისა და გერმანიის დაბალ დივიზიონებში თამაშობდა. „ანდერლეხტში" კი ბელგიურივე „ეკერენიდან" მოხვდა.

ცოტა უჩვეულოა, მაგრამ ყველა ის ფეხბურთელი, რომლებიც ჩემპიონთა ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის შემდეგ ბომბარდირთა დავას მეთაურობდნენ — ბარსელონელ რივალდოსა და მონაკოელ სიმონეს 6-6 ბურთი გაეტანათ, იუვენტუსელ ინძაგისა და რუსენბორგელ იონსენს 5-5 — შეჯიბრებას გამოეთიშნენ. დარჩენილთა შორის კი რაძინსკი და მანჩესტერელი სქოულზი დაწინაურდნენ.

კანადელის ხუთივე გოლს ბელგიის ჩემპიონისთვის, მართლაც რომ ოქროს ფასი ჰქონდა.

იცით ვის უსწრებს რაძინსკი? მანჩესტერელ შერინგემს, ლაციოელ კლაუდიო ლოპესს, სენჟერმენელ ანელკას, გალათასარაიელ ჟარდელს, მილანელ შევჩენკოსა და კიდევ არაერთ ცნობილ კაცს. როგორი გვარებია...

ოქტომბრის ბოლოს ლიგის ზედიზედ ორ მატჩში კიევის „დინამოსთან" და „მანჩესტერთან" რაძინსკიმ დუბლი შეასრულა და ბელგიელმა ჟურნალისტებმაც უმალ მონათლეს მეკარეთა რისხვად. ცხადია, ცოტას აჭარბებენ, მაგრამ კაცი ათამაშდა და...

რაძინსკი „ანდერლეხტში" 1998 წელს გადავიდა და პირველ სეზონში 15 ბურთი გაიტანა. 1999-ის მაისში კი ორ მატჩში ზედიზედ ჰეთ თრიქი შეასრულა და ყურადღებაც მიიქცია.

ევროპაში ბევრი კანადელი არ თამაშობს, თუმცა რაძინსკი მათ შორისაც გამორჩეულია. ტომი — ასე ეძახიან თანაგუნდელები — პირველი იყო, ვინც ევროპული ქვეყნის თასის ფინალში გაიტანა, ასევე კანადელთაგან ევროთასზე პირველმა დალაშქრა მოწინაალმდეგის კარი.



შემოდგომის გმირი: ტომაშ რაძინსკი

წლევანდელი სეზონი ხომ გაკანადელებული პოლონელისათვის გამორჩეულია. ჩინებულად თამაშობს ბელგიის ჩემპიონატშიც. ახლახან „ბრიუგესთან" უპრინციპულეს მატჩში პირველი გოლი გაიტანა და შედეგად „ანდერლეხტმა" 2:0 მოიგო. ჩეხ აზმახ იან კოლერთან ერთად ტომი დღეს „იასამნისფერთა" („ანდერლეხტის" მეტსახელია) მთავარ იმედად ითვლება.

საინტერესოა, რომ ჩემპიონთა ლიგის ყველა გოლი რაძინსკიმ მშობლიურ „კონსტან ვანდენ შტოკის" სტადიონზე გაიტანა. მუდამ მაღალი სიჩქარით თამაში მისგან სამაგალითო ფიზიკურ მზადყოფნას მოითხოვს. ამტანობა, მართლაც, არ დაეწუნება, თუმცა ამბობენ, ტომაში პირველ ტაიმში უფრო სახიფათოაო. ამ ლაპარაკს, ჩანს, რომაელებმაც დაუჯერეს და თამაშის მიწურულს ყურადღება მოადუნეს. აი, სწორედ მაშინ მოხდა პატარა სასწაული — „ანდერლეხტი" — „ლაციოს" მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთიღა რჩებოდა, ანგარიში არ გახსნილიყო და იტალიელებსაც ქულა უკვე ჯიბეში ეგონათ, როცა რაძინსკი მრისხანე მცველებს გაექცა, მეკარე პერუცისაც აჯობა და თავისიანებს სენსაციური გამარჯვება მოუპოვა.

„ლაციოსთან" მატჩის შემდეგ რაძინსკით სერიოზულად დაინტერესდნენ სერია A-ს კლუბები. „ვერონა" უკვე კონტრაქტსაც სთავაზობს.

ჩანს, თავდამსხმელი მალე კანადის ნაკრებშიც დაბრუნდება. თავის დროზე ამ ქვეყნის პირველ გუნდში 22-ჯერ უთამაშია, მაგრამ 1997 წელს მისი სანაკრებო კარიერა შეწყდა. ტომაშს უთანხმოება მოუვიდა ნაკრების მაშინდელ მწვრთნელ ბობ ლენარდუცისთან. ორი წლის შემდეგ გუნდი ჰოლგერ ოსიეკმა ჩაიბარა და რაძინსკი აშშ-ში გასამართ „ოქროს თასის" ტურნირში სათამაშოდ მიიწვია. ფეხბურთელმა თანხმობით უპასუხა, მაგრამ შტატებში აღარ ჩასულა. ამან კანადური ფეხბურთის მამები ისე აღაშფოთა, რომ ფიფასაც კი მიმართეს, ტურნირის მსვლელობის მანძილზე რაძინსკისთვის დისკვალიფიკაცია მიეცათ. ასოციაციის ხელმძღვანელმა კივან პაიპმა ის „პარტნიორების, მწვრთნელისა და მთელი ქვეყნის შეურაცხყოფაში" დაადანაშაულა.

მერე ოსიეკმა სახალხოდ გამოაცხადა — რაძინსკი კანადის ნაკრებში აღარასოდეს ითამაშებსო, მაგრამ მალე მიხვდა, რომ თავდამსხმელების ნაკლებობას განიცდის და მოლბა: „რაძინსკის ქვეყნის მთავარ გუნდში თამაში უნდა აინტერესებდეს. თუ მოინდომა, მოვიდეს, საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს".

კანადელი ჟურნალისტები წერენ, რომ ოსიეკმა ჩინებულად იცის თავისი საქმე და ისიც კარგად ესმის, რატომ ერიდება რაძინსკი ნაკრებს.

საქმე ისაა, რომ კანადელთა საერთაშორისო კალენდარი საერთოდ არ ითვალისწინებს ევროპული კლუბების ინტერესებს. ხოლო უდროო დროს ხშირი მგზავრობა ტომაშს კლუბის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებას უშლის ხელს. ამიტომ, დანამდვილებით ახლაც ვერავინ იტყვის, დაბრუნდება, თუ არა რაძინსკი ნაკრებში. მას ხომ კლუბში ჩინებული შემოდგომა ჰქონდა, თანაც სამი წლის წინ უთქვამს: თავს კანადელად ვერ აღვიქვამო.

აი, ასეთია წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთი გმირი, რომელსაც ორი თვის წინ თითქმის არავინ იცნობდა.

**სოლომონ გულისაშვილი**


## რესტორანი მზიანი ღამე






**განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით**

**დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე**

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

**კუტუზოვის ქუჩა №3**

**(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)**

**მობრძანდით, გვეწვიეთ: კმაყოფილი დარჩებით**

# ფული ვენერასაც ანათებს



ვინუს უილიამსი

**სულ** ცოტაც და ვინუს უილიამსი
ქალთა სპორტის ისტორიაში ყველაზე
არფიან სარეკლამო კონტრაქტს მოა-
წერს ხელს. USA TODAY-ს თუ ვენ-
დობით, სპორტული ტანისამოსის გი-
განტი „რიბოკი", რომელიც შავკანიან
ვენერას გასულ სეზონებში ათასგვარი
უცელ თუ ზურგგამოჭრილი მინი-კა-
ბით ამარაგებდა, მზად არის, უილი-
მსის მოხდენილ და კუნთა სხეულზე
საკუთარი პროდუქციის ხილვის სია-
მოვნებაში 40 მილიონი დოლარი გა-
იღოს. კონტრაქტი ხუთწლიანი იქნება,
თუ წელიწადში ჩოგბურთელი 8 მი-
ლიონ მწვანეს მიითვლის.
მხარეები ჯერჯერობით კომენტარისგან
თავს იკავებენ და 21 დეკემბრისთვის და-
გეგმილ პრესკონფერენციას ელიან. „მა-
ნამდე ეს მხოლოდ ჭორებია — განაცხა-
და „რიბოკის" წარმომადგენელმა დენიზ
კეიგლერმა ოთხშაბათს — ჩვენ ჯერ კი-
დევ არ მიგვიღწევია საბოლოო შეთა-
ნხმებისთვის, მაგრამ დიდი იმედი გვაქვს,
რომ ეს იმ კვირაში მოხდება".

უფროსმა უილიამსმა, რომელიც „რი-
ბოკთან" 1995-დან თანამშრომლობს, ორ-
შაბათს კიდევ ერთი სარფიანი ხელშე-
კრულება გააფორმა ფირმა „უილსონზ
ლეზართან", თუმცა ზუსტი თანხა არა-
ვისთვის გაუმხელია. საერთოდ, ვინუ-
სი და მისი უმცროსი და სერენა, რო-
მელიც „პუმას" უწევს რეკლამას, აშშ-
სა და მთელს მსოფლიოში საშინლად
პოპულარულები არიან. ამერიკაში მათ
საპატივცემულოდ სპეციალური თოჯი-
ნებიც გამოუშვეს, სიდნეის ოლიმპია-
დაზე კი სხვა სპორტსმენებისთვის ავ-
ტოგრაფების რიგებისა და სურათების
ერთად გადაღებისგან ისე დაიღალნენ,
ოლიმპიურ სოფელში ცხოვრებაზე უა-
რის თქმა მოუხდათ.

20 წლის ვინუსისთვის ეს სეზონი ყო-
ველმხრივ ბარაქიანი გამოდგა: მილიონე-
ბის გარდა მან უიმბლდონისა და აშშ-ის
ღია პირველობის ტიტულები, ორი ოლი-
მპიური ოქრო და სულ ახლახან ჟუ-
რნალ „სპორტს ილუსტრეიტედის" მიერ
წლის საუკეთესო სპორტსმენი ქალისთვის
დაწესებული ჯილდო მოიპოვა.

„ვინუსი იშვიათი სპორტსმენი და
ექსტრაორდინალური პიროვნებაა ცხო-
ვრების მრავალგანზომილებიანი სტი-
ლით — ამბობს იგივე კეიგლერი —
ჩვენ გვწამს, რომ ის მიმზიდველია ნე-
ბისმიერი ასაკის, სქესისა და ერის ადა-
მიანებისთვის, ქალებისთვის კი ნამდ-
ვილი კერპია".

ჯერჯერობით დუმან დები უილიამ-
სების საერთო აგენტი ლელანდ ჰა-
რდი და მამა, რიჩარდ უილიამსი. სავ-
სებით შესაძლებელია, რომ მოლაპა-
რაკებები სწორედ ამ უკანასკნელის გა-
ზრდილი მადის გამო გაჭიანურდა.

თუმცა რამდენიც არ უნდა ივაჭროს
უილიამსთა ოჯახმა, ტაიგერ ვუდსის
შემოსავალს ნამდვილად ვერ გაუტო-
ლდება. ფერადკანიანმა მეგოლფე ფე-
ნომენმა ახლახან ხუთწლიან, 100 მი-
ლიონდოლარიან კონტრაქტს მოაწერა
ხელი „ნაიკთან", ამის გარდა, გაისად
12 სხვადასხვა ფირმისგან 54 მილიონ
მწვანეს მიიღებს.

# ინდური სატყუარა

**ბანგალორი. ინდოეთი. ATP ტურის მსოფლიოს ჩემპიონატი წყვილებში. საპრიზო 750 ათასი $**

**იმ** დროს, როდესაც ყველა ასე თუ
ისე ხეირიანი მოთამაშე ზამთრის არ-
დადეგებს ირგებს, ჩოგბურთის სამყა-
როს ყველაზე უსახელო და ნაკლებად
ცნობილი წარმომადგენლები ინდურ
ბანგალორში შეკრებილან წყვილებში
ATP ტურის მსოფლიოს ჩემპიონატზე
სათამაშოდ. საპრიზო ფონდს კიდევ არა
უშავს — სამი მეოთხედი მილიონი
დოლარი ნებისმიერი მაჩვენებლით სო-
ლიდური თანხაა, აი, მონაწილეთა ვი-
ნაობაზე კი რა მოგახსენოთ: აქ თავ-
მოყრილ ჩოგბურთელთა უმეტესობას,
როგორიც ვთქვათ, არგენტინელი და-
ნიელ ორსანიჩია, ერთეულებში კარიე-
რაში ღირებული არაფერი გაუკეთე-
ბია.

ლეგენდარული „ვუდების" დუეტის
დაშლის შემდეგ კაცთა წყვილებს უკა-
ნასკნელი ნამდვილი ვარსკვლავიც გა-
მოაკლდათ. მსოფლიოს ნებისმიერ სხვა
ქვეყანაში სანთლით თუ იპოვიდით ტუ-
რნირის ბილეთებში ფულის გადახდის
მსურველებს, თუმცა ორგანიზატორე-
ბმა ჭკუა იხმარეს და მაყურებელთა
დასატყუებლად ინდოეთში მეტად პო-
პულარულ მაჰეშ ბჰუპატისა და ლეა-
ნდერ პაესის დუეტს უხმეს.

ბჰუპატი და პაესი შარშან წყვილე-
ბში ოთხივე დიდი სლემის ტურნირის
ფინალში გავიდნენ, თუმცა ერთმანე-
თთან უსიამოვნების გამო სეზონის და-
საწყისში დაშორდნენ და მხოლოდ
ოლიმპიადისთვის შერიგდნენ. შედეგად
ამჟამისთვის ინდოელები კლასიფიკაციით
მხოლოდ 55-ენი არიან და ბანგალო-
რში მოსახვედრად „უაილდ ქარდები"
დასჭირდათ.

თუმცა ჯერჯერობით თანამემამუ-
ლეთა თვალწინ ისინი თავს არ ირც-
ხვენენ და ჯგუფური ეტაპიდან ნახე-
ვარფინალში გასვლაც თითქმის სა-
ბოლოოდ გაინაღდეს. მეორე მატჩში
მათ ამერიკელ დონ ჯონსონსა და სა-
მხრეთაფრიკელ პიტ ნორვალს აჯო-
ბეს — 6:4, 6:4.

**მეორე ტური: პოლ ჰაარჰიუსი (ჰოლანდია) და სენდონ სტოლი (ავსტრალია) (2) — ალექს ობრაიენი და ჯარედ პალმერი (3, აშშ) 5:7, 6:2, 6:4; ჟაიმე ონსინსი (ბრაზილია) და დანიელ ორსანიჩი (არგენტინა) — ელის ფერერა (სამხრეთ აფრიკა) და რიკ ლიჩი (აშშ) (1) 1:6, 7:5, 7:5; იოჰან ლანდსბერგი და საიმონ ასპელინი (7, შვედეთი) — ჯოშ იგლი და ენდრიუ ფლორენტი (4, ავსტრალია) 7:5, 7:6 (7:4).**

**ავთანდილ სვანიძე**



უსახელო დანიელ ორსანიჩი





სიდნეის ოლიმპიადაზე მაიკლ ბენეტის (მარცხნივ) ფელიქს სავონისგან მაგრად მოხვდა

# ხუთი ბიჭის გაპროფება

**მაიკლ ბენეტისთვის** პროფესიული კრივი ცხოვ-
რების მეორე ეტაპია და მეტი არაფერი, ხოლო კლარენს
ვინსონისთვის ეს დიდი მიზნის მიღწევაა. ერთი სიტყვით,
ბენეტი, ვინსონი და კიდევ სამი ამერიკელი ოლიმპიელი 27
იანვარს ლუ დიბელასთან კონტრაქტს გააფორმებს. იმ სამის
გვარ-სახელია: რიკარდო უილიამსი, ჯერმენ ტეილორი და
ხოსე ნავარო.

— მე არც მათი მენეჯერი ვარ და არც პრომოუტერი.
უბრალოდ, შევეცდები ბრძოლები დაუნიშნონ და ტელეეკ-
რანებზე მოხვდნენ. პრომოუტერებს კი ყოველი მორიგი
ბრძოლისთვის ხელახლა დავუქირავებ — განმარტა დიბე-
ლამ, რომელიც თავის დროზე ტელეკომპანია HBO-ში ვი-
ცე-პრეზიდენტად მუშაობდა. სხვათაშორის, დიბელას უკვე
გაუჩარხავს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საქმე: ზემოთ
ჩამოთვლილი ოლიმპიელების პირველ პროფესიულ ბრძო-
ლებს „მედისონ სკვერ გარდენი" უმასპინძლებს და ამ მო-
ვლენას ტელემაყურებელი იხილავს.

— ეს ხუთი ბიჭი HBO-სა და „მედისონ სკვერ გარდენთან"
უკვე დავაკავშირე. „მედისონ სკვერმა" ფულიც გაიღო. ერთი
სიტყვით, ისინი ორ ან სამ ბრძოლას სწორედ ამ ცნობილ
სარბიელზე გამართავენ და თუ იყოჩაღეს, შესაძლოა, მართლა
დიდი ბრძოლაც დაუნიშნონ — განავრცო დიბელამ.

მაგრამ 29 წლის ჩიკაგოელი ბენეტისთვის ყოველივე ეს
ბევრს არაფერს ნიშნავს: — ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ
აღფრთოვანებული ვარ. ჩემს ცხოვრებაში ჩვეულებრივი
ახალი ეტაპი იწყება — განუცხადა მან ჟურნალისტებს.

სიდნეიში მაიკლ ბენეტი (91 კილოგრამი) მეოთხედფინალამდე
მივიდა, სადაც დიდმა კუბელმა, ფელიქს სავონმა დაამარცხა.

— ცხადია, უკეთ მინდოდა გამოსვლა, მაგრამ კაცმა რომ
თქვას, სავონთან მსაჯებმაც ვერ დაითვალეს ზუსტად. ცო-
ტათი კუბელის სასარგებლოდ გადახარეს სასწორი — და-
სძინა მაიკლმა.

ცნობისთვის: სავონისა და ბენეტის სიდნეური ბრძოლა
23:8 დამთავრდა.

— მე კი აღტაცებული ვარ — გაიხარა ვაშინგტონელმა
ვინსონმა, რომლის ოლიმპიური შედეგი 54 კილოგრამ წო-
ნით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი გახლდათ — კრივში
ვარჯიში მხოლოდ იმიტომ დავიწყე, რომ პროფესიონალი
გავმხდარიყავი, მიზნად კი ჩემპიონობა მაქვს. გულწრფელად
რომ გითხრათ, ოლიმპიური კრივის შესახებ 1996 წლამდე
გაგონილიც არ მქონდა. მეგონა, იქ ხალხი მხოლოდ ცურა-
ვდა და რაღაც ასეთებს აკეთებდა.

ცინცინატელი უილიამსი კი სიდნეიში 63,5 კილოგრამი-
ანთა შორის ვერცხლისმედალოსანი გახდა, ლიტლროკელი
ტეილორი არკანზასის შტატიდან 71 კილოგრამიანთა შო-
რის ბრინჯაოსმედალოსანი, ხოლო ნავარო მედლის გარეშე
დაბრუნდა სამშობლოში.

# ტონიმ ტონი იცვალა

## ქალებს კი ძველებურად სექსუალურად ანოკაუტებს

**ტონი აიალა უმცროსი** ის
კაცია, რომლის ოდესღაც იმედისმომ-
ცემი საკრივო კარიერა ამ სამშაბათს
გაუპატიურების მცდელობამ ისევ შე-
არყია, ყველაფერი კი იმით დამთავრდა,
რომ სახლში შეჭრილს ტყვია ესრო-
ლეს. და არ იკითხავთ, ვისი გაუპატი-
ურება მოიწადინა აიალამ? 18 წლის
ნენსი გომესის — დარბაზში მასთან
ერთად მოვარჯიშესი, რომელსაც ში-
გადაშიგ სადილად პატიჟებდა. გომე-
სმა სააგენტო AP-ს მოუთხრო, რომ
შუადღის ოთხი საათისთვის მისი მე-
გობრის სახლში (სადაც თავადაც ცხო-
ვრობს) შევარდნილ 37 წლის მოკრი-
ვეს ესროლა.

აიალას ტყვია მარცხენა მხარში მო-
ხვდა, თუმცა საავადმყოფოდან მალევე
გაუშვეს, და „ბიქსარ ქაუნთის" საპა-
ტიმროში გადაიყვანეს, სადაც ბრალ-
დება წაუყენეს. მაგრამ საღამოს აია-
ლამ 100 ათასი დოლარი გადაიხადა
და სუფთა ჰაერზე გავიდა.

საერთოდ, ტონი აიალა აღიარებუ-
ლი სექს-თავდამსხმელია. ეს ხელისუ-
ფლებამაც კარგად იცის და თუ გაუპა-
ტიურების მცდელობას დაუმტკიცებენ,
შესაძლოა 99 წლით აღუკვეთოს თა-
ვისუფლება.

უფრო დაწვრილებით კი ეს ამბავი
ასე ყოფილა: გომესი, მისი მეგობარი და
მეგობრის ორი შვილი შინ ყოფილან,
როდესაც აიალამ ჩაუკეტავი უკანა კა-
რიდან სახლში შეაღწია. გომესმა იარა-
ღი მოიმარჯვა და პოლიცია გამოიძახა,
მაგრამ მოკრივემ იარაღის წართმევა სცა-
და და გასროლამაც არ დაიგვიანა.

გომესს, ალბათ, არ გაასამართლე-
ბენ.

წარმოშობით სან ანტონიოელი აიალა
19 წლისა ქვემსუბუქ წონაში უკვე ტი-
ტულის პრეტენდენტი იყო, თანაქალაქელ
ფანებს კი სიყვარულით „ელ ტორიტო"
ანუ პატარა ხარი შეერქმიათ. ერთი ხნის
შემდეგ ფრიად შთამბეჭდავი მონაგარით
(22 მოგება ფრის და წაგების გარეშე;
აქედან 19 ნოკაუტით), აიალას შუგარ რეი
ლეონარდისა და სხვა „დიდთა" გვერდით
იხსენიებდნენ, მაგრამ 1983 წლის 1 ია-
ნვარს სასმელით და ნარკოტიკით გამო-
შტერებულმა მეზობლის ქალი გათოკა
და გააუპატიურა.

ციხიდან ტონი აიალა 1999 წელს
გამოუშვეს — წესით 35 წელიწადი
უნდა მჯდარიყო. მოკრივე რინგს დაუ-
ბრუნდა, ჯერ ხუთი იოლი ბრძოლა
გამართა, მაგრამ შემდეგ იორი ბოი კა-
მპასთან დამარცხდა და კარიერაში პი-
რველი წაგებაც ჩაეწერა, თუმცა მეო-
რე რაუნდში ხელი მოუტეხავს. მაშინ
აიალამ კინაღამ იტირა:

— დამაცადეთ, მე დავბრუნდები. ნო-
ემბერში ვინმე სერიოზულს გავლახავ.

ერთი ხნის შემდეგ კი ტონი შეცვა-
ლა:

— დიდი გეგმები მქონდა, მაგრამ
16 წელი ციხეში ჯდომამ ეტყობა და-
ლი დამასვა.

**ტუტა სიხარულიძე**



# ფრანგი ქალები ამერიკელ კაცებთან გარბიან

მსოფლიოს ჩემპიონმა ფრანგმა შვიდჭიდელმა ენის ბარბე-
რმა სავარჯიშოდ ამერიკას მიაშურა. პარიზის ერთ-ერთ კაფეში
მოწყობილ პრესკონფერენციაზე ბარბერმა ჟურნალისტებს
გაანდო, ამიერიდან ფლორიდის ქალაქ ორლიანში ბობ კერსი
გამწვრთნისო. კერსი კი შვიდჭიდში მსოფლიოს რეკორდის
მფლობელის, ამერიკელი ჯეკი ჯოინერ-ჯერსის ქმარი და დამ-
რიგებელიცაა.

26 წლის მძლეოსანი თავის ადრინდელ მწვრთნელ ფრანგ
ფრანსუა პეპენს სიდნეის ოლიმპიური თამაშების დაწყება-
მდე რამდენიმე დღით ადრე დაშორდა. მის ამ გადაწყვე-
ტილებას პეპენმა „ვარსკვლავის ჭირვეულობა" უწოდა.

მაშინ, ოლიმპიადაზე, ბარბერმა დახმარება კლოდ მონოს
სთხოვა, რომელიც მისთვის უცხო ნამდვილად არ ყოფილა,
მისი ხელმძღვანელობით რეჟიმში ემზადებოდა. თუმცა ავსტრა-
ლიაში სპორტსმენმა, ვისაც წლევანდელი სეზონის საუკეთესო
შედეგი ეკუთვნის, ტურნირი მეორე დისციპლინისას მიატოვა
— სიგრძეზე ხტომისას ბარბერს ბარძაყი წამოსტკივდა.

სანამ ენის ბარბერი საფრანგეთის მოქალაქეობას მიიღე-
ბდა, თავის სამშობლოს, სიერა ლეონეს ღირსებას იცავდა.
1999 წლის თებერვლიდან კი ფრანგული პასპორტი აქვს და
მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამაც მაშინვე დრა-
თო ახალი ქვეყნის სახელით გამოსვლის უფლება. ბარბე-
რმაც თავი არ შეირცხვინა და შარშან აგვისტოში ესპანურ
სევილიაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

აღსანიშნავია, რომ ამ კვირაში ბარბერი უკვე მეორე
ფრანგი მძლეოსანი ქალია, სავარჯიშოდ ოკეანის გაღმა
რომ გასწია. მასზე ორიოდე დღით ადრე სპრინტში ევრო-
პის ჩემპიონმა კრისტინ არონმა გადაწყვიტა ამერიკაში
წასვლა. მან მწვრთნელად მორის გრინის დამრიგებელი,
კალიფორნიელი ჯონ სმიტი ირჩია.

**ბაბი ბურული**



ენის ბარბერი

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 20 დეკემბერი 2000 №245 (1267) | ფასი 50 თეთრი


1990 28 დეკემბერი

სარბიელის 10 წელი

2000 28 დეკემბერი

## რკინიგზა ლატვიაში გაჰყავთ

ონჩაროვს,
არამონოვს და აბრამიძეს
ევაზ ძოძუაშვილი
ალატვიოდ ამზადებს

## კეთილშობილება ყომარბაზობის წინააღმდეგ




ი კანიო ისევ თითით
აჩვენებელია

## ახალი დრო და ახალი ზნე



ანა ალექსანდრიამ
ლთა ჭადრაკის
ორმატი შეცვალა

# ლოგიკა აბსურდისა

## ნუ იქნებით რომის პაპზე კათოლიკენი!

### ლოკომოტივი — ხიზანიშვილი — ვესტ ჰემი

**ზურაბ ხიზანიშვილის** ინგლისური დებიუტი ისევ არ შედგა. „ვესტ ჰემისა“ და „არსენალის“ სარეზერვო გუნდების გუშინდელი მატჩი საქართველოს ნაკრების 19 წლის მცველს „აპტონ პარკის“ ტრიბუნიდანაც არ უნახავს:

— როგორც აღმოჩნდა, გუშინდელ მატჩში რომ მეთამაშა, მხოლოდ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წერილობითი ნებართვა არ კმაროდა. საჭირო იყო თბილისიდანვე დროებითი სერტიფიკატის გამოგზავნა, მაგრამ რაკი ეს საამმატჩოდ აღარ ესწრებოდა, დამამშვიდეს, ხვალ ძირითადი და სარეზერვო გუნდების საწვრთნელი შეხვედრა გვექნება და იქ გამოგცდითო — გვიპასუხა გუშინ ლონდონში მყოფმა ზურაბ ხიზანიშვილმა, რომელსაც წუხელ ტელეფონით დავუკავშირდით და უთამაშებლობის მიზეზი ვკითხეთ.

გუშინვე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიასთან საუბრისას ხიზანიშვილის საქმის ზოგიერთი დეტალის დაზუსტების შემდეგ ფეხბურთელის ასეთი პასუხი მოულოდნელი აღარ ყოფილა.

— ჩვენ ინგლისის ფეხბურთის ფედერაციისგან ველოდებით მოთხოვნას და სერტიფიკატს ამის შემდეგ გავაგზავნით. მოვლენებს რომ დავასწროთ, მერე იქნებ ამაშიც დაგვადანაშაულონ, დაინტერესებულნი თუ არ იყავით, სერტიფიკატი ოფიციალური მოთხოვნის გარეშე რატომ გააგზავნეთო — გვითხრა გუშინ ნაშუადღევს ჩოლარიამ.

გენმდივნის ნათქვამიდანვე გაირკვა, რომ გუშინ, 15 საათზე, ფედერაციის პრეზიდენტთან ხიზანიშვილის საქმის განხილვა დაიწყო, შეხვედრას „ლოკომოტივის“ მხრიდან ბადრი მჟავანაძე დაესწრო, ფეხბურთელის მხარეს კი ზურას მამა, ნოდარ ხიზანიშვილი წარმოადგენდა.

საქმეში ფედერაციის და თვით პრეზიდენტის ჩარევა „ლოკომოტივის“ წერილობით პრეტენზიას გამოუწვევია. რკინიგზელები ჩივიან, ჩვენმა ფეხბურთელმა „ვესტ ჰემში“ „ლოკომოტივის“ უნებართვოდ ამოჰყო თავი და, აბა, ეს როგორ იქნება, თანაც ყურადღება მიაქციეთ, „ტორპედოსთან“ ქათაისურ მატჩში მიღებული ტრავმა არ გაიმიზეზოსო.

ლოკომოტიველთა ამგვარი მზრუნველობა (და არა კონტრაქტებისადმი მათეული მიდგომა) ნამდვილად სანიმუშო იქნებოდა, გასაკვირი რომ არ იყოს. თავად ფეხბურთელისვე თქმით, მკურნალობის პერიოდში „ლოკომოტივიდან“ არავინ დაინტერესებულა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით, ახლა კი კითხულობენ, ზურამ რომ ფეხი იტკინოს, ნეტავ, ვის დაბრალდებაო.

აბა, ის რა გასაკვირია, ერთმა ქართულმა კლუბმა ერთ ქართველ დაშავებულ ფეხბურთელს არათუ მატერიალურად, მორალურადაც არ დაუჭირა მხარი.

გასაკვირი ისაა, რომ ეს ფეხბურთელი ზურაბ ხიზანიშვილია. ხიზანიშვილით კი დასავლეთევროპული, მეტადრე ინგლისური კლუბები არიან დაინტერესებულნი.

უყურადღებო კლუბი კი თბილისის „ლოკომოტივია“, რომელიც ხიზანიშვილზე და მილიონებზე პრეტენზიას არაკანონიერი კონტრაქტის და 4 თუ 5 თვის სასაცილო გასამრჯელოს ხარჯზე აცხადებს.

მართლაც ძნელი დასაჯერებელია, რომ კლუბს, რომელსაც არ აინტერესებს ფეხბურთელთან დადებული ხელშეკრულების ხანგრძლივობა, მოთამაშის მშობელზე მეტად აღელვებს მისი ტრავმა. ასეთ დროს იტყვიან, ნუ იქნებით რომის პაპზე უფრო კათოლიკენიო. ან ეს ტრავმა ასეთი რა თითზე დასახვევი გახდა. მოდით, ამ საქმეში უფრო კომპეტენტურ პირს დავეკითხოთ:

იხილეთ მეორე გვერდი

# ნეთსმა სტეფანიას დროზე მიუსწრო

## ქართველი ცენტრის მწვრთნელი ოთხი წლის წინ მისი მეტოქე იყო

NBA

- *„ნეთსმა“ მაშინვე დაინახა ის, რისი ხილვაც გაუხარდებოდა.*
- *„რიგიანი სროლა აქვს, მოქნილია და თამაშს კარგად გრძნობს. მას რომ ვუყურებ, ვლადე დივაცის ახალგაზრდობა მაგონდება“ — ბაირონ სკოტი, „ნიუ ჯერსი ნეთსის“ მწვრთნელი.*
- *ოთხი წლის წინ, ევროლიგაში, იგი და სკოტი ერთმანეთის წინააღმდეგ თამაშობდნენ.*
- *„მოძრავი ბიჭია, შეუძლია მოედანზე სწრაფად გადაადგილება და შორიდან სროლა“ — სტივენ მარბერი, „ნიუ ჯერსი ნეთსის“ გამთამაშებელი.*
- *თუ იგი კარგად ათამაშდება, ჯიმ მაკილვეინს ახალი გუნდის მოძებნა მოუწევს.*
- *„ვფიქრობ, გუნდს სარგებელს მოვუტან. მთავარია, როგორ გამომიყენებს მწვრთნელი“.*




**რას წერენ ნიუიორკელი ჟურნალისტები ვლადიმერ სტეფანიაზე?**

იხილეთ მეათე გვერდი

# ნიუ იორკის პრესა სტეფანიას შესახებ

NEW YORK POST

## გიგანტი სტეპი: ნიუ ჯერსის ახალი ნაბიჯი

**ფრედ კერბერი**
**„ნიუ იორკ პოსტი“**

ვლადიმერ სტეფანიამ „ნიუ ჯერსი ნეთსთან“ პირველად ატლანტაში ივარჯიშა. „ნეთსმა“ მაშინვე დაინახა ის, რისი ხილვაც გაუხარდებოდა.

„სტეფანიამ პირველივე ნასროლი ჩააგდო“ — აღნიშნა „ნეთსის“ ახალბედა კენიონ მარტინმა.

სტეფანია 213-სანტიმეტრიანი ცენტრია. პატრიკ იუინგის გაცვლის შემდეგ იგი „სიეტლიდან“ „ნიუ იორკ ნიქსში“ გადავიდა, მაგრამ მალე დაითხოვეს. ვერც „ტორონტო რეპტორზში“ გაჩერდა დიდხანს. სტეფანიამ „ნიუ ჯერსისთან“ სეზონის ბოლომდე დადო კონტრაქტი. ამ ხანში მას მინიმალური გასამრჯელო, 320 ათასი დოლარი ერგება. სტეფანიასთვის ადგილის გასათავისუფლებლად „ნეთსმა“ უკანახაზელი კევინ ოლი დაითხოვა.

„ჩვენ დავაკვირდებით სტეფანიას და ვნახავთ, რა შეუძლია. პირველი ვარჯიშის შემდეგ კი ვიტყვი, რომ მას რიგიანი სროლა აქვს, მოქნილია და თამაშს კარგად გრძნობს“ — თქვა „ნეთსის“ მწვრთნელმა ბაირონ სკოტმა. საინტერესოა, რომ სკოტს ოთხი წლის წინ, ევროპაში, სტეფანიას წინააღმდეგ უთამაშია.

სტეფანია 1998 წლის დრაფტის პირველ წრეში აირჩია „სიეტლ სუპერსონიქსმა“. მისი მისვლით „ნეთსში“ ოთხი ცენტრი მოგროვდა (ევან ეშმეიერი, სუმაილა სამაკე, ჯიმ მაკილვეინი, ვლადიმერ სტეფანია). საქართველოში დაბადებულ-გაზრდილმა ცენტრმა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 53 მატჩი ითამაშა, ყველა „სიეტლში“. ევროპაში იგი კარგად ესროდა სამქულიანებს, მაგრამ ნბა-ში შორი მანძილიდან ჯერ არ ჩაუგდია.

„გახარებული ვარ აქ მოსვლით და ვფიქრობ, დავეხმარები გუნდს გამარჯვებების მოპოვებაში. დარწმუნებული ვარ, „ნეთსს“ სჭირდება სისწრაფე და ისეთი მაღალი მოთამაშეც უნდა, რომელიც ესვრის. მე ეს შემიძლია. დაფარებაც მეხერხება. ვფიქრობ, გუნდს სარგებელს მოვუტან. მთავარი კი ის არის, მწვრთნელი როგორ გამომიყენებს“ — თქვა სტეფანიამ, რომელიც „ნიუ ჯერსიში“ მოსვლამდე ამერიკის საკალათბურთო ასოციაციის გუნდ „კანზას სიტისთან“ აწარმოებდა მოლაპარაკებას.

„ნიუ ჯერსის“ გამთამაშებელი სტივენ მარბერი კმაყოფილი დარჩა სტეფანიას პირველი ვარჯიშით, მაგრამ მაინც ფრთხილობს: „თუკი ვინმე ფიქრობს, რომ სტეფანია ძალისმიერ თამაშში გამოგვადგება, ცდება. არა მგონია, იგი ამისთვის აგვეყვანა. მოძრავი ბიჭია, შეუძლია მოედანზე სწრაფად გადაადგილება და შორიდან სროლა. ბევრი უნდა ივარჯიშოს და თამაშისას ბოლომდე დაიხარჯოს. თუ ეს არ გააკეთა, მის მიმართ კეთილგანწყობა მალე გაქრება“.

სტეფანიას მოსვლამ გააძლიერა ხმები, რომ „ნეთსი“ გარიგებას ჩარხავს. მას სურს, რომელიმე ცენტრი გაცვალოს ძლიერ მსროლელში. „ნიუ ჯერსი“ დაინტერესებულია „დენვერ ნაგითსის“ ტრეისი მიურეითი და მის სანაცვლოდ ჯიმ მაკილვეინის დათმობაზეც თანახმაა.




DAILY NEWS

## ნეთსი იმედოვნებს, რომ ახალწვეული გაუმართლებს

**მაიკლ ჯეიმსი**
**„დეილი ნიუსი“**

„ნიუ ჯერსი ნეთსმა“ დაითხოვა უკანახაზელი კევინ ოლი და მის სანაცვლოდ 213-სანტიმეტრიანი ცენტრი ვლადიმერ სტეფანია აიყვანა. ამით გამთამაშებელი შერმან დუგლასი უეჭველად გახდა სტივენ მარბერის შემცვლელი.

სტეფანიას „სიეტლის“ რიგებში 53 მატჩი უთამაშია. პატრიკ იუინგთან დაკავშირებული თორმეტკაციანი გაცვლის შემდეგ იგი „ნიუ იორკ ნიქსში“ გადავიდა. სეზონისწინა პერიოდში „ნიქსი“ სტეფანიას არ ათამაშებდა, რის შემდეგ მან გათავისუფლება მოითხოვა. მისი მომდევნო გუნდი „ტორონტო რეპტორზი“ იყო, რომელმაც 30 ოქტომბერს დაითხოვა.

ამის შემდეგ საქართველოში დაბადებული სტეფანია გუნდს ეძებდა. მას ამერიკის საკალათბურთო ასოციაციის „კანზას სიტიც“ ეპატიჟებოდა. სწორედ ამ დროს „ნიუ ჯერსი ნეთსმა“ აიყვანა.

ახლა „ნეთსს“ ოთხი ცენტრი ჰყავს — ჯიმ მაკილვეინი, სუმაილა სამაკე, ევან ეშმეიერი და სტეფანია. „ნეთსს“ შეუძლია, რამე გაცვლა მოახდინოს. მწვრთნელმა ბაირონ სკოტმა თქვა, რომ თუ სტეფანია თავს კარგად გამოავლენს, იგი სასტარტო ხუთეულში მიიღებს ადგილს.

„ვფიქრობ, ეს ზუსტად ის არის, რაც გვსურდა. შეცდომა არ დაგვიშვია. გვჭირდებოდა მაღალი მოთამაშე, რომელიც გუნდს კიდევ უფრო სწრაფად აათამაშებს“ — თქვა სკოტმა.

ამბობენ, „ნეთსს“ მაკილვეინის „დენვერ ნაგითსში“ გაგზავნა და მის სანაცვლოდ ტრეისი მიურეის და მარკ სტრიკლენდის აყვანა სურსო. სკოტის სიტყვებით, სტეფანიას მოყვანა პირდაპირ არ ნიშნავს ამ გაცვლის განხორციელებას.

სკოტმა აღნიშნა, რომ სტეფანიას მაკილვეინზე და ეშმეიერზე უკეთესი ფიზიკური მონაცემები აქვს. სხვათა შორის, სკოტს და სტეფანიას ევროპაში ერთმანეთის წინააღმდეგ უთამაშიათ.

სტეფანიას „ნიუ იორკში“ თამაშის შანსი ჰქონდა. ახლა იგი ამ ქალაქის გარეუბანში იცხოვრებს. მას მოსწონს ეს, რადგან ამ რეგიონში ბევრი მეგობარი ჰყავს. კითხვაზე, რატომ წამოვიდა „ნიქსიდან“, მან უპასუხა: „ბოლომდე ვერ გავრკვეულვარ, რა მოხდა. „ნიქსს“ თვრამეტი მოთამაშე ჰყავდა და სხვები მაინც დაგვიმატა. საწვრთნელ ბანაკში თავს კარგად არ ვგრძნობდი, რადგან ჩემი შესაძლებლობების გამოვლენის შანსი არ მომეცა. გული დამწყდა, „ნიუ იორკი“ რომ დავტოვე. მას დიდი მწვრთნელი და დიდი მოთამაშეები ჰყავს“.

ASBURY PARK PRESS IN JERSEY

## ბევრ ცენტრს სტეფანია დაემატა

**ბოზ კონსაიდინი „ესბერი პარკ პრესი“**

„ნიუ ჯერსი ნეთსში“ ახალი მაღალი მოთამაშეა. 24 წლის ქართველი ვლადიმერ სტეფანია გუნდის წინა ხაზს შეუერთდა. თუ იგი კარგად ათამაშდება, ჯიმ მაკილვეინს ახალი გუნდის მოძებნა მოუწევს. ჯერჯერობით კი „ნეთსს“ იმედი აქვს, რომ სტეფანია თავის რეპუტაციას დაამტკიცებს.

„ჩვენ სტეფანიას ცოტა დროს მივცემთ. მას აკლიმატიზაცია სჭირდება. მალე გამოჩნდება, რა შეუძლია“ — ამბობს „ნეთსის“ მწვრთნელი ბაირონ სკოტი. ბედის ირონიაა, ევროლიგის 1996-97 წლების გათამაშებაში სტეფანია და სკოტი მეტოქეები იყვნენ. მწვრთნელი კარიერას საბერძნეთში ამთავრებდა, ხოლო კალათბურთელი სლოვენიურ კლუბში თამაშობდა.

„სტეფანიას რომ ვუყურებ, ვლადე დივაცის ახალგაზრდობა მაგონდება. ამ ბიჭს კარგი სროლა აქვს, სწრაფია და ბურთსაც რიგიანად ფლობს“ — დასძინა სკოტმა.

## სლოვენია

XII ტური

ზაგორიე — როგლა 90:118, სავინსკი — ლოკა კავა 113:98, ტრიგლავი — პივოვარნა 84:101, ჰელიოსი — ოლიმპია 67:90, კემოპლასტი — კრაშკი ზიდარი 87:57

**სლოვანი 71:72 კრკა**

სლოვანი: ნოვაკი (12), ლაკოვიჩი (13), გ... კელი (3), გრბეშიჩი, უგრეხელიძე (10), ჯურკოვიჩი (8), კოვაჩი, პავიჩი (12), მ... რავიჩი (7), კოკალი (2), ცქიტიშვილი (4)

კრკა: გრუმი (19), დევისონი (18), დონჩი... (11), ანზულოვიჩი (10), დრობნიაკი (6), არაპოვიჩი (4), შჩეკიჩი (4), იევტოვიჩი...

ერთი ზუსტი სროლაც და ლიუბ... ლიანის „სლოვანი“ ნოვო მესტო... „კრკას“ სეზონში პირველ მარცხს აგ... მებდა. სლოვანელთა ბოლო სროლა ... ზანს აცდა, ამიტომ „კრკა“ კვლავ ... უმარცხებლად ლიდერობს სლოვენი... ჩემპიონატს, ხოლო ლიუბლიანელ... ლაშკოს „პივოვარნა“ წამოეწია და ... სამე ადგილში ჩაეზიარა.

„კრკას“ არ ჰყავდა საუკეთესო ბ... ბარდირი სიმონ პეტროვი, ხოლო „სლ... ვანს“ დაცვის საუკეთესო მოთამაშ... ქართველი ფორვარდი ვლადიმერ ბ... სა. გაილაღა ნოვომესტოელმა სა... გრუმმა, რომელმაც ხუთი სამქული... ჩააგდო. ამერიკელმა ბენეტ დევისონ... კი ფარქვეშ ინავარდა და ლიუბლია... ლებს მოსვენება დაუკარგა.

შეხვედრა დაძაბული გამოდგა. ... ვიდან „კრკა“ დაწინაურდა, ოღონდ მ... რედით. 26-ე წუთზე „სლოვანმა“ ან... რიში გაათანაბრა (53:53) და ამის მ... თამაში ქულა-ქულაზე გაგრძელდა. ... მარჯვებულის ვინაობაც ბოლო წა... ბზე გაირკვა.

დავით უგრეხელიძემ 23 წუთში ხ... თივე ნასროლი ჩააგდო და ორი ... ხსნა გააკეთა. ნიკა ცქიტიშვილმა 2... წუთი ითამაშა, ხუთჯერ ესროლა ... ორჯერ ჩააგდო, ამასთან, ხუთი ... ხსნა და ერთი ჩაჭრაც მიითვალა.

მომდევნო მატჩს „სლოვანი“ 27 ... კემბერს გამართავს — „ლოკა კავ... ესტუმრება.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კრკა | 12 | 12 | 0 | 1043:870 |
| ოლიმპია | 12 | 11 | 1 | 1106:782 |
| პივოვარნა | 12 | 8 | 4 | 1069:957 |
| სლოვანი | 12 | 8 | 4 | 968:905 |
| კრაშკი ზიდარი | 12 | 7 | 5 | 927:980 |
| როგლა | 12 | 5 | 7 | 983:1021 |
| სავინსკი | 12 | 5 | 7 | 983:1067 |
| ტრიგლავი | 12 | 4 | 8 | 898:974 |
| კემოპლასტი | 12 | 3 | 9 | 1034:1063 |
| ჰელიოსი | 12 | 3 | 9 | 939:1026 |
| ლოკა კავა | 12 | 3 | 9 | 915:1067 |
| ზაგორიე | 12 | 3 | 9 | 915:1068 |

## საბერძნეთი

VIII ტური

ირაკლისი — არისი 84:70, ნიარ ის... — პანათინაიკოსი 67:82, მაკედონიკ... სი — პაოკ 71:92, მარუსი — დაფ... 79:73, აეკ — ირაკლიონი 92:79, მილ... ნი — პერისტერი 64:79, ოლიმპიაკ... — პანიონიოსი 79:72

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 8 | 7 | 1 | 680:584 |
| ოლიმპიაკოსი | 7 | 7 | 0 | 613:520 |
| პერისტერი | 7 | 7 | 0 | 547:497 |
| აეკ | 8 | 6 | 2 | 660:590 |
| პანიონიოსი | 8 | 5 | 3 | 688:643 |
| პაოკ | 8 | 5 | 3 | 593:583 |
| ირაკლისი | 7 | 4 | 3 | 613:569 |
| ნიარ ისტი | 8 | 2 | 6 | 624:655 |
| მილონი | 8 | 2 | 6 | 667:759 |
| არისი | 7 | 3 | 4 | 566:608 |
| მარუსი | 7 | 2 | 5 | 583:607 |
| ირაკლიონი | 7 | 2 | 5 | 594:634 |
| დაფნი | 7 | 0 | 7 | 528:594 |
| მაკედონიკოსი | 7 | 0 | 7 | 551:664 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08
Fax: 94 33 80

## საფრანგეთი

# აი, დაცვა! 3 ქულა 10 წუთში!



ლე მანი — შოლე. უტევს ლემანელი ივან გრგატი

X ტური

**ანტიბი — გრაველინი 92:87, ბურგი — ევრე 85:78, ვილერბანი — რასინგი 83:71, სტრასბური — მონპელიე 104:76, ბეზანსონი — ლე ავრი 85:73, ლე მანი — შოლე 91:80, პო ორტეზი — ნანსი 95:61, დიჟონი — შალონი 61:65**

არა, „ვილერბანი" საფრანგეთის ჩემპიონატში, შეიძლება ითქვას, დანარჩენებზე მთელი თავით მაღლა დგას. უკვე ათი ტური მიილია და ამ გუნდის ძლევა კი არა, მისთვის ხეირიანი წინააღმდეგობის გაწევაც ვერავის მოუხერხებია. ამჯერად ვილერბანელებმა საკუთარ „ასტრობალში" დედაქალაქის „რასინგს" მოუგეს.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელმა ლეგიონერებმა საკმაოდ კარგად ითამაშეს, პარიზელებმა მასპინძლებთან მაინც ვერაფერი გააწყვეს. „მწვანეებმა", როგორც სუპერლიგის წინა ტურში, ამჯერადაც სათადარიგო გამთამაშებელ ლორან პლუვის ანდეს თავიანთი შეტევების წარმართვა და მან არც ახლა შეირცხვინა თავი: თავად 14 ქულა დააგროვა და თანაგუნდელებს 11 პასიც ჩამოურიგა. შედეგად „ვილერბანი" მალე დაწინაურდა და შესვენებამდე 11-ქულიან უპირატესობას მიაღწია — 44:33.

თუმცა მესამე მეოთხედში მასპინძლებს ცოტაოდენი დაღლა დაეტყოთ და ამით კარგად ისარგებლეს პარიზელმა ამერიკელებმა. ფრენკი კინგმა (22 ქულა) გარღვევებს მოუხშირა, ჯეიმს ბრაისონმა კი საშუალო დისტანციებიდან დაბომბა მეტოქის კალათი. ასე რომ, 29-ე წუთისთვის ანგარიშში სხვაობა ორ ქულამდე შემცირდა — 55:53. კარგა ხანს არაფერი შეცვლილა, მატჩის ბოლო ოთხ წუთში კი პლიუვიმ და მისმა თანაგუნდელებმა ხელი გამოიღეს და ეს მონაკვეთი 14:2 მოიგეს.

სუპერლიგის მეორე ფრანგული გუნდი, „პო ორტეზი", თელ ავივიდან დამარცხებული დაბრუნდა შინ და ებრაელების ჯავრი „ნანსიზე" იყარა. მასპინძლებმა განსაკუთრებით ფარიდან ასხლეტილი ბურთებისთვის ბრძოლაში დაჯაბნეს მეტოქე (40:23), პირველი მეოთხედი კი საფრანგეთისთვის სარეკორდო ანგარიშით მოუგეს — 25:3! ამ შედეგს პოელებმა მე-2-დან მე-9 წუთამდე ჩაუყარეს საფუძველი, როცა სტუმრები 18:0 დაჩაგრეს. „პო ორტეზი" ესტელერის (28 ქულა) სიზუსტისა და დიუბოს (13 ქულა საწყის 12 წუთში) აგრესიულობის წყალობით მე-12 წუთისთვის 36:7 იგებდა.

ამის შემდეგ „ნანსი" ცოტათი გამოერკვა და შეტევები ჩაგდებით დაავგვირგვინა. ერთი ხანობა მეტოქეს 20 ქულამდეც მიუახლოვდა, მაგრამ მერე ისევ ბრწყინვალედ ათამაშდა „პო ორტეზის" დაცვა და...

მიუხედავად თავიანთი წამყვანი მოთამაშის, ამერიკელი ჯონსონის არყოფნისა, შოლეელებმა პირველ ტაიმში მაინც დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს „ლე მანს" და გოტიეს 17 ქულის (სულ 22) ხარჯზე შესვენებისას ერთი ქულითაც იყვნენ წინ — 41:40. თანაბარი ბრძოლა მესამე მეოთხედშიც გაგრძელდა, რომელიც სტუმრებმა 26:23 მოიგეს. თუმცა ბოლო წუთებზე „ლე მანი" ძალიან ძლიერად ათამაშდა და ერთი შეხედვით იოლი გამარჯვებაც მოიპოვა.

„შალონს" უნდა უხაროდეს, რომ ლისა და ჯექსონის დარი მოთამაშეები ჰყავს. სწორედ ამ ორ კალათბურთელს უნდა უმადლოდეს, რომ კორაჩის თასზე მშვენივრად მოთამაშე „დიჟონს" მისსავე მოედანზე სძლია. მართალია, ოუენსმა აღნიშნულ შალონელებზე მეტი ქულა მოუტანა სტუმრებს, მაგრამ ლიც და ჯექსონიც დაცვაშიც გამორჩეულები იყვნენ. პირველი მეოთხედი „შალონმა" მოიგო, თუმცა მერე მეტოქეს გასწრების საშუალება მისცა. სტუმრები ისევ 26-ე წუთზე დაწინაურდნენ და ლიდერობა აღარც გაუშვიათ ხელიდან.

„დიჟონის" ბედს გაექცა „ანტიბი", რომელმაც პირველი ტაიმი შინ 44:55 წააგო „გრაველინთან". ანტიბელებმა შესვენების შემდეგ შეძლეს მატჩში გარდატეხის შეტანა და გამარჯვების მოპოვება. კვლავ ძალიან სუსტად ითამაშა „მონპელიეს" დაცვამ, რომელმაც სტრასბურელებს 104 ქულა ჩააგდებინა. პრო A-ს დებიუტანტმა „ბურგმა" ზედიზედ მეორე გამარჯვება იზეიმა. მასავით ახალბედა „ლე ავრმა" კი სადებიუტო მოგების შემდეგ ზედიზედ მეცხრე მარცხი იწვნია.

### გაიოჯ თალაკვაძე

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვილერბანი | 10 | 10 | 0 | 829:689 | 20 |
| ლე მანი | 10 | 8 | 2 | 865:801 | 18 |
| პო ორტეზი | 10 | 7 | 3 | 820:759 | 17 |
| რასინგი | 10 | 7 | 3 | 790:750 | 17 |
| ნანსი | 10 | 6 | 4 | 787:754 | 16 |
| ანტიბი | 10 | 6 | 4 | 812:800 | 16 |
| შალონი | 10 | 6 | 4 | 701:707 | 16 |
| დიჟონი | 10 | 5 | 5 | 783:697 | 15 |
| სტრასბური | 10 | 5 | 5 | 826:755 | 15 |
| შოლე | 10 | 4 | 6 | 767:771 | 14 |
| გრაველინი | 10 | 4 | 6 | 822:854 | 14 |
| ევრე | 10 | 3 | 7 | 808:868 | 13 |
| ბეზანსონი | 10 | 3 | 7 | 768:835 | 13 |
| ბურგი | 10 | 2 | 8 | 766:854 | 12 |
| მონპელიე | 10 | 2 | 8 | 807:918 | 12 |
| ლე ავრი | 10 | 2 | 8 | 686:825 | 12 |

## თურქეთი

IX ტური

**ბეშიქთაში — მაიდენოსი 79:71, დარუშაფაკა — ანტბირლიკი 91:84, ეფესი — ბუიუქ კოლეჯი 103:68, ალთაი — გალათასარაი 83:91, ფენერბაჰჩე — ქოშბასანი 64:78, ტელეკომი — ტროი 88:85**

**ქარშიაკა 86:95 ულქერი**

**ქარშიაკა:** გაჯამერი (2), ბაში (23), ესმერი (2), თურქმაში (8), ოზთაში (8), შტელმახერსი (3), დურაქლარი, ვილიამსი (18), მუნეკე (22)

**ულქერი:** ლოლისი (13), ერდოგანი (5), პენდლოგტენი (16), გოლიოვიჩი (3), ერდენაი (30), გიულერი, გონლუმი (4), ილდირიმი (19), სარიჯა (5)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ულქერი | 9 | 8 | 1 | 756:634 | 17 |
| დარუშაფაკა | 9 | 8 | 1 | 772:686 | 17 |
| ეფესი | 9 | 7 | 2 | 756:681 | 16 |
| ბეშიქთაში | 9 | 7 | 2 | 773:692 | 16 |
| ტელეკომი | 9 | 6 | 3 | 731:666 | 15 |
| ფენერბაჰჩე | 9 | 6 | 3 | 710:662 | 15 |
| ტროი | 9 | 5 | 4 | 770:752 | 14 |
| ქოშბასანი | 9 | 4 | 5 | 697:756 | 13 |
| მაიდენოსი | 9 | 3 | 6 | 715:748 | 13 |
| ანტბირლიკი | 9 | 2 | 7 | 699:848 | 11 |
| გალათასარაი | 9 | 2 | 7 | 684:756 | 11 |
| ალთაი | 9 | 2 | 7 | 689:779 | 11 |
| ქარშიაკა | 9 | 2 | 7 | 771:803 | 11 |
| ბუიუქ კოლეჯი | 9 | 1 | 8 | 703:763 | 10 |

## იტალია

X ტური

**ვარეზე — სკავოლინი 81:92, ბენეტონი — იმოლა 100:88, ფორტიტუდო — აველინო 82:60, რეჯანა — კინდერი 65:87, ტრიესტი — აეროპორტი 77:80, რიმინი — ადეკო 103:84, კანტუ — მიულერი 91:94, კორდივარი — მონტეკატინი 82:71, სნაიდერო — სიენა 72:71**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფორტიტუდო | 10 | 10 | 0 | 829:665 | 20 |
| კინდერი | 10 | 9 | 1 | 871:726 | 19 |
| კორდივარი | 10 | 7 | 3 | 817:783 | 17 |
| სკავოლინი | 10 | 6 | 4 | 866:791 | 16 |
| ბენეტონი | 10 | 6 | 4 | 832:797 | 16 |
| მიულერი | 10 | 6 | 4 | 951:930 | 16 |
| აეროპორტი | 10 | 6 | 4 | 827:828 | 16 |
| მონტეკატინი | 10 | 6 | 4 | 834:844 | 16 |
| სნაიდერო | 10 | 5 | 5 | 835:824 | 15 |
| აველინო | 10 | 5 | 5 | 835:833 | 15 |
| სიენა | 10 | 5 | 5 | 764:778 | 15 |
| რიმინი | 10 | 5 | 5 | 839:854 | 15 |
| იმოლა | 10 | 4 | 6 | 842:923 | 14 |
| ტრიესტი | 10 | 3 | 7 | 807:851 | 13 |
| რეჯანა | 10 | 3 | 7 | 797:850 | 13 |
| ვარეზე | 10 | 2 | 8 | 862:927 | 12 |
| კანტუ | 10 | 1 | 9 | 794:868 | 11 |
| ადეკო | 10 | 1 | 9 | 770:900 | 11 |

## ესპანეთი

XI ტური

**ტაუ — ხირონა 93:67, კანარიასი — პამესა 73:92, ფუენლაბრადა — კოსტაბლანკა 91:73, უნიკახა — ბრეოგანი 87:63, კანტაბრია — ესტუდიანტესი 87:79, რეალი — ფორუმი 94:84, კახა სან ფერნანდო — ბარსელონა 72:67, ხიხონი — ორენსე 90:76, ხუვენტუდი — კასერესი 70:78**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პამესა | 11 | 9 | 2 | 927:837 | 20 |
| უნიკახა | 11 | 8 | 3 | 991:853 | 19 |
| ტაუ | 11 | 8 | 3 | 979:848 | 19 |
| ბარსელონა | 10 | 8 | 2 | 895:767 | 18 |
| რეალი | 10 | 7 | 3 | 811:760 | 17 |
| ფორუმი | 11 | 6 | 5 | 912:905 | 17 |
| ფუენლაბრადა | 10 | 6 | 4 | 846:776 | 16 |
| სან ფერნანდო | 11 | 5 | 6 | 844:869 | 16 |
| ბრეოგანი | 11 | 5 | 6 | 886:913 | 16 |
| ესტუდიანტესი | 10 | 5 | 5 | 835:838 | 15 |
| ხუვენტუდი | 11 | 4 | 7 | 865:895 | 15 |
| ხირონა | 11 | 4 | 7 | 843:895 | 15 |
| ორენსე | 11 | 4 | 7 | 853:911 | 15 |
| კასერესი | 11 | 4 | 7 | 787:845 | 15 |
| კანარიასი | 11 | 4 | 7 | 826:925 | 15 |
| კანტაბრია | 11 | 4 | 7 | 810:897 | 15 |
| ხიხონი | 11 | 3 | 8 | 854:916 | 14 |
| კოსტაბლანკა | 11 | 3 | 8 | 818:930 | 14 |

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# თქვენს წინაშეა ლარი...ნოვიცკი

18 დეკემბერი

**ბოსტონი 98:106 დალასი**

**ბოსტონი:** პირსი (30), უოლკერი (20 ქულა, 17 მოხსნა, 6 პასი)

**დალასი:** ნოვიცკი (31), ეისლი (20 ქულა, 14 პასი, 5 ჩაჭრა), ფინლი (18)

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის უტიტულოვანესი გუნდი „ბოსტონ სელტიქსი" ბოლო წლების მიღწევებით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის. რის მიღწევები, ნბა-ს 16-გზის ჩემპიონი ხოლო ხუთი წელია, პლეი ოფში ვერ გასულა და თუ სასწაული არ მოხდა, იქ ვერც ამ სეზონში მოხვდება. „კელტთა" მწვრთნელმა რიკ პიტინომ რა გზას არ მიმართა, მაგრამ გუნდი წინ მაინც ვერ წასწია. კლუბის მფლობელები კი მას თითს უქნევენ, ლიგაში შენზე მეტ გასამრჯელოს არავინ იღებს და ან საქმე გამოასწორე, ანაც შენი გზა მონახეო. პიტინოს უსაქმურობას ვერავინ დასწამებს, თუმც „ბოსტონს" საშველი მაინც არ ადგება.

ამ ორშაბათს გამართულ ერთადერთ შეხვედრაში, ბოლო სამ მატჩში მარცხნაჭამი „სელტიქსი" შინ „დალასს" ხვდებოდა. მისი მეტოქე ახლა აღმავლობის გზაზე კია, მაგრამ მასპინძელთა გულშემატკივრები იმედოვნებდნენ, ჩვენი ბიჭები ახლა მაინც გატეხენ ნავსსო. არ გამოვიდა, „ბოსტონმა" მორიგი შეხვედრა დათმო არცთუ მძლავრ მეტოქესთან.

მასპინძლებს პირველივე მეოთხედში დაატყდათ თავს დალასელთა ზუსტი სროლების სეტყვა. უკვე საწყისი თორმეტწუთეულის შემდეგ „ბოსტონი" 15:31 აგებდა და ამ დეფიციტის აღმოფხვრას დარჩენილი დრო ამაოდ დაახარჯა.

ნამატჩევს რიკ პიტინომ მარცხი „დალასის" ახალგაზრდა გერმანელ თავდამსხმელს, დირკ ნოვიცკის გადააბრალა. აი, როგორ დაახასიათა მან ეს ბიჭი: „ნოვიცკი ლარი ბერდს მაგონებს (შევნიშნავთ, რომ მაიამელმა ბრაიან გრანტმა „სარბიელთან" ინტერვიუში აღნიშნა, თქვენებური ვლადიმერ სტეფანია დირკ ნოვიცკის მაგონებსო. ესე იგი... თუმცა მოდით, დასკვნებს ნუ გავაკეთებთ — ი.ფ.). მას არა აქვს შესაშური ტექნიკა და დრიბლინგი, მაგრამ თამაშის უტყუარი ალღო აქვს და ბრწყინვალედ აკეთებს იმას, რაც გამარჯვებისთვის აუცილებელია. ასეთი სიმაღლის პატრონი (211 სანტიმეტრი) პერიმეტრზე თავს საკუთარ სტიქიაში გრძნობს. საუცხოო სროლა აქვს და ფარზეც ბევრი სარგებელი მოაქვს. არ ვაჭარბებ — თქვენს წინაშეა ახალი ლარი" — ასეთი გახლავთ „ბოსტონის" მწვრთნელის აზრი მოთამაშეზე, რომელმაც მის გუნდს 31 ქულა ჩაუგდო და შინ გაამწარა.

„ბოსტონი" კი კვლავ მომავალი გამარჯვების იმედად დარჩა და შეეცდება, მომდევნო შეხვედრაში მაინც გაწყვიტოს უიღბლო შეხვედრათა ჯაჭვი. ოთხშაბათს „სელტიქსი" შინ შეებმება ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიას „ნიუ ჯერსის".

**ირაკლი ფირუზაშვილი**



ბოსტონი — დალასი. დირკ ნოვიცკიმ ბოსტონელ ბრაიან სტიტს ჩაუტენა


### იყიდება ან ქირავდება

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი
იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი
აირით და ტელეფონით
ტელ: 60-21-23



# „ბორჯომზე" გაზრდილი გია თორთლაძე სხვებზე ჯანმრთელია

## მაკალუს მნახველებს ახველებთ

**ალპინიზმში** სარეკორდო რომ აღარაფერი დარჩა, ვიღაცამ ზამთარში (როცა მთებში საექსპედიციოდ ყველაზე ცუდი პირობებია) ასვლები განიზრახა. იდეა განუხორციელებლად არც ამჯერად დარჩენილა და პოლონელებმა — ლეშეკ სიჩმა და კშიშტოფ ველიცკიმ 1980 წლის 17 თებერვალს თვით დედამიწის სახურავი — ჯომოლუნგმა (8848 მ) დალაშქრეს. ახალმა იდეამ პოლონელთა დიდი ინტერესი გამოიწვია და მათ ზამთარში დაპყრობილი ყველა რვაათასიანის ალებაში დაიდეს წილი. ლევიცკი ისე გაიტაცა ამ საქმემ, რომ მოგვიანებით კანჩენჯანლა (8598 მ) დალაშქრა სახელოვან თანამემამულე ირჟი კუკუჩკასთან ერთად, ხოლო ლჰოცზეზე (8511 მ) სულაც მარტო ავიდა. ახლა ის ჩვენებურ გია თორთლაძესთან და თავის თანამემამულეებთან ერთად მაკალუს (8481 მ) უტევს. ჩვენებურის სპონსორი საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიაა.

მაკალუს მყუდროება ზამთარში აქამდეც არაერთხელ დაურღვევიათ, მაგრამ დედამიწის სიმაღლით მეხუთე მწვერვალი აქამდე გოროზად დაჰყურებს აბეზართ. ჰიმალაის რვაათასიანებიდან მხოლოდ ის ვერ დაიპყრეს ზამთარში, თუმც უახლოეს დღეებში შეიძლება მისი პიკის სპეტაკი თოვლის სიწმინდეც შეიბღალოს.

გუშინ ისევ მოგვეცა გია თორთლაძესთან დაკავშირების საშუალება. აი, რა გვითხრა მან:

— ამჟამად 6800 მეტრზე მდებარე მეორე საიერიშო ბანაკიდან ვრეკავ, სადაც ეს-ესაა დავბრუნდი. ახლა ექსპედიციის ხელმძღვანელი კშიშტოფ ველიცკია წასული თავის პარტნიორთან ერთად და ისინი დაახლოებით 7000 მეტრის სიმაღლეზე თოკებს კიდებენ. ვფიქრობ, ორ-სამ დღეში 7200-7300 მეტრზე მესამე ბანაკსაც მოვაწყობთ. სამწუხაროდ, ამინდი გაუარესდა. მართალია, მზე და უღრუბლო ცაა, მაგრამ ეს ორი დღეა, ძლიერი ქარია, რაც ძალიან გვიშლის ხელს. ექსპედიციის წევრებს რაც შეეხებათ, ერთი ავადაა და ვერაფერში გვეხმარება. თითქმის ყველა ახველებს. საერთოდ, 11 კაციდან მხოლოდ სამნი ვართ ჯანმრთელად. ექსპედიციის საბოლოო წარმატებაც სწორედ ამინდზე და მოიერიშეთა ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული.

**ირაკლი თაგაძე**



# მაკალუ

**მაკალუ** დედამიწის თოთხმეტიდან ერთ-ერთი რვაათასიანი მწვერვალია. ეს მწვერვალები პირობითად დაყოფილია დიდ, პატარა და საშუალო სიმაღლის რვაათასიანებად. მაკალუ დიდ ხუთეულშია ევერესტის, ჩოგორის, კანჩენჯანლასა და ლჰოცზეს შემდეგ, სადაც დიდ რვაათასიანთა წყებას ამთავრებს.

ეს სიმაღლის მიხედვით, მაგრამ თუ რუკას დავხედავთ და აღმოსავლეთიდან დასავლეთით აღმართულ ამ ზუმბერაზთა რიგს გადავხედავთ, იგი მეორე ადგილზე აღმოჩნდება.

მაკალუ ჰიმალაიზე დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ევერესტსა და კანჩენჯანლას შორისაა მოქცეული, მიუხედავად ამისა, იგი მათ ჩრდილქვეშ არაა და გიგანტურ შთაბეჭდილებას ტოვებს. მაკალუს მასივი გრანდიოზულად წარმოგვიდგება, რადგან თავისი უახლოესი მეზობელი მწვერვალები მხოლოდ ექვსი და შვიდიათასიანები არიან. თუმცა მისი მეზობლები უფრო მაღლებიც რომ იყვნენ, მაკალუს მასივი მაინც ძალზე შთამბეჭდავი იქნებოდა, რადგან იგი სიგრძე-სიგანითაც აღემატება მათ.

მთელი მასივი ბუმბერაზი კვარცხლბეკივითაა აღმართული, მასზე კი ორი რვაათასიანი თავია. ერთს მოიხსენიებენ როგორც მთავარს (8470 მ), მეორეს კი სამხრეთ-აღმოსავლეთ მწვერვალად (8010), თუმცა, ზოგიერთი მკვლევარისა თუ მთამსვლელის აზრით, მაკალუ სამთავიანი გიგანტია. ასეთად მათ მიაჩნიათ იმ ორს შორის მოქცეული, რომელსაც საშუალო მწვერვალს (8000) უწოდებენ, ზოგი კი ფიქრობს, რომ მესამე თავი „უბრალოდ" ამაღლებული ქედია, რომელსაც შეცდომით დამოუკიდებელ მწვერვალად მიიჩნევენ. მაგრამ საკამათო მხოლოდ ეს კი არა, მაკალუს მეოთხე თავიც გამხდარა. იგი 7410 მეტრის სიმაღლისაა და მას მოიხსენიებენ მაკალუს უნაგირადაც, რომელიც ამ მასივის ჩრდილო-დასავლეთის უღელტეხილზეა აღმართული. ზოგი მკვლევარი და ადგილობრივი მკვიდრი მას უწოდებს კანჩუნგის (7600) პიკსაც, რომელიც იმავე სახელწოდების ყინვარის თავზეა აღმართული.

მაკალუს მასივიდან მიემართება ოთხი განშტოება, რომელთაგან სამი თავად მასივის ქედია: დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის და აღმოსავლეთისა. ნამდვილ განშტოებას კი წარმოადგენს მეოთხე — ჩრდილო-აღმოსავლეთისა, რომელზეც, თავის მხრივ, აღმართულია ჩომოლონზმოს (7815) მასივი, დანარჩენი სამი განშტოება კი ციცაბოდ ეშვება ბარუნისა და მაკალუს მყინვარებზე.

მაკალუს გამყინვარება ჰიმალაის მასშტაბებისთვისაც კი საკმაოდ დიდია.

რაც შეეხება მაკალუს სახელწოდებასა და მასზე ასვლების ისტორიას, ამაზე მოგითხრობთ მოგვიანებით, როცა გია თორთლაძისგან ახალ ამბებს შევიტყობთ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**


# რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით

დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3

(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

# ქალთა ჭადრაკის ახალი დრო და ახალი ზნე

**ნანა ალექსანდრია დელის მსოფლიოს პირველობაზე ყველაზე საჩინო ქართველი გახლდათ. სამწუხაროდ, ჩვენმა მოჭადრაკეებმა რიგიანად ვერ ითამაშეს და მათ წარმატებებზე ერთხელაც ვერ გამცნეთ, სამაგიეროდ, ქალბატონი ნანა დელიში იმ დიდი ხუთეულის წევრი იყო, საჭადრაკო დაფებთან წარმოქმნილი ყოველი გაუგებრობისას საბოლოო და მტკიცე სიტყვას რომ ამბობდა — სააპელაციო კომიტეტს ვგულისხმობთ. ცალკე სათქმელია ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდე) ქალთა კომიტეტის თავმჯდომარეობა. ამ რანგში ქალბატონმა ნანამ ქალთა მომავალი მსოფლიოს პირველობების ახალი ფორმატის პროექტი შეიმუშავა და ფიდეს წარუდგინა. პროექტი უკამათოდ დაამტკიცეს. ამ და სხვა თემებზე ნანა ალექსანდრია გუშინ გვესაუბრა. მისი ინტერვიუ ერთგვარად შეაჯამებს „სარბიელში" დაბეჭდილ მისსავე რეპორტაჟებს დელის მსოფლიოს პირველობიდან**



**— ქალბატონო ნანა, როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ დელიში გამართულ ჩემპიონატზე?**

— ჩინებული სანახაობა იყო, თუმცა მეტად ძნელი მოთამაშეთათვის, როგორც „ნოკაუტ-სისტემას" შეჰფერის. დაძაბული ბრძოლები, მოულოდნელობები, კარგი გარემო — მაყურებელი არ მოიწყენდა.

**— ანუ სანახაობრივი თვალსაზრისით მსოფლიოს პირველობის ადრეულ ფინალებზე (ვთქვათ, კარპოვ-კასპაროვის) ეფექტური...**

— არა, ასე არ შევადარებდი. ჯერ ერთი, როგორც თავად ჭადრაკი, მაყურებელიც დღეს აღარ არის ისეთი, თხუთმეტი წლის წინ რომ იყო. ხალხმა ჭადრაკისადმი ინტერესი დაკარგა, პარტიებზე მოსახვედრი ბილეთებისთვის რიგს ვერსად ნახავთ და თუ ამ კუთხით შევხედავთ, ადრეული მატჩების უპირატესობა აშკარაა, მაგრამ ბრძოლის დინამიკის თვალსაზრისით „ნოკაუტ-სისტემაში" სულ სხვა სურათია. მოჭადრაკის ბედი 24 გრძელ პარტიაში კი არა, ორში წყდება და ერთმა შეცდომამ შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს. სწორედ ასეთი „მოძრავი" ჭადრაკია დღეს პოპულარული, თუმცა, სამწუხაროდ, ხალხს ვერც იგი იზიდავს. ლას ვეგასის მსოფლიოს პირველობა და შენიანში წლევანდელი მსოფლიოს თასი პრაქტიკულად ცარიელ დარბაზებში ჩატარდა, იმის მიუხედავად, რომ შენიანში კაცთა და ქალთა ფინალებშიც ჩინელები თამაშობდნენ, ხოლო ქალთა თასი სულაც მათმა თანამემამულემ მოიგო. სხვათა შორის, იმ მანდილოსნის სახელი, ისევე როგორც დანარჩენი ჩინელებისა, მეტად ძნელი გამოსათქმელია. დელიში ოთხჯერ თუ ხუთჯერ ვკითხე, სანამ ზუსტად დავადგენდი, რომ სიე იუიჰუა ჰქვია...

**— ჩინური გვარ-სახელები „სარბიელშიც" ხშირად კამათის საგანია. მაგალითად, ქალთა მსოფლიოს ჩემპიონს ერთგან ერთგვარად იხსენიებენ, მეორეგან სულ სხვანაირად. ბოლოს, სიე ჯუნზე შევჩერდით...**

— სწორი გამოთქმაა სიე ჯუნი. მე მასაც ვკითხე და შედარებით იოლად გავიგე, სამაგიეროდ, კანინგ ჩინის (ქალთა პირველობის ფინალისტი) სახელის გამოთქმამ დამტანჯა. ხან მეგონა, რომ გვარი „ც"-ზე იწყებოდა, ხან — „კ"-ზე. გამოთქმა აქვთ თავისებური.

**— დელის დავუბრუნდეთ. ბევრი მაყურებელი ესწრებოდა ჩემპიონატს?**

— დღევანდელ პირობაზე — საკმაოდ. პარტიებს იმავე სასტუმროს დარბაზში თამაშობდნენ, სადაც მოჭადრაკეები ცხოვრობდნენ და ეს მეტად ხელსაყრელი ფაქტორი იყო. საკმაოდ დიდი დარბაზი გახლავთ და თითქმის ივსებოდა. სხვა საქმეა, რომ მაყურებელთა უმრავლესობა ანანდის პარტიის დასრულებისთანავე ტოვებდა იქაურობას. ვიშის ქომაგობდა დიდი და პატარა, თუმცა ინდოეთის მასმედიამ ისედაც დიდი სამუშაო ჩაატარა. პრესა მუდმივად საქმის კურსში იყო, ტელევიზია ტურნირს ერთსაათიან გადაცემებს უძღვნიდა. ხალხის ინტერესი ამანაც განაპირობა.

**— ორგანიზაცია როგორი იყო?**

— მაღალი დონის. მხოლოდ ერთხელ ენერგოკრიზისმა ქართველებს იქაც მოგვაკითხა, როცა დარბაზი რამდენიმე წუთით ჩაბნელდა. არ იყო პატარა ამბავი. მოგეხსენებათ, ახლა პარტიებს ელექტროსაათების თანხლებით თამაშობენ და მათმა გათიშვამ საკმაო პრობლემები შექმნა. მერე ფიდეში სერიოზულად მსჯელობდნენ იმაზე, დენის ყოველი გამორთვისთვის ორგანიზატორებს ჯარიმები ხომ არ დავაკისროთო.

**— დელიში სააპელაციო კომიტეტის წევრი იყავით. ბევრი სამუშაო გქონდათ?**

— სრულიადაც არა. ეს მსაჯობის მაღალ დონეზე მეტყველებს. ქალებში, მაგალითად, მთავარი მსაჯი იყო უნგრელი ჟუჟა ვერეცი, ამ საქმეში გამოცდილი პიროვნება. მთელი ჩემპიონატის განმავლობაში მის მიმართ პრეტენზია არც ერთ მოჭადრაკეს არ გამოუთქვამს.

**— თქვენი მეორე თანამდებობა ფიდეს ქალთა კომიტეტის თავმჯდომარეობა გახლავთ. ამ ამპლუით ფიდეს ღონისძიებებში მონაწილეობდით. ჩვენთან ადრეულ ინტერვიუში განაცხადეთ, რომ თანამდებობის დატოვებას აპირებდით. ეტყობა, აზრი შეიცვალეთ...**

— დიახ, ვფიქრობდი, ვადამდე წავსულიყავი, მაგრამ მერე ბოლომდე დარჩენა გადავწყვიტე. ახალი არჩევნები ბლედის ოლიმპიადის პარალელურად, 2002 წელს გაიმართება და ძალიან მინდა, ისევ ქართველმა შემცვალოს, თუმცა კონკურსი საკმაოდ დიდი იქნება. ამის თაობაზე ახლა ნანა იოსელიანს ველაპარაკები, ოღონდ საბოლოოდ ჯერ არაფერი გადაწყვეტილა.

**— რა საკითხები გაარჩია ფიდემ დელიში?**

— უპირველეს ყოვლისა, მსოფლიოს პირველობების ახალი ფორმატის შესახებ იმსჯელა. ეს მეტად ფაქიზი საკითხია და მრავალ ასპექტს მოიცავს. ძირითადი გადაწყვეტილებები ჯერაც მისაღებია, მაგრამ მნიშვნელოვანი პარტიების რეგლამენტში ცვლილებები, დაკანონდა. საკონტროლო 40 სვლისთვის 2 საათის ნაცვლად საათნახევარი გამოიყოფა, რაც ტელევიზიით ჭადრაკის ტრანსლირების ეფექტურობას გაზრდის. საერთოდ, ტელევიზიისა და ჭადრაკის შეთავსება უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, ამის გარეშე თამაში ხალხამდე ვერ მიდის, თუმცა დღეს მეორე ტენდენციაც იკვეთება: ჭადრაკში ინტერნეტის გავლენა მატულობს და ისე ჩანს, კომპიუტერი ტელევიზიას კიდევ უფრო შეავიწროვებს. ბუნებრივიცაა, ჭადრაკისა და კომპიუტერის მჭიდრო კავშირი უკვე კარგა ხნის წინ დამყარდა და ახლა, როცა ინტერნეტით პარტიების ტრანსლირება შეიძლება და ტურნირების ყოველგვარი ორგანიზაციული დანახარჯების გარეშე მოწყობაც, ეს კავშირი უფრო მჭიდრო გახდა. სხვათა შორის, დელიში ფიდეს სხდომაზე ჩამოვიდა რუსი კომერსანტი ტარასოვი, რომელიც „ფიდე კომერსის" პრეზიდენტია, ხოლო ეს უკანასკნელი, მოგეხსენებათ, ფიდეს კომერციულ საქმიანობას განაგებს. დელიმდე ტარასოვი ლონდონში იყო და „ბრაიანგეიმზ ნეტუორკის" ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა. საქმე ვლადიმირ კრამნიკს ეხება, რომლის თავისკენ შემობრუნებასაც ფიდე ცდილობს. ტარასოვი ფიდეს რამდენიმე საინტერესო იდეით წარუდგა, რომლებიც მომეწონა, ოღონდ იქამდე მსოფლიო პირველობების ახალი ფორმატის არსზე გეტყვით მოკლედ:

ჩატარდება კონტინენტების ჩემპიონატები და ხუთივე კონტინენტის 64 რჩეული მსოფლიოს თასს გაითამაშებს...

**— უკაცრავად, გაგაწყვეტინებთ. კონტინენტებიდან ევროპის ჩემპიონატში ის შეჯიბრი იგულისხმება, რომელსაც ევროპის საჭადრაკო კავშირი აწყობს?**

— დიახ. ბორის კუტინი (კავშირის თავმჯდომარე) ფიდესთან აქტიურად თანამშრომლობს და ამის საწინააღმდეგო არაფერი ექნება.

განვაგრძობ: მსოფლიოს თასის მფლობელის გარკვევასთან ერთად 64-დან 32 მოჭადრაკე დარჩება და ორჯერ „გრან პრის" გაითამაშებს. თასისა და ორი „გრან პრის" ჯამური შედეგებით გამოვლინდება 8 უძლიერესი, რომლებიც უკვე „ნოკაუტ სისტემით" მსოფლიოს ჩემპიონის ვინაობას დაადგენენ. მეოთხედ და ნახევარფინალებში 4-4 პარტია გათამაშდება, ფინალში — 6. შეიცვალა დამატებითი პარტიების თამაშის წესიც. თავიდანვე უაზრობა იყო ორი 25-წუთიანი და იმდენივე 15 წუთიანი პარტიების სერიის დანიშვნა და ამისთვის ცალკე დღის გამოყოფა, რამაც შეჯიბრი ძლიერ გაწელა. მე შევთავაზე პირდაპირ ბლიცზე გადასვლა ძირითადი პარტიების დასრულების დღესვე. თუ ორი ბლიცის შედეგი საყაიმო იქნება, გათამაშდება მესამე და გადამწყვეტი, სადაც შავებს ფიქრისთვის ძველებურად ხუთი წუთი ექნებათ, თეთრებს — ექვსი, სამაგიეროდ, ყაიმი შავებს ჩაეთვლებათ.

ასეთი იყო მოკლედ ახალი პროექტი, რომელიც ფიდეს წარვუდგინე. იგი თითქმის უკამათოდ მიიღეს. გამიკვირდა, მართალი გითხრათ.

**— აქ ლაპარაკია ქალთა პირველობის ფორმატზე...**

— რასაკვირველია. კაცთა საკითხი ვერ გადაწყდა და იგი თეირანში გადაიტანეს. თითქოს ანალოგიური ფორმატი უნდა მიეღოთ, მაგრამ, როგორც გითხარით, ჩამოვიდა ტარასოვი და ჩამოიტანა თავისი იდეები, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც ძველებური ფინალური მატჩის გამართვას ითვალისწინებს, რაც უეჭველად კრამნიკის თემას უკავშირდება. ტარასოვის მეორე იდეა მსოფლიოს ჩემპიონატებში ინტერნეტის ჩარევა გახლავთ. მისი აზრით, უპრიანი იქნება, თუ საწყის ეტაპებზე, თასსა და „გრან პრიზეც" ინტერნეტი აქტიურად იქნება გამოყენებული და ეს მართალია, ერთგვარი „ხულიგნობის" ელემენტს შეიცავს, ჭადრაკის ინტერესებს ერთობ წაადგება. მე მხოლოდ ფინალურ სტადიაზე ინტერნეტის გამოყენების მომხრე არა ვარ, [illegible] რი უნდა არსებობდეს.

**— ქალბატონო ნანა, დელიში ქართველთა ასეთ ჩავარდნას რითი ახსნით?**

— თავიდან იმას გეტყვით, რომ ჩემთვის ეს ამბავი დიდი მოულოდნელობა იყო. არ ველოდი ნინო ხურციძის ასეთ სუსტ თამაშს, ვფიქრობდი, ნანა იოსელიანიც ბევრად უკეთ გაირჯებოდა, მაგრამ რომ ჩავეძიოთ, უამრავ მიზეზს ვიპოვით, რომლებიც ერთმანეთს მიემატა და ცუდი სურათი მივიღეთ: წინა თაობამ თამაშს უკლო, ახალი ვერ უმატებს და რღვევის პროცესი მიმდინარეობს. ჩვენი პირობებიდან გამომდინარე, ყველაფერი გვაკლია. ტექნიკის თვალსაზრისით ურმის ხანაში ვართ. მე და ჩემს მოსწავლეს (ლელა ჯავახიშვილი), რომელსაც ბუნებრივი ნიჭი ნამდვილად არ აკლია, კომპიუტერი არა გვაქვს, რომ თანამედროვე საჭადრაკო ინფორმაციაზე ვიმუშაოთ, დღეს კი ამის გარეშე ხარისხიანი თამაში გამორიცხულია. მოჭადრაკე ვერ გაიზრდება, თუ მას კონსულტანტი არა ჰყავს, რომელიც დებიუტებში გაარკვევს; წელიწადში ორი შეკრება მაინც უნდა გაიაროს... და ა.შ. საზღვარგარეთ მსგავსი პრობლემები ბევრმა იოლად გადაწყვიტა: საჭადრაკო ოჯახებს ქმნიან და ერთმანეთის კონსულტანტებიც არიან, სეკუნდანტებიც და მწვრთნელებიც. ფართოდაა ფეხმოდგმული ბოიფრენდის ტიპის კავშირებიც. ალექსი შიროვმა ლატვიელი ჩმილიტე დელიდან პირდაპირ თავისთან წაიყვანა და შიროვზე კარგი მასწავლებელი ვინ უნდა ინატრო, მაგრამ ქართული მენტალიტეტი ამგვარ ამბავსაც, მოგეხსენებათ, ვერ ეგუება.

ვერც ვერანაირ პერსპექტივას ვხედავ. სახელმწიფოს არაფერი შეუძლია, სპონსორები არსად ჩანან, იგივე ჩინელებს კი მთელი წლის მანძილზე შეკრებები აქვთ, ინფორმაციის ნამცეციც თუ სადმე გამოჩნდა, ყველაფერს ღებულობენ და ასე შემდეგ. მოკლედ, დელიში მთლად ასეთ ჩავარდნას არ ველოდი, მაგრამ ლოგიკურია ყველაფერი.

**— ჭადრაკის პერსპექტივაზე რას იტყვით? აქვს თუ არა ამ თამაშს 21-ე საუკუნეში არსებობის პოტენციალი?**

— სტამბოლის ოლიმპიადის გახსნისას ბატონ ჰალიჩის ნათქვამი დამამახსოვრდა. ეს კაცი თურქეთის პარლამენტის წევრია და ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი. გახსნის ცერემონიალზე მან ეს თქვა: „ცოდნის საუკუნის დასაწყისში თურქეთი მნიშვნელობას ანიჭებს ჭადრაკს, რადგან ჭადრაკი არა მხოლოდ სპორტია, არამედ განათლებისა და კულტურის ინსტრუმენტიც. ჭადრაკი იძლევა შესაძლებლობას, გავზარდოთ შემოქმედებითი, გამძლე, ინტელექტუალური და გადაწყვეტილების მიღების უნარიანი თაობა. უკეთეს, ბედნიერ და მშვიდობიან სამყაროს სჭირდება ადამიანები, რომლებიც სწორად აზროვნებენ. ამიტომ გვსურს, განვავითაროთ ჭადრაკი თურქეთში." მეც იგივეს ვიტყვი და თურქეთის ნაცვლად საქართველოს ჩავსვამ. შეიძლება არ გვყავდეს ჩემპიონები, მაგრამ ერის ინტელექტუალური გენოფონდის შენარჩუნება თუ გვსურს, ჭადრაკს მომავალშიც არ უნდა მოვაკლოთ ყურადღება.

**დავით გულუა**



თავის დროზე თოთხმეტი წლის ვიში ანანდი ნანა ალექსანდრიამ წააგებინა




ალექსანდრ ხალიფმანისა და ვიში ანანდის მატჩს ჟურნალისტთა ყურადღება არ მოკლებია



კირსან ილუმჟინოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავკასიელები ცირკში იჩხუბებენ

**ხვალ** თბილისის ცირკი პროფესიონალ მოკრივეებს დაეთმობათ — საღამოს ხუთ საათზე იქ კავკასიის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლები დაიწყება. მოჩხუბართა ვინაობა ჯერ ბოლომდე გარკვეული არ არის. გადაჭრით მხოლოდ ერთია ცნობილი — რინგზე პირველად 78 კილოგრამიანი, რუსეთის სახელით მოჩხუბარი თამაზ კეკელიძე და უკრაინელი გერაშჩენკო გავლენ. დანარჩენი წყვილები და წონითი კატეგორიები დღეს დაზუსტდება. გეტყვით იმასაც, რომ თბილისში აზერბაიჯანელებიც ჩამოვიდნენ.

ამ ორთაბრძოლების ორგანიზატორია კავკასიის პროფესიული კრივის ფედერაცია (პრეზიდენტი ვახტანგ წერეთელი), საჩემპიონო ქამარი კი მხატვარ ზურაბ წერეთლის ნახელავია. ფედერაცია ამიერკავკასიის ქვეყნებს აერთიანებს. რადგან აქ პროფესიული კრივის დონე არც ისე მაღალია, თავდაპირველად მისი ჩემპიონობისთვის რუსეთის შემადგენლობაში შემავალი ჩრდილოკავკასიური ქვეყნების მოკრივეებიც იჩხუბებენ და არაკავკასიელებიც (როგორც ახლა უკრაინელები). თუ ფედერაცია სათანადოდ მოღონიერდა, მომავალში ჩემპიონატის ჩატარების სისტემაც დაიხვეწება და ტიტულისთვისაც მხოლოდ კავკასიელები იბრძოლებენ.

გუშინ სასტუმრო „ვერეში" ფედერაციის წარმომადგენლებმა პრესკონფერენცია გამართეს, რომელსაც საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაციის პრეზიდენტ ვახტანგ ყანჩაველთან ერთად მისი უკრაინელი და აზერბაიჯანელი კოლეგები — ანატოლი პოლჩანსკი და საგიდ ალიევიც ესწრებოდნენ. პირად პრობლემათა გამო თბილისში ვერ ჩამოვიდა კავკასიური ფედერაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ლენოქს ლუისისა და გიორგი კანდელაკის პრომოუტერი პანოს ელიადისი. სამაგიეროდ, მომხიბლავი წარმომადგენელი გვაახლა — ლენოქს ლუისის კოლეჯის ფინანსური მენეჯერი ლიდია პერკოვიჩი. პრესკონფერენციის გამძღოლმა მამუკა წიკლაურმაც პირველი სიტყვა მთელ დარბაზში ერთადერთ მანდილოსანს დაუთმო. პირმშვენიერმა ლიდიამაც, მანამ რომ ღიმილად იფრქვეოდა, საქმიანი ქალის იმიჯი უცებ შეიფერა და მთელი სერიოზულობით გადაუხადა მადლობა მასპინძლებს, მერე ელიადისის ნაცვლადაც მოიბოდიშა და დაგვპირდა, მომავალ ჩხუბზე აუცილებლად ჩამოვაო, მიესალმა წიკლაურის იდეას საკრივო აკადემიის დაარსების შესახებ, შეგვიქო მოკრივეები (იქნებ მათში მომავალი ლენოქს ლუისიც არისო) და არც აზერბაიჯანელ-უკრაინელთა აღნიშვნა დავიწყებია, ბოლოს კი ლამაზი ღიმილი გვიძღვნა. ამის მერე პრესკონფერენცია სახვალიო ჩხუბების მოლოდინში მალევე დამთავრდა. ცოტ-ცოტა ყანჩაველმა და მისმა კოლეგებმაც ილაპარაკეს და ორიოდე შეკითხვა ჟურნალისტებისგანაც გაისმა, თუმცა მასპინძლები დიდად არ შეგვიწუხებია, რადგან დარბაზში ბევრი არც ჩვენ ვიყავით.

**ირაკლი თავაძე**



კავკასიის ქამარი და ქამრიონნი: ლიდია პერკოვიჩი, ვახტანგ წერეთელი და მამუკა წიკლაური



ანატოლი პოლჩანსკი

# ვაი, ტვინო! პოლ ინგლმა ტიტულისთვის თავი გადადო

**ზე-უმსუბუქესი** წონის ტიტულის დაცვა პოლ ინგლს იმად დაუჯდა, რომ ტვინიდან სისხლის კოლტის ამოსაღებად, ორშაბათს, ოპერაცია გაუკეთეს, ის კი ჯერ კიდევ კომაშია. ინგლი ინგლისელია, 28 წლისა გახლავთ და ექიმების თქმით კრიტიკულ — სტაბილურ მდგომარეობაშია. პროფესორმა რობერტ ბეტერსბიმ კი პაციენტის შესახებ ასე განაცხადა: „ამ ეტაპზე დამაკმაყოფილებელი პროგრესი აქვს. ვიმედოვნებ, რომ აპარატურის დახმარებით თანდათან მომჯობინდება, თუმცა აპარატურის მოშორებაზე ჯერ ლაპარაკიც არ შეიძლება. საერთოდაც ვერ გეტყვით, როდის იქნება ეს შესაძლებელი".



პოლ ინგლი

ბრძოლა, რომლის მე-12 რაუნდის მე-20 წამზეც ინგლი ნოკაუტში აღმოჩნდა, შაბათს მოეწყო. ინგლისელს სამხრეთაფრიკელი მბულელო ბოტილი ეჩხუბებოდა. აღსანიშნავია, რომ ბოტილის სამი მიყოლებული ცაციის შედეგად ჩემპიონი მე-11 რაუნდში ბაგირებს მიენარცხა, მაგრამ მისმა მწვრთნელმა სტივ პოლარდმა დანებება არ ისურვა და შეგირდს ბრძოლის გაგრძელებისკენ მოუწოდა, თუმცა...

„მე-11 რაუნდის შემდეგ ვკითხე, როგორ ხარ-მეთქი. მიპასუხა, კარგადო. შევახსენე, რომ ბრძოლას აგებდა, რაზეც მომიგო ახლა გავალ და მოწინააღმდეგეს ვაჯობებო. ერთი სიტყვით, საღ გონებაზე გახლდათ და ყველა შეკითხვას აზრიანად პასუხობდა. ამიტომაც ჩავთვალე, რომ დანებების საბაბი არ გვქონდა" — თქვა პოლარდმა.

თავისთავად, მწვრთნელისაც გასაგებია. ის ხომ ექიმი არ არის, სწორედ ამიტომაც გააკრიტიკა რინგისპირა ექიმები ლონდონის სამეფო ჰოსპიტალის ნეიროქირურგიის კონსულტანტმა პიტერ ჰემლინმა. მისი თქმით, ინგლის სერიოზული ტრავმა სწორედ მათ უნდა შეენიშნათ, თუმცა ბრიტანეთის საკრივო საბჭოს გენერალურმა მდივანმა საიმონ ბლოკმა თავისი ორგანიზაციის ექიმები დაიცვა — ბრძოლის შემდეგ მოკრივე თავად ვნახე და ის ჯერ კიდევ ლაპარაკობდა, დამარცხებას განიცდიდა.

ამ ინციდენტს პარლამენტიდანაც გამოეხმაურნენ. არ იტყობინებიან ზუსტად რომელმა, მაგრამ ერთ-ერთმა პარლამენტარმა თურმე ისიც კი თქვა, კანონებში ცვლილებაა საჭირო, რათა მეტოქის მკვლელი ან დამზიანებელი სპორტსმენი ღირსეულად დაისაჯოსო.

**ტუტა სიხარულიძე**



# მე რომ შენთვის მეტი გამიტანიაო...

ევროპის ვაჟ ხელბურთელთა ჩემპიონთა ლიგის ბოლო ტურში დარჩენილი სამი სამეოთხედფინალო ვაკანსია უნდა შევსებულიყო.

ამ ეტაპის საგზურები თითქმის განაღდებული ჰქონდათ „პორტლენდ სან ანტონიოსა" და „ბრაგას", რადგან ბოლო მატჩებს საკუთარ მოედნებზე ატარებდნენ და მიზნის მისაღწევად ფრეც ჰყოფნიდათ, თუმცა ორივე კლუბმა გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და დამაჯერებელი გამარჯვებები იზეიმა: ის კი არა, პორტუგალიელები ამ მოგებამ ჯგუფში პირველ ადგილზე გაიყვანა და საწილისყრო პრივილეგიაც შეუქმნა, რაკი „კილმა" შინ მოულოდნელი მარცხი იწვნია უმოტივაციოდ დარჩენილი დანიის ჩემპიონისგან.

უმძაფრესი კონკურენცია იყო მეორე ჯგუფში. უკვე მიზანმიღწეულ „ბარსელონასთან" ერთად მეოთხედფინალში გასვლაზე პრეტენზიას „დუნაფერი" და „მონპელიე" აცხადებდნენ. უნგრელებს სანუკვარი საგზურის მოსაპოვებლად ფრეც აძლევდათ ხელს. „ბარსას" კი კარგა ხანია თავი ქუდში ჰქონდა. ასე რომ, ფრე ალოგიკური შედეგი სულაც არ იქნებოდა, მაგრამ ლიგის არაერთგზის ჩემპიონი 4600 ქომაგის თვალწინ ამას როგორ იკადრებდა. კატალონიელებმა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ბოლომდე კაცურად იბრძოლეს, მეოთხე გამარჯვებაც მიითვალეს და დაუმარცხებლად დაიკავეს ჯგუფში პირველი ადგილი.

„ბარსელონას" გარდა, ტურნირი წაუგებლად მხოლოდ ქალაქ ლაშკოს „პივოვარნამ" განვლო. მელუდეებმა ყველაზე მეტი, ხუთი შეხვედრა მოიგეს, 16 გუნდს შორის ყველაზე მეტი, 193 ბურთი შეაგდეს, საკუთარ კარში კი 145 მიიღეს, რაც მეოთხე მაჩვენებელია. ერთი სიტყვით, სლოვენიის ჩემპიონი თამაშს საშუალოდ ექვსბურთიანი სხვაობით (30:24) იგებდა.

ჯგუფური ტურნირის უმთავრესი მოულოდნელობა კი „დუნაფერის" წარუმატებლობაა. რეიტინგით ევროპის საუკეთესო ხუთეულის გუნდს საშუალოძალიანმა, განუთესავმა „მონპელიემ" აჯობა. თანაბარქულიან კონკურენტთა დავაში გადამწყვეტი ურთიერთშეხვედრაში გატანილ-გაშვებული გოლების რაოდენობა აღმოჩნდა: დუნაივაროშში პირველი წრის შეხვედრა მასპინძლებმა ორბურთიანი სხვაობით (27:25) მოიგეს, საპასუხო მატჩში კი ფრანგებმა დამაჯერებელი რევანში აიღეს — 30:22 და თებერვალში თასისთვის ბრძოლასაც გააგრძელებენ.

**გია ახალაძე**

## სატურნირო ვითარება

A ჯგუფი: „ბადელი" (ხორვატია) — „პივოვარნა" (სლოვენია) — 22:22; „ანკარა" (თურქეთი) — „რედბერგსლიდსი" (შვედეთი) — 31:24

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პივოვარნა | 5 | 1 | 0 | 183:145 | 11 |
| ბადელი | 4 | 1 | 1 | 155:137 | 9 |
| ანკარა | 1 | 0 | 5 | 153:167 | 2 |
| რედბერგსლიდსი | 1 | 0 | 5 | 131:173 | 2 |

B ჯგუფი: „ბარსელონა" (ესპანეთი) — „დუნაფერი" (უნგრეთი) — 30:26; „გდანსკი" (პოლონეთი) — „მონპელიე" (საფრანგეთი) — 20:24

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 4 | 2 | 0 | 155:133 | 10 |
| მონპელიე | 3 | 1 | 2 | 146:141 | 7 |
| დუნაფერი | 3 | 1 | 2 | 143:145 | 7 |
| გდანსკი | 0 | 0 | 6 | 124:149 | 0 |

C ჯგუფი: „კილი" (გერმანია) — „გოგ გუდმე" (დანია) — 28:34; „ბრაგა" (პორტუგალია) — „პალამანო" (იტალია) — 33:24

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბრაგა | 4 | 0 | 2 | 151:153 | 8 |
| კილი | 3 | 1 | 2 | 164:147 | 7 |
| გოგ გუდმე | 3 | 0 | 3 | 165:158 | 6 |
| პალამანო | 1 | 1 | 4 | 159:181 | 3 |

D ჯგუფი: „პორტლენდ სან ანტონიო" (ესპანეთი) — „სანდფიორდი" (ნორვეგია) — 33:28; „ლოვჩენი" (იუგოსლავია) — „ბანიკი" (ჩეხეთი) — 31:28

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლოვჩენი | 4 | 1 | 1 | 160:150 | 9 |
| პორტლენდი | 4 | 0 | 2 | 170:155 | 8 |
| სანდფიორდი | 2 | 0 | 4 | 151:165 | 4 |
| ბანიკი | 1 | 1 | 4 | 170:181 | 3 |

*მეოთხედფინალში ითამაშებენ: პივოვარნა, ბადელი, ბარსელონა, მონპელიე, ბრაგა, კილი, ლოვჩენი, პორტლენდი*



რაულ გასპარი (№6) „ბარსელონას" ერთი გოლით შეეწია

**სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!**

**22 დეკემბერს, 16 საათზე სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაცია აწყობს პრესკონფერენციას საქართველოს ნაკრების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში მონაწილეობასთან დაკავშირებით**



# ასვლა და ნასვლა

**ერთი** კვირა გავიდა დევისის თასზე ესპანელთა პირველი გამარჯვებიდან და ტრიუმფატორთა რიგებმა პირველი დანაკარგიც განიცადა. ოთხი მწვრთნელისგან შემდგარი კვარტეტი, რომელიც ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონობისკენ გაუძღვა, ორშაბათს დაიშალა.

ხავიერ დუარტეს, ხოსე პერლასის, ხუან ბაუტისტა ავენდანოსა და ხორდი ვილაროს გადაწყვეტილების შესახებ, რომლებიც ამავე დროს გუნდის წევრების — ალექს კორეჩას, ალბერტ კოსტას და ხუან კარლოს ფერეროს მწვრთნელებიც არიან, საზოგადოებას ესპანეთის ჩოგბურთის ფედერაციამ ამცნო (RFET).

კვარტეტი, რომელსაც ესპანეთში G-4-ს ეძახიან (G7 — განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების შვიდეულის ანალოგით), ამ დღეებში მადრიდში შეკრებილა და გადაწყვეტილებაც ერთხმად მიუღია.

„ეს პროექტი ერთწლიანი იყო, თითოეულ ჩვენგანს სხვა, პირადი საქმეებიც გვაქვს, რომელთაც დიდი დრო მიაქვთ. ძალიან იოლი გახლდათ, ამ ეიფორიით გვესარგებლა და კიდევ საmწლიანი კონტრაქტი მოგვეთხოვა, მაგრამ ეს არ მოვისურვეთ — განაცხადა ხავიერ დუარტემ, რომელიც წლეულს ოთხივე სანაკრებო მატჩის დროს კაპიტნის მოვალეობას ასრულებდა.

ესპანეთის ჩოგბურთის ფედერაციას კი დევისის თასის მომავალი თავკაცის ბედი ჯერ არ გადაუწყვეტია.

**ავთანდილ სვანიძე**




ასე ქშვებოდა ჰერმან მაიერი

# მაიერს კლემ დასჭირდა

**გასული** უქმეები სამთოსათხილამურო სპორტის უგვირგვინო მეფის ჰერმან მაიერისთვის მეტად უიღბლო გამოდგა — მცირე ადმინისტრაციული დარღვევის გამო დიდი ავსტრიელი ერთრბოლიანი დისკვალიფიკაციითა და 25 ათასი შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმეს, თანაც სასამართლოში ჩივილითაც ემუქრებიან.

საქმის ვითარებას ერთხელაც შეგახსენებთ: კვირას გიგანტური სლალომის ეტაპის წინ ვარჯიშისთვის გამოყოფილ დროს მაიერმა 2 წუთით გადაამეტა, რისთვისაც ავტომატურად დისკვალიფიკაცია მიიღო. თოვლიან ტრასებზე გრიგალივით ქროლვის გარდა სიფიცხითაც ცნობილმა ავსტრიელმა არც აცია, არც აცხელა, მთის წვერზე ერთხელაც აბვრა და ისევ დაეშვა. სასამართლოში პასუხისგებითაც სწორედ ამ საქციელისთვის ემუქრებიან, მომსახურე პერსონალის სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდოო.

ცხადია, მაიერს ყველაფერი ეს გულზე მალამოდ არ მოეცხო და ორშაბათს თხილამურობის საერთაშორისო ფედერაციაში აპელაცია აახლა. „დისკვალიფიკაციის წინააღმდეგ პროტესტს იმიტომ გამოვთქვამთ, რომ რბოლის დირექტორის, გიუნტერ ჰუიარასა და სხვა თვითმხილველების განცხადები ერთმანეთს არ ემთხვევა — განაცხადა ავსტრიის თხილამურობის ფედერაციის ადვოკატმა კარლ-ჰაინც კლემ — თანაც დროის ოფიციალური საზომიც არ მუშაობდა".

ადვოკატის თქმით, დისკვალიფიკაცია სპორტის წესებსაც ეწინააღმდეგება, რომელთა მიხედვითაც მოთხილამურის მოკვეთა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მეტოქეებზე თაღლითური გზით მოიპოვებს უპირატესობას.

ორშაბათსვე მაიერის საინტერნეტო მისამართზე ავსტრიელის განცხადებაც გამოჩნდა. ავსტრიელი თავს იმართლებს, ჩემი და ორგანიზატორების საათები სხვადასხვა დროს უჩვენებდა და ამიტომ დავაგვიანე, საფრთხეში კი არავის სიცოცხლე არ ჩამიგდიაო.

„ყველა, ვინც ეს ტელევიზორში ნახა, დამეთანხმება, რომ მეორედ სწრაფად არ ჩამოვსრიალებულვარ და საფრთხეშიც არავინ ჩამიგდია. თავად ისეთი გრძნობა მაქვს, რომ სათხილამურო ცირკის არენაზე ჩემი წარმატებების ვილაცეებს შურთ და არასპორტული მეთოდებით მებრძვიან. მაგრამ არა უშავს, ყველანაირ ფსიქოტერორის გავუძლებ და ჩემს არაკეთილმოსურნეებს ისევ საუკეთესო შედეგებით ჩავაჩუმებ".

ახლა სიტყვა თხილამურობის საერთაშორისო ფედერაციის სააპელაციო კომისიაზეა.

**დავით ხარზიანი**

ბიატლონი

# მფრინავი შვედი და ფრანგი აქლემი

**ბიატლონის** უბერებელი ვარსკვლავი, მსოფლიოს თასის შარშანდელი გამარჯვებული მაგდალენა ფორსბერგი წლეულსაც ამ პრესტიჟული ტიტულის მოპოვებას უმიზნებს. 33 წლის შვედმა ამ უქმეებზე ერთბაშად ორი ეტაპი მოიგო და საერთო ჩათვლაში სეზონში პირველადაც დაწინაურდა.

7,5-კილომეტრიანი სპრინტის შემდეგ, ისედაც პირველ ადგილზე მყოფ სკანდინაველს ინდივიდუალურ გამოდევნებაში ლიდერობა რომ დაეკარგა, ალბათ, სამიზნეთა ნახევარი მაინც უნდა აეცილებინა. თხილამურობაში მეტად სწრაფმა მაგდალენამ ამის ნაცვლად, კვირას თითქმის უნაკლოდ ისროლა და შანსი არავის დაუტოვა — მეორე ადგილზე გასულ ანდრეა ჰენკელს თითქმის მთელი წუთით აჯობა.

ორმაგი ტრიუმფის შედეგად ფორსბერგმა საერთო ჩათვლებშიც გვარიანად მოითბო ხელი და ძველ ლიდერს, ამ უქმეებზე უხეიროდ გარჯილ ფრანგ კორინ ნიოგრეს მცირედით გადაასწრო.

კაცებში 12,5-კილომეტრიანი გამოდევნება გაცილებით დაძაბულად წარიმართა. ნორვეგიელი ოლე ეინარ ბიორნდალენი კილომეტრიდან კილომეტრამდე ამცირებდა ჩამორჩენას პირველ ადგილოსან, ოქროსფერი მაისურის პატრონ (ბიატლონში საერთო ჩათვლის ლიდერს ერგება) ფრანგ რაფაელ პუარესთან, სანამ უკანასკნელი სროლების წინ 37-წამიანი სხვაობა 8-მდე არ ჩამოიყვანა.

ამ მომენტში პუარესაც აუკანკალდა ხელი, ერთი სამიზნე გააფუჭა და ლიდერობა ნორვეგიელს გადაულოცა, რომელმაც ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა. „სამხრეთულ აქლემად" წოდებული პუარე მეორე იყო, თუმცა ნოგრესგან განსხვავებით, საერთო ჩათვლაში უახლოეს მდევრებს მაინც საგრძნობლად უსწრებს.

**დავით ხარზიანი**

**მსოფლიოს თასი**

ანტოლცი. 10 კმ. ქალები

1. მაგდალენა ფორსბერგი 35:05,1
2. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) +48
3. უში დიზლი (გერმანია) +1:06,7
4. ალიონა ზუბრილოვა (უკრაინა) +1:16,3
5. ოლგა პილევა (რუსეთი) +1:30,4

**საერთო ჩათვლა**

1. ფორსბერგი 270 ქულა
2. კორინ ნიოგრე (საფრანგეთი) 264
3. ზუბრილოვა 244
4. ჰენკელი 199
5. დიზლი 196

ბრიუსონი. 12,5 კმ. კაცები

1. ოლე ბიორნდალენი 36:08,2
2. რაფაელ პუარე +41,8
3. სვენ ფიშერი (გერმანია) +55,4
4. ფროდე ანდერსენი (ნორვეგია) +1:46,2
5. ჰარალდ ჰანევოლდი (ნორვეგია) +1:49,1

**საერთო ჩათვლა**

1. პუარე 325 ქულა
2. ბიორნდალენი 269
3. ფიშერი 219
4. ჰანევოლდი 202
5. ანდერსენი 187



მაგდალენა ფორსბერგი

ჰოკეი

# პინგვინთა ამხანაგობა

18 დეკემბერი

**ვაშინგტონი — სან ხოსე 3:5**

2:1 1:2 0:2

1:0 გონჩარი 2'20 (6); 1:1 ტორნტონი 4'23 (8); 2:1 გონჩარი 9'18 (7); 2:2 ჰარვი 26'00 (4); 3:2 ოუთსი 31'18 (5); 3:3 სუტერი 39'08 (5); 3:4 ჰარვი 45'06 (5); 3:5 ჰარვი 59'43 (6)

**მონრეალი — კოლუმბუსი 0:2**

0:1 0:1 0:0

0:1 ნილსენი 12'03 (2); 0:2 ადამსი 23'59 (5)

**რეინჯერსი — ფლორიდა 6:3**

2:0 1:1 3:2

1:0 ლიჩი 5'25 (9); 2:0 მესიე 19'58 (15); 3:0 გრეივსი 21'09 (6); 3:1 შვეჩლა 21'48 (2); 4:1 დვორჟაკი 41'24 (9); 4:2 პეიერი 44'51 (4); 5:2 ჰლავაჩი 46'21 (12); 5:3 მელანბი 46'37 (3); 6:3 მაკარტი 59'07 (4)

**დეტროიტი — ედმონტონი 4:3**

1:1 0:1 2:1 1:0

1:0 ლიდსტრომი 5'23 (8); ნიინიმაა 14'19 (5); 1:2 ჰორკოფი 28'22 (3); 2:2 ვერბიკი 41'54 (6); 2:3 ლარაქი 55:'22 (5); 3:3 ჰოლმსტრომი 59'26 (6); 4:3 მერფი 43'05 (2)

კვლავ არ წყდება ლაპარაკი მარიო ლემიეზე. სახელოვანმა ჰოკეისტმა, რომელიც, სავარაუდოდ, 27 დეკემბერს აპირებს ყინულზე გასვლას, თავისი პირველი ვარჯიში პიტსბურგთან ერთად უკვე ჩაატარა და გუნდს ორ საგარეო მატჩზეც გაჰყვება. მისი მომავალი პარტნიორები კი აღტაცებას ვერ მალავენ სუპერმარიოს დაბრუნების გამო. „ოსტატები ყოველთვის ოსტატებად რჩებიან, ამიტომ მოუთმენლად ველი ლემიესთან შეხვედრას" — ამბობს „პინგვინთა" ერთ-ერთი ლიდერი ალექსეი კოვალიოვი, მოწინავე სამეულში ლემიესა და იაგრისთან შეამხანაგებული ჰოკეისტი.

ამასობაში კვლავ გამოირჩა სან ხოსე. „ზვიგენებმა" არად ჩააგდეს ის, რომ ვაშინგტონმა წინა 9 შეხვედრა შინ წაუგებლად ჩაატარა და მესამე პერიოდში მაინც გატეხეს დედაქალაქელები. მატჩის გმირი კი ტოდ ჰარვი გახდა. ფორვარდმა, რომლის მოვალეობაც მეტოქეთა ლიდერების გაუვნებლება გახლავთ, ამჯერად თავს გოლების გატანის უფლებაც მის[illegible]ერაში მე-2 ჰეთ თრიქი შეასრულა.

კიდევ ერთ უხვგოლიან მატჩში რეინჯერსმა ნანატრი გამარჯვება იზეიმა. გუნდის უდისციპლინო დაცვამ ამჯერადაც ბევრი შეცდომა დაუშვა, მაგრამ მათი გაფუჭებული საქმე ფორვარდებმა გამოასწორეს. „რეინჯერთა" ლიდერებს — ტეო ფლერის (ზედიზედ 9 შეხვედრაა, ქულებს აგროვებს), მარკ მესიესა და ბრაიან ლიჩს ახლა „ჩეხური ხაზიც" დაეხმარა, რომლის ცენტრმა პაველ ნედვედმაც სამმატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ დაბრუნება 3 პასით აღნიშნა.

მონრეალი კი სულ უფრო მიექანება ფსკერისკენ. საკუთარ მოედანზე კანადელები ვერც დებიუტანტ კოლუმბუსს გაუმკლავდნენ. გუნდს ვერც საკუ კოივუმ უშველა, რომელიც ხანგრძლივი არყოფნის შემდეგ, როგორც იქნა, გამოჩნდა და წინა შეხვედრაში პიტსბურგთან თავისიანებს 2 შაიბით ქულაც მოუტანა.

**სამველ ლარიბიანი**

## კვირის მოთამაშე

**ოლაფ კოლციგი (ვაშინგტონი)**



**ზედიზედ** მესამე კვირაა, ლიგის მეკარეები საუკეთესო მოთამაშის ტიტულს არავის უთმობენ. ამჯერად ყველაზე გამოსარჩევი ორი მათგანი იყო. სანხოსელი ევგენი ნაბოკოვი კვლავ აოცებს სპეციალისტებს და ლიგის საუკეთესო ახალბედისთვის განკუთვნილ პრიზს უმიზნებს. თუმცა ამ კვირაში იგიც კი დაჩრდილა ოლაფ კოლციგმა. წინა სეზონის რჩეული მეკარე თავისი გუნდის დარად რიგიანად ათამაშდა და კვლავ ჩვეულ დონეს უახლოვდება. სამ მატჩში კოლციგმა სულ 3 შაიბა გაუშვა, ვაშინგტონს სამივე შეხვედრა მოაგებინა და კვირა შათაუტით (ედმონტონთან 4:0) დაასრულა, რომელიც მის კარიერაში მე-19 გახლავთ.

აღსანიშნავია, რომ წინა კვირაში ფორვარდებმაც იყოჩაღეს. რამდენიმემ, მათ შორის ბუფალოელმა ჟან პიერ დიუმონმა, სენტლუისელმა პიერ ტარჯონმა, იარომირ იაგრმა, რომელიც ლემიეს დაბრუნების ამბავმა ერთობ წაახალისა, ჰეთ თრიქი გაახერხეს. ლოსანჯელესელმა მცველმა რობ ბლეიკმა კი, ქომაგთა გასაკვირად, რეინჯერსთან შეხვედრაში 5(3+2) ქულა მოაგროვა. თუმცა ერთი რამ უნდა ითქვას — მეკარეებისგან განსხვავებით, ზემონახსენები მოთამაშეები თითო-თითო მატჩში გამოირჩნენ.

**საუკეთესო ექვსეული**

11-17 დეკემბერი

*ოლაფ კოლციგი (ვაშინგტონი, 1); რობ ბლეიკი (ლოს ანჯელესი, 2) — ჯეისონ იორკი (ოტავა, 1); ჟან პიერ დიუმონი (ბუფალო, 1) — დეიმონ ლენგკოუ (ფილადელფია, 1) — ბრეტ ჰალი (დალასი, 1)*

**სატურნირო ვითარება**

**ჩრდილო - აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 31 | 19 | 4 | 0 | 8 | 101:69 | 42 |
| ტორონტო | 32 | 17 | 4 | 3 | 8 | 110:77 | 41 |
| ბუფალო | 30 | 17 | 2 | 1 | 10 | 86:77 | 37 |
| ბოსტონი | 32 | 11 | 3 | 3 | 15 | 80:108 | 28 |
| მონრეალი | 34 | 9 | 4 | 0 | 21 | 79:101 | 22 |

**ჩრდილო - დასავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 32 | 21 | 5 | 0 | 6 | 100:72 | 47 |
| ვანკუვერი | 32 | 17 | 4 | 2 | 9 | 111:85 | 40 |
| ედმონტონი | 35 | 16 | 4 | 1 | 14 | 100:97 | 37 |
| კალგარი | 34 | 10 | 6 | 4 | 14 | 79:99 | 30 |
| მინესოტა | 33 | 9 | 5 | 2 | 17 | 67:79 | 25 |

**ცენტრი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 29 | 21 | 4 | 0 | 4 | 103:56 | 46 |
| დეტროიტი | 35 | 19 | 3 | 2 | 11 | 108:94 | 43 |
| ნეშვილი | 33 | 11 | 6 | 1 | 15 | 71:88 | 29 |
| ჩიკაგო | 33 | 11 | 2 | 2 | 18 | 81:101 | 26 |
| კოლუმბუსი | 34 | 10 | 2 | 2 | 20 | 69:104 | 24 |

**სამხრეთ - აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვაშინგტონი | 32 | 13 | 6 | 1 | 12 | 79:82 | 33 |
| კაროლინა | 30 | 12 | 4 | 1 | 13 | 72:87 | 29 |
| ატლანტა | 31 | 11 | 6 | 1 | 13 | 86:101 | 29 |
| ტამპა | 31 | 10 | 3 | 2 | 16 | 86:109 | 25 |
| ფლორიდა | 32 | 6 | 6 | 5 | 15 | 71:95 | 23 |

**ატლანტა**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 31 | 15 | 5 | 0 | 11 | 102:79 | 35 |
| ფილადელფია | 32 | 14 | 6 | 0 | 12 | 87:89 | 34 |
| რეინჯერსი | 34 | 16 | 1 | 0 | 17 | 119:123 | 33 |
| პიტსბურგი | 32 | 14 | 4 | 1 | 13 | 93:96 | 33 |
| აილენდერსი | 31 | 9 | 4 | 2 | 16 | 70:93 | 24 |

**წყნარი ოკეანე**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სან ხოსე | 30 | 20 | 4 | 0 | 6 | 91:64 | 44 |
| დალასი | 31 | 17 | 4 | 1 | 9 | 84:68 | 39 |
| ლოს ანჯელესი | 32 | 15 | 7 | 0 | 10 | 110:95 | 37 |
| ფინიქსი | 31 | 14 | 8 | 1 | 8 | 78:69 | 37 |
| ანაჰაიმი | 35 | 13 | 4 | 3 | 15 | 89:105 | 33 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

*ბომბარდირები: ფლერი (რეინჯერსი) 48 (21+27); პალფი (ლოს ანჯელესი) 46 (21+25); ლიჩი (რეინჯერსი) 43 (9+34); რობიტაილი (ლოს ანჯელესი) 42 (18+24); საკიკი (კოლორადო) 42 (16+26); ელისონი (ბოსტონი) 40 (16+24); უეიტი (ედმონტონი) 40 (9+31); მესიე (რეინჯერსი) 39 (15+24); ფიოდოროვი (დეტროიტი) 38 (15+23); ოდეტი (ატლანტა) 38 (14+24); ჰასა (ოტავა) 37 (16+21); გერინი (ბოსტონი) 36 (20+16); ჰალი (დალასი) 36 (19+17); კოვალიოვი (პიტსბურგი) 36 (17+19); ბონკი (ოტავა) 36 (11+25)*

*ახალბედები: რიჩარდსი (ტამპა) 28 (10+18); უილისი (კაროლინა) და რაინპრეხტი 18 (8+10); ვისნოვსკი (ორივე ლოს ანჯელესი) 18 (3+15); დ. სედინი (ვანკუვერი) 17 (9+8); უილიამსი (ფილადელფია) და საპრიკინი (კალგარი) 17 (7+10); ჰავლატი (ოტავა) 16 (8+8)*



კოლუმბუსის მეკარე რონ ტაგნატმა
მონრეალელი ჩედ კილგერი კარიდან გააგდო

# მხიარული ტრიბუნა




REUTERS პიტსბურგიდან

ამერიკული ბურთაობის სეზონი თავის გადამწყვეტ დღეებს უახლოვდება. პიტსბურგის „სრი რივერის“ სტადიონზე იქაურ „სტილერთა“ საშობაო ქომაგობა მიმდინარეობს. ბარემ აქვე ვთქვათ: თებერვალში „სრი რივერის“ რეკონსტრუქცია დაიწყება.

# ლაურეატები

*ფოტოზე სიდნეის ოლიმპიური ჩემპიონები და გუშინწინიდან ბულგარეთის წლის საუკეთესო სპორტსმენებია აღბეჭდილი. მათში ბულგარელთა საამაყო ძალოსნების ნაკლებობაა, მარცხნიდან პირველია მარტო შტანგის კაცი და გალაბინ ბოევსკი ჰქვია. სხვა ძალოსნებს ტიტულები არა და სპორტული ვირის აბანო, ანუ დისკვალიფიკაცია ერგოთ სიდნეიში დოპინგის სიყვარულისთვის, ხოლო ფოტოზე სხვები გახლავან: ტყვიის მსროლელი მარია გროზდევა, მოჭიდავე არმენ ნაზარიანი, სამხტომელი ტერეზა მარინოვა და კიდევ ერთი მსროლელი ტანიუ კირიაკოვი.*




REUTERS სოფიიდან

# კუერტენის მზადება

*მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში, კამბორიუში ვარჯიშობს. თხუთმეტ იანვარს მომავალი წლის პირველი დიდი ტურნირი, ავსტრალიის ღია პირველობა იწყება. კუერტენი პირველად ებმევა დიდი სლემის ტურნირში როგორც პირველი ჩოგანი და მზადებაც განსაკუთრებული მართებს, მახვილი ვიდეოთვალი კი აქაც არ ეშვება განთქმულ ბრაზილიელს.*





REUTERS კამბორიუდან

# საშობაო ჩეკი

*მეგოლფე-ყვანჯოსნები რომ ფულიანი ხალხია, ცნობილი ამბავია. ინგლისელ საიმონ დაისონს ჰონკონგის ღია პირველობა მოუგია. თასი თასად და ნახევარი მილიონი დოლარის ჩეკი მართლაც საუცხოო ჰონორარია საშობაოდ.*




# ხელმძღვ დაგვიბანიაო...

*ცხრა წლის წინ მაიკლ უოტსონს რინგზე ტვინი შეურყიეს (მსოფლიოს პირველობა მიდიოდა) და ინვალიდის სავარძელს მაშინ მიეჯაჭვა. პასუხისგება და მილიონფუნტიანი კომპენსაცია სასამართლომ დიდი ბრიტანეთის კრივის საბჭოს დააკისრა, მაგრამ იქაურმა კრივის მამებმა, ჩვენ რა შუაში ვართო და ლონდონის უმაღლეს სასამართლოს აპელაციით მიმართეს.*

*ამაოდ...*



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია** ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის რედაქცია** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge



ზურაბ ხიზანიშვილი

# ლოგიკა აბსურდისა

## ნუ იქნებით რომის პაპზე კათოლიკენი!

დასაწყისი პირველ გვერდზე

— ხიზანიშვილს ფეხი ნაღრძობი ჰქონდა და ვურჩიე, 10 დღე დაესვენა. ვიცოდი, მისი ახალგაზრდა ორგანიზმისთვის ესეც სავსებით საკმარისი იქნებოდა. როგორც ვიცი, ის ძუნძულს მეთორმეტე დღეს შეუდგა და იმ დროისთვის, როცა ლონდონში გაემგზავრა, სრული დატვირთვით ვარჯიშის უფლება ჰქონდა — გვიპასუხა გუშინვე ოთარ ღუდუშაურის სახელობის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მეცნიერ-მუშაკმა ვაჟა გაფრინდაშვილმა.

სხვათა შორის, ბატონმა ვაჟამ ამ ცოტა ხნის წინ წარმატებული ოპერაცია ჩაუტარა უკრაინელი ექიმებისგან წლობით ნატანჯ მიხეილ ფოცხვერიას.

მაშ, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ: ხიზანიშვილი ქუთაისში 25 ნოემბერს დაშავდა, აქედან 14 დეკემბრამდე კი, როცა ზურაბი „ვესტ ჰემში" გასასინჯად გაემგზავრა, სრული 19 დღეა. ამ ვადაში კი 10-12-დღიანი დასვენება და ერთკვირიანი ძუნძული უპრობლემოდ ეტევა. ასე რომ, „ლოკომოტივი" უსაფუძვლოდ შეწუხებულა.

რკინიგზელთა პრეტენზიის ერთ ნაწილში თუ ასე იოლად გავერკვიეთ, აბსურდის ჯაჭვამდე მივყავართ საჩივრის უმთავრეს საკითხს: კლუბი იჩემებს, ფეხბურთელი ჩვენია და დაუკითხავად გასინჯვაზე როგორ მიდისო. არც ამის პასუხებია ძნელი საპოვნელი. ერთი მათგანი ინებეთ: ჯერ კიდევ პარასკევის „სარბიელის" კითხვას, „ლოკომოტივში" თუ იციან იმის თაობაზე, ზურა ლონდონში რომ წავიდაო, ნოდარ ხიზანიშვილმა ასე უპასუხა: „მიწვევა ზურას პირადად მოუვიდა, მაგრამ ფაქსი კლუბშიც მივიტანე და საქმის კურსში ჩავაყენე".

მას აქეთ „ლოკომოტივის" მწვრთნელთა შტაბთან დაკავშირებით ბუნდოვანი სიტუაციის გასარკვევად „სარბიელს" ორ-ორჯერ მაინც მოუხდა რკინიგზელთა პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტისა თუ მთავარი მწვრთნელის შეწუხება. მსგავსი პრეტენზია, უფროსი ხიზანიშვილი სიმართლეს არ ამბობსო, მათგან არ გვსმენია. ნოდარ ხიზანიშვილმა იგივე მერაბ ჟორდანიასთან გუშინდელი შეხვედრისასაც გაიმეორა, მაგრამ ახლა ამ საქმეში მთავარ სათქმელს აბსურდი უფრო ამბობს, ვიდრე მსგავსი დეტალები.

აბსურდის არსი ასეთია: თუ „ლოკომოტივისა" და ხიზანიშვილის კონტრაქტი ცარიელი და, შესაბამისად, უკანონოა, მაშინ ფეხბურთელი არცაა ვალდებული, რკინიგზელები საკუთარი ასავალ-დასავლის ავან-ჩავანში ამყოფოს, და თუ კონტრაქტი კანონიერია, მაშინ საქმე რატომ მივიდა ფიფას ყურამდე და ფეხბურთის მმართველი მსოფლიო ორგანოც ამ კონტრაქტის რაობით რატომ დაინტერესდა?

„ლოკომოტივი" ხაზსს ასე ებლაუჭება: საქართველოს შრომის კანონის რომელიღაც პუნქტით უვადო ხელშეკრულება დასაშვებიაო. ეს აზრი, სხვათა შორის, არც ფედერაციას ეუცხოვება, რაც, მართალი ვთქვათ, გასაკვირია.

მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით ფიფასთან და მის წევრებთან საქმის რკვევა რამხელა გულუბრყვილობაა, ეს ჩვენი სპორტის ყოფილ მამებს სულ რაღაც ორიოდ წლის წინ მწარედ აქვთ გამოცდილი.

ჩანს, ფედერაციის დღევანდელ ხელმძღვანელობას არ აწყენს შეხსენება, რომ თავად, მისი კლუბებიც და ფეხბურთელებიც ფიფას სუბიექტები არიან და სადავო საკითხთა სამოქალაქო წესებით განხილვა ეკრძალებათ.

საბოლოო სიტყვა ფიფამ უნდა თქვას, ფიფა კი ვერაფერს იტყვის 27 დეკემბრამდე, ანუ მანამდე, ვიდრე საქართველოს ფედერაცია „ლოკომოტივ" — ხიზანიშვილის ცარიელი კონტრაქტის ასლს და საკუთარ კომენტარს არ გაუგზავნის.

27 დეკემბრამდე კი სფფ არ ჩქარობს. დრო გვაქვს, ყველაფერს გავარკვევთ და ფიფას მერე ვუპასუხებთ, ჩათვალეთ, მერაბ ჟორდანიასთან გუშინდელი შეხვედრა ამ კვლევა-ძიების დასაწყისი იყო. საბაბად კი პრეტენზიით ერთ-ერთი მხარის გამოჩენამ იკმარაო — გვითხრა გუშინ ფედერაციის გენმდივანმა ვალერი ჩოლარიამ.

ფედერაცია ახლა იწყებს იმის რკვევას, რასაც „სარბიელი" მეორე თვეა არკვევს. თითქოს ამდენი სარკვევიც რაა, მაგრამ...

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტისთვის ეს კვირა ჩვეულებრივზე მძიმე აღმოჩნდა. ორშაბათს დაიწყო თბილისის „დინამოს" პრეზიდენტის მერაბ რატიანის სასამართლო პროცესი, რომელიც პირდაპირ კავშირშია ორი წლის წინ განხილული 28 მილიონის და „ოთხეულის" საქმესთან. მოგეხსენებათ, ოთხეულში მერაბ ჟორდანიაცაა და თუ ხიზანიშვილის ტრანსფერში გასარკვევად აქამდე ვერ მოიცალა, გასაკვირი არაა.

მოვიცადოთ და ვნახოთ, რას გაარკვევს და უპასუხებს სფფ ფიფას. მანამდე კი „ვესტ ჰემში" გასასინჯად მყოფი ზურაბ ხიზანიშვილის ლონდონურ სიახლეებსაც დროულად გაცნობებთ.

**ვახტანგ ჭიჭაძე**

# არხი ტოკიოში, კალაძე იოკოჰამაში

**ადრეც** გაუწყეთ, რომ საქართველოს ნაკრებისა და კიევის „დინამოს" მცველი კახა კალაძე მსოფლიოს ნაკრებშია მიწვეული და 3 იანვარს იაპონიის ქალაქ იოკოჰამაში კორეა-იაპონიის ერთიანი გუნდის წინააღმდეგ ითამაშებს.

გუშინწინ კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ეს ამბავი იაპონიის ფეხბურთის ასოციაციის გენერალურ მდივანმა კენჯი მორიმაც შეატყობინა.

იაპონელი წერს, რომ ტოკიოს სამაუწყებლო სისტემის 50-ე წლისთავთან და ამავდროულად ერთ-ერთი იაპონური არხის გახსნასთან დაკავშირებით გადაუწყვეტიათ, ქალაქ იოკოჰამაში ერთმანეთს კორეა-იაპონიისა და მსოფლიოს ნაკრები გააჯიბრონ. ეს მატჩი ფიფას ეგიდით ჩატარდება და მასში მონაწილეობას ქართველი კახა კალაძეც მიიღებს.

ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია, 3 იანვარს კალაძის პარტნიორები რომელი ფეხბურთელები იქნებიან, თუმც კი ცნობილია, რომ მსოფლიოს ნაკრებს იტალიელი არიგო საკი უთავკაცებს და კახაც ნაღდად ითამაშებს. ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთელს საწინააღმდეგო არაფერი აქვს და მას არც კიევის „დინამო" უშლის.

შეგახსენებთ, სლავა მეტრეველის შემდეგ კახა კალაძე მეორე ქართველია, ვინც მსოფლიოს ნაკრებში მიიწვიეს.

**ლუკა თალაკვაძე**

## ესპანეთი

XVI ტური

**რეალი 3:1 რაიო ვალეკანო**

1:0 ფიგუ (9), 2:0 ელგერა (14), 2:1 მიჩელი (64), 3:1 რაული (73)

## ინგლისი

თასის II ეტაპი

გადათამაშება

**ლუტონი 2:0 დარლინგტონი**

**ნოტსი 2:1დ.დ. (1:1) უიგანი**

**ოლდემი 0:1 პიტერბრო**

**რედინგი 1:3 იორკი**

**უიკომბი 2:1 მილუოლი**

ლიგის თასი

მეოთხედფინალი

**კრ. პალასი 2:1 სანდერლენდი**

**სიტი 1:2დ.დ. (1:1) იფსვიჩი**

# ფრანგული გაკვეთილ

## რა ღირს მოჭარბებული ბრძოლისუნარიანობა?

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციას უეფასთვის 2 ათასი შვეიცარიული ფრანკის გადახდა მოუწევს.

ამას წინაც ხორვატიაში გამართულ ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებში ქართველი ჭაბუკების არასპორტული ქცევა უეფას სადისციპლინო კომიტეტმა სწორედ ამდენად შეაფასა.

ქართველმა ფეხბურთელებმა ორივე შეხვედრაში 4-4 ყვითელი ბარათი დაიმსახურეს და, რაღა თქმა უნდა, ეს ფაქტი ხორვატიაში მივლინებულ უეფას დელეგატებს უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ, მათ ყველაფერი თავი[ს] პატაკში აღნიშნა და აგერ, სანქცია[...] საქართველოს ფეხბურთის ფედერ[ა]ციამ აღნიშნული თანხა ერთი თვ[ის] განმავლობაში უნდა გადაურიცხოს უ[ე]ფას.

ამის თაობაზე ქართველი ჭაბუ[...] ბის მწვრთნელის თანაშემწე ზაურ სვ[...] ნაძემ ადრე ეს გვითხრა, ამდენი ყ[...] თელი ბიჭების ბრძოლისუნარიანო[...] ზე მეტყველებსო. კარგია ბრძოლის[უ]ნარიანობა, მაგრამ ზღვარგადასულ[ი], როგორც ჩანს, არაფერი ვარგა.

**ლუკა თალაკვა[ძე]**

# ქართველები ლატვიაში

## ძველი და სამი ახალი

**თბილისის** „ლოკომოტივის" ფეხბურთელები, მცველი ვალერი აბრამ[...] და თავდამსხმელები — დიმიტრი პარამონოვი და ბორის გონჩაროვი, რამდენ[...] დღეში ლატვიას მიაშურებენ და ერთ-ერთ იქაურ კლუბში დარჩენას ეცდებ[...]

ისინი გუშინ „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე „ლოკომოტივისა" და სხვა ქა[...] თული კლუბების რამდენიმე ფეხბურთელთან ერთად ვარჯიშობდნენ და სა[...] ტვიოდ ემზადებოდნენ.

„ლოკომოტივის" მწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილის თქმით, ამ ფეხბურთელ[...] ლატვიაში წასვლა, რაღა თქმა უნდა, რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელ[...] ბასთანაც შეთანხმებული იქნება.

24 დეკემბერს რიგის „სკონტოში" საქართველოს ნაკრების მეკარე დავ[...] გვარამაძეც გაემგზავრება თავის ახალი კლუბის ვინაობის გასარკვევად. გვარ[...] მაძე ჯერჯერობით ისევ „სკონტოს" საკუთრებაა.

ალბათ იცით, ეს მეკარე ლატვიელებს რუსეთის „კრილია სოვეტოვში" ჰყავდ[...] განათხოვრებული და რადგანაც იგი გუნდის ძირითად შემადგენლობაში იშვ[...] თად ხვდებოდა, იჯარის ვადა კი ამოიწურა, ისევ „სკონტოს" დაუბრუნდ[...] კლუბის პრეზიდენტთან და მენეჯერთან ერთად კი ახალ გუნდში გადასვლა[...] იფიქრებს. ისე, გამორიცხული არ არის, გვარამაძე რიგაშივე დარჩეს ან საქა[რ]თველოში დაბრუნდეს და რომელიმე აქაურ გუნდში ითამაშოს.

**კობა ინასარი[...]**



დიმიტრი პარამონოვს (ბურთით) სალატვიოდ ამზადებენ


ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

საქართველოს ჩემპიონატი 12 უმაღლესი ლიგა
საშემოდგომო ეტაპი

# №6 მერანი

# მეექვსე ექსპერიმენტული

**ექვსეულში** მოხვედრა დაისახა თბილისის „მერანმა" მიზნად მეთორმეტე ეროვნულში და ამ მხრივ საშემოდგომო ეტაპი წარმატებითაც გაიარა. სეზონის დაწყებამდე და მერეც გუნდში გარკვეული პრობლემები შეიქმნა, მაგრამ ავჭალელებმა ყოველივე უკან მოიტოვეს.

გუნდს არ გააჩნია ისეთი ბაზა, სადაც შეკრების მოწყობაა შესაძლებელი. „სინათლეზე" ოდენ გასახდელები, საშხაპე და რამდენიმე ოთახია. ფეხბურთელები იმ მინდორზე ვარჯიშობენ, სადაც ჩემპიონატის და სათასო მატჩებს ატარებენ. ფინანსურ სიტუაციას კი მართლაც არა უშავს, თუმც ვერც საათივით აწყობილ მექანიზმს შეედრება. მეთორმეტე ეროვნულისთვის „მერანი" ათი დღით ადრე შეიკრიბა და ერთობ ხანმოკლე, ერთკვირიანი შეკრება მოაწყო ყვავილნარში. თანაც „მერანი" შემადგენლობის მხრივ ფაქტობრივად ახალი, სისხლგადაუსხმელი შეეგება სეზონს.

პირველ ტურებში „მერანი" იმ თამაშს აჩვენებდა, რაც ექვსეულში მოხვედრისთვის შესაფერისი იყო, მაგრამ ეს ბალანსი გუნდმა მერვე ტურამდე შეინარჩუნა. აი, სწორედ მაშინ იჩინა თავი სეზონისთვის არასათანადოდ მოუმზადებლობამ.

გუნდის თავკაცი სერგო გაბელაია ერა და ვერ ახერხებდა სტაბილური, ოპტიმალური შემადგენლობის ჩამოყალიბებას. ძირითადი ბირთვი ვითომდა ყველა თამაშში შენარჩუნებული იყო, მაგრამ რამდენიმე ფეხბურთელი ხშირად ვარდებოდა შემადგენლობიდან, სისტემატურად სხვადასხვა პოზიციებზე ინჯებოდა მწვრთნელის მიერ. ყოველივე ეს, წესით და კანონით, სეზონისწინა საკონტროლო შეხვედრებში უნდა მომხდარიყო, მაგრამ...

როცა მერვე ტურში „მერანმა" ბოლნისის „სიონს" უმასპინძლა და უფერული თამაშის გამო მხოლოდ ფრეს მიაღწია, აშკარად გამოჩნდა, რომ გუნდს ჩალომასვლა ეწყებოდა. რა თქმა უნდა, ფეხბურთელებიც გრძნობდნენ ამას და „მერანს" ფსიქოლოგიურადაც გაუჭირდა. სერგო გაბელაიას უმაღლესი ლიგის გუნდებში მთავარ მწვრთნელად მუშაობის დიდი გამოცდილება არ გააჩნია და მენტალური მხარის მოგვარება, შეიძლება ითქვას, ფეხი დაუცდა. „სიონის" მასპინძლობის შემდეგ „მერანმა" გაბელაიას ხელმძღვანელობით კიდევ ხუთი მატჩი ჩაატარა, აქედან ორი წააგო და სამი ფრედ ითამაშა, გაიტანა ერთი და გაუშვა 7 ბურთი, მეხუთე ადგილიდან მერვეზე ჩამოქვეითდა. შედეგად, სერგო გაბელაია და მისი ერთ-ერთი თანაშემწე ავთო ნებიერიძე გუნდს ჩამოშორდნენ, მთავარ მწვრთნელად კი „მერანის" ყოფილი ფეხბურთელი და საიმდროოდ გაბელიაიას კიდევ ერთი ასისტენტი დავით ჯიშკარიანი გაამწესეს.

საინტერესო ამბები კი „მერანში" მანამდეც მოხდა. კლუბის ხელმძღვანელობამ უკრაინელ ლეგიონერებს უხმო. პირველი მერცხალი ანდრეი მუხინი გახლდათ. უკრაინელი თავის პირველ მატჩებში (დებიუტი მესამე ტურში) კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ მერე ნელ-ნელა უკლო თამაშს, ძალები გამოეფიტა. გაბელია კი ამასობაში ექსპერიმენტებს ატარებდა — მუხინი ხან ეულ საყრდენად მოგვევლინა, ხან შეწყვილებულად, ხან პლეიმეიკერად. უკრაინელმა შორეული ძლიერი დარტყმებით დაგვამახსოვრა თავი, მაგრამ უცხოელის გოლს მეთორმეტე ეროვნულის საშემოდგომო ეტაპზე მაინც ვერ ვეღირსეთ. მისმა თანამემამულე მიკოლა პოდლესნიმ ქართული ჩემპიონატი ქუთაისში დააჭაშნიკა (მეშვიდე ტური), დებიუტი ურიგო არ გამოსვლია, მაგრამ შემდეგ მყისვე მიაყოლა უფერულად ჩატარებული შეხვედრები. ერთი სიტყვით, უკრაინულმა ექსპერიმენტმა „მერანს" ჯერჯერობით ვერ გაუმართლა. სლავების შესაძლებლობები რეალურად საგაზაფხულო ეტაპზე გამოჩნდება თუ, რა თქმა უნდა, „მერანი" ნაყოფიერ მოსამზადებელ ეტაპს გაივლის.

ცალკე საუბრის თემაა „მერანი" და მსაჯები. ავჭალელებს შავოსნების მიმართ პრეტენზიები უკვე მეორე ტურში, „დილასთან" სტუმრად წაგებული მატჩისას გაუჩნდათ. უკმაყოფილება გამოითქვა რუსთავში ჩატარებულ შეხვედრაშიც (მეხუთე ტური), მერე იყო მატჩი ქუთაისში, სადაც, მერანელთა თქმით, არბიტრმა უსირცხვილოდ გამოიგონა თერთმეტმეტრიანი მეტოქის სასარგებლოდ, მომდევნო ტურში კი საქმე იქამდე მივიდა, რომ „მერან" — „სიონის" შემდეგ ვლადიმერ ჩერქეზოვი არბიტრ კახა მესხის გასაპანღურებლადაც კი გაიწია და ძლივს დააკავეს, მეცამეტე ტურში „მერანი" სტუმრად დამარცხდა „ვიტ ჯორჯიასთან" და შეხვედრის შემდეგ კვლავ ინციდენტი მოხდა — „მერანის" ვიცე-პრეზიდენტმა ანზორ მამალაძემ გზაზე თბილისში მიმავალი მატჩის არბიტრი ავთანდილ შალამბერიძე შეაყოვნა და საქმის გარჩევა დაუწყო... ყოველივე ამის შემდეგ ძნელია იმის მტკიცება, რომ ავჭალელთა უკმაყოფილება და აგრესიულობა მსაჯების მხოლოდ უნებლიე შეცდომებმა გამოიწვია. საშემოდგომო ეტაპის ბოლო მატჩის შემდეგ კი მერანელთა დამრიგებელმა დავით ჯიშკარიანმა საქვეყნოდ უთხრა მადლობა მსაჯთა ბრიგადას — ეს ამ სეზონში ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა შავოსნებმა ობიექტურად განსაჯეს „მერანის" თამაში.



მერანელ იოსებ დევიძეს (მარცხნივ) დინამოელი პაატა ჯინჭარაძე მეურვეობს

საუკეთესო მოთამაშე გუნდში უდავოდ აკაკი დევაძეა. მისი დარი და რანგის ოსტატი „მერანში" არავინაა, თუ, რა თქმა უნდა, მიხეილ ფოცხვერიას არ მივიღებთ მხედველობაში. მაგრამ მიშამ „მერანში" მხოლოდ სამი შეხვედრის ჩატარება მოასწრო, მეთორმეტე ტურში „კოლხეთთან" დაშავდა და მას მერე აღარ უთამაშია. ისე, ექსპერიმენტებს ვერც ის გადაურჩა — „ბათუმთან" ფორვარდად ითამაშა, „ლოკომოტივითან" პირველ ტაიმში მარცხენა ნახევარმცველად მეორეში — თავდამსხმელად, „კოლხეთთან" კი თავდამსხმელებს უკან გაამწესა გაბელაიამ.

აკაკი დევაძის ლიდერობას კი „მერანში" ალტერნატივა არ გააჩნდა. სპეციალისტთა აზრით კაკო დღესდღეობით უძლიერესი მეკარეა საქართველოში.

„მერანი" უმეტესწილად 3-5-2 ტაქტიკური განლაგებით თამაშობდა საშემოდგომო ეტაპის მატჩებს. დაცვის ბურჯი თითქოს ლიბეროდ მოთამაშე, გამოცდილი გოჩა გუჯაბიძე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ასე არ მოხდა, მას რამდენჯერმე საყრდენი გიორგი კვეტენაძე შეენაცვლა. მაგრამ ამ რგოლში ყველაზე შთამბეჭდავად ზაზა ცქიფურიშვილმა ითამაშა. არა უშავდა გიორგი ილურიძეს. წარმატებული გამოდგა დავით ჯიშკარიანის ექსპერიმენტი, როცა კობესაშვილი ნახევარდაცვის ცენტრიდან დაცვაში დასწია. თავი ვერ გამოიჩინა შალვა ივანიშვილმა, თუმც ის არცთუ ხშირად თამაშობდა.

ნახევარდაცვაში ყველაზე საინტერესო ფიგურა, ალბათ, გუნდის კაპიტანი სოსო დევიძეა. მას ორივე ფლანგზე შეუძლია თამაში, ცენტრშიც საიმედოდ გამოიყურება. ტაქტიკური აზროვნებაც მისი ასაკის კვალობაზე (20 წლისაა) ნამდვილად არ დაეწუნება საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრს.

გამთამაშებლის ფუნქციას აშკარად ვერ გაართვა თავი ავთანდილ ხორხელმა. ამ პოზიციაზე პერსპექტიულად გამოიყურება 22 წლის ლევან ბაჯელიძე. „მერანის" გულშემატკივრებს იმედები გაუცრუა დემურ კაკუბავამაც — ამ მარცხენაფლანგელის საფირმო, ძლიერი დარტყმები მეთორმეტე ეროვნულში ჯერჯერობით ვერ ვიხილეთ. მანამდე არ გამოირჩეოდა, მაგრამ საშემოდგომო ეტაპი მაჟორულად ჩაამთავრა ოთარ როსტიაშვილმა, რომლის კუთხურიდან გატანილმა გოლმა „მერანს" ბოლო სამი ქულა მოუტანა. უკანასკნელ ტურებში მკვეთრად მოუმატეს გიორგი კვეტენაძემ და დავით ბოლქვაძემ.

მეთოთხმეტე ტურამდე ინარჩუნებდა ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში ლიდერობას მერანელთა მეგოლე დავით გოდერძიშვილი. რომ არა ბევრი გამოუყენებლი საგოლე მომენტი და ერთი გაცუდებული პენალტი, გოდერძიშვილი ბომბარდირობას არ დათმობდა და კარგა გვარიანადაც ჩამოტოვებდა მდევრებს.

მეტს მოველოდით „დინამოდან" დამატებული მამუკა მინაშვილისგან. თუმც უნდა აღინიშნოს, რომ მას არც „დინამოში" და არც „მერანში" სრულფასოვანი მოსამზადებელი პერიოდი არ გაუვლია. რუსეთის უმაღლეს ლიგაში ნათამაშევი მინაშვილის კოზირი მაღალი ბურთებისთვის ბრძოლაა, ასეთი ტიპის ფორვარდი კი ჩვენში უცხო ხილია და მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ორი გოლი გაიტანა, ერთობ საჭირო მოთამაშეა „მერანისთვის". ფორმაში ვერა და ვერ ჩადგა ლევან თოლორდავა, რომელმაც ერთხელაც ვერ დალაშქრა მეტოქეთა კარი.

სამწვრთნელო ექსპერიმენტის შემდეგ „მერანმა" ოთხი მატჩი გამართა. პირველში, სტუმრად „ვიტ ჯორჯიასთან", ხელი მოეცარა, დანარჩენი სამი კი მოიგო.

ჩავარდნის შემდეგ გარდამტეხი გამოდგა მატჩი ხაშურში განწირულ აუტსაიდერ „იბერიას" ძლევით მერანელებმა ფსიქოლოგიური ბარიერი, როგორც იქნა, გადალახეს. დავით ჯიშკარიანმაც მთავარი მწვრთნელის რანგში პირველი შეხვედრა მოიგო და გუნდის თამაშიც კარგად აეწყო — ექსპერიმენტებით გადატვირთული „მერანი" ექვსეულში დამკვიდრდა. მიღწეულის შესანარჩუნებლად ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, როგორ მოემზადება გუნდი შემდგომი ეტაპისთვის. ერთი სიტყვით, ჯერი კვლავ კლუბის ხელმძღვანელობაზეა. მერანელთა ამბიციურობაზე კი ისიც მეტყველებს, რომ თასის ნახევარფინალშიც გააღწიეს.

**დავით თაგართქილაძე**

## მერანი 2000-01

| ტურის № მეტოქე | ანგარიში | სად | მეგოლე |
|---|---|---|---|
| 1 კოლხეთი | 1:0 | შ | გოდერძიშვილი |
| 2 დილა | 1:2 | ს | გოდერძიშვილი |
| 3 ვიტ ჯორჯია | 2:2 | შ | ბოლქვაძე, მინაშვილი |
| 4 იბერია | 3:1 | შ | გოდერძიშვილი 3 |
| 5 გორდა | 2:2 | ს | ჭინჭარაული, გოდერძიშვილი |
| 6 თსუ | 1:0 | შ | დევიძე |
| 7 ტორპედო | 1:2 | ს | გოდერძიშვილი |
| 8 სიონი | 0:0 | შ | |
| 9 დინამო | 0:4 | ს | |
| 10 ბათუმი | 1:1 | შ | გოდერძიშვილი |
| 11 ლოკომოტივი | 0:2 | ს | |
| 12 კოლხეთი | 0:0 | ს | |
| 13 დილა | 0:0 | შ | |
| 14 ვიტ ჯორჯია | 0:1 | ს | |
| 15 იბერია | 2:0 | ს | მინაშვილი, ბოლქვაძე |
| 16 გორდა | 2:0 | შ | გოდერძიშვილი, ბაჯელიძე |
| 17 თსუ | 1:0 | ს | როსტიაშვილი |

| სახელი გვარი | თამაში | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | შეცვლილი |
|---|---|---|---|---|---|
| იოსებ დევიძე | 17 | 1 | 4 | 1 | 2 |
| დავით გოდერძიშვილი | 16 | 9 | 3 | 0 | 2 |
| აკაკი დევაძე | 16 | -16 | 0 | 0 | 4 |
| მალხაზ ჭინჭარაული | 16 | 1 | 2 | 0 | 1 |
| გოჩა გუჯაბიძე | 14 | 0 | 2 | 0 | 1 |
| გიორგი კვეტენაძე | 14 | 0 | 3 | 0 | 0 |
| დავით ბოლქვაძე | 13 | 2 | 3 | 0 | 0 |
| მამუკა მინაშვილი | 13 | 2 | 1 | 0 | 0 |
| ანდრეი მუხინი | 13 | 0 | 1 | 0 | 3 |
| ზაზა ცქიფურიშვილი | 13 | 0 | 4 | 0 | 1 |
| ლევან ბაჯელიძე | 11 | 1 | 0 | 0 | 0 |
| დემურ კაკუბავა | 11 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კახაბერ კობესაშვილი | 11 | 0 | 2 | 0 | 0 |
| ოთარ როსტიაშვილი | 10 | 1 | 3 | 0 | 0 |
| გიორგი ილურიძე | 9 | 0 | 1 | 0 | 0 |
| ლევან თოლორდავა | 8 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ავთო ხორხელი | 8 | 0 | 1 | 0 | 0 |
| მიკოლა პოდლესნი | 6 | 0 | 1 | 0 | 0 |
| კობა ოდიშარია | 5 | 0 | 0 | 0 | 1 |
| შალვა ივანიშვილი | 4 | 0 | 1 | 0 | 0 |
| მიხეილ ფოცხვერია | 3 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ალეკო კოშკაძე | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |
| რევაზ ნაჭყებია | 2 | -1 | 1 | 0 | 1 |
| ლევან სილაგავა | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |

# საუკეთესო მოთამაშე

## აკაკი დევაძე

28.11.71

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1990 | იბერია | A | 8 | 0 |
| 1991 | მარგვეთი | A | 18 | 0 |
| 91-92 | მარგვეთი | A | 33 | 0 |
| 92-93 | შევარდენი | A | 31 | 0 |
| 93-94 | კოლხეთი | A | 20 | 0 |
| 94-95 | შევარდენი | A | 12 | 0 |
| 1995 | როსტსელმაში (რუსეთი) | A | 15 | 0 |
| 1996 | როსტსელმაში (რუსეთი) | A | 10 | 0 |
| 96-97 | ჰაპოელი (ტაიბე, ისრაელი) | A | 15 | 0 |
| 97-98 | ირონი (რიშონი, ისრაელი) | A | 25 | 0 |
| 98-99 | ირონი (რიშონი, ისრაელი) | A | 26 | 0 |
| 99-00 | ირონი (რიშონი, ისრაელი) | A | 0 | 0 |
| 00-01 | მერანი | A | 16 | 0 |



### ადგილი ტურების მიხედვით



| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლოკომოტივი | 17 | 14 | 1 | 2 | 32:7 | 25 | 43 | 8 | 7 | 0 | 1 | 19:3 | 16 | 21 | 9 | 7 | 1 | 1 | 13:4 | 9 | 22 |
| 2 ტორპედო | 17 | 12 | 3 | 2 | 28:6 | 22 | 39 | 9 | 6 | 2 | 1 | 15:4 | 11 | 20 | 8 | 6 | 1 | 1 | 13:2 | 11 | 19 |
| 3 დინამო | 17 | 12 | 1 | 4 | 43:17 | 26 | 37 | 9 | 7 | 0 | 2 | 28:7 | 21 | 21 | 8 | 5 | 1 | 2 | 15:10 | 5 | 16 |
| 4 ვიტ ჯორჯია | 17 | 9 | 5 | 3 | 26:12 | 14 | 32 | 8 | 6 | 0 | 2 | 11:2 | 9 | 18 | 9 | 3 | 5 | 1 | 15:10 | 5 | 14 |
| 5 კოლხეთი | 17 | 8 | 3 | 6 | 19:14 | 5 | 27 | 8 | 5 | 2 | 1 | 8:4 | 4 | 17 | 9 | 3 | 1 | 5 | 11:10 | 1 | 10 |
| 6 მერანი | 17 | 6 | 6 | 5 | 17:17 | 0 | 24 | 8 | 4 | 4 | 0 | 10:4 | 6 | 16 | 9 | 2 | 2 | 5 | 7:13 | -6 | 8 |
| 7 ბათუმი | 17 | 6 | 3 | 8 | 22:24 | -2 | 21 | 9 | 5 | 1 | 3 | 17:12 | 5 | 16 | 8 | 1 | 2 | 5 | 5:12 | -7 | 5 |
| 8 სიონი | 17 | 4 | 4 | 9 | 12:27 | -15 | 16 | 9 | 2 | 3 | 4 | 8:12 | -4 | 9 | 8 | 2 | 1 | 5 | 4:15 | -11 | 7 |
| 9 გორდა | 17 | 3 | 7 | 7 | 13:22 | -9 | 16 | 9 | 3 | 4 | 2 | 11:7 | 4 | 13 | 8 | 0 | 3 | 5 | 2:15 | -13 | 3 |
| 10 დილა | 17 | 4 | 3 | 10 | 13:32 | -19 | 15 | 8 | 3 | 2 | 3 | 11:12 | -1 | 11 | 9 | 1 | 1 | 7 | 2:20 | -18 | 4 |
| 11 თსუ | 17 | 4 | 2 | 11 | 17:32 | -15 | 14 | 9 | 2 | 1 | 6 | 7:15 | -8 | 7 | 8 | 2 | 1 | 5 | 10:17 | -7 | 7 |
| 12 იბერია | 17 | 0 | 2 | 15 | 3:35 | -32 | 2 | 8 | 0 | 1 | 7 | 1:17 | -16 | 1 | 9 | 0 | 1 | 8 | 2:18 | -16 | 1 |

# ათასი ჭორი და ცოტაც მართალი



ქართულმა ფეხბურთმა ძილისთვის მოიცალაო

*ახალი წელი მოდის, ახალი საუკუნე. ყველაფერი როდი გვექნება ახალი, ძველიც (სიხარული და ჭირ-ვარამი) დაგვრჩება. აბა, ვინ იტყვის თამამად, 1 იანვრიდან შუქი უწყვეტად გვექნებაო. ანაც ქვეყნის აქამდე შეუვსებელი ბიუჯეტი მაინც და მაინც ახალ საუკუნეში შეივსება და არანაირი სეკვესტრი არ დაგვემუქრებაო.*

*მოკლედ, პრობლემები არ დაილევა. სავარაუდოდ, სპორტიც, რა თქმა უნდა, ფეხბურთიც გვექნება ძველებური, თავისი ავ-კარგით.*

*საშემოდგომო ეტაპი ორ კვირაზე მეტია, დამთავრდა. ისვენებენ ფეხბურთელები. მწვრთნელ-პრეზიდენტებს კი სამუშაო ახლა მოსძალებიათ. სატრანსფერო სეზონი გაიხსნა და ახლაა სწორედ მოთამაშეების გადაბირებისა და გასხვისების დრო.*

*ათასი ჭორი და ათასი მართალი მოვისმინეთ ამ ორი კვირის მანძილზე. ზოგიერთის მოსაზრება სიმართლეს კი წააგავს, მაგრამ ფაქტებით ვერ არის გამყარებული. არიან ისეთებიც, რომლებიც ჭორებს საგანგებოდ ავრცელებენ, მერე არეულ-დარეულ ამბებში თავადვე გაიხლართებიან და მერე თავიანთი ტყუილებისა თავადვე სჯერათ. ზოგიც უბრალოდ, ხუმრობის ხასიათზეა და სხვა არაფერი აინტერესებს.*

*ჰოდა, დღეს თორმეტივე უმაღლესლიგელზე იმას მოგახსენებთ, რაც ამ ორ კვირაში გაგვიგია, ოღონდ თან ერთ თხოვნასაც მოვაყოლებთ, ნურავინ მიიღებს ამას სიმართლედ. ნუ დაიხეთქავთ გულებს, არ შეწუხდეთ და მერე არც სხვები შეაწუხოთ.*

*ახალი წელი მოდის, ახალი საუკუნე. ცოტა ხნით მაინც თვალი დავხუჭოთ მწარე რეალობებზე. წლის ბოლოს თავს განტვირთვის უფლება მივცეთ და ცოტათი მაინც გავიღიმოთ.*

## შემოდგომის ჩემპიონი

გარეგნულად სიმშვიდეა რკინიგზელთა ბანაკში, მაგრამ ამბობენ, „ლოკომოტივში" შენელებული მოქმედების ისეთი ნაღმი დევსო...

ცხრა ფეხბურთელს უშვებს „ლოკომოტივი", ზედ მწვრთნელთა კორპუსსაც მიაყოლებს. წასულთა ღირსეული შემცვლელები ვერ მოიძებნება. ნახევარფინალში „ლოკომოტივი" „მერანში" გადასული მამუკა რუსიას გოლით დამარცხდება. გამწვავდება ურთიერთობები მწვრთნელ-ფეხბურთელებსა და კლუბის ხელმძღვანელებს შორის და აქამდე თითქოს საათივით აწყობილი გუნდი საერთოდ სამეულს მიღმა დარჩებაო.

ამ არდადეგებზე, სავარაუდოდ ნაახალწლევს, გუნდს მთავარი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი დატოვებს. „ლოკომოტივს" ან თემურ მახარაძეს, (თუ „ვიტ ჯორჯიამ" გაუშვა) ანაც მურთაზ ხურცილავას ჩააბარებენო.

რკინიგზელები მხოლოდ ინტერტოტოს საგზურსღა გამორჩებიან, სტადიონი კი ექნებათ თავისი და ბრწყინვალე.

„ლოკომოტივი" ვერაფერს მიიღებს ზურაბ ხიზანიშვილის ტრანსფერიდანო. რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელ აკაკი ჩხაიძეს მობეზრდება ამდენი უთავბოლობა, რკინიგზის შეფობას და კლუბის პრეზიდენტობას, „ლოკომოტივის" მწვრთნელობასაც შეუთავსებს და მეცამეტე ეროვნულში ჩემპიონიც გახდებაო.

ვერაფერს ვიტყვით, ნათელ მომავალს უწინასწარმეტყველებენ მეჭორეები „ლოკომოტივს".

## ყველა სავარდო ქუთაისისკენ

რიონისპირში გუნდი კეთდებაო...

„ლოკომოტივიდან" წამოსულ რევაზ ძოძუაშვილს ქუთაისში ზარ-ზეიმით მიიღებენ და „ტორპედოსაც" უყოყმანოდ ჩააბარებენო. ისე, თურმე ეგ ამბავი ახლაც გადაწყვეტილია და მხოლოდ პირობებია შესათანხმებელი.

დავით ყიფიანი კლუბის დირექტორატში გადაინაცვლებსო...

ფეხბურთელთა მორიგი ნაკადი წავა და წამოვა. „ტორპედო" არაერთ თავდადებულ მოთამაშეს შეელევა, სამაგიეროდ, აშვეთიას, თარხნიშვილსა და დავით მუჯირს დაიმატებსო.

ისევ ჩემპიონი გახდება „ტორპედო" ისე, რომ გუნდში არ ეყოლება ეროვნული ნაკრების არც ერთი ფეხბურთელი. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე გამოვარდება კიშინიოვის „ზიმბრუსთან". ეს გულს აუყრის ფეხბურთზე „ტორპედოს" სპონსორს და მეცამეტე ეროვნულში რიგითი გუნდით გამოვლენ ქუთაისელები.

„ტორპედოც" ნელ-ნელა დაიცლება მწვრთნელ-ფეხბურთელებისგან და ისევ რიონისპირელებს მოუწევთო მეცამეტე საფეხბურთო სეზონის გათრევა.

დიდებული ბაზა და სტადიონი კი დარჩება ქუთაისს და ვერც ვერავინ შეეცილებაო ამაში „ტორპედოს".

## ერთხელაც იყო „დინამო"

თითქმის არაფერი შეიცვლება ათგზის ჩემპიონთა ბანაკში. დავა-კამათი დაუსრულებლად გაგრძელდება. კლუბის მეპატრონის ვინაობის გარკვევას წლები დასჭირდება. ამ ხნის მანძილზე „დინამო" დაკარგავს დიღმის ბაზას. სავარჯიშო მოედნებზე, საჯარო ვაჭრობით გაყიდულ ტერიტორიაზე, კორპუსები ჩაიდგმებაო.

ეროვნული სტადიონი ჯერ დაინგრევა, მერე იქაურობას გაასუფთავებენ და ვაგზლის ახლომახლო მდებარე ყველა სახის ბაზარი თუ ბაზრობა იქ გადაინაცვლებს.

უხელფასობით გაწამებული ფეხბურთელები მწვრთნელ რევაზ არველაძეს ყველაზე პრინციპული მატჩის წინა დღეს აუჯანყდებიან. მასაც მობეზრდება ყველაფერი და გერმანიას მიაშურებს, კიოლნის მწვრთნელთა სკოლაში მოეწყობაო.

„დინამო" ჯერ დაიშლება, მერე ლიგიდან გავარდება, ხოლო ზუსტად მაშინ გამოჩენილი პატრონი კლუბს რეგისტრაციაში გაატარებსო.

რეგიონულ ლიგაში ჩაქვეითებული „დინამო" უძლიერესთა რიგებს მეთექვსმეტე ეროვნულში დაუბრუნდება და მეთერთმეტედ გახდება საქართველოს ჩემპიონიო.



გაზაფხულიდან ეროვნულ ჩემპიონატში კიდევ ბევრ გოლს ვიხილავთ

## მუდამ ახალგაზრდული

„ვიტ ჯორჯიას" უეფას საგზური უნდა, რა თქმა უნდა, თასიც და ჩემპიონობაც. სამივე ერთად როგორ მოხერხდება, უცნობია, მაგრამ მიზანი ხომ დასახულია.

ვეტერინარები იტალიაში წავლენ შეკრებაზე. გუნდის ძირითადი ბირთვი სერია A-სა და სერია B-ს კლუბებში გაიყიდება.

იტალიიდან საქართველოში დაბრუნებულ მწვრთნელსა და ორიოდ ფეხბურთელს ფარმ-კლუბის ფეხბურთელებით გააძლიერებენ. კიდევ უფრო გაახალგაზრდავდება „ვიტ ჯორჯია". მომავლის გუნდი თასს მოიპოვებს, რამდენიმე წელიწადში (როცა თავისი ბაზა და სტადიონიც იქნება) ჩემპიონი გახდება, მერე ჩემპიონთა ლიგის ჰიმნიც აჟღერდება საქართველოში და ასე შემდეგ.

რა თქმა უნდა, ამდენ სიკეთეს ერთი ათეული მწვრთნელი მაინც შეეწირება, რამეთუ ძნელია ახალგაზრდულ ჟინთან და ენერგიასთან ურთიერთობა.

ამბობენ, „ვიტ ჯორჯია" სულ ახალგაზრდა იქნებაო...

## ზღვა და საშველი

აქტიური სასელექციო სამუშაოები წამოუწყია ფოთის „კოლხეთს". სოსო ფილია ნახევარ გუნდს ტრანსფერზე აყენებსო. „ტორპედოს" უთმობს გარემარბ რომან ახალკაცს, ქუთაისიდან იბრუნებს ჯონი შალამბერიძეს და იმ ტორპედოელებზეც თანახმაა თურმე, რიონისპირელებს რომ არ სჭირდებათ. „სიონიდან", თქმა არ უნდა ჰამლეტ წივწივაძესაც წაიყვანსო.

სამეულში მოხვდება „კოლხეთი". მერე ევროთასის პირველივე მატჩში დამარცხდება თორმეტი უპასუხო ბურთით. ეს წონასწორობას დააკარგვინებს პორტისა და კლუბის ხელმძღვანელებს და დიდი რეორგანიზაციებიც დაიწყებაო.

მოხსნიან მწვრთნელებს, გუნდის ტექნიკურ პერსონალს ზედ მიაყოლებენ, ფეხბურთელებს, ყველას სათითაოდ, ტრანსფერზე დააყენებენ, ხოლო ფარმ-კლუბის ახალგაზრდა მოთამაშეებით დაკომპლექტებული „კოლხეთი" გაის... თასს მოიგებსო. არა, ზღვას თავი... „ჯიგარი" მაინც აქვს...

## გაუძელ, „მერანო"!

ჯერ ყველაფერი გეგმის მიხედვი... კი მიდის, მაგრამ „მერანიც" ყელამდ... ჩაფლულა პრობლემებშიო.

კლუბს ფეხბურთელების ვალი აქვ... — სულზე 1500 დოლარი. სპონსორ... იგვიანებს, ხელმძღვანელები ნერვიულ... ობენო.

„მერანი" მომავალ წელს ექვსეულშ... მაინც გაძვრება, მაგრამ გაზაფხულზე... თურმე ლეგიონერები გაიქცევიან, ხო... ლო გამოჯანმრთელებულ მიხეილ ფ... ცხვერიას და ათამაშებულ აკაკი დევა... ეს ქუთაისის „ტორპედო" გადაიბირებს...

ვერ გაუძლებსო დაძაბულ მარათონ... ფეხმტკივანი რაში.

## განდაგანა „ბათუმში"

დიდი გეგმები აქვთო აჭარული კლუ... ბის თავკაცებს. ყველა არაბათუმელ ფე... ხბურთელს გუნდიდან გაუშვებენ, თა... ნაც ბოლო სამი თვის ხელფასებს... დაუკავებენ. მერე ფეხბურთში დაბრუ... ნებენ ვეტერან მოთამაშეებს და საქარ... თველოს ჩემპიონატს გამოცდილებ... ხარჯზე მოიგებენო.

შეუძლებელი ხომ არაფერია, ზღ... ბათუმშიც ლურჯია, თანაც პარალელ... რად ახალგაზრდებთან მიდისო გაცხ... ველებული მუშაობა.

## აქ თამაშობდა...

„სიონი" ერთდროულად იბრძვის რა... მდენიმე ფრონტზე. ეომება მეტოქეებ... მსაჯებს და ზოგჯერ თავიანთ ფეხბუ... რთელებსაც კი.

ამდენი უსამართლობის შემყურე გუ... ლშემატკივართა თავკაცი ადა, ერთხ... ლაც სტადიონთან მისასვლელ გზ... გადაკეტავს და „თემურ სტეფანიაზე" ფე... ხბურთის ფედერაციის მსაჯ-ინსპექტო... რებს არ შეუშვებსო.

ერთ-ერთი გასვლითი მატჩისას, „სი... ონის" კარში უსამართლოდ დანიშნუ... ლი თერთმეტმეტრიანის შემდეგ, ბო... ლნისის გამგებელ ზურაბ ჯაფარი... მოთმინების ძაფი გაუწყდება და გუ... გათამაშებიდან გაიყვანსო.

სტადიონის ერთ-ერთი სარეკლ... დაფაზე კი წარწერას ოდნავ სახეცვ... ვლიან — აქ თამაშობდა „სიონიო".

## ძმების იმედით

ძმას, მეგობარს და პარტნიორს ეძ... რუსთაველი კლუბის ხელმძღვანე... იპოვის კიდეცო, ამბობენ, მაგრამ „გ... რდას" გადარჩენა მაინც ვარლამ... გია კილასონიებზეა დამოკიდებული... ბრუნდებიან ძმები, ხომ კარგი, „გო... დასაც" ეშველება, არადა...

## დაბერდა „დილა"

ვეტერანები ძალიან ვეტერანები გ... ხდარან, ახალგაზრდები ვერ ქაჩავე...

შედარებით ახალგაზრდა, ვისაც... ლა ჯერაც ერჩოდა და ბურთის ყად... იცოდა, ისიც სხვას მიჰყავსო.

რა ეშველება „დილას", არავინ იცი...

## სტუდენტური არდადეგებ...

სესიებზე ბედმა უმუხთლათ სტუ... დენტებს. საშემოდგომო გამოჰყოლ... ზოგი გაურიცხავთ კიდეც უნივერ... ტეტიდან და ამათ სანაცვლოდ სხ... აბიტურიენტები მიუღიათ.

ხმა გავრცელდა, ფეხბურთს თავ... ანებებენო სტუდენტები, მომავლისთვ... სწავლა-განათლება უფრო გამოსადეგ... ამიტომ თსუ-ს სამომავლო მისამართ... დასადგენად უნივერსიტეტის სხვადა... ხვა ფაკულტეტებს მიაკითხეთო.

## გაბრწყინდებაო „სამტრედია"...

გაგიჟდები კაცი, სამტრედიის (ან... ხაშურის თუ ზესტაფონის) „იბერ... არ გავარდებაო.

თურმე სამტრედიული სარბიელ... დირექტორი და „იბერიას" პრეზიდე... ნტი შერიგებულან.

გუნდს მხარში ქალაქის და რაიო... ნის ხელმძღვანელობა, კლუბის ყოფი... ლი პრეზიდენტიც ამოუდგაო.

ფეხბურთელებს დაიმატებენ და მე... ცამეტე ეროვნულში ვიცე-ჩემპიონი გა... ხდებაო ყოფილი „სამტრედია", ახლა... „იბერიად" რომ იწოდება.

რას არ მოისმენს ადამიანის ყურე...

**დათო დანელ...**



კახა კალაძე (მარჯვნივ) 3 იანვარს მსოფლიოს ნაკრებში ითამაშებს

# თემურ ქეცბაიას მწვრთნელი მოუხსნეს

## მიხეილ ყაველაშვილი შემოდგომის ბომბარდირია

„ფრაიბურგი“ სტაბილურად თამაშს აგრძელებს. ქართველების გერმანულ გუნდს უკვე შვიდი მატჩია აღარ წაუგია. ბოლო კვირის მანძილზე ბუნდესლიგაში ორი ტური ჩატარდა და ორჯერ ფინკეს ბიჭებმა ოთხი ქულა მიითვალეს — ჯერ „ვოლფსბურგს“ მოუგეს, მერე „შტუტგარტთან“ ფრედ ითამაშეს. თანაც ორივე შეხვედრა სტუმრად ჰქონდათ.

კობიაშვილს ტრავმის გამო არ უთამაშია, იაშვილმა და ცქიტიშვილმა კი თავისიანების წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. ახლა „ფრაიბურგი“ ზუსტად ცხრილის შუაშია და საზამთრო არდადეგებსაც კარგი განწყობით ხვდება.

დღეს ფინკეს გუნდი გერმანიის თასის მეოთხედფინალში „შტუტგარტს“ ეთამაშება და მერე 26 იანვრამდე ოფიციალური მატჩი აღარ ექნება. ამ დღეს ბუნდესლიგაში სეზონი განახლდება. ჩვენთვის ეს თარიღი კიდევ იმით არის საინტერესო, რომ „ფრაიბურგი“, შესაძლოა კიდევ უფრო გაქართველდეს — გიორგი კიკნაძე ამ გუნდის წევრია და თუ ფორმა აღიდგინა, გაზაფხულის პირზე შავ-წითელი მაისურით, ალბათ ოთხი ჩვენებური ითამაშებს.

ბოლო ორ ტურში არ წაუგია არჩილ არველაძის „კიოლნსაც“. ლიდერ „შალკესთან“ კი თავისი საუკეთესო თვისებები გამოავლინეს. არჩილი მინდორზე მეორე ტაიმის დასაწყისში გაიყვანეს. ამ დროისთვის მასპინძლები 0:2 აგებდნენ, მაგრამ ისეთი ჟინით იბრძოდნენ, ცხადი იყო, „შალკეს“ კარგი დღე არ დაადგებოდა. ასეც მოხდა. ჩვენებურს არ გაუტანია, თუმცა ბევრს მოძრაობდა და ერთთავად ბურთს ითხოვდა. მის წინააღმდეგ გელზენკირხენელები არც უხეშობას ერიდებოდნენ და მატჩის მიწურულს ბუსკენსი გააფრთხილეს კიდეც.

„კიოლნი“ და „ფრაიბურგი“ ცხრილში გვერდიგვერდ მოთავსდნენ. „კიოლნი“ მერვეა, „ფრაიბურგი“ — მეცხრე. მათ ერთმანეთს ორი ქულა აშორებთ.

ინგლისში კვლავ უქინქლაძეოდ მოიგო „დერბიმ“ და როგორც ჩანს, ნელნელა ისეთ გუნდად ყალიბდება, პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნება რომ სჭირდება.

„ჩელსიმ“ სტუმრად „მიდლსბროსთან“ წააგო, ხოლო ალექსიძე ბოლო თერთმეტი წუთი ათამაშეს. ამჯერად რატიმ ძოლა შეცვალა.

ტრავმა მოიშუშა და „ვულვერჰემპტონს“ დაუბრუნდა ქეცბაია, თუმცა მისი გუნდის საქმეები მთლად კარგად ვერ არის. ერთ დროს უძლეველი და საუკეთესო ინგლისური კლუბი „ვულვზი“ შინ „ბირმინგემთან“ წაგების შემდეგ სახიფათო ზონას მიუახლოვდა. ახლა 24-გუნდა პირველ დივიზიონში მეთექვსმეტეა, თუმც ბოლოადგილოსან „ჰადერსფილდს“ მხოლოდ ხუთი ქულით უსწრებს.

ასეთი მდგომარეობა, ცხადია, კლუბის ხელმძღვანელებს არაფრად ეპიტნავებათ და აკი რეფორმებზეც დაიწყეს ფიქრი. პირველი ნაბიჯი, როგორც მოსალოდნელი იყო, მწვრთნელის განთავისუფლება გახდა. „ბირმინგემთან“ დამარცხებას კოლინ ლი შეეწირა. ჯერჯერობით მისი შემცვლელის ვინაობა უცნობია.

ისრაელში კობა წიტაიშვილის „ირონიმ“ შინ ლიდერ ჰაიფას „მაკაბისთან“ წააგო. ასეთი შედეგი მოულოდნელი არავისთვის ყოფილა. გასაკვირი უფრო ის გახლდათ, რომ ირონელები ჰაიფელებს მედგრად დახვდნენ და პირველ ტაიმში სჯობდნენ კიდეც. მეორეში სტუმრები მეტს უტევდნენ და დამთავრებამდე მხოლოდ ათი წუთით ადრე შეძლეს დაწინაურება. გოლი მაკაბელთა ბელარუსმა ლეგიონერმა ანდრეი ოსტროვსკიმ გაიტანა.

წლეულს „ირონი“ კიდევ ორ მატჩს გამართავს, 23 დეკემბერს იერუსალიმში „ბეითარს“ ესტუმრება, რომელიც ჩემპიონატში მეორე ადგილზეა და ლიდერს ორი ქულით ჩამორჩება, 30-ში კი ფეთაჰ თიკვას „მაკაბის“ გაეჯიბრება.

მაშ ასე, რამდენიმე მატჩიც და წლევანდელი საფეხბურთო კალენდარიც ამით ამოიწურება. საახალწლოდ ჩვენი ლეგიონერების უმრავლესობა საქართველოში ჩამოვა და „ბენდელას თასზეც“ ითამაშებს. მანამდე კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ:

— ჩვენმა გერმანელებმა შემოდგომაზე კარგად ითამაშეს.

— ქართველ პრემიერლიგელთა რიცხვს კიდევ ერთი — რატი ალექსიძე შეემატა.

— კიევის დინამოელი კახა კალაძე 3 იანვარს ტოკიოში მსოფლიოს ნაკრების მაისურას მოირგებს და სლავა მეტრეველის შემდეგ მეორე ქართველი გახდება, ვისაც ასეთი პატივი რგებია.

თანაც, „მილანი“, „ბაიერნი“ და „მანჩესტერიც“ რომ იწვევენ...

— ჩინებულ ფორმაში არიან ციურიხელები გოჩა ჯამარაული და მიხეილ ყაველაშვილი. გოჩას ერთი მეორეზე ლამაზი ბურთები გააქვს, მიშამ კი ჯამში 10 გოლი გაიტანა და ლეგიონერების ბომბარდირთა არაოფიციალურ დავაშიც ლიდერობს.

**სოლომონ გულისაშვილი**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | | | | | |
| ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ვოლფსბურგი 2:1 | 81 | შეცვალეს | 14 | 4 | 9 |
| | ფრაიბურგი | ს | შტუტგარტი 0:0 | 71 | შეცვალეს | 15 | 4 | 9 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | ვოლფსბურგი 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 15 | 2 | 9 |
| | ფრაიბურგი | ს | შტუტგარტი 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 15 | 2 | 9 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ვოლფსბურგი 2:1 | 90 | | 13 | 0 | 9 |
| | ფრაიბურგი | ს | შტ ტგარტი 0:0 | 90 | | 14 | 0 | 9 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | შ | დო ტმუნდი 0:0 | 15 | შეცვლაზე ითამაშა | 13 | 3 | 7 |
| | კიოლნი | შ | შალკე 2:2 | 36 | შეცვლაზე ითამაშა | 14 | 3 | 8 |
| მეორე ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | როიტლინგენი | ს | ობერჰაუზენი 0:2 | 20 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 0 | 4 |
| | როიტლინგენი | ს | მაინცი 1:1 | 0 | | 3 | 0 | 7 |
| **ინგლისი** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | შ | ქოვენთრი 1:0 | 0 | | 11 | 1 | 17 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | ს | მიდლსბრო 0:1 | 11 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 12 |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ვულვზი | შ | ბირმინგემი 0:1 | 60 | შეცვლაზე ითამაშა | 12 | 3 | 16 |
| **შოტლანდია** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | კილმარნოკი 3:2 | 90 | | 18 | 1 | 7 |
| **ჰოლანდია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | შ | ტვენტე 5:1 | 0 | | 11 | 5 | 4 |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | ს | ვალვაიკი 1:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 2 |
| | პსვ ეინდჰოვენი | ს | ალკმარი 5:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 2 |
| **ბელგია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | შ | მეხელენი 1:1 | 90 | | 13 | 1 | 8 |
| ლაშა ჯაკობია | აალსტი | ს | ანდერლეხტი 0:3 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 15 |
| **ისრაელი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| კობა წიტაიშვილი | ი. რიშონი | შ | მაკ. ჰაიფა 0:1 | 90 | | 12 | 6 | 9 |
| **საბერძნეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ლევან ქებაძე | იანინა | ს | ოლიმპიაკოსი 1:3 | 0 | | 7 | 0 | 12 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*



მიხეილ ყაველაშვილს ძლივს აჩერებენ — შვეიცარიის ჩემპიონატში უკვე 10 გოლი გაიტანა

# ფიგუ: მადლობა ყველას, გარდა...

ფიგუ! — თქვა ხალხმა „უორლდ სოკერის" გამოკითხვის პასუხად.

ფიგუ! — თქვეს ჟურნალისტებმა „ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვის პასუხად.

თავად ფიგუმ კი თქვა: „მე ვერ შევაფასებ საკუთარ თავს. ვერ ვიტყვი, რომ საუკეთესო ან ყველაზე ცუდი ვარ, თუმცა ეს ჯილდო მაფიქრებინებს, რომ წლეულს კარგად ვიმუშავე. ამ პრიზს ჩემს ოჯახს ვუძღვნი, მისი მხარდაჭერის გარეშე გამიჭირდებოდა ყოველ თამაშზე ენერგიის სრულად დახარჯვა. ასევე მადლობას ვუხდი ჩემს თანაგუნდელებს პორტუგალიის ნაკრებიდან, „ბარსელონადან" და „რეალიდან", მადრიდელ გულშემატკივრებს და მთელ პორტუგალიას."

შენიშნავდით, რომ სამადლობელ სიტყვაში ფიგუს ბარსელონელი გულშემატკივრების მოხსენიება „დაავიწყდა".

41 წელია, „რეალის" ფეხბურთელს „ოქროს ბურთი" აღარ მოეგო. იქამდე ჯილდო ზედიზედ სამჯერ რეალელებისა იყო — ორჯერ ალფრედო დი სტეფანოსი და ერთხელაც რაიმონ კოპასი. ეს გახლდათ ნამდვილი ოქროს ხანა მადრიდული კლუბისთვის. დღევანდელი „რეალის" კაპიტანმა ფერნანდო რედონდომ მეგობრის დაჯილდოების შემდეგ თანაგუნდელთა სახელით განაცხადა: „ცხადია, ყველას ძალიან გაგვეხარდა, თუმცა ასე რომ იქნებოდა, ეჭვი არავის გვეპარებოდა — ლუიში ბრწყინვალე ფეხბურთელი და მეგობარია."




ლუიშ ფიგუ

დაიბადა 1972 წლის 4 ნოემბერს ლისაბონში, პორტუგალია

1989: გახდა მსოფლიოს ჩემპიონი 16-წლამდელთა შორის

1990: ჰქონდა დებიუტი ლისაბონის „სპორტინგში"

1991: გახდა მსოფლიოს ჩემპიონი 20-წლამდელთა შორის. იმავე წელს მიიწვიეს ეროვნულ გუნდში ლუქსემბურგის წინააღმდეგ

1992: პორტუგალიამ 2:1 მოუგო ბულგარეთს, ამ მატჩში პირველი სანაკრებო გოლი გაიტანა

1995: ივნისში მისმა აგენტმა გააფორმა კონტრაქტი „პარმასთან", ხოლო რამდენიმე დღეში იტალიელებმა მიჰყიდეს იოჰან კრუიფის „ბარსელონას". დებიუტი ჰქონდა „მერიდასთან" (2:2)

1996: ევროპის ჩემპიონატზე პორტუგალიამ გააღწია მეოთხედფინალში, გაიტანა ერთი გოლი

1997: მოიგო ესპანეთის თასი, სუპერთასი და ევროპის თასების მფლობელთა თასი

1998: მოიგო პრიმერადივიზიონი, ესპანეთის თასი და ევროპის სუპერთასი

1999: „ბარსელონა" კვლავ გახდა ესპანეთის ჩემპიონი. სეზონში შვიდი გოლი გაიტანა. „ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვაში მეხუთე ადგილზე გავიდა

2000: ბოლო ბარსელონურ სეზონში 9 გოლი გაიტანა. სულ კატალონიურ კლუბში 172 მატჩი გამართა და 30 გოლი გაიტანა. ესპანეთის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა

24 ივლისს გადავიდა მადრიდის „რეალში". მასში სარეკორდო თანხა 56,1 მილიონი დოლარი გადაიხადეს

7 დეკემბერს „უორლდ სოკერმა" გულშემატკივართა გამოკითხვის მიხედვით წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა

11 დეკემბერს ფიფას ვერსიით ანალოგიურ გამოკითხვაში ნაკრებთა მწვრთნელებმა მეორე ადგილზე გაიყვანეს

18 დეკემბერს „ფრანს ფუტბოლმა" სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგად ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა



„ოქროს ბურთი" ფიგუმ რივალდოსგან გადაიბარა



ზოგს ფიგუ მოსწონს, ზოგს ზიდანი, ზოგსაც, თქვენ წარმოიდგინეთ, ფიგუს შვედი გელფრენდი

## ფრანს ფუტბოლის 2000 წლის ლაურეატები

| | | | |
|---|---|---|---|
| ლუიშ ფიგუ | პორტუგალია | რეალი, მადრიდი | 197 |
| ზინედინ ზიდანი | საფრანგეთი | იუვენტუსი, ტურინი | 181 |
| ანდრეი შევჩენკო | უკრაინა | მილანი | 85 |
| ტიერი ანრი | საფრანგეთი | არსენალი, ლონდონი | 57 |
| ალესანდრო ნესტა | იტალია | ლაციო, რომი | 39 |
| რივალდო | ბრაზილია | ბარსელონა | 39 |
| გაბრიელ ბატისტუტა | არგენტინა | რომა, რომი | 26 |
| გაისკა მენდიეტა | ესპანეთი | ვალენსია | 22 |
| რაული | ესპანეთი | რეალი, მადრიდი | 18 |
| დევიდ ბექემი | ინგლისი | მანჩესტერ იუნაიტედი | 10 |
| პაოლო მალდინი | იტალია | მილანი | 10 |
| ფაბიენ ბარტეზი | საფრანგეთი | მანჩესტერ იუნაიტედი | 8 |
| ზლატკო ზაჰოვიჩი | სლოვენია | ვალენსია | 8 |
| რობერტო კარლოსი | ბრაზილია | რეალი, მადრიდი | 7 |
| ფრანჩესკო ტოლდო | იტალია | ფიორენტინა | 7 |
| ფრანჩესკო ტოტი | იტალია | რომა, რომი | 7 |
| პატრიკ კლუივერტი | ჰოლანდია | ბარსელონა | 6 |
| ედგარ დავიდსი | ჰოლანდია | იუვენტუსი, ტურინი | 5 |
| მარიო ჟარდელი | ბრაზილია | გალათასარაი | 5 |
| ფერნანდო რედონდო | არგენტინა | მილანი | 5 |
| ჰაქან შუქური | თურქეთი | ინტერი, მილანი | 5 |
| პაველ ნედვედი | ჩეხეთი | ლაციო, რომი | 4 |
| დავიდ ტრეზეგე | საფრანგეთი | იუვენტუსი, ტურინი | 4 |
| მარსელ დესაი | საფრანგეთი | ჩელსი, ლონდონი | 2 |
| ოლივერ კანი | გერმანია | ბაიერნი, მიუნხენი | 2 |
| მანუელ რუი კოშტა | პორტუგალია | ფიორენტინა | 2 |
| ლორან ბლანი | საფრანგეთი | ინტერი, მილანი | 1 |
| ხუან სებასტიან ვერონი | არგენტინა | ლაციო, რომი | 1 |
| როი კინი | ირლანდია | მანჩესტერ იუნაიტედი | 1 |
| კლაუდიო ლოპესი | არგენტინა | ლაციო, რომი | 1 |

### ამათ გარდა გამოკითხვაში კიდევ 20 ფეხბურთელი მონაწილეობდა, თუმცა მათ ქულაც ვერ აიღეს

*სონი ანდერსონი (ბრაზილია, ლიონი); ჟოსელინ ანგლომა (საფრანგეთი, ვალენსია); ნიკოლა ანელკა (საფრანგეთი, პარი სენ ჟერმენი); დენის ბერხკამპი (ჰოლანდია, არსენალი); მარსელო გალიარდო (არგენტინა, მონაკო); რაიან გიგზი (უელსი, მანჩესტერ იუნაიტედი); ნუნუ გომეში (პორტუგალია, ფიორენტინა); დიდიე დეშამპი (საფრანგეთი, ვალენსია); პატრიკ ვიეირა (საფრანგეთი, არსენალი); სილვენ ვილტორდი (საფრანგეთი, არსენალი); ბუდევინ ზენდენი (ჰოლანდია, ბარსელონა); ფილიპო ინძაგი (იტალია, იუვენტუსი); ერნან კრესპო (აარგენტინა, ლაციო); პატრიკ მბომა (კამერუნი, პარმა); სავო მილოშევიჩი (იუგოსლავია, პარმა); ჯერემი ნჯიტაპი (კამერუნი, რეალი); ალვარო რეკობა (ურუგვაი, ინტერი); მარკო სიმონე (იტალია, მონაკო); პოლ სქოულზი (ინგლისი, მანჩესტერ იუნაიტედი) და იაპ სტამი (ჰოლანდია, მანჩესტერ იუნაიტედი)*

## ოქროს ბურთის ლაურეატები 1956-2000

| | | |
|---|---|---|
| 1956 სტენლი მეტიუზი | ინგლისი | ბლექპულ |
| 1957 ალფრედო დი სტეფანო | არგენტინა/ესპანეთი | რეალი, მადრი |
| 1958 რაიმონ კოპა | საფრანგეთი | რეალი, მადრი |
| 1959 ალფრედო დი სტეფანო | არგენტინა/ესპანეთი | რეალი, მადრი |
| 1960 ლუის სუარესი | ესპანეთი | ბარსელონ |
| 1961 ომარ სივორი | არგენტინა/იტალია | იუვენტუსი, ტურინი |
| 1962 იოჟეფ მასოპუსტი | ჩეხოსლოვაკია | დუკლა, პრაღ |
| 1963 ლევ იაშინი | სსრკ | დინამო, მოსკოვ |
| 1964 დენის ლოუ | შოტლანდია | მანჩესტერ იუნ. |
| 1965 ეუსებიო | პორტუგალია | ბენფიკა, ლისაბონი |
| 1966 ბობი ჩარლტონი | ინგლისი | მანჩესტერ იუნ. |
| 1967 ფლორიან ალბერტი | უნგრეთი | ფერენცვაროში |
| 1968 ჯორჯ ბესტი | ჩრდ. ირლანდია | მანჩესტერ იუნ. |
| 1969 ჯანი რივერა | იტალია | მილანი |
| 1970 გერდ მიულერი | გფრ | ბაიერნი, მიუნხენი |
| 1971 იოჰან კრუიფი | ჰოლანდია | აიაქსი, ამსტერდამი |
| 1972 ფრანც ბეკენბაუერი | გფრ | ბაიერნი, მიუნხენი |
| 1973 იოჰან კრუიფი | ჰოლანდია | აიაქსი, ამსტერდამი |
| 1974 იოჰან კრუიფი | ჰოლანდია | აიაქსი, ამსტერდამი |
| 1975 ოლეგ ბლოხინი | სსრკ | დინამო, კიევ |
| 1976 ფრანც ბეკენბაუერი | გფრ | ბაიერნი, მიუნხენ |
| 1977 ალან სიმონსენი | დანია | მიონხენგლადბახ |
| 1978 კევინ კიგანი | ინგლისი | ჰამბურგ |
| 1979 კევინ კიგანი | ინგლისი | ჰამბურგ |
| 1980 კარლ-ჰაინც რუმენიგე | გფრ | ბაიერნი, მიუნხენ |
| 1981 კარლ-ჰაინც რუმენიგე | გფრ | ბაიერნი, მიუნხენ |
| 1982 პაოლო როსი | იტალია | იუვენტუსი, ტურინ |
| 1983 მიშელ პლატინი | საფრანგეთი | იუვენტუსი, ტურინ |
| 1984 მიშელ პლატინი | საფრანგეთი | იუვენტუსი, ტურინ |
| 1985 მიშელ პლატინი | საფრანგეთი | იუვენტუსი, ტურინ |
| 1986 იგორ ბელანოვი | სსრკ | დინამო, კიევ |
| 1987 რუუდ გულიტი | ჰოლანდია | მილანი |
| 1988 მარკო ვან ბასტენი | ჰოლანდია | მილანი |
| 1989 მარკო ვან ბასტენი | ჰოლანდია | მილანი |
| 1990 ლოთარ მათეუსი | გფრ | ინტერი, მილანი |
| 1991 ჟან-პიერ პაპენი | საფრანგეთი | ოლიმპიკი, მარსელ |
| 1992 მარკო ვან ბასტენი | ჰოლანდია | მილანი |
| 1993 რობერტო ბაჯო | იტალია | იუვენტუსი, ტურინი |
| 1994 ხრისტო სტოიჩკოვი | ბულგარეთი | ბარსელონა |
| 1995 ჟორჟ ვეა | ლიბერია | მილანი |
| 1996 მათიას ზამერი | გერმანია | დორტმუნდი |
| 1997 რონალდო | ბრაზილია | ინტერი, მილანი |
| 1998 ზინედინ ზიდანი | საფრანგეთი | იუვენტუსი, ტურინი |
| 1999 რივალდო | ბრაზილია | ბარსელონა |
| 2000 ლუიშ ფიგუ | პორტუგალია | რეალი, მადრიდი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არიგო საკი ბრუნდება



არიგო საკის მონაკოელები ეკურკურებიან

**საფრანგეთის** ჩემპიონ „მონაკოში" სულ მალე დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი. შაბათს „რენთან" საშინაო მარცხმა კლუბის ხელმძღვანელობის აღშფოთება გამოიწვია. არც გაემტყუნებათ: ცხრა მარცხი, მეცამეტე ადგილი და არცთუ კარგი პერსპექტივა — ასეთია „მონაკოს" მონაგარი 21 ტურის შემდეგ.

პოდა, ეს დღეებია, ხმა გავრცელდა, „მონაკოში" მალე იტალიელი არიგო საკის ხანა დადგებაო. ეს ინფორმაცია არც ჯუჯა სახელმწიფოს კლუბის უფროსობამ უარყო. ან კი რატომ უნდა უერყო: გუშინ გაცხადდა, რომ იტალიაში „მონაკოს" ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჟან-ლუი კამპორა ჩასულა და ცნობილ იტალიელ მწვრთნელთან მოლაპარაკებაც დაუწყია. ფრანგები საკის მიწვევას საახალწლოდ გეგმავენ.

ასე რომ, სრულიად მოსალოდნელია, საკიმ სულ მალე კლოდ პუელის ადგილი დაიკავოს. პუელს კლუბში რეპუტაცია მას შემდეგ გაუფუჭდა, რაც ახლახან ჩემპიონთა ლიგის პირველ ჯგუფურ ეტაპზე თავის ქვეჯგუფში ბოლო, მეოთხე ადგილი დაიკავა „შტურმის", „გალათასარაისა" და „რეინჯერსის" შემდეგ. შედეგად, მონაკოელები ვერც უეფას თასზე გადავიდნენ და მთლად უევროპოდ დარჩნენ. ფრანგული კლუბის მამებმაც იფიქრეს, ახლა შინაური ასპარეზილა შემოგვრჩა და აქ მაინც ვიბრძოლებთ წარმატებისთვისო, მაგრამ „მონაკო", ბოლო დროა, შინაც თამაშს თამაშზე აგებს.

ცოტა ხნის წინ არიგო საკის უთქვამს, მეყო დასვენება, დროა, ფეხბურთს დავუბრუნდეო. უმალ წინადადებაც მიიღო და როგორც ფრანგული პრესა ვარაუდობს, ალბათ, დათანხმდება კიდეც.



აი, ძმებო, ბურთი. მე ამას კარში ვერ დავარტყამ!



აი, ძმებო, ქვითარი! შემივსია... გამომიცნია... იმან კიდე...

THE SUN

# მგლები უწინამძღოლოდ დარჩნენ

**კოლინ** ლი „ვულვერჰემპტონში" ხუთი წლის წინ მივიდა. თავიდან იგი მწვრთნელის მარკ მაკგის ასისტენტად მუშაობდა, მაგრამ 1998 წლის ნოემბრიდან უკვე თავკაცის სავარძელში მოკალათდა. წინა უქმეებზე „ბირმინგემთან" 0:1 წაგების შემდეგ ლიმ ხსენებული თანამდებობა დაკარგა, ქართველ ქომაგებს კი ეს ინფორმაცია იმით უფრო დააინტერესებთ, რომ ამ გუნდში თემურ ქეცბაია თამაშობს.

„ვულვერჰემპტონს" შარშან რობი კინისა და ადე აკინბის გაშვება ძალიან დაეტყო, ამ სეზონში კი ფეხბურთელთა მოურჩენელი ტრავმების ეპიდემია დასჩემდა. „მგლებს" ახლაც უჭირთ, ცხრილშიც არ იმყოფებიან სასურველ ადგილზე — 23 მატჩში ამდენივე ქულა დააგროვეს. ამ პრობლემათა გადასაჭრელად ორშაბათს „ვულვზის" მმართველთა საბჭო შეიკრიბა, მათი გადაწყვეტილება კი საზოგადოებას აღმასრულებელმა შეფმა ჯეზ მოუქსიმ ამცნო.

„შექმნილი ვითარება მართლაც რომ რთულია — ბრძანა შეფმა — გასავარდნ ზონას ძალიან მივუახლოვდით. კოლინ ლი წლეულს მოთამაშეთა ტრავმების გამო დიდ პრობლემებს წააწყდა. ჩვენ არც იმას ვივიწყებთ, რომ მან ორი წლის განმავლობაში გუნდში სერიოზული სამუშაო შეასრულა, მაგრამ დღევანდელი მდგომარეობა სხვა გამოსავალს არ გვიტოვებს: კოლინის და „ვულვზის" გზები გაიყარა. მას წარმატებას ვუსურვებთ, ჩვენ კი ახალი მწვრთნელის ძებნას შევუდგებით. კონკრეტული კანდიდატები ჯერჯერობით არ შეგვირჩევია. ვიმედოვნებთ, რომ ამ საკითხს მალე გადავჭრით".

კოლინ ლის ორწლიანი ნაამაგარი „ვულვზში" ასეთია: მან ორჯერ გაიყვანა გუნდი პირველი დივიზიონის მეშვიდე ადგილზე, ანუ ორივეჯერ მხოლოდ ერთი საფეხურიღა დააკლდა, რათა პრემიერლიგაში გადასასვლელ პლეიოფში მოხვედრილიყო.



კოლინ ლი

# ბარსელონა დაუწვიათ, რერო

**ეჰ,** ძველი და ნაცნობი ამბავია — ესა თუ ის გუნდი შედეგს რომ ველარ აღწევს, ადგებიან კლუბის წარმომადგენლები და დამნაშავის ძებნას გარეთ იწყებენ. პოულობენ კიდეც: სხვა თუ არაფერი, მსაჯები იქ არ არიან? ბევრ გუნდს გადაუტეხია მათზე ჯოხი და ბევრს უთქვამს, არბიტრს რომ ის პენალტი დაენიშნა, ან ჩვენს კარში წესების დარღვევით გატანილი გოლი არ ჩაეთვალა, ვნახავდით, ვისი აჯობებდაო.

წლეულს „ბარსელონას" თავს არცთუ კარგი ამბები ტრიალებს. ესპანური გრანდი ჩემპიონთა ლიგაში წარმატებას გეგმავდა, მაგრამ გათამაშებას პირველ ჯგუფურ ეტაპზევე გამოეთიშა და უეფას თასის ამარა დარჩა. კატალონიელებს ვერც შინაურ ასპარეზზე მისდით საქმე კარგად. პრიმერადივიზიონში 15 ტურია ჩატარებული, „ბარსელონა" კი ჯერჯერობით მეექვსე ადგილზეა. რაც მთავარია, გუნდს ჩატარებული თამაშების მესამედში ქულაც არ აუღია და ნელ-ნელა ლიდერებსაც გვარიანად შორდება.

ხან ტრავმებს ბრალდებოდა ყველაფერი, ხან რას და ხან რას. ახლა კი ბარსელონელებმა თავის მართლების ყველაზე მარტივ გზას მიაგნეს და მიზანში მსაჯები ამოიღეს. ორიოდე დღის წინ „შავოსნების" წინააღმდეგ კატალონიური კლუბის მთავარმა მწვრთნელმა ლორენს სერა ფერერმა და მცველმა სერხი ბარხუანმა გაილაშქრეს.

„ბარსა" მატჩებს მსაჯების შეცდომის გამო აგებს, გამარჯვება კი ძალების მაქსიმალური მობილიზებისა და თავდადების ფასად უჯდება. ამ დროს მადრიდის „რეალს" ყველანაირად ხელს უწყობენ. ამ გუნდის თითოეული მატჩი იოლი გასეირნებაა" — ამბობენ ისინი.

გუშინ სერა ფერერისა და სერხის აზრი „ბარსელონას" ნახევარმცველმა, ექს-ვალენსიელმა ხერარდ ლოპესმაც გაიზიარა. ეგ კი არა, მან მსაჯები „ბარსას" წინააღმდეგ შეთქმულებაშიც დაადანაშაულა.

„ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, რომ მსაჯები შეგნებულად ცდებიან. აშკარაა, „ბარსელონას" „წვავენ" — განუცხადა ხერარდმა ჟურნალისტებს და დასძინა — რა თქმა უნდა, არბიტრების მოქმედებაზე მსჯელობა ფეხბურთელთა კომპეტენცია არ არის, მაგრამ მოთმენა აღარ შეიძლება. აქვე მინდა დაგარწმუნოთ, რომ კლუბის ხელმძღვანელობა ამჟამად ამ საქმითაა დაკავებული და იმედია, მალე ყველაფერს ფარდა აეხდება".

ბარსელონელთა მოთმინების ფიალა გასულ უქმეებზე ავსებულა, როცა მადრიდში „რაიო ვალეკანოსთან" თამაშის დროს მასპინძელთა კარში პენალტი არ დაუნიშნავთ — ერთ-ერთ ეპიზოდში დედაქალაქელთა საჯარიმოში მარკ ოვერმარსი წაქცეულა, თუმცა არბიტრ ალბერტო მალენკოს წესების დარღვევა ვერ შეუნიშნავს.

**ვანო ოქროპირიძე**



სერხის და ლუის ენრიკეს ახლა სასიხარულო ბევრი არაფერი აქვთ

# კეთილშობილება ყომარბაზობის წინააღმდეგ

**პაოლო დი კანიო** ყოველთვის თითით საჩვენებელი ფეხბურთელი იყო. აქამდე მის სახელს ჩხუბისთავობისა და ბილწსიტყვაობაში გაწაფული ადამიანის სინონიმად იყენებდნენ და მცხოვანი ჯოვანი ტრაპატონით დაწყებული ყმაწვილი ჯო კოულით დამთავრებული ყველასთან ნაჩხუბარი გახლდათ.

დი კანიო ახლაც თითით საჩვენებელი კაცია, ოღონდ სულ სხვა მიზეზით: პრემიერლიგის ბოლო ტურში ევერტონელი მეკარე პოლ ჟერარი წაქცეული და ტკივილისგან მოკრუნჩხული რომ დაინახა, კარში დარტყმა იუკადრისა, ბურთი ხელში აიღო და თამაში შეწყვიტა. არადა, ვინ რას იტყოდა? წესები არ დარღვეულა, გაგრძელება შეიძლებოდა და თან „ვესტ ჰემს" ზედმეტი ორი ქულა აწყენდა? 1:1 იყო და ბოლო წუთები მიდიოდა.

ეს რა კაცი გვყოლია და არ ვიცოდითო — აწრიალდნენ პრემიერლიგელები და დანარჩენმა საფეხბურთო სამყარომაც შეუერთა ხმა.

გუშინ ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა იტალიელს წერილი გაუგზავნა და ტექსტის გამოქვეყნება ფიფას საინტერნეტო ვებ-გვერდშიც ბრძანა. წერილში ვკითხულობთ: „ამგვარი კეთილშობილური საქციელი ამშვენებს ფეხბურთს, მით უფრო პროფესიულს. თქვენი საქციელი ყურადღების და საგანგებოდ აღნიშვნას იმსახურებს. ის მისაბაძი უნდა იყოს ყველასთვის. მინდა, მადლობა გადაგიხადოთ ფეირ-პლეის პრინციპის ამგვარი დაცვისთვის".

ფიფას ვებ-გვერდში ასევე წერია, რომ გაისად წლის საუკეთესო ფეხბურთელთა დაჯილდოვების ცერემონიალზე ფეირ-პლეის პრიზის მისაღებად პაოლო დი კანიოს კანდიდატურა აუცილებლად იქნება განხილული. შეგახსენებთ, რომ 11 დეკემბერს ფიფას გალა-წარმოდგენაზე ეს პრიზი ლიდსელ სამხრეთაფრიკელ ლუკას რადებეს ერგო.

მოკლედ, დი კანიოს საქციელით ყველა აღფრთოვანებულია. თუმცა არა, ერთი კაცი გვეგულება, რომელიც ძლივს გადაურჩა ინფარქტს...

კოლინ ევანსი 37 წლისაა და აღმოსავლეთ ლონდონში, ლეიტონში ცხოვრობს. საყვარელი გუნდი: „ვესტ ჰემ იუნაიტედი", საყვარელი ფეხბურთელი პაოლო დი კანიო. ევანსი ტოტალიზატორში თამაშის დიდი მოყვარულია და უკვე მრავალი წელია, ყოველი ტურის წინ ჩადის ფსონს. ასეთი წესი აქვს: ქვითარში აუცილებლად ათი თამაში უნდა ჩაწეროს, არც მეტი, არც ნაკლები. აღვნიშნოთ, რომ ეს სისტემა აქამდე არ უმართლებდა, არასდროს ერთი პენსიც არ მოუგია, მაგრამ ყომარბაზობას მაინც ჯიუტად არ ეშვებოდა.

კოლინ ევანსი სამი კვირის წინ დაქორწინდა და თავისი რჩეული, 26 წლის ვერა საქორწინო მოგზაურობაში ლოს ანჯელესში წაიყვანა. მოგზაურობამ ევანსის მთელი დანაზოგი — 2 500 გირვანქა შეიწირა. არა უშავს — კაცი, რომელსაც ნორმალური სამუშაო აქვს, საყვარელი ადამიანისთვის ფულის დახარჯვას არ უნდა ერიდებოდეს.

კოლინს და ვერას თაფლობისთვე, უფრო სწორად კი ორი კვირა, დაუმთავრდათ და მანაც სამსახურში გასწია — კომპიუტერული ტექნიკის მაღაზიაში მუშაობდა. იქ უთხრეს, რომ დიდად შეწუხებულნი არიან, მაგრამ რიგი მიზეზებისა გამო დათხოვილია. დაღონებულმა ევანსმა ჯიბეში ბოლო გროშები მოიჩხრიკა და „ქორალში" (ცნობილი ლონდონური ტოტალიზატორია) გასწია. აიღო ქვითარი და დაიწყო: „ფულემი" — „ტრანმერი", „სელტიკი" — „აბერდინი", „იფსვიჩი" — „საუთჰემპტონი", „ლიდსი" — „სანდერლენდი", „მილუოლი" — „უოლსოლი", „რექსჰემი" — „ბრედფორდი", „დერბი" — „ქოვენთრი", „ბარნეტი" — „სკანთორპი", „ვულვერჰემპტონი" — „ბირმინგემი" და „ევერტონი" — „ვესტ ჰემი". პირველ რვა თამაშზე მასპინძელი გუნდის მოგება ჩაწერა, ბოლო ორზე — სტუმრისა. სავარაუდო მოგებაც დაითვალა და ოთხი ათასი გირვანქა გამოვიდა.

მიხვდებოდით, მერე რაც მოხდა — ცხრა შედეგი გამოიცნო, მეათეში კი...

„სიმწრისგან ვღრიალებდი — იხსენებს ევანსი — სიტყვებით ვერ გადმოვცემ, რას ვგრძნობდი იმ მომენტში. დი კანიო ჩემი საყვარელი ფეხბურთელია და ეს სიყვარული ოთხი ათასი დამიჯდა. რას იზამ, დი კანიოს ამის გამო მაინც ვერ შევიძულებ და თუ შევხვდი, აუცილებლად ავტოგრაფს გამოვართმევ. ისე, კარგი იქნება, ცოტა ფულსაც თუ მომცემს — ბოლო-ბოლო, ჩემი მოვალეა."

„ვესტ ჰემის" მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა ეს ამბავი რომ გაიგო, თქვა, ასეთი უიღბლო კაცი მთელ მსოფლიოში არ მეგულებაო.

**გიორგი დარჯანია**

# ბრიუგე ჩივის

**პირველ** ადგილზე მყოფ „ბრიუგეს" 48 ქულა აქვს, უახლოეს მდევარ „ანდერლეხტს" კი — 45. ასეთი ვითარებაა დღესდღეობით ბელგიის ჩემპიონატში, რომლის მონაწილენიც დღესაც ითამაშებენ და თებერვლამდე არდადეგებს მოიწყობენ... მერე და რაა აქ საინტერესო?

რა და „ბრიუგეს" შესვენებაზე ლიდერად წასვლა უნდა, მაგრამ ამისთვის... სასამართლოს დადგენილება სჭირდება. საქმე იმაშია, რომ ბრიუგელთა დღევანდელი მატჩი „გენტთან" 24 თებერვლისთვისაა გადადებული — ქალაქ გენტის ბურგომისტრმა, იმის შიშით, მასობრივი არეულობა არ განმეორდესო („სტანდართან" თამაშისას მოხდა), ფედერაციას მატჩის მოგვიანებით გამართვა სთხოვა.

და ახლა „ბრიუგე" სასამართლოში ჩივის: თუ ასეა, მთელი ტური გადაიდოს, თორემ „ანდერლეხტი" მოიგებს და დაგვეწევაო. ამ უცნაურმა გადაწყვეტილებამ ბევრი გააოგნა, „ანდერლეხტის" პრეზიდენტმა როჯერ ვანდენ სტოკმა კი განაცხადა — დიდი სისულელე მოხდება, თუ სასამართლომ რატომღაც ფეხბურთის თამაში აგვიკრძალა, ეს არასასურველ პრეცედენტს შექმნისო.

# ომი და მშვიდობა უაით ჰართ ლეინზე

## ინგლისი

XVIII ტური

**ტოტენჰემი 1:1 არსენალი**

1:0 რებროვი (32), 1:1 ვიეირა (89)

ტოტენჰემი: სალივანი, კარი, ს. კემბელი, პერი, კლემენსი, კინგი, ტელფელი, ანდერტონი, შერვუდი, ფერდინანდი, რებროვი (კ. არმსტრონგი 81)

მწვრთნელი: ჯორჯ გრემი

არსენალი: მანინგერი, დიქსონი, კიოუნი, ადამსი, სილვინიო, გრიმანდი (ვიეირა 63), პარლოუ, ლიუნგბერგი, პირესი (ბერხკამპი 63), ანრი, კანუ (ვილტორდი 71)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: ფერდინანდი, პირესი, შერვუდი

36 062 მაყურებელი

**ჩრდილოლონდონური** დერბი აბა როდის ყოფილა იოლი თამაში და არც ახლა იყო. თქეშით დასველებულ „უაით ჰართ ლეინზე" იმგვარი გაალმასებით იბრძოდნენ მასპინძლები და მეთოფენი, რომ კაცს თვალი დაელლებოდა. თხემით ტერფამდე არსენალელი, აწ „ტოტენჰემის" მენეჯერი ჯორჯ გრემი თავის ძველ მეგობრებს მედგრად დაუხვდა და მასპინძლები მთელ თამაშს იგებდნენ სერგეი რებროვის თავურის შემდეგ. რებროვმა სტუმართა მეკარე მანინგერის მიერ მოგერიებულ ბურთს შეაგება თავი და „არსენალის" შტურმიც დაიწყო.

ტოტენჰემელთა მთავარი გმირი მეკარე ნილ სალივანი შეიქნა, ვინაც ტიერი ანრი და მისი ამხანაგები ლამის ჭკუიდან გადაიყვანა. მეორე ტაიმში მეთოფეებს ტყვია არ უსვრიათ მისი კარისკენ, თორემ იმასაც დაიჭერდა. „ტოტენჰემმა" რომ თანდათან ჩააწყნარა თამაში, არსენ ვენგერმა სწორედ მაშინ შემოუშვა მოედანზე დენის ბერხკამპი და პატრიკ ვიეირა. სწორედ ვიეირა იყო ის კაცი, რომელმაც მაინც მოახერხა ქულის გადარჩენა და 89-ე წუთზე შეჩხირა ბურთი სალივანის კარში. დამატებულ ოთხ წუთში გუნდები თითქოს დამშვიდნენ, თუმც კი არც ტემპისთვის მოუკლიათ და ჟინიც არ განელებიათ. მსაჯს რომ არ დაესტვინა, ეგებ დილამდეც გაეგრძელებინათ ომი. დიახ, ომი იყო და მშვიდობით დასრულდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 18 | 12 | 4 | 2 | 44:14 | 40 |
| არსენალი | 18 | 10 | 5 | 3 | 30:14 | 35 |
| იფსვიჩი | 18 | 10 | 3 | 5 | 27:18 | 33 |
| ლესტერი | 18 | 9 | 5 | 4 | 20:14 | 32 |
| ლივერპული | 18 | 9 | 3 | 6 | 33:24 | 30 |
| სანდერლენდი | 18 | 8 | 5 | 5 | 18:18 | 29 |
| ნიუკასლი | 18 | 8 | 3 | 7 | 20:22 | 27 |
| ვესტ ჰემი | 18 | 6 | 8 | 4 | 24:19 | 26 |
| ასტონ ვილა | 17 | 6 | 8 | 3 | 21:16 | 26 |
| ლიდსი | 17 | 7 | 4 | 6 | 24:23 | 25 |
| ტოტენჰემი | 18 | 7 | 4 | 7 | 26:27 | 25 |
| ჩელსი | 18 | 6 | 5 | 7 | 32:25 | 23 |
| ჩარლტონი | 18 | 6 | 4 | 8 | 25:30 | 22 |
| ევერტონი | 18 | 6 | 4 | 8 | 20:29 | 22 |
| საუთჰემპტონი | 18 | 5 | 5 | 8 | 23:31 | 20 |
| სიტი | 18 | 5 | 3 | 10 | 25:32 | 18 |
| დერბი ქაუნთი | 18 | 3 | 7 | 8 | 21:35 | 16 |
| ქოვენთრი | 18 | 4 | 3 | 11 | 16:33 | 15 |
| მიდლსბრო | 18 | 3 | 5 | 10 | 20:28 | 14 |
| ბრედფორდი | 18 | 2 | 6 | 10 | 13:30 | 12 |

## იტალია

სერია B

XVI ტური

**ვენეცია 2:2 სამპდორია**

1:0 მანიერო (39), 1:1 კ. ესპოზიტო (46), 2:1 დი ნაპოლი (50), 2:2 ვერგასოლა (75)

სერია C1A.

XV ტური

**სპეცია 2:0 ლუკეზე**

## შოტლანდია

ასოციაციის თასი. I ეტაპი

ქუინ ოფ საუთი — კლაიდბანკი 2:0; ედინბურგ სიტი — ბაკი თისტლი გადაიდო

I ეტაპის გადათამაშება

პიტერჰედი — უიტჰილ უელფარი 3:0

II ეტაპის წილისყრა

არბროთი — კუიტი; სპარტანსი — სტირლინგ ალბიონი; სტრანრერი — დამბარტონი; ელგინ სიტი — ქუინ ოფ საუთი; ბერვიკი — კოუდენბითი; ედინბურგ სიტი ან ბაკი თისლი — ჰამილტონი; პიტერჰედი — ქოვი რეინჯერსი; კოლდსტრემი — ბრეჩინი; ისტ ფაიფი — ქუინზ პარკი; პარტიკ თისლი — დევერონველი

მატჩები გაიმართება 2001 წლის 6 იანვარს

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა

XVIII ტური

**ალემანია 0:1 ვალდჰოფი**

0:1 ლიხტი (61)

### ფეხბურთის რუკასთან



**ჩეხმა** ჟურნალისტებმა იტალიური „ლაციოს" ნახევარმცველი პაველ ნედველი თავიანთი ქვეყნის წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. ნედველმა ამ საპატიო ტიტულისთვის ბრძოლაში ბელგიური „ანდერლეხტის" თავდამსხმელ იან კოლერსა და პრაღის „სპარტაში" მოთამაშე ტომაშ როსიცკის აჯობა. „ლაციოს" ფეხბურთელმა ჩეხეთის საუკეთესო მოთამაშის სახელი მეორედ მოიპოვა. პირველად ეს 1998 წელს მოხდა.

**შოტლანდიური „სელტიკის" ნახევარმცველი მორტენ ვიგჰორსტი, რომელსაც დაახლოებით ორი თვის წინ ტვინში სიმსივნე აღმოუჩინეს, ახლა ჰოსპიტალიდან გამოწერეს. 29 წლის დანიელი ფეხბურთელი შობის დღესასწაულს მეუღლესთან და შვილებთან ერთად ოჯახში შეხვდება. „ბოლოს ძალიან გამიჭირდა, შინ თავს უკეთ ვიგრძნობ და უფრო დავისვენებ" — განაცხადა ვიგჰორსტმა. „სელტიკის" კაპიტანი ტომი ბოიდი კი ამბობს: „დიდი იმედი მაქვს, რომ მორტენი კვლავ ითამაშებს, თუმცა ახლა მისი ჯანმრთელობაა მთავარი, ამიტომ არ უნდა ვიჩქაროთ."**

**კამერუნელმა** მცველმა ლუსიენ მეტომომ საზარდულის ტრავმა მიიღო და „სენტ ეტიენს" სეზონის ბოლომდე დააკლდება. იგი წინა უქმეებზე „ბორდოს" წინააღმდეგ შეხვედრაში დაშავდა და ოპერაცია უნდა გაუკეთონ. მეტომო „სენტ ეტიენმა" სეზონის დაწყებამდე „ბლექბერნიდან" შეიძინა. ფრანგულ კლუბში კიდევ ერთი ტრავმირებული ფეხბურთელია — ბრაზილიელი ფორვარდი ალოიზი, რომელიც ნატკენ მუხლს მკურნალობს და აპრილამდე ვერ ითამაშებს.

**ნორვეგიელი მცველი რონი იონსენი „ბარსელონას" სწადია, თუმცა ერთ-ერთი სააგენტოს ცნობით, „მანჩესტერ იუნაიტედმა" ფეხბურთელის სანაცვლოდ 5 მილიონი დოლარი მოითხოვა. 31 წლის იონსენი „იუნაიტედში" 1996 წლიდან თამაშობს, როცა ალექს ფერგიუსონმა „ბეშიქთაშიდან" 2 მილიონ დოლარად გადაიბირა. რონი ნორვეგიის ნაკრების წევრია. შეგახსენებთ, რომ მისმა თანამემამულე ჰენინგ ბერგმა „ოლდ ტრეფორდი" უკვე დატოვა და თავის ძველ კლუბ „ბლექბერნში" დაბრუნდა.**

**ინგლისის** ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი მოთამაშე ლუ მაკარი, რომელიც ახლა პირველდივიზიონურ „ჰადერსფილდს" წვრთნის, ფეხბურთის ასოციაციამ ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. წინა უქმეებზე, როცა მისი გუნდი „პორტსმუთს" შეხვდა, მაკარი მატჩის ოფიციალურ დელეგატს წაეჩხუბა. მწვრთნელს ორი კვირის ვადა აქვს, რათა გადაწყვეტილება გაასაჩივროს. ჯერჯერობით იგი აცხადებს, დამნაშავე არა ვარო.

**რუსული „როსტსელმაშის" მწვრთნელმა სერგეი ანდრეევმა პოსტი დატოვა. „გამუდმებით მჭორავენ, რაც ძალიან მაღიზიანებს. დავიღალე" — განაცხადა მან. 44 წლის ანდრეევი როსტოვულ გუნდს 1995 წლიდან თავკაცობს, 80-იან წლებში კი როსტოვის სკა-ს საუკეთესო ბომბარდირი იყო. ეს სეზონი როსტსელმაშელებმა მე-12 პოზიციაზე დაასრულეს, უმაღლეს ლიგაში კი საუკეთესო შედეგს 1998 მიაღწიეს, როცა მეექვსე ადგილზე გავიდნენ. „ახლა გუნდს დროებით სერგეი ბალახნინი უხელმძღვანელებს. არ გამოვრიცხავ, იგი ამ პოსტზე საბოლოოდ დავტოვოთ" — იუწყება კლუბის პრეზიდენტი.**

## სამხრეთ ამერიკა



მალე უგო იბარა, კარლოს ბიანკი, ხუან რიკელმე და ოსკარ კორდობა საჩემპიონოდ გაწვებიან

REUTERS ბუენოს აირესიდან

## არგენტინა

მე-19 ტური: ბელგრანო — როსარიო სენტრალი 1:4; ურაკანი —ველეზ სარსფილდი 2:2; უნიონი — სან ლორენსო 0:0; ბოკა ხუნიორსი — ესტუდიანტესი 1:0; ლანუსი — რივერ პლეიტი 3:2; ნიუელს ოლდ ბოიზი — ტალერესი 1:0; არგენტინოს ხუნიორსი — ჩაკარიტა ხუნიორსი 0:2; ხიმნასია (ლა პლატა) — ლოს ანდესი 2:0; ალმაგრო — კოლონი 2:1; რასინგი — ინდეპენდიენტე 0:2 (მატჩი მე-80 წუთზე ჩაიშალა)

**„ბოკა ხუნიორსმა"** გასულ უქმეებზე არგენტინის ჩემპიონატის პირველი ეტაპი — აპერტურა მოიგო, რაც კლუბისთვის წლეულს მესამე ტიტულია ლიბერტადორესისა და ტოიოტას თასების შემდეგ. თუმცა ეს უქმეები არგენტინული ფეხბურთისთვის საზეიმო არ ყოფილა — არეულობების გამო ორი შეხვედრა ჩაიშალა, ბლომად ხალხი დაიჭრა და ერთი ქომაგი დაიღუპა.

ბოლო ტურის წინ „ბოკა" ერთი ქულით უსწრებდა „რივერ პლეიტს", ორით — „ტალერესს" და როგორც მე-19 ტურის შედეგებმა აჩვენა, ჩემპიონობისთვის „ესტუდიანტესთან" გამარჯვება არც სჭირდებოდა, რაკიღა უახლოესმა მდევრებმა თავიანთი მატჩები დათმეს.

„რივერი" სტუმრად ხვდებოდა „ლანუსს" და კოლუმბიელი თავდამსხმელი ხუან პაბლო ანხელის დასაწყისშივე გატანილი გოლით დაწინაურდა. ამასთანავე, ბუენოსაირესელებს „ბოკას" წაფორხილების იმედიც ჰქონდათ, რომელსაც წინა ორი შეხვედრა წაგებული ჰქონდა. მაგრამ მასპინძლებმა მალევე გაათანაბრეს, ხოლო „რივერს" მცველი რობერტო ტროტა კამათისთვის გაუძევეს. საბოლოოდ „ლანუსმა" 3:2 მოიგო. როგორც ვთქვით, „ბოკას" დაწევის შანსი „ტალერესსაც" ჰქონდა, თუმცა ისიც დამარცხდა, „ოლდ ბოიზთან" — 0:1. ამ წაგებით „ტალერესმა" მესამე ადგილიც დაკარგა, რომელიც პირველ დივიზიონში წლეულს გადასული „ლოს ანდესის" მძლეველმა ლა პლატის „გიმნაზიამ" დაიკავა. ლაპლატელები მხოლოდ ბურთების უარესი შეფარდებით ჩამორჩნენ „რივერს". დავუმატოთ, რომ „ლანუსის" კარში გატანილი გოლი ხუან ანხელისთვის სეზონში მეცამეტე აღმოჩნდა და ბომბარდირის წოდებაც მოუტანა.

„რივერ პლეიტისა" და „ტალერესის" მატჩების გათვალისწინებით, როგორც აღვნიშნეთ, „ბოკას" მშვიდად შეეძლო წაეგო, მაგრამ მშობლიურ „ლა ბომბონერაზე" „ესტუდიანტესთან" მარცხი იუკადრისა და შეცვლაზე შესული მატიას არსეს ერთადერთი გოლით 60 ათასი ქომაგი გაახარა. სხვათა შორის, „ესტუდიანტესი" სულაც არაა ხელწამოსაკრავი მეტოქე, რადგან ოცგუნდიან ჩემპიონატში ყველაზე ნაკლები გოლი გაუშვა.

მატჩის შემდეგ ფეხბურთელებთან ერთად მათი გახარებული მწვრთნელი კარლოს ბიანკიც გაცურდა მწვანე მინდორზე და ახალი კოსტუმი დასვარა, თუმცა მისი სიტყვები მოწმობს, რომ სიხარული სევდანარევი ყოფილა: „ზოგისთვის ეგებ გაუგებარი და ეგოისტური იყოს, მაგრამ ამ გამარჯვებას ჩემს ძაღლს ვუძღვნი, რომელიც ორი დღის წინ მოკვდა".

ძაღლი იქით იყოს და ტრაგედია დატრიალდა მეორე დივიზიონში, „ალმირანტე ბრაუნისა" და „დეპორტივო მორონის" მატჩის დროს. მეორე ტაიმის დაწყებისთანავე ტრიბუნებზე ჩხუბი ატყდა, რომლის დროსაც 17 წლის მარიანო გუარასი ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს. იგი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. არეულობების გამო მატჩი 55-ე წუთზე შეწყდა.

მოგვიანებით ალმირანტელი ფანები სტუმარ ფეხბურთელებს დაესხნენ თავს. „დეპორტივოს" მეკარე სებასტიან პრატა ამბობს: „როცა ავტობუსში ჩავსხედით, ჭიშკარი გაიღო და ასზე მეტმა ხულიგანმა ალყაში მოგვაქცია. ისინი ავტობუსშიც შემოიჭრნენ და გვცემეს. საოცარია, მაგრამ ირგვლივ პოლიციელების ჭაჭანება არ იყო".

მე-80 წუთზე შეწყდა „რასინგი" — „ინდეპენდიენტეს" შეხვედრა. სტუმრები 2:0 იგებდნენ, როცა „რასინგის" ფანები მეტოქე გუნდის გულშემატკივართა სექტორში შეცვივდნენ და დანების ტრიალი დაიწყეს. პოლიციამ ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები გამოიყენა და ექვსი კაცი დაჭრა, ერთსაც ჩხუბის დროს დანა გაუყარეს. აღსანიშნავია, რომ „რასინგიც" და „ინდეპენდიენტეც" ბუენოს აირესის სამრეწველო გარეუბან აველანედის გუნდებია, მათ საწვრთნელ ბაზებს შორის მანძილი მხოლოდ ორასი მეტრია და როცა ერთმანეთს ხვდებიან, მუდამ ასეთი რამეები ხდება. არეულობა ახლაც მოსალოდნელი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ მატჩის წინა დღეს რასინგის ფანობამ სტადიონზე უზარმაზარი ტრანსპარანტი გამოფინა: „ხვალ ვიღაც მოკვდება".

**გიორგი დარჯანია**

### აპერტურას საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 19 | 12 | 5 | 2 | 35:19 | 41 |
| რივერ პლეიტი | 19 | 10 | 7 | 2 | 41:24 | 37 |
| ხიმნასია | 19 | 11 | 4 | 4 | 36:29 | 37 |
| ტალერესი | 19 | 11 | 3 | 5 | 31:21 | 36 |
| სან ლორენსო | 19 | 10 | 4 | 5 | 33:18 | 34 |
| ესტუდიანტესი | 19 | 7 | 8 | 4 | 22:17 | 29 |
| ველეზი | 19 | 7 | 8 | 4 | 26:20 | 29 |
| ურაკანი | 19 | 6 | 9 | 4 | 26:21 | 27 |
| ჩაკარიტა | 19 | 8 | 3 | 8 | 19:24 | 27 |
| კოლონი | 19 | 7 | 5 | 7 | 29:23 | 26 |
| უნიონი | 19 | 6 | 8 | 5 | 23:21 | 26 |
| როსარიო | 19 | 6 | 6 | 7 | 28:31 | 24 |
| ოლდ ბოიზი | 19 | 5 | 9 | 5 | 18:23 | 24 |
| ლანუსი | 19 | 5 | 6 | 8 | 24:26 | 21 |
| ინდეპენდიენტე | 18 | 5 | 5 | 8 | 22:23 | 20 |
| ბელგრანო | 19 | 3 | 8 | 8 | 22:31 | 17 |
| არგ. ხუნიორსი | 19 | 2 | 8 | 9 | 18:28 | 14 |
| ალმაგრო | 19 | 2 | 7 | 10 | 18:31 | 13 |
| ლოს ანდესი | 19 | 3 | 3 | 13 | 21:46 | 12 |
| რასინგი | 18 | 1 | 8 | 9 | 12:28 | 11 |

## ბრაზილია

ჩემპიონატის ნახევარფინალი

პირველი მატჩი

**ვასკუ და გამა 2:2 კრუზეირო**

საპასუხო მატჩი

**გრემიო 1:3 სან კაეტანო (2:3)**

**მეტი** უცნაურობა რა უნდა იყოს: მეორედივიზიონელი „სან კაეტანო" შესაძლოა, ქვეყნის ჩემპიონიც გახდეს, ყოველ შემთხვევაში, ვიცე-ჩემპიონობა გარანტირებული აქვს.

გუნდმა, რომელიც სან პაულუს შტატის ინდუსტრიულ რეგიონს წარმოადგენს, მეორე დივიზიონშიც ვერ იმარჯვა, პირველობა „პარანას" დაუთმო. პლეი ოფში კი გაილაღა: ჯერ „ფლუმინენსე" გამოაგდო, მერე „პალმეირასი", ბოლოს „გრემიო" და ფინალში გააღწია.

მეორე ფინალისტის ვინაობა „კრუზეირო" — „ვასკუ და გამას" საპასუხო მატჩში უნდა გაირკვეს. პირველი შეხვედრა 2:2 დასრულდა და „ვასკუ" მწვრთნელი შეიწირა: ოსვალდო ოლივეირა ჟოელ სანტანათი შეცვალეს. ის დიდად უმადური პროფესიაა მწვრთნელობა ბრაზილიაში და მით უფრო „ვასკუსი" — სანტანა ამ სეზონში კლუბის მეექვსე მწვრთნელი გახდა.

## მექსიკა

ჩემპიონატის ფინალი

საპასუხო მატჩი

**ტოლუკა 2:0 (პენ.4:5) მორელია (1:3)**

**ჩემპიონატის** პირველი ეტაპ… რომელსაც სხვა სამხრეთამერიკელ… ბი აპერტურას უწოდებენ, მექსიკა… კი ინვიერნო ჰქვია, „მორელიამ" მო… გო.

პირველი მატჩი „მორელიას" 3:1 მ… ეგო, მაგრამ საპასუხოში წინა სეზო… ნის ჩემპიონმა „ტოლუკამ" ორბურთ… ანი სხვაობა იოლად დასძლია, თუმ… მესამე გოლისათვის ძალა აღარ … და საქმე პენალტამდე მივიდა. აქ „მო… რელიას" მეკარე ანხელ კომისო გმ… რობა ჩაიდინა და სამი პენალტი მო… გერია — გადამწყვეტი დარტყმა „ტო… ლუკას" პარაგვაელ ხოსე კარდოზ… აუღო.

აღსანიშნავია, რომ „მორელიას" გ… უმართლა, საერთოდ რომ მოხვდა პლ… ოფში. გათამაშების სისტემა გავიხს… ნოთ: თვრამეტი მონაწილე ოთხ ჯგ… ფად იყოფა, თუმცა სხვა ჯგუფებ… გუნდებთანაც თამაშობენ. მეოთხედფი… ნალში ჯგუფებში პირველ ადგილ… გასული ოთხი და სამი საუკეთეს… მეორეადგილოსანი გუნდი გადის. მ… რვე საგზურს უარესი მეორეადგილ… სანი და საუკეთესო მესამეადგილოსა… ეცილებიან ერთმანეთს. „მორელ… სწორედ ის მესამეადგილოსანი იყ…

## ჩილე

30-ე ტური: უნივერსიდად კათოლიკა — … პატო 2:2; უონდერერსი — ევერტონი 1:… ნსეპსიონი — კობრელოა 2:1; აუდაქს იტალ… ანო — პალესტინო 1:3; კოლო კოლო — სანტ… აგო მორნინგი 5:2; ოსორნო — პუერტო მონ… 2:0; კოკიმბო უნიდო — ოჰიგინსი 3:0; უნივე… რსიდად დე ჩილე — უნიონ ესპანიოლა 2…

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნ. დე ჩილე | 30 | 18 | 7 | 5 | 62:27 | 61 |
| კობრელოა | 30 | 15 | 7 | 8 | 53:36 | 52 |
| კოლო კოლო | 30 | 13 | 10 | 7 | 58:46 | 49 |
| უნიონ ესპან. | 30 | 13 | 9 | 8 | 43:38 | 48 |
| კონსეპსიონი | 30 | 12 | 9 | 9 | 30:30 | 45 |
| უნ. კათოლიკა | 30 | 11 | 11 | 8 | 51:42 | 44 |
| აუდაქს იტალ. | 30 | 11 | 7 | 12 | 38:34 | 40 |
| პალესტინო | 30 | 11 | 7 | 12 | 45:44 | 40 |
| უონდერერსი | 30 | 10 | 10 | 10 | 47:48 | 40 |
| სანტ. მორნინგი | 30 | 10 | 8 | 12 | 47:54 | 38 |
| კოკიმბო უნიდო | 30 | 9 | 10 | 11 | 36:47 | 37 |
| ოჰიგინსი | 30 | 10 | 6 | 14 | 43:52 | 36 |
| პუერტო მონტი | 30 | 9 | 7 | 14 | 42:54 | 34 |
| უაჩიპატო | 30 | 9 | 6 | 15 | 44:48 | 33 |
| ევერტონი | 30 | 8 | 9 | 13 | 41:53 | 33 |
| ოსორნო | 30 | 5 | 8 | 17 | 37:64 | 23 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანია. ბუნდესლიგა

20 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.15 | 001 | უნტერჰახინგი-ვერდერი | 2,1 | 2,9 | 3,4 |

საფრანგეთი. I დივიზიონი. 21-ე ტური

20 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 002 | მარსელი-მონაკო | 2,1 | 2,9 | 3,4 |

21 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 003 | ბორდო-ნანტი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.30 | 004 | ოსერი-ლანსი | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 23.30 | 005 | ლილი-ბასტია | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.30 | 006 | ლიონი-სენტ ეტიენი | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 23.30 | 007 | პსჟ-ტრუა | 1,55 | 3,1 | 6,0 |
| 23.30 | 008 | რენი-სედანი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.30 | 009 | სტრასბური-მეცი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 23.30 | 010 | ტულუზი-გენგამი | 2,2 | 2,9, | 3,2 |

საფრანგეთი. II დივიზიონი. 24-ე ტური

20 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 011 | ლე მანი-სოშო | 2,8 | 2,6 | 2,6 |

21 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 012 | აიაჩო-ლე ავრი | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 23.30 | 013 | ანჟე-კანი | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| 23.30 | 014 | ბოვუა-ლორიანი | 3,1 | 2,8 | 2,3 |
| 23.30 | 015 | კაენი-გენიონი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 23.30 | 016 | შატორუ-კრეტეი | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 23.30 | 017 | მარტიგი-მონპელიე | 3,3 | 2,8 | 2,2 |
| 23.30 | 018 | ნიცა-ლავალი | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 23.30 | 019 | ნიორი-ვასკალი | 1,45 | 3,4 | 7,5 |
| 23.30 | 020 | ნიმი-ნანსი | 2,4 | 2,7 | 3,0 |

ესპანეთი. I დივიზიონი. მე-16 ტური

20 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 022 | ბილბაო-ვალენსია | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 23.30 | 023 | რასინგი-ვალიადოლიდი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.30 | 024 | ბარსელონა-ალავესი | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| | 025 | ბარსელონა-ალავესი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 23.30 | 026 | ნუმანსია-სელტა | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.45 | 027 | დეპორტივო-ოვიედო | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| | 028 | დეპორტივო-ოვიედო 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.45 | 029 | მალიორკა-ესპანიოლი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 23.45 | 030 | ვილარეალი-სარაგოსა | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 24.00 | 031 | მალაგა-სოსიედადი | 1,7 | 2,9 | 4,7 |
| 01.00 | 032 | ლას პალმასი-ოსასუნა | 1,7 | 3,0 | 5,0 |

ესპანეთი. II დივიზიონი. მე-18 ტური

20 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 033 | ეიბარი-ელჩე | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.30 | 034 | ლეიდა-კორდობა | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 23.45 | 035 | მურსია-ესტრემადურა | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.45 | 036 | სალამანკა-ტენერიფე | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.45 | 037 | სპორტინგი-ფეროლი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 038 | სპორტინგი-ფეროლი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.45 | 039 | ლევანტე-კომპოსტელა | 1,65 | 2,9 | 6,0 |
| 24.00 | 040 | სევილია-უნივერსიდადი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 041 | სევილია-უნივერსიდადი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 24.00 | 042 | ხეტაფე-ბეტისი | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 24.00 | 043 | უელვა-ხაენი | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 00.30 | 044 | ალბასეტე-ბადახოსი | 1,65 | 2,8 | 6,5 |

21 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 00.30 | 045 | ლეგანესი-ატლეტიკო | 2,4 | 2,9 | 2,8 |

ჰოლანდია. I დივიზიონი

20 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 046 | უტრეხტი-ვალვაიკი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 23.00 | 047 | ტილბურგი-ნაიმეგენი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 23.00 | 048 | ფეიენოორდი-ვიტესი | 1,45 | 3,5 | 7,0 |

21 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 049 | პსვ-სიტარდი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 050 | პსვ-სიტარდი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 23.00 | 051 | გრონინგენი-ჰერენვენი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 23.00 | 052 | როზენდალი-ტვენტე | 3,0 | 2,9 | 2,2 |

ბელგია. I დივიზიონი

20 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 053 | შარლერუა-ბევერენი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 054 | ლოკერენი-ლუვიე | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 055 | ბეერსხოტი-მუსკრონი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 056 | გენკი-მეხელენი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 057 | გენკი-მეხელენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.00 | 058 | ანდერლეხტი-სტ.ტრუიდენი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 059 | ანდერლეხტი-სტ.ტრუიდენი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 23.00 | 060 | ანტვერპენი-ვესტერლო | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.00 | 062 | ლიერსი-აალსტი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 063 | ლიერსი-აალსტი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.00 | 064 | სტანდარდი-ჰარელბეკე | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 065 | სტანდარდი-ჰარელბეკე 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

თურქეთი

20 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 066 | ანთალია-გალათასარაი | 4,7 | 3,1 | 1,7 |

21 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 067 | ტრაბზონი-ერზურუმი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 068 | ტრაბზონი-ერზურუმი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

გერმანია. თასის 1/4 ფინალი

20 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 069 | უნიონი-ბოხუმი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 22.00 | 070 | შტუტგარტი-ფრაიბურგი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 22.00 | 071 | დუისბურგი-მიონხენგლადბახი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 23.30 | 072 | მაგდებურგი-შალკე | 6,5 | 4,0 | 1,4 |

კალათბურთი

20 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 809 | ბოსტონი-ნიუ ჯერსი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 04.00 | 810 | ინდიანა-ტორონტო | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 04.30 | 811 | შარლოტი-მაიამი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 05.00 | 812 | დალასი-პორტლენდი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 05.00 | 813 | ფილადელფია-იუტა | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 05.30 | 814 | სან ანტონიო-კლივლენდი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 06.00 | 815 | დენვერი-დეტროიტი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 07.00 | 816 | სიეტლი-საკრამენტო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 07.00 | 817 | ვანკუვერი-ვაშინგტონი | 1,3 | 12,0 | 2,5 |
| 07.30 | 818 | კლიპერსი-მინესოტა | 2,5 | 12,0 | 1,35 |

21 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 819 | ორლანდო-ჩიკაგო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.00 | 820 | მილუოკი-ნიუ ჯერსი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 05.00 | 821 | ნიუ იორკი-ბოსტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.30 | 822 | ჰიუსტონი-ლეიკერსი | 2,0 | 12,0 | 1,5 |

კალათბურთი. სუპროლიგა

20 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 823 | რაანანა-პანათინაიკოსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.30 | 824 | სკავოლინი-ეფესი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 23.30 | 825 | ვილერბანი-ცსკა | 1,5 | 12,0 | 2,0 |

21 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 826 | ულქერი-სიენა | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 21.00 | 827 | პლანია-ოსტენდე | 3,1 | 12,0 | 1,2 |
| 23.30 | 828 | სპლიტი-ლიეტუვოს რიტასი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 23.30 | 829 | კრკა-პო ორტეზი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 23.30 | 830 | ირაკლისი-მაკაბი | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 23.30 | 831 | ალბა-ცეპტერი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 23.30 | 832 | პარტიზანი-ბაიერი | 1,05 | 12,0 | 7,5 |

კალათბურთი. ევროლიგა

20 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 833 | ფორტიტუდო-ლუგანო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 19.00 | 834 | ზადარი-ესტუდიანტესი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 19.00 | 835 | ჟალგირისი-პერისტერი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 19.00 | 836 | აეკ შარლერუა | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 19.00 | 837 | კინდერი-ტაუ | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 19.00 | 838 | პეტერბურგი-ციბონა | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 19.00 | 839 | რეალი-ოვარენსე | 1,02 | 12,0 | 10,0 |
| 19.00 | 840 | ოლიმპიაკოსი-ოლიმპია | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 19.00 | 841 | ჰაპოელი-ბენეტონი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 19.00 | 842 | ბუდუჩნოსტი-ლონდონი | 1,02 | 12,0 | 7,5 |
| 19.00 | 843 | სკაილაინერსი-პაოკ | 3,5 | 12,0 | 1,15 |
| 19.00 | 844 | ბარსელონა-მიულერი | 1,45 | 12,0 | 2,1 |

ჰოკეი

20 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 905 | რეინჯერსი-სენტ ლუისი | 2,5 | 12,0 | 1,8 |
| 04.00 | 906 | ბუფალო-ფილადელფია | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 04.00 | 907 | ვაშინგტონი-ბუფალო | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 04.30 | 908 | ტორონტო-ნეშვილი | 1,45 | 4,0 | 3,6 |
| 04.30 | 909 | ფლორიდა-პიტსბურგი | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 04.30 | 910 | დეტროიტი-სან ხოსე | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 05.00 | 911 | ნიუ ჯერსი-დალასი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 05.00 | 912 | მინესოტა-ოტავა | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 06.00 | 913 | ედმონტონი-ვანკუვერი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 06.00 | 914 | ფინიქსი-კალგარი | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 07.30 | 915 | ანაჰაიმი-ატლანტა | 1,8 | 4,0 | 2,5 |

21 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 916 | ბოსტონი-ტორონტო | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| 04.00 | 917 | ბუფალო-ვაშინგტონი | 1,45 | 4,0 | 3,6 |
| 04.00 | 918 | ფილადელფია-სან ხოსე | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 04.00 | 919 | კოლუმბუსი-ოტავა | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 04.30 | 920 | მონრეალი-ნეშვილი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 04.30 | 921 | აილენდერსი-დალასი | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 04.30 | 922 | ტამპა ბეი-პიტსბურგი | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 05.30 | 923 | ჩიკაგო-ვანკუვერი | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 06.00 | 924 | კოლორადო-ლოს ანჯელესი | 1,4 | 4,0 | 4,2 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ვინ ვისია?

**კვირას** ბუენოს აირესიდან გავიდა და სამხრეთისკენ გაეშურა დედამიწის ირგვლივ მოძრავი რეგატა „BT გლობალ ჩელენჯი“, ორგანიზებული სახელოვანი „ბრიტიშ ტელეკომის“ მიერ. რეგატის მესამე ეტაპი ისევ იმ თორმეტმა იახტამ დაიწყო, რომლებიც სამიოდე თვე იქნება, ბრიტანული საუთჰემპტონიდან რომ დაიძრნენ. მათი მიზანი ახალი მიწების აღმოჩენა არ გახლავთ, რადგან დედამიწაზე აღმოსაჩენიც არაფერია, უბრალოდ რომ ვთქვათ, ისინი სარეკლამო კამპანიას ეწევიან. არის იქ სპორტული ინტერესიც — გასწრების აზარტი და მისთანები, მაგრამ 21-ე საუკუნის დამდეგს, როცა რეკლამა ამშვენებს ფეხბურთელთა მაისურებს, ფორმულა 1-ის ბოლიდებსა და ტროლეიბუსებსაც თბილისის ქუჩებში, გასაკვირი ის იქნებოდა „BT ჩელენჯის“ სხვაგვარი დანიშნულება ჰქონდეს — იგი ბიზნეს-გიგანტების მსოფლიო მასშტაბებით წარმოსაჩენად გახლავთ მოწოდებული. თითოეულ იახტას სოლიდური პატრონი ჰყავს და ამიტომაც მესამე ეტაპს უკლებლივ უწიეს, თორემ გახედეთ, რა ხდება „ვენდი გლოუბის“ რეგატაზე — 24 ეული ზღვაოსანი გავიდა ფრანგულ დე საბლ დოლონიდან და გზის მესამედიც არ გალეულა, ხუთი კი რბოლამ უკვე მოისაკლისა. ამაზე ცოტა მოგვიანებით, ხოლო მანამდე „ჩელენჯერთა“ მდიდარ პატრონებს გაგაცნობთ. მაშ ასე, იახტები: „ნორვიჩ იუნიონ“ — მას CGNU აფინანსებს, დიდი ბრიტანეთის უდიდესი სადაზღვევო ჯგუფი, ევროპის პირველი ხუთეულის წევრი 57 ქვეყანაში ფილიალებითა და 65 ათასი კლიენტით.

„კომპაქ“ — კომპიუტერული მონსტრის პირმშო, რომელიც ზოგადად ამ დარგში მსოფლიოში მეორეა და პერსონალური კომპიუტერების ამბავში სულაც პირველი.

„აილ ოფ მენ“ — რეგატის ყველაზე სახალხო იახტა გახლავთ, რომელიც კომპანია „მანქს მილენიუმისა“ და კუნძულ მენის (ბრიტანული კუნძულია ირლანდიის ზღვაში, ინგლისს, ირლანდიასა და შოტლანდიას შორის) მობინადრეთა ერთობლივი შრომით აიგო. მასზე მენის დროშა ფრიალებს.



„LG ფლატრონი“: ფული და პატრონი

„ტიმ სპირიტ“ — ფულის იახტისთვის დაყაჭვა შეენანათ თუ რა იყო, შეგროვდნენ განთქმულნი: „ფუჯიცუ“, „ერიკსონი“, „სან მაიკროსისტემსი“, „დელი“, „მარკონი“, „კომპუტასენტერი“, „ლიუსენტ ბელ ლაბსი“ და „ნორტელ ნეტუორკსი“ — ინფორმაციულ ტექნოლოგიათა ვეშაპები და იახტა ააგეს. სახელიც „გუნდურ სულს“ ნიშნავს.

„LG ფლატრონ“ — სხვანაირად მოიქცა „LG ელექტრონიკსი“ და ჰქონდა კიდეც საფუძველი 10 მილიარდი დოლარის წლიური ბრუნვის მქონე ფირმას (მთლიანად „LG“-ის ჯგუფი წელიწადში 73 მილიარდის საქონელს ყიდის და მსოფლიოს 50 უდიდესი კორპორაციის სიაშია), რომ დამოუკიდებლად გაეშვა იახტა „BT ჩელენჯზე“. „ფლატრონი“ იმ ტელევიზორისა და მონიტორის სახელია, რომელმაც კომპანია ყველაზე მეტად ახეირა.

„BP“ — ეს „ბრიტიშ პეტროლეუმია“, ნავთობგიგანტი.

„სერკო“ — იახტის სრული სახელი „სერკო სეივ ზე ჩილდრენ“ გახლავთ და დედამიწას ბავშვთა უფლებებისთვის ბრძოლის ლოზუნგით უვლის. „სეივ ზე ჩილდრენ“ ბავშვებისთვის მზრუნველი მოწინავე, დამოუკიდებელი მოძრაობაა.

არიან კიდევ „ქუადსტოუნი“, „ოლიმპიკ გრუპი“, „ვერიტასი“, „სპირიტ ოფ ჰონკონგი“ (ჰონკონგიდან) და „ლოჯიკე“, რომელთაც ზემოთნახსენები იახტების მსგავსი არა, მაგრამ მაინც დიდი და ძლიერი სპინსორები ჰყავთ. მათი მხარდაჭერით კვირას რეგატის მესამე ეტაპი დაიწყო. ხუთ დღეს ბევრი არაფერი შეუცვლია, იახტები საკმაოდ მჭიდრო ჯგუფად სამხრეთით მიიწევდნენ და ტაქტიკურ ბრძოლას უფრო წყნარ ოკეანეში გასვლის შემდგომ ფიქრობენ. დანიშნულების ნავსადგური ოკეანის მეორე ბოლოს მდებარე ველინგტონია, ხოლო ეტაპი ადრინდელზე გრძელი გახლავთ. ახლა წინ „ნორვიჩ იუნიონია“, თუმცა ეს არაფერს ნიშნავს, მთავარი ამბები წინაა. რეგატის მმართველ ბიუროს ამ დღეებში რამდენიმე იახტამ მიმართა: „ოლიმპიკ გრუპსა“ და „ქუადსტოუნს“ სპინაკერი გახევიათ, „ნორვიჩ იუნიონს“ რანპოუტის რომელიღაც დეტალი გაფუჭებია, „LG ფლატრონს“ — გენერატორი.

საპირისპირო მიმართულებით „ვენდი გლოუბის“ ცალკაცა იახტები მიცურავენ. ერთი კვირა იქნება, მათზე არაფერი გვითქვამს და ამასობაში ვითარება მკვეთრად შეიცვალა. დიდი ხნის ლიდერობა დაკარგა ივ პარლემ, რომელიც იმისთვის დაისაჯა, რომ სამხრეთისკენ მეტისმეტად გადაუხვია. მიშელ დეჟუაიემ პირდაპირ სვლა არჩია და ამან მოწინავე პოზიცია არგუნა. პარლეს გაუსწრო როლან ჟურდენმაც, სხვები კი ისე იყვნენ ჩამორჩენილნი, ფრანგის შეცდომით ვერ იხეირეს, თუმცა მას ერთობ დაუახლოვდნენ.

სიტუაცია გარკვეულია: პირველობისთვის ორი ფრანგული იახტა იბრძვის, რვა კი (მათშიც უმეტესობა ფრანგულია) „მუშა ჯგუფშია“, რომელთაც გამარჯვებაზე ფიქრი ასევე შეუძლიათ. ობიექტურ მიზეზთა გამო (ადრე ვწერდით) მათში არ არის ბრიტანელი მაიკ გოლდინგი, რომელიც მეჩვიდმეტეა და ფინიშამდე კიდევ ბევრს გაუსწრებს, ხოლო რვა დანარჩენს უკვე თამამად შეიძლება „ოლიმპიელი“ ვუწოდოთ, რადგან მათთვის გამარჯვება კი არა, როგორც ჩანს, მონაწილეობაა მთავარი. სულ 19 იახტა გროვდება, ხუთმა კი ველარ გაძლო და რეგატას უკვე გამოეთიშა.

**დავით გულუა**

**რეგატა «ვენდი გლოუბი»**

14 დეკემბრის ვითარება

პირველი ხუთეული

1. მიშელ დეჟუაიე (PRB, საფრანგეთი) 14750 საზღვაო მილი ფინიშამდე;
2. როლან ჟურდენი („სილ“, საფრანგეთი) +130;
3. ივ პარლე („აქუიტან ინოვასიონს“, საფრანგეთი) +371;
4. ელენ მაკარტური („კინგ ფიშერ“, დიდი ბრიტანეთი) +431;
5. თომა კოვილი („სოდებო“, საფრანგეთი) +438;

**BT Global Challenge**

The world's toughest yacht race

**რეგატა «BT გლობალ ჩელენჯი»**

III ეტაპი.

ბუენოს აირესი — ველიგტონი

14 დეკემბრის ვითარება

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | „ნორვიჩ იუნიონ“ | 5307 | 0 |
| 2. | „კომპაქ“ | 5314 | 7 |
| 3. | „სპირიტ ოფ ჰონკონგ“ | 5319 | 12 |
| 4. | „LG ფლატრონ“ | 5326 | 19 |
| 5. | „ვერიტას“ | 5327 | 20 |
| 6. | „ქუადსტოუნ“ | 5328 | 21 |
| 7. | „ოლიმპიკ გრუპ“ | 5329 | 22 |
| 8. | „აილ ოფ მენ“ | 5338 | 31 |
| 9. | „ტიმ სპირიტ“ | 5339 | 32 |
| 10. | „ლოჯიკე“ | 5344 | 37 |
| 11. | „სერკო“ | 5353 | 46 |
| 12. | BP | 5420 | 113 |

*მეორე სვეტში მოცემულია მანძილი ფინიშამდე (საზღვაო მილებში), მესამეში — დაშორება ლიდერთან.*

ცურვა

# კლოჩკოვამ წყალში ფული იპოვა

**ვალენსია** ოთხი დღით მოცურავეებს უმასპინძლებს. „მოკლე წყალში“ ევროპირველობაზე ბევრი გამოჩენილი სპორტსმენი გამოდის, ბევრიც — არა. ჩემპიონატს უგანეს ჰოლანდიელებმა ინგე დე ბრუინმა და პიტერ ვან ჰუგებანდმა, უნგრელმა აგნეს კოვაჩმა, ჩემპიონატის დაწყებამდე კი 16 წლის რუმინელმა დიანა მოკანუმაც ცურვაზე უარი თქვა, ფილტვები გამიცივდაო. ესენი სულ ოლიმპიური ჩემპიონები ჩამოვთვალეთ და აი, იმ ოთხის ვინაობაც, რომლებმაც სიდნეიში გაიმარჯვეს და ვალენსიაშიც არიან: შვედი ლარს ფროლანდერი, უკრაინელი იანა კლოჩკოვა, იტალიელები მასიმილიანო როსოლინო და დომენიკო ფიორავანტი. პირველი ორი ფინანსურ ამბავთა გამოა გამოსარჩევი. ფროლანდერი და კლოჩკოვა „სუპერვარსკვლავი 2000“-ის ტიტულისთვის იბრძვიან, რაც მძლეოსანთა „ოქროს ლიგის“ მაგვარია, მოცურავეთა ევროლიგის 4 უმნიშვნელოვანეს შეჯიბრში გამარჯვებისთვის 100 ათასმარკიანი პრემიაა დაწესებული. კლოჩკოვას უკვე აქვს თავისი კუთვნილი: მან გუშინწინ 200 მეტრზე კომპლექსური გაცურვა დიდი უპირატესობით მოიგო, ხოლო ფროლანდერი 100 მეტრზე ბატერფლაიში შეეცდება გვარიანი პრემიის მოხვეჭას.

„სხვა ფულიც უნდა ავიღო — თქვა კლოჩკოვამ გაცურვის წინა დღეს — უკრაინის ოლიმპიური კომიტეტისგან 130 ათას დოლარს ველი სიდნეის ოლიმპიადაზე გაწეული სამსახურის ასანაზღაურებლად“.

კლოჩკოვამ სიდნეიში 200 და 400 მეტრზე კომპლექსური გაცურვები მოიგო, 800 მეტრზე თავისუფალი სტილით მეორე იყო.

14 დეკემბრის მეორე რჩეული ვალენსიაში როსოლინო გახდა, რომელმაც 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ევროპის რეკორდი დაამხო და ერთ დღეში სამი გაცურვა მოიგო.

**დავით გულუა**



იანა კლოჩკოვა

ვალენსია. ესპანეთი.
ევროპის ჩემპიონატი „მოკლე წყალში“.
14 დეკემბერი

**ქალები**

*50 მ. ბრასი.* 1. ემა იგელსტრომი (შვედეთი) 31,26; 2. აგნეშკა ბრაშკიევიჩი (პოლონეთი) 1,55; 3. ანე-მარიე გულბრანდსენი (ნორვეგია) 31,70. *200 მ. ბატერფლაი.* 1. ანიკა მელპორნი (გერმანია) 2:05,77; 2. მეტე იაკობსენი (დანია) 2:07,70; 3. პეტრა ზარლი (ავსტრია) 2:09,29. *200 მ. კომპლექსური.* 1. იანა კლოჩკოვა (უკრაინა) 2:10,75; 27 ოქსანა ვერევკა (რუსეთი) 2:12,15; 3. სიუ როლფი (დიდი ბრიტანეთი) 2:12,28

**კაცები**

*50 მ. თავისუფალი.* 1. სტეფან ნისტრანდი (შვედეთი) 21,52; 2. მარკ ფოსტერი (დიდი ბრიტანეთი) 21,60; 3. ოლექსანდრ ვოლინეცი (უკრაინა) 21,70. *200 მ. ინდივიდუალური შერეული.* 1. მასიმილიანო როსოლინო (იტალია) 1:56,62; 2. კრისტიან კელერი (გერმანია) 1:57,68; 3. პეტერ მანკოჩი (სლოვენია) 1:58,14. *400 მ. თავისუფალი.* 1. როსოლინო 3:39,59; 2. პოლ პალმერი (დიდი ბრიტანეთი) 3:44,80; 3. კვეტოსლავ სვობოდა (ჩეხეთი) 3:47,36. *200 მ. გულაღმა.* 1. ორნ არნარსონი (ისლანდია) 1:52,90; 2. გორდან კოჟული (ხორვატია) 1:53,50; 3. ბლაზ მედვეშეკი (სლოვენია) 1:54,61

ველორბოლა

# არმსტრონგის ნაგავიც გაქექეს

**აქტოვეგინი,** პრეპარატი, რომელიც „ტურ დე ფრანსის“ დროს ვითომდა ლენს არმსტრონგის გუნდმა „პოსტალმა“ გამოიყენა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ აკრძალულ ნივთიერებათა სიაშია შეტანილი.

სოკ-ის მედიცინის კომისიამ სახალხოდ გამოაცხადა: საქონლის სისხლით დამზადებული ეს პრეპარატი სისხლის დოპინგების კატეგორიაში არის შეტანილიო.

ეს წამალი ყურადღების ცენტრში ნოემბრიდან მოექცა. დაახლოებით ერთი თვის წინ პარიზის პროკურატურამ ოფიციალურად დაიწყო გამოძიება ოქტომბერში წინასწარი მოკვლევისას აღმოჩენილი ფაქტების გამო. მოსამართლე სოფიელენ შატოსთვის მინდობილი საქმე „პოსტალს“ ეხება და სისხლის სამართლის კოდექსით „დოპინგის გავრცელების გადატანისა და შენახვის“ მუხლი უდგება. ამ საქმეში გასარკვევია გუნდის ლიდერისა და ბოლო ორი „ტურ დე ფრანსის“ გამარჯვებულის, ლენს არმსტრონგის როლიც.

ამ ზაფხულში, „ტურის “ ერთ-ერთი ეტაპისას (მორზინში) ფრანგული სახელმწიფო ტელეარხის „ფრანს 3“-ის ჟურნალისტებმა სანაგვეში „პოსტალის“ წევრების (არა მრბოლების) მიერ ჩაგდებული პარკები იპოვეს და კარგადაც გაქექეს. იქ მათ უამრავი წამლის შუშა იპოვეს, რომელთაგან ერთ-ერთს აქტოვეგინი ეწერა.

ეს პრეპარატი ნორვეგიაში იწარმოება საქონლის სისხლით. ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ აქტოვეგინი სისხლის წითელი ბურთულების რაოდენობას ზრდის, რაც ჟანგბადის გადატანას აიოლებს, ანუ ისე მოქმედებს, როგორც უცნობილესი დოპინგი ეპო, რომლის ორგანიზმში აღმოჩენაც თითქმის შეუძლებელია.

„თუ ამ პრეპარატს ჟანგბადი ტვინში მიაქვს, როგორც ეს მისი წარდგინებისას განაცხადეს ნორვეგიელმა მეწარმეებმა, იგი თავისთავად ჟანგბადის მიწოდებას სხეულის სხვა ნაწილებისკენაც გააუმჯობესებს“ — განაცხადა სოკ-ის სამედიცინო კომისიის დირექტორმა პატრიკ შამაშმა.

რაც შეეხება არმსტრონგს, მან განაცხადა, რომ აღნიშნული პრეპარატის არსებობის შესახებ არაფერი იცოდა და საერთოდ, დოპინგის მიღება არასოდეს უკადრებია. „არავის ვემუქრები, მაგრამ თუ სიტუაცია არ შეიცვლება და მაინც აკრძალული ნივთიერებების მიღებას დამაბრალებენ, საერთოდ აღარ ჩავალ საფრანგეთში „ტურ დე ფრანსში“ მონაწილეობის მისაღებად“ — წერს თავის საინტერნეტო გვერდზე არმსტრონგი.

„მინდა, ყველას ვაცნობო, რომ აბსოლუტურად უდანაშაულონი ვართ. ჩვენ დოპინგისგან სუფთა პროფესიული გუნდი ვართ, რომელიც თავისივე წარმატებების მსხვერპლი გახდა. მე იმის თქმა არ მინდა, რომ რომელიმე პოსტალელი როდისმე დოპინგზე არ ჩავარდნილა, რადგან შეუმცდარი არავინაა. უბრალოდ, ვამტკიცებ, რომ ეს აქტოვეგინი საერთოდ არ გამიგია და მისი არსებობის შესახებ დღემდე არც კი ვიცოდი. „ტურის“ დროს ჩვენ ექიმს 20-25 ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა უწევს და ამიტომაც ყველანაირადაა მომარაგებული. მას ადრენალინიც აქვს, კორტიზონიც და ნემსი და ძაფიც, ვინმეს უცებ ნაკერის დადება რომ დასჭირდეს. ოღონდ, ამ მედიკამენტებს ჩვენი სპორტული შედეგების გასაუმჯობესებლად არ ვიყენებთ“ — აცხადებს ტეხასელი მრბოლი, რომელსაც სათესლე ჯირკვლების კიბოს დამარცხების შემდეგ მოუგია ორი „ტურ დე ფრანსი“.

რამდენად მართალია არმსტრონგი, ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, ფრანგ ჩინოვნიკებს მისი დიდად არ სჯერათ და რამდენიმე დღის წინ შესაბამისი გადაწყვეტილებაც მიიღეს. საფრანგეთის სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრ მარი-ჟორჟ ბიუფეს ბრძანებით ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის (ვსკ) კუთვნილი გაყინული შარდის კონფისკაცია მოხდა. ეს შარდი წლევანდელი „ტურის“ დროს ჩააბარეს მრბოლებმა და ეპო-ს აღმოჩენის ტესტის მიღებამდე გაყინული უნდა ყოფილიყო. სოკ-მა ამ ტესტის მიღებას საშველი არ დააყენა და ვსკ-მაც ანალიზების განადგურება გადაწყვიტა, მაგრამ ფრანგებმა სკანდალის სუნი იყნოსეს და...

საქმე ნამდვილად გაგრძელდება და ჩვენც შეძლებისდაგვარად გაცნობებთ მისი მიმდინარეობის შესახებ.

**გაგი გურული**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# ტახტზე და ტახტთან

**ჭადრაკის** საერთაშორისო ფედერაციის (ფიდე) მსოფლიოს პირველობის დელის ნაწილი დასრულდა. ქალთა ჩემპიონი სიუ ჟუნი გახდა, ვიშვანათან ანანდი და ალექსეი შიროვი კაცთა ტიტულისათვის თეირანში იომებენ.

სიუ ჟუნს ფინალში თვისტომი მეტოქე, კანინგ ცინი ჰყავდა და პირველივე პარტია მოუგო. შემდეგ ცინმა ბევრი იშრომა, მაგრამ სამი ყაიმის მეტს ვერაფერს მიაღწია. სამივე პარტიაში ჟუნმა თავის ნებაზე წარმართა თამაში და მეტოქეს შანსი არ დაუტოვა.

კაცთა ნახევარფინალებში კი ერთი ამბავი იყო. ცალკე ინგლისელი ადამსი ანანდთან დაკარგულის დასაბრუნებლად წვალობდა, ცალკე შიროვი და ალექსანდრ გრიშჩუკი უაღრესად ლამაზ პარტიებს მე-19 საუკუნის სტილში თამაშობდნენ. მესამე პარტიაში ადამსი ხუთიოდე საათის მანძილზე უტევდა ვიშის პოზიციას და ზავი მაშინღა გააფორმა, როცა დაფაზე გაუნათლებელი მოჭადრაკისთვისაც ცხადად საყაიმო პოზიცია შეიქნა. იცოდა „კაცმაობობამ", მეოთხე პარტიაში ანანდისთვის შავებით ქულის წამრთმევი რომ არ იყო და ამიტომ იბრძოლა ის ხუთი საათი, გუშინ კი ინდოელმა სასურველი ნახევარი ქულაც გამოიმუშავა და თეირანს წავა.



სიუ ჟუნი

დაძაბულობის თვალსაზრისით ცენტრალური უეჭველად შიროვისა და გრიშჩუკის დაფა იყო. ორი პარტიის შემდეგ (თითომ თითო მოიგო) მდგომარეობა ჯერაც ბუნდოვანი გახლდათ, როცა შიროვმა მესამეში თეთრებით მოსაგებად ენერგიულად გაიბრძოლა. „ეტყობა, მისი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებაა შეწირვებით თამაში" — ამბობს კასპაროვის ინტერნეტ-კლუბის ექსპერტი პარტიის გარჩევისას. ესპანეთის ექსრიგელმა მოქალაქემ 25-ე სვლაზე კუ შესწირა, ცენტრში ორპაიკიანი ფალანგა გააწყო, მაგრამ ნაკლები მაკვანარცხი არც 17 წლის რუსი ყმაწვილი გამოდგა. შთაბეჭდილება ისეთი იყო, რომ მოჭადრაკეები მსოფლიოს პირველობის ნახევარფინალს არა და საჩვენებელ პარტიას თამაშობდნენ: იმის ნაცვლად, მატერიალური სარგებლით ეხეირა, გრიშჩუკი ადგა და მეტოქეს ეტლი იქით მიუგდო! მერე კუსაც აჩეჩებდა, მაგრამ შიროვმა ზომიერების დაცვა ამჯობინა და არ მიიღო. გრიშჩუკს ეტლის გაწირვამ ყაიმის მშვენიერი პერსპექტივა (მუდმივი ქიში) გადაუშალა თვალწინ და მაინცადამაინც მაშინ შეცდა, სვლები აერია და შიროვმა სული უცებ მოითქვა, პაიკებით უფრო წინ გაქანდა და ერთიანი ქაოსიდან თავისთვის სასარგებლო პოზიცია გამოკვეთა. ორ სვლაში გრიშჩუკი დანებდა და მეოთხე პარტიაშიც ტყუილად ეცადა ბორბლის წალმა დატრიალებას. ყაიმი, შედეგად კი ალექსეი შიროვმა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონობა გაინაღდა. ხოლო ფინალი დიდებული იქნება, ექვსი ძირითადი პარტიითა და ორი საჭადრაკო გიგანტით.

**დავით გულუა**

ჰოკეი

# დიადემმა ნოლი მიიღეს

14 დეკემბერი

**სან ხოსე — კოლუმბუსი 2:1**

**0:0 2:1 0:0**

**1:0 ნოლანი 27'11 (9); 2:0 მატო 34'48 (3); 2:1 სანდერსონი 38'27 (11)**

**ლოს ანჯელესი — რეინჯერსი 5:5**

**2:0 1:3 2:2 0:0**

**1:0 პალფი 3'10 (21); 2:0 რ. ბლეიკი 10'38 (7); 2:1 კამენსკი 24'34 (11); 3:1 რ. ბლეიკი 28'52 (8); 3:2 მაკარტი 36'35 (3); 3:3 დვორჟაკი 39'02 (7); 3:4 ჰლავაჩი 43'57 (10); 3:5 ჰლავაჩი 46'37 (11); 4:5 რ. ბლეიკი 48'33 (9); 5:5 რობიტაილი 54'31 (16)**

**ოტავა — კალგარი 4:2**

**2:1 1:0 1:1**

**1:0 ბონკი 1'00 (11); 2:0 ჰავლატი 9'43 (7); 2:1 სტილმანი 17'21 (11); 3:1 ჰავლატი 23'42 (8); 3:2 ვ. ბურე 55'03 (5); 4:2 დაკელი 59'54 (8)**

**ნეშვილი — ედმონტონი 2:6**

**0:2 1:1 1:3**

**0:1 პოტი 5'39 (4); 0:2 უეიტი 16'07 (9); 1:2 ტიმონენი 21'55 (5); 1:3 ჰორკოფი 24'06 (2); 1:4 მორო 47'51 (2); 1:5 ნიინიმაა 49'48 (4); 1:6 ლაკუტიური 50'41 (2); 2:6 ჩიზარი 54'15 (3)**

**ვაშინგტონი — მინესოტა 2:1**

**0:0 2:0 0:1**

**1:0 გონჩარი 27'11 (5); 2:0 ბონდრა 36'19 (11); 2:1 გეივი 41'42 (3)**

**ფინიქსი — ტამპა 3:2**

**1:1 1:1 1:0**

**1:0 რენიკი 5'54 (12); 1:1 მოდინი 6'13 (14); 1:2 8. ჯონსონი 24'39 (9); 2:2 ლემიე 47'37 (1); 3:2 ლემიე 46'24 (2)**

მიმდინარე კვირა ერთობ საინტერესო მოვლენებით გამოირჩა. ბევრი რამ მოხდა ისეთი, ჩემპიონატის მატჩებიც რომ დაჩრდილა. მარიო ლემიე რომ ყინულს 27 დეკემბერს დაუბრუნდება, გუშინ გაცნობეთ.

ახლა კი იმას გაუწყებთ, რომ საბოლოოდ დადასტურდა ფინიქსის გაყიდვა — უეინ გრეცკი შეუდგა კლუბის ერთ-ერთი თანამფლობელის ფუნქციების შესრულებას, თუმც მას გაცილებით რთულ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. კლუბის მთავარმა მეწილემ, სტივ ელმანმა კატეგორიულად განაცხადა, რომ „კოიოტების" ბიუჯეტი აუცილებლად უნდა შეიკვეცოს. გრეცკის მთავარი საზრუნავიც ეს იქნება და ეს იმ დროს, როცა მას ძალიან სურს, გუნდში ნიკოლაი ხაბიბულინი იხილოს, რომელიც აგერ უკვე 18 თვეა, გაფიცულია. რუსი არანაკლებ 4 მილიონს ითხოვს. თუმც გრეცკი ძალიან გაახარა იმან, რომ წინა კვირას ფინიქსმა კონტრაქტი გაუფორმა ცნობილ ფორვარდ კლოდ ლემიეს. კლოდი თავის მესამე მატჩში უკვე შეუდგა იმ მოვალეობის შესრულებას, რისთვისაც გუნდმა მიიწვია. ლემიე (2+1) არა მარტო თავად გამოირჩა (პირველმა შაიბამ მას კარიერაში მე-700 ქულა მოუტანა), არამედ ჯერემი რენიკი და კეიტ ტკაჩუკიც გამოაღვიძა და სწორედ ამ ხაზმა განაპირობა გუნდის პირველი მოგება ბოლო 4 მატჩში.

ორი მნიშვნელოვანი ამბავიც — ჰოკეიში კიდევ ერთი დიადი მივიდა, ოღონდ... კალათბურთელი. ხუთშაბათს ლიგამ მაიკლ ჯორდანის უფლებებიც დაადასტურა — იგი ვაშინგტონ კეპიტალსის თანამფლობელი გახდა.

„დღეიდან კიდევ ერთი თამაში უნდა შევისწავლო. მე ბევრი ჰოკეისტი მეგობარი მყავს და, იმედია, ისინი დამეხმარებიან" — განაცხადა კალათბურთის მეფემ. რაოდენ ჩაუხედავიც არ უნდა იყოს ჯორდანი ჰოკეიში, იმას ნამდვილად მიხვდებოდა, რომ მისი გუნდი როგორც იქნა, გამოდის კრიზისიდან. მინესოტასთან მოგების შემდეგ პირველად სეზონში და ასევე პირველმა სამხრეთ-აღმოსავლეთში ნავსიან 50-პროცენტიან ზღვარს გადააბიჯა.

აი, ანაჰაიმის ბოლო მატჩში მოგებამ (5:4 კოლუმბოსთან) მაინც ვერ დააშოშმინა კლუბის მფლობელები: „ერთი თამაში არაფერს წყვეტს, ბოლო ხანს ძალიან შეგვაჩვია უხეირობას" — გენერალურმა მენეჯერმა პიერ გოტიემ ეს სიტყვები მწვრთნელ კრეიგ ჰარტსბურგის მისამართით თქვა და იმედი გამოთქვა, რომ ახალი მწვრთნელი, უფრო კვალიფიციური და გუნდის მცოდნე გი შარონი საქმეს სხვაგვარად წარმართავს. ისე, ჰარტსბურგმა, წარსულში ცნობილმა მცველმა ნახევარი წლის განმავლობაში მართლაც ვერაფერს მიაღწია. 51 წლის შარონი კი აგერ უკვე 10 წელია სხვადასხვა გუნდში ასისტენტად მუშაობდა. იგი მთავარი მწვრთნელის პოსტს პირველად იკავებს.

**სამველ ლარიბიანი**



რეინჯერსელმა იან ჰლავაჩმა ლოსანჯელესელებს მეორედ გაუტანა

სატურნირო ვითარება

ჩრდილო-აღმოსავლეთი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 30 | 18 | 4 | 0 | 8 | 95:69 | 40 |
| ტორონტო | 30 | 17 | 4 | 2 | 7 | 103:68 | 40 |
| ბუფალო | 28 | 16 | 2 | 1 | 9 | 80:70 | 35 |
| ბოსტონი | 31 | 10 | 3 | 3 | 15 | 76:107 | 26 |
| მონრეალი | 31 | 9 | 3 | 0 | 19 | 74:93 | 21 |

ატლანტა

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 29 | 14 | 5 | 0 | 10 | 97:72 | 33 |
| პიტსბურგი | 30 | 14 | 3 | 1 | 12 | 88:88 | 32 |
| ფილადელფია | 31 | 13 | 6 | 0 | 12 | 81:86 | 32 |
| რეინჯერსი | 32 | 15 | 1 | 0 | 16 | 109:114 | 31 |
| აილენდერსი | 29 | 8 | 4 | 2 | 15 | 67:85 | 22 |

სამხრეთ-აღმოსავლეთი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვაშინგტონი | 30 | 12 | 6 | 1 | 11 | 72:77 | 31 |
| ატლანტა | 30 | 11 | 6 | 1 | 12 | 83:95 | 29 |
| კაროლინა | 28 | 11 | 4 | 1 | 12 | 66:80 | 27 |
| ტამპა | 29 | 9 | 3 | 2 | 15 | 81:103 | 23 |
| ფლორიდა | 29 | 5 | 6 | 5 | 13 | 62:85 | 21 |

ცენტრი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 27 | 20 | 3 | 0 | 4 | 95:51 | 43 |
| დეტროიტი | 32 | 17 | 2 | 2 | 11 | 97:86 | 38 |
| ნეშვილი | 32 | 11 | 6 | 1 | 14 | 71:85 | 29 |
| ჩიკაგო | 31 | 10 | 2 | 2 | 17 | 77:97 | 24 |
| კოლუმბუსი | 32 | 9 | 2 | 2 | 19 | 64:100 | 22 |

ჩრდილო-დასავლეთი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 31 | 21 | 5 | 0 | 5 | 97:67 | 47 |
| ვანკუვერი | 31 | 16 | 4 | 2 | 9 | 107:82 | 38 |
| ედმონტონი | 33 | 16 | 4 | 0 | 13 | 97:89 | 36 |
| კალგარი | 33 | 9 | 6 | 4 | 14 | 73:94 | 28 |
| მინესოტა | 32 | 8 | 5 | 2 | 17 | 61:79 | 23 |

წყნარი ოკეანე

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სან ხოსე | 28 | 18 | 4 | 0 | 6 | 84:60 | 40 |
| დალასი | 29 | 16 | 4 | 1 | 8 | 80:61 | 37 |
| ლოს ანჯელესი | 31 | 15 | 7 | 0 | 9 | 107:91 | 37 |
| ფინიქსი | 30 | 14 | 8 | 0 | 8 | 77:67 | 36 |
| ანაჰაიმი | 33 | 11 | 4 | 3 | 15 | 80:100 | 29 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

რაგბი

# რა დროს პენსიაა... ნუგზარ ძაგნიძე ქუთაისს და „აიას" დაუბრუნდა

**ქართული** რაგბის ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე, ბოლო ორ სეზონში ბათუმის „დათვების" კაპიტანი ნუგზარ ძაგნიძე თამაშს აღარ აპირებს, 35 წლის ვეტერანმა დიდი რაგბიდან წასვლა გადაწყვიტაო. წერდა ორიოდ კვირის წინ „სარბიელი", მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, საქმე სხვაგვარად ყოფილა, ამაზე თავად ნუგზარ ძაგნიძე გვესაუბრა.

— ცოტა არ იყოს, ნაწყენი ვარ, ადრიანად რომ გამიშვით პენსიაზე. მე ჯერ რაგბიდან წასვლას არ ვაპირებ. სხვა საქმეა, თუ ბათუმიდან წამოვედი. ორი სეზონი გავატარე „დათვებში". საკმარისად ჩავთვალე. მშობლიურ ქალაქს, ოჯახს დავუბრუნდი.

**— ქუთაისში კი დაბრუნდით, მაგრამ მომავალში თამაშს თუ აპირებთ, ჩვენ ეს გვაინტერესებს...**

— რატომაც არა, ვითამაშებ. აგერ, იანვრიდან ვარჯიშს შევუდგები.

**— „აიას" დაუბრუნდებით?**

— ასე მაქვს გადაწყვეტილი. გაიად გუნდი ისევ უმაღლეს ლიგაში ითამაშებს და, ალბათ, გამოვადგები. „დათვებიდან" კიდევ რამდენიმე გამოცდილი ქუთაისელი მორაგბე მოდის. ესენი რომ გუნდს შეავსებენ, „აია" ანგარიშგასაწევი ძალა იქნება. ისე, გუნდის მწვრთნელობასაც მთხოვენ. ამაზე ორეც იყო საუბარი, მაგრამ მე ბათუმში სიტყვა მქონდა მიცემული, მინიმუმ ორი სეზონი უნდა მეთამაშა „დათვებში" და ამიტომაც თავს ვიკავებდი. ახლა შესაძლოა, დავთანხმდე და მოთამაშე მწვრთნელად მოგევლინოთ. ვნახოთ. გუნდი იანვრის დამდეგს შეიკრიბება და კონკრეტულად მაშინ დავილაპარაკებთ. წინასწარ მხოლოდ იმას გეტყვით, რომ თუ გუნდს ოდნავი ხელშეწყობა მაინც ექნება, ის თავის სიტყვას იტყვის ჩემპიონატში.



ნუგზარ ძაგნიძე ისევ დაარტყამს

**— „აია" ადრე უყურადღებობამ იმსხვერპლა და ახლა რა გარანტიაა?**

— გარანტია არ არის, მაგრამ იმის იმედს ვიტოვებთ, რომ ქალაქი მცირედით მაინც შეეწევა მორაგბეებს, ელემენტარულ საკითხებს მოუგვარებს და მაშინ...

**— რისი თქმა გინდათ?**

— „აიას" სულ 2-3 წელიწადი დასჭირდება ძველი დიდების დასაბრუნებლად. აგერ ნახავთ.

**— ღმერთმა გისმინოთ. ბოლოს ისევ „დათვებზე" მინდა გკითხოთ. შარშანდელი ჩემპიონი წლეულს უმედლებოდ დარჩა, თასის ფინალიც წააგო. რით ახსნით ამას? ამბობენ, გუნდს ძველებურად აღარ აფინანსებდნენო...**

— წარუმატებლობის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ გუნდი დასუსტდა. წამყვანი მოთამაშეები დაგვაკლდა. აშვეთია საფრანგეთს გაემგზავრა, აბდალაძე და ფირცხალავა დისკვალიფიცირებულნი იყვნენ, ჩირგაძე კი სერიოზულად დაშავდა. ისიც იყო, პლეიოფში მეტოქე სათანადოდ ვერ შევაფასეთ, „ყოჩებთან" საშინაო შეხვედრაში თავდაჯერებულნი გავედით სათამაშოდ და მწარედაც დავისაჯეთ. ბათუმში ამის გამო ტრაგედია არ შეუქმნიათ, მაგრამ გუნდის გადახალისებაზე, რამდენადაც ვიცი, სერიოზულად ფიქრობენ.

**— „დათვებიდან" თქვენი ძმაც წამოვიდა?**

— ამის შესახებ ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით.

**იუზა ბაციტაძე ქუთაისიდან**

# მგელაძემ ორი დათვი დაიტოვა

**შარშან** ბათუმის დათვები" ჩემპიონები გახდნენ და რა გასაკვირია, რომ ფინანსურად წელგამართულ კლუბს წლეულსაც მხოლოდ პირველობა, მაგრამ... ჯერ იყო და საქართველოს თასი „ლოკომოტივს" დაუთმეს, მერე პლეი ოფის ნახევარფინალში საკუთარ მოედანზე თბილისის „ყოჩებს" დააჩაგრინეს თავი.

მეოთხე ადგილი საქართველოს ჩემპიონატში, დაკარგული თასი და უფეხური თამაში — აი, ასეთია ზღვისპირელთა წლევანდელი მონაგარი და რა გასაკვირია, რომ საკმაოდ ამბიციური გუნდის ხელმძღვანელობას ამგვარმა შედეგმა ძირეული ცვლილებებისკენ უბიძგა.

„დათვების" ძველი შემადგენლობიდან გუნდი ჯერ მხოლოდ ნუგზარ ძაგნიძემ დატოვა.

გაირკვა ზღვისპირელთა თავკაცის ვინაობაც. ამიერიდან „დათვებს" საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებისა და ასკ-ს ყოფილი დამრიგებელი ლევან მგელაძე დამოძღვრავს. ახალი თავკაცი მომავალი სეზონისთვის მზადებას აქედანვე შესდგომია და გუნდის ძირეული გადახალისება განუზრახავს. ზღვისპირელთა შემადგენლობაში ახალი მორაგბეების გამოჩენას უნდა ველოდეთ და მომავალ გათამაშებაში სახეშეცვლილ „დათვებს" ვიხილავთ. წამსვლელ-მომსვლელ მორაგბეთა ვინაობას კლუბი უახლოეს მომავალში გამოაცხადებს, მანამდე კი ზღვისპირელთა გარემარბ გოჩა ხონელიძეს და გარე ნახევარმცველ კახა მაჩიტიძეს ახალი მწვრთნელის ნდობა უკვე დაუმსახურებიათ და ძირითადში ადგილი დაუბევებიათ. დანარჩენებმა კი მგელაძეს თავიანთი სიძლიერე უნდა დაუმტკიცონ. ამის ჩინებული შესაძლებლობა მათ გაისად, აპრილში მიეცემათ, როდესაც ბათუმი საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს. მსგავსი ტურნირი ზღვისპირა ქალაქში შარშანაც გაიმართა. მაშინ აჭარას თბილისური „ლოკომოტივი 2", „ყოჩები" და კრასნოიარსკის „სიბტიაჟმაში" ესტუმრნენ. ამჯერად ტურნირი უფრო წარმომადგენლობითი იქნება, რუსული კლუბების გარდა ბათუმში რუმინეთის, საფრანგეთისა და სხვა ევროპული კლუბების გამოჩენას ელიან.

**ბაჩო სვანიძე**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. მე-18 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **16 დეკემბერი** | | | |
| 18.30 | 002 | ბოხუმი-კაიზერსლაუტერნი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.30 | 003 | ვოლფსბურგი-ლევერკუზენი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 18.30 | 004 | შტუტგარტი-ფრაიბურგი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 18.30 | 005 | კიოლნი-შალკე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.30 | 006 | ჰანზა-დორტმუნდი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 23.15 | 007 | მიუნხენ 1860-ჰამბურგი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| | | **17 დეკემბერი** | | | |
| 20.30 | 008 | ჰერტა-ბაიერნი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.30 | 009 | კოტბუსი-ვერდერი | 2,3 | 2,9 | 3,0 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-18 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **16 დეკემბერი** | | | |
| 18.00 | 012 | ობერჰაუზენი-კიკერსი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 18.00 | 013 | მაინცი-როიტლინგენი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| | | **17 დეკემბერი** | | | |
| 18.00 | 014 | ქემნიცი-ფიურტი | 3,1 | 3,0 | 2,1 |
| 18.00 | 015 | ზაარბრიუკენი-მიონხენგლადბახი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 016 | ზანქტ პაული-ალენი | 1,55 | 3,3 | 5,3 |
| 18.00 | 017 | ნიურნბერგი-ჰანოვერი | 1,55 | 3,3 | 5,3 |
| | | **18 დეკემბერი** | | | |
| 23.15 | 018 | ალემანია-ვალდჰოფი | 2,1 | 2,9 | 3,4 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. მე-18 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **16 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 019 | ასტონ ვილა-სიტი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 020 | დერბი-ქოვენთრი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 021 | ევერტონი-ვესტ ჰემი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 022 | იფსვიჩი-საუთჰემპტონი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 19.00 | 023 | ლიდსი-სანდერლენდი | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 19.00 | 024 | ლესტერი-ჩარლტონი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 19.00 | 025 | მიდლსბრო-ჩელსი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 19.00 | 026 | ნიუკასლი-ბრედფორდი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| | | **17 დეკემბერი** | | | |
| 16.00 | 027 | მანჩესტერი-ლივერპული | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| | | **18 დეკემბერი** | | | |
| 24.00 | 028 | ტოტენჰემი-არსენალი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### ინგლისი. I დივიზიონი. 23-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **16 დეკემბერი** | | | |
| 15.30 | 029 | შეფილდი-უენსდი | 1,85 | 3,2 | 3,2 |
| 19.00 | 030 | ქრიუ-კრისტალ პალასი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 031 | ფულემი-ტრანმერი | 1,3 | 3,5 | 9,0 |
| 19.00 | 032 | ჯილინგემი-პრესტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 033 | გრიმსბი-ნორვიჩი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 034 | პორტსმუთი-ჰადერსფილდი | 1,8 | 3,2 | 3,6 |
| 19.00 | 035 | ქუინზ პარკი-ნოტინგემი | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 19.00 | 036 | სტოკპორტი-ბარნსლი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 037 | უოტფორდი-ვესტ ბრომვიჩი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 038 | უიმბლდონი-ბოლტონი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| | | **17 დეკემბერი** | | | |
| 17.00 | 039 | ვულვერჰემპტონი-ბირმინგემი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 20.00 | 040 | ბარნლი-ბლექბერნი | 2,1 | 3,0 | 3,3 |

### ინგლისი. II დივიზიონი. 21-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **16 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 042 | ბორნმუთი-სუონსი | 1,8 | 3,3 | 3,5 |
| 19.00 | 043 | როვერსი-სტოკი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 044 | ბერი-ოლდემი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 045 | ლუტონი-კოლჩესტერი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 046 | მილუოლი-უოლსოლი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 19.00 | 047 | ნოტსი-რედინგი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 19.00 | 048 | ოქსფორდი-ნორთჰემპტონი | 3,1 | 3,2 | 2,0 |
| 19.00 | 049 | პორტ ვეილი-ბრისტოლი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 050 | სუინდონი-როტერჰემი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 19.00 | 051 | უიგანი-უიკომბი | 1,55 | 3,2 | 5,6 |
| 19.00 | 052 | რექსემი-ბრენტფორდი | 2,1 | 3,0 | 3,3 |

### ინგლისი. III დივიზიონი. 21-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **16 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 053 | ბარნეტი-სკანთორპი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 19.00 | 054 | ბლეკპული-ექსეტერი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 19.00 | 055 | კარდიფი-ჩელტენემი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 19.00 | 056 | ჰალიფაქსი-ჰარტლპული | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 057 | ჰალი-ტორკი | 1,55 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 058 | ლეიტონი-დარლინგტონი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 19.00 | 059 | ლინკოლნი-როჩდეილი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 060 | მაკლსფილდი-კარლაილი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 061 | მენსფილდი-ბრაიტონი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 19.00 | 062 | პლიმუთი-იორკი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 19.00 | 063 | შრიუსბერი-კიდერმინსტერი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 064 | საუთენდი-ჩესტერფილდი | 2,7 | 3,0 | 2,4 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. 21-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **16 დეკემბერი** | | | |
| 20.15 | 065 | გენგამი-მარსელი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.00 | 066 | სენტ ეტიენი-ოსერი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.00 | 067 | ლანსი-ბორდო | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.00 | 068 | მეცი-ლილი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.00 | 069 | ტრუა-ლიონი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.00 | 070 | მონაკო-რენი | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 23.00 | 071 | სედანი-სტრასბური | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 23.00 | 072 | ნანტი-ტულუზი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | **17 დეკემბერი** | | | |
| 23.45 | 073 | ბასტია-პსჟ | 2,2 | 2,9 | 3,0 |

### იტალია. სერია A. მე-11 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **16 დეკემბერი** | | | |
| 18.00 | 074 | ნაპოლი-რეჯინა | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 23.30 | 075 | პერუჯა-ბარი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| | | **17 დეკემბერი** | | | |
| 18.00 | 076 | ბოლონია-ატლანტა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 18.00 | 077 | ინტერი-ბრეშა | 1,25 | 4,0 | 9,0 |
| 18.00 | 078 | ლეჩე-იუვენტუსი | 4,0 | 2,9 | 1,9 |
| 18.00 | 079 | პარმა-ვიჩენცა | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| | 080 | პარმა-ვიჩენცა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 18.00 | 081 | უდინეზე-ფიორენტინა | 2,1 | 2,7 | 3,4 |
| 18.00 | 082 | ვერონა-მილანი | 3,8 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 083 | ლაციო-რომა | 2,6 | 2,8 | 2,6 |

### იტალია. სერია B. მე-16 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **17 დეკემბერი** | | | |
| 18.00 | 085 | ანკონა-კალიარი | 2,5 | 2,6 | 2,9 |
| 18.00 | 086 | კოზენცა-ტერნანა | 1,7 | 2,5 | 6,0 |
| 18.00 | 087 | ჯენოა-ჩიტადელა | 1,75 | 2,5 | 5,3 |
| 18.00 | 088 | მონცა-რავენა | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 18.00 | 089 | პესკარა-ტრევიზო | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 18.00 | 090 | სალერნიტანა-კროტონე | 1,8 | 2,6 | 5,0 |
| 18.00 | 091 | სიენა-პისტოიეზე | 1,8 | 2,6 | 5,0 |
| 18.00 | 092 | ტორინო-ემპოლი | 1,75 | 2,6 | 5,3 |
| | | **18 დეკემბერი** | | | |
| 23.45 | 093 | ვენეცია-სამპდორია | 2,0 | 2,5 | 4,0 |

### იტალია. სერია C1/ა. მე-15 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **17 დეკემბერი** | | | |
| 17.30 | 094 | ალბინოლეფე-კომო | 2,6 | 2,4 | 2,9 |
| 17.30 | 095 | ალესანდრია-მოდენა | 3,8 | 2,6 | 2,0 |
| 17.30 | 096 | ალძანო-რეჯანა | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 17.30 | 097 | ბრეშელო-სპალ | 2,3 | 2,4 | 3,4 |
| 17.30 | 098 | ჩეზენა-ლივორნო | 2,2 | 2,4 | 3,6 |
| 17.30 | 099 | ლეკო-არეცო | 2,5 | 2,5 | 2,9 |
| 17.30 | 100 | ლუმეცანე-ვარეზე | 1,7 | 2,6 | 5,6 |
| 17.30 | 101 | პიზა-კარარეზე | 1,7 | 2,6 | 5,6 |
| | | **18 დეკემბერი** | | | |
| 23.30 | 102 | სპეცია-ლუკეზე | 1,7 | 2,6 | 5,6 |

### იტალია. სერია C1/ბ. მე-15 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **17 დეკემბერი** | | | |
| 17.30 | 103 | ასკოლი-სავოია | 2,2 | 2,4 | 3,6 |
| 17.30 | 104 | ატლეტიკო-ლოდიჯანი | 2,4 | 2,5 | 3,1 |
| 17.30 | 105 | დი სანგრო-ფერმანა | 1,7 | 2,6 | 5,6 |
| 17.30 | 106 | ფ.ანდრია-პალერმო | 3,8 | 2,6 | 2,0 |
| 17.30 | 107 | ჯულიანოვა-აველინო | 2,6 | 2,3 | 3,1 |
| 17.30 | 108 | მესინა-აკილა | 1,9 | 2,5 | 4,2 |
| 17.30 | 109 | ნოჩერინა-კატანია | 2,2 | 2,4 | 3,6 |
| 17.30 | 110 | პეზარო-ტორესი | 2,2 | 2,5 | 3,4 |
| 17.30 | 111 | ვიტერბეზე-ბენევენტო | 1,9 | 2,5 | 4,2 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. მე-15 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **16 დეკემბერი** | | | |
| 22.00 | 112 | რაიო ვალეკანო-ბარსელონა | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 23.15 | 113 | სოსიედადი-ვილიარეალი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 24.00 | 114 | ალავესი-დეპორტივო | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 24.00 | 115 | ესპანიოლი-რეალი | 3,6 | 2,9 | 2,0 |
| 24.00 | 116 | სარაგოსა-ლას პალმასი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| | | **17 დეკემბერი** | | | |
| 20.00 | 117 | ვალიადოლიდი-ბილბაო | 2,1 | 2,7 | 3,6 |
| 20.00 | 118 | ოვიედო-რასინგი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 20.00 | 119 | სელტა-მალიორკა | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 20.00 | 120 | ოსასუნა-ნუმანსია | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.00 | 121 | ვალენსია-მალაგა | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 122 | ვალენსია-მალაგა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. მე-17 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **16 დეკემბერი** | | | |
| 21.00 | 123 | ფეროლი-ალბასეტე | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 21.00 | 124 | ხაენი-ლევანტე | 2,2 | 2,7 | 3,2 |
| 21.00 | 125 | ტენერიფე-მურსია | 1,5 | 3,2 | 6,[illegible] |
| 22.00 | 126 | უნივერსიდადი-სალამანკა | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| | | **17 დეკემბერი** | | | |
| 15.00 | 127 | კორდობა-სევილია | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 20.00 | 128 | ესტრემადურა-ეიბარი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 20.00 | 129 | ატლეტიკო-ლეიდა | 1,45 | 3,3 | 7,0 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 130 | ბადახოსი-ლეგანესი | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 20.00 | 131 | ბეტისი-სპორტინგი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 20.00 | 132 | კომპოსტელა-ხეტაფე | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 20.00 | 133 | ელჩე-უელვა | 2,4 | 2,7 | 3,0 |

**პორტუგალია. I ლიგა. მე-15 ტური**

**16 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 135 | ბელენენსეში-ალვერკა | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 23.00 | 136 | ლეირია-პორტუ | 4,7 | 3,1 | 1,7 |

**17 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 137 | ამადორა-ავეში | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 20.00 | 138 | მარიტიმუ-ფარენსე | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 20.00 | 139 | ბენფიკა-ჟილ ვისენტე | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 140 | ბენფიკა-ჟილ ვისენტე 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 20.00 | 141 | ბრაგა-ბეირა მარი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 142 | ბრაგა-ბეირა მარი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 23.00 | 143 | ბოავიშტა-სალგეირუში | 1,45 | 3,1 | 8,0 |
| 01.00 | 144 | ფერეირა-სპორტინგი | 3,8 | 2,8 | 2,0 |

**პორტუგალია. II ლიგა. მე-15 ტური**

**17 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 145 | ოვარენსე-ლეცა | 1,65 | 2,9 | 5,3 |
| 19.00 | 146 | ფელგეირაში-იმორტალი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 19.00 | 147 | ნასიონალი-ვარზიმი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.30 | 148 | რიუ ავე-აკადემიკა | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 20.00 | 149 | სანტა კლარა-ფრეამუნდე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 150 | სანტა კლარა-ფრეამუნდე 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 20.00 | 151 | შავეში-ლამაში | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 20.00 | 152 | მაია-მარკუ | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 20.00 | 153 | ნავალი-პენაფიელი | 1,85 | 2,9 | 4,0 |
| 20.00 | 154 | სეტუბალი-ესპინიუ | 1,75 | 2,9 | 4,7 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი**

**16 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 155 | ბრედა-ვიტესი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 22.30 | 156 | ტილბურგუ-სიტარდი | 1,3 | 4,0 | 6,5 |

**17 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 157 | ვალვაიკი-სპარტა | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 17.30 | 158 | როზენდალი-ჰერენვენი | 2,8 | 2,8 | 2,4 |
| 17.30 | 159 | ნაიმეგენი-როდა | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 17.30 | 160 | გრონინგენი-ფეიენოორდი | 5,3 | 3,3 | 1,55 |
| 17.30 | 161 | გრააფსხაპი-უტრეხტი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 17.30 | 162 | ალკმაარი-პსვ | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 20.15 | 163 | აიაქსი-ტვენტე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 164 | აიაქსი-ტვენტე 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. მე-17 ტური**

**16 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 165 | ემენი-ჰერაკლესი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 22.00 | 166 | ჰაარლემი-დორდრეხტი | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| 22.00 | 167 | დენ ჰააგი-ტელსტარი | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| 22.00 | 168 | დენ ბოსხი-ვენლო | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 22.00 | 169 | ექსელსიორი-ვეენდამი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 170 | ექსელსიორი-ვეენდამი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 22.00 | 171 | ოსი-მაასტრიხტი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 22.00 | 172 | კამბური-ჰელმონდი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 22.00 | 173 | იგლსი-ეინდჰოვენი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 174 | იგლსი-ეინდჰოვენი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

**19 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 175 | ვოლენდამი-ზვოლე | 2,0 | 3,1 | 3,4 |

**ბელგია. I დივიზიონი. მე-17 ტური**

**16 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 177 | ბევერენი-ჰარელბეკე | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 23.00 | 178 | ანტვერპენი-სტ. ტრუიდენი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 23.00 | 179 | ანდერლეხტი-აალსტი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 180 | ანდერლეხტი-აალსტი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 23.00 | 181 | ლიერსი-მეხელენი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 182 | ლიერსი-მეხელენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.00 | 183 | გენტი-ბეერსხოტი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 23.00 | 184 | მუსკრონი-ლუვიე | 1,25 | 4,0 | 9,0 |
| 23.00 | 185 | ლოკერენი-სტანდარდი | 2,9 | 3,2 | 2,1 |

**17 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 186 | გენკი-ბრიუგე | 4,4 | 3,1 | 1,75 |

**ბელგია. II დივიზიონი. მე-17 ტური**

**16 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 188 | მონსი-ლომელი | 2,9 | 3,1 | 2,2 |
| 23.00 | 189 | გეელი-დესელი | 1,45 | 3,4 | 5,6 |
| 23.00 | 190 | ლიეჟი-ჰეუსდენი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.00 | 191 | ინგელმუნსტერი-მოლენბეკი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 23.00 | 192 | ოსტენდე-ჰეკელგემი | 1,6 | 3,3 | 4,7 |

**17 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 193 | სტრომბეკი-ტურნჰაუტი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 17.30 | 194 | დენდერლეუ-ტინენი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 18.00 | 195 | სერკლი-მაასლანდი | 1,7 | 3,1 | 4,7 |

**საბერძნეთი. მე-11 ტური**

**16 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 196 | ირაკლისი-ქსანთი | 1,6 | 3,2 | 5,6 |

**17 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 197 | ოლიმპიაკოსი-იანინა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 198 | ოლიმპიაკოსი-იანინა 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 19.00 | 199 | პანიონიოსი-კალამატა | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 19.00 | 200 | ათინაიკოსი-პაოკ | 3,8 | 3,1 | 1,8 |
| 19.00 | 201 | არისი-პანაჰაიკი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 19.00 | 202 | იონიკოსი-პანილიაკოსი | 1,4 | 3,6 | 6,5 |

**17 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 203 | ეთნიკოსი-პანათინაიკოსი | 4,2 | 3,1 | 1,75 |

**18 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 204 | ოფი-აეკ | 4,0 | 3,2 | 1,75 |

**თურქეთი. მე-17 ტური**

**16 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 207 | რიზე-ისთანბული | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| 15.30 | 208 | იოზგათი-იეთფა | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 15.30 | 209 | გაზიანთეფი-ერზურუმი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 210 | გაზიანთეფი-ერზურუმი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 21.00 | 211 | ბეშიქთაში-დენიზლი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 212 | ბეშიქთაში-დენიზლი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

**17 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 213 | ადანა-ქოჯაელი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 15.30 | 214 | ანკარაგიუჯიუ-ბურსა | 1,6 | 3,3 | 5,0 |
| 16.00 | 215 | ანთალია-გენჩლერბირლიგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 21.00 | 216 | ტრაბზონი-გალათასარაი | 2,8 | 2,9 | 2,4 |

**შოტლანდია. 21-ე ტური**

**16 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 217 | სელტიკი-აბერდინი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 218 | სელტიკი-აბერდინი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 19.00 | 219 | დანფერმლაინი-სენტ მირენი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 220 | ჰიბერნიანი-სენტ ჯონსტონი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 221 | კილმარნოკი-დანდი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 222 | მოზერუელი-ჰართსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**17 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.05 | 223 | დანდი იუნაიტედი-რეინჯერსი | 7.0 | 3.8 | 1.3 |

**კალათბურთი**

**16 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 813 | ატლანტა-ნიუ ჯერსი | 1,5 | 12,0 | 1,9 |
| 04.30 | 814 | შარლოტი-ბოსტონი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 04.30 | 815 | კლივლენდი-იუტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 05.00 | 816 | მინესოტა-ინდიანა | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 05.30 | 817 | ჩიკაგო-ფილადელფია | 3,5 | 12,0 | 1,15 |
| 05.30 | 818 | ჰიუსტონი-დენვერი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 05.30 | 819 | სან ანტონიო-ფინიქსი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 07.30 | 820 | გოლდენ სტეიტი-მაიამი | 2,3 | 12,0 | 1,4 |

**17 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 821 | ტორონტო-ლეიკერსი | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 00.30 | 822 | ვანკუვერი-ორლანდო | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 03.00 | 823 | ნიუ იორკი-მილუოკი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 04.00 | 824 | დეტროიტი-დალასი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 04.30 | 825 | ნიუ ჯერსი-საკრამენტო | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 06.00 | 826 | კლიპერსი-ვაშინგტონი | 1,35 | 12,0 | 2,3 |

**18 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 827 | ბოსტონი-დალასი | 1,7 | 12,0 | 1,7 |

**ჰოკეი**

**16 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 03.30 | 909 | ბუფალო-ფლორიდა | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.00 | 910 | ბოსტონი-კაროლინა | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 04.00 | 911 | ტორონტო-კალგარი | 1,4 | 4,0 | 4,4 |
| 04.00 | 912 | მონრეალი-პიტსბურგი | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 04.00 | 913 | ოტავა-აილენდერსი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.00 | 914 | ფილადელფია-ნიუ ჯერსი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 04.00 | 915 | ვაშინგტონი-ედმონტონი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 05.00 | 916 | სენტ ლუისი-დეტროიტი | 1,75 | 4,0 | 2,5 |
| 05.00 | 917 | ნეშვილი-ჩიკაგო | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 06.00 | 918 | ფინიქსი-სან ხოსე | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 07.00 | 919 | ვანკუვერი-კოლუმბუსი | 1,4 | 4,0 | 4,4 |
| 07.30 | 920 | ლოს ანჯელესი-ტამპა ბეი | 1,35 | 4,0 | 5,0 |

**17 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 02.00 | 921 | მინესოტა-დალასი | 2,6 | 4,0 | 1,7 |
| 05.00 | 922 | ანაჰაიმი-ტამპა ბეი | 1,6 | 4,0 | 2,9 |

**18 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 923 | რეინჯერსი-ფლორიდა | 1,5 | 4,0 | 3,2 |
| 04.00 | 924 | ვაშინგტონი-სან ხოსე | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.30 | 925 | მონრეალი-კოლუმბუსი | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| 04.30 | 926 | დეტროიტი-ედმონტონი | 1,6 | 4,0 | 2,9 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


## კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)
ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)
გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30
თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7
ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

# სუპროლიგა

ჯგუფური ეტაპი. VII ტური. 13-14 დეკემბერი

## A ჯგუფი

### ცეპტერი 79:69 ულქერი

ცეპტერი: ადომაიტისი (15), ავლიაში (2), ბაიერი, ციელებაკი, ჯემისონი (9), კოსციუკი (9), მიგლინიეკსი (2), ტომჩიკი (14), ვოიციკი (10), ზიელინსკი (18)
ულქერი: აჩიკი (1), ერდენაი (20), ერდოგანი, გოლიოვიჩი (17), გონლუმი (3), ჰენდლოგტენი (15), ლოლისი (6), პერსევო, სარიჯა (1), ილდირიმი (6)

### ვილერბანი 88:78 სპლიტი

ვილერბანი: ბილბა (6), ბლომი (2), ფრიგუ (10), ჰოფმანი, ლონგი (21), პაშუტინი (10), პლუვი (21), სკიარა (5), სტივენსი (13)
სპლიტი: ბადუიმი (2), გრეგოვი, გრგურევიჩი (3), ლენდი (30), პოლიაკი (2), რენჩერი (18), ტომელიაკი (2), ვუიჩიჩი (17), ჟიჟიჩი (4)

### რაანანა 66:74 ცსკა

რაანანა: გრინი (12), იცხაკი (13), კანტორი (8), მაკარტი (18), სელტერსი (8), სავანოვიჩი (5), სტანოევიჩი (2)
ცსკა: ალანოვიჩი, დომანი (1), ეინიკისი (25), ფეტისოვი (10), კარიმოვი, კირილენკო (11), კუდელინი, ლარუ (21), მორგუნოვი, პეტრენკო (6)

### პანათინაიკოსი 92:75 ალბა

პანათინაიკოსი: ალვერტისი (17), ბოდიროგა (28), ბერკი (9), ფოცისი (7), ჯენტილე (11), კალაიძისი (8), კოხი, დ. მიდლტონი (8), როჯერსი (4)
ალბა: ალექსისი (28), კოტუროვიჩი (6), ოზთურქი (4), პაპიჩი, პეშიჩი (11), ფელპსი (16), როდლი (8), შულცე, ტომიჩი (2)

### სიენა 87:91 ლიეტუვოს რიტასი

სიენა: ალბერტი (4), კიაჩიგი (17), ევანსი (11), გორენცი (20), გრეი (7), მეისი (11), პესინა (2), როუენი (2), სკარონე (13)
ლიეტუვოს რიტასი: ელიოტი (13), გედრაიტისი (19), გრანტი (7), იარუტისი (13), რ. იავკოკასი (8), კაზლაუსკასი, მასიაუსკასი (5), შქსტოკასი, შიშკაუსკასი (26), სლეზასი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ულქერი | 7 | 5 | 2 | 568:536 | 12 |
| ცსკა | 7 | 5 | 2 | 560:522 | 12 |
| ვილერბანი | 7 | 5 | 2 | 526:508 | 12 |
| სპლიტი | 7 | 4 | 3 | 540:526 | 11 |
| ცეპტერი | 7 | 4 | 3 | 569:560 | 11 |
| პანათინაიკოსი | 7 | 4 | 3 | 573:526 | 11 |
| ალბა | 7 | 3 | 4 | 555:548 | 10 |
| რაანანა | 7 | 3 | 4 | 518:541 | 10 |
| ლიეტუვოს რიტასი | 7 | 2 | 5 | 579:631 | 9 |
| სიენა | 7 | 0 | 7 | 503:593 | 7 |

## B ჯგუფი

### პლანია 72:68 კრკა

პლანია: ფრედრიკსონი, ლუნდალი (7), ნიკოლასი (17), პარნი (15), პატიეიუნასი (3), პეტერსონი (8), რონდალი (8), ტომასი (14)
კრკა: ანზულოვიჩი (17), არაპოვიჩი (4), დევისონი (21), დონჩიჩი (5), დ. დრობნიაკი (18), გრუმი, პეტროვი (3), შჩეკიჩი

### ბაიერი 106:110 ირაკლისი

(ძირითადი დრო 89:89)

ბაიერი: ბესტი (11), ევანსი (10), გაიბი (1), გისეკი, გნადი (11), ჰანსენი (22), ჰენიაკი (12), ჰაჩისონი (11), კოვაჩევი (3), ლოხმანჩუკი (14), ვებერი (11)
ირაკლისი: ხაძივრეტასი (28), ჰუპმანი, კამარიოტისი (2), კარაგუტისი (11), კარასიოვი (14), მარკოპულოსი (2), ნაკიჩი (24), პაპადოპულოსი (13), პაპაიოაკეიმი (16)

### მაკაბი 91:67 პო ორტეზი

მაკაბი: ბრისკერი (21), ბურშტეინი (3), ჩურჩიჩი (6), ჰენფელდი (8), ჰაფმანი (18), მაკდონალდი (11), პარკერი (10), შარფი (14)
პო ორტეზი: კარი (22), დიავი, დროზდოვი (9), დიუბო (6), ესტელერი (8), დ. გადუ, ლოუსონი (8), მურეშანი (2), ფ. პიეტრუსი (2), მ. პიეტრუსი (10)

### ოსტენდე 83:76 სკავოლინი

ოსტენდე: ბეგინი (2), ბიგსი (14), დე ბელი, დოილი (13), ჰოლდენი (18), კულამი (12), პრაშკევიჩუსი (16), ვან დენ შპიგელი (8)
სკავოლინი: ბუკერი (24), გიგენა (5), ჯონსონი (13), მაჯოლი (6), ლ. მიდლტონი (7), პეჩილე (6), ტრაინა (2), ტუშეკი (9), ძანელი (6)

### ეფესი — პარტიზანი გადაიდო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 7 | 6 | 1 | 621:543 | 13 |
| ოსტენდე | 7 | 5 | 2 | 590:577 | 12 |
| პარტიზანი | 6 | 5 | 1 | 483:461 | 11 |
| ეფესი | 6 | 4 | 2 | 468:448 | 10 |
| სკავოლინი | 7 | 3 | 4 | 579:544 | 10 |
| კრკა | 7 | 3 | 4 | 528:544 | 10 |
| ირაკლისი | 7 | 3 | 4 | 582:596 | 10 |
| ბაიერი | 7 | 2 | 5 | 611:644 | 9 |
| პო ორტეზი | 7 | 2 | 5 | 542:567 | 9 |
| პლანია | 7 | 1 | 6 | 512:592 | 8 |


AFP

ვილერბანი — სპლიტი. ჯო სტივენი სპლიტელ ჟიგკო ბადჟიმს გაურბის

# ევროლიგა

ჯგუფური ეტაპი. VII ტური. 13-14 დეკემბერი

## A ჯგუფი

ლუგანო 80:91 პერისტერი
ესტუდიანტესი 87:77 ჟალგირისი
ფორტიტუდო 81:77 ზადარი

*სატურნირო მდგომარეობა: პერისტერი 13 ქულა, ფორტიტუდო 12, ესტუდიანტესი 11, ჟალგირისი 10, ლუგანო 9, ზადარი 8*

## B ჯგუფი

შარლერუა 71:74 ტაუ
ციბონა 69:78 კინდერი
აეკ 84:73 პეტერბურგი

*სატურნირო მდგომარეობა: კინდერი 13 ქულა, ტაუ 12, აეკ 12, ციბონა 10, პეტერბურგი 8, შარლერუა 8*

## C ჯგუფი

ოვარენშე 70:92 ოლიმპია
ბენეტონი 95:87 ოლიმპიაკოსი
რეალი 104:64 ჰაპოელი

*სატურნირო მდგომარეობა: ოლიმპია 13 ქულა, ოლიმპიაკოსი 12, ბენეტონი 11, რეალი 11, ჰაპოელი 9, ოვარენშე 7*

## D ჯგუფი

ლონდონ თაუერზი 89:98 მიულერი
პაოკ 91:102 ბარსელონა
ბუდუჩნოსტი 79:73 სკაილაინერზი

*სატურნირო მდგომარეობა: ბარსელონა 12 ქულა, მიულერი 12, ბუდუჩნოსტი 12, პაოკ 11, ლონდონ თაუერზი 8, სკაილაინერზი 8*

# ყველა ქულებისთვის იბრძვის, ბრკიჩი კი სიცოცხლისთვის

**სუპროლიგის** მეშვიდე ტურის მიმოხილვა არშემდგარი მატჩით და კრიმინალური ისტორიით დავიწყოთ. სამშაბათს საღამოს ბელგრადის „პარტიზანის" მოთამაშე ჰარის ბრკიჩმა ვარჯიში ნაადრევად დაასრულა. დარბაზ „პიონირის" ავტოსადგომზე კალათბურთელი საკუთარ ავტომანქანაში ჯდებოდა, როცა ორი უცნობი მიუახლოვდა და ერთ-ერთმა ლაპარაკის გარეშე დაახალა თავში ორი ტყვია ბრკიჩს. სროლის ხმაზე დარბაზიდან ხალხი გამოცვივდა. თავდამსხმელები უკვე გაქცეულნი იყვნენ, ხოლო ბრკიჩი მიწაზე ეგდო და სისხლში ცურავდა. კალათბურთელი საავადმყოფოში წაიყვანეს, ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ მისი მდგომარეობა კვლავ ძალიან მძიმეა. იგი კომაშია და, როგორც ექიმები ვარაუდობენ, ძალიან გაუჭირდება სიტუაციიდან გამოსვლა.

ჰარის ბრკიჩი 26 წლისაა. „პარტიზანში" ერთი კვირის გადასულია იუგოსლავიის ჩემპიონ პოდგორიცას „ბუდუჩნოსტიდან". სუპროლიგაში ერთადერთ მატჩში ითამაშა (წინა ტურში „ოსტენდეს" წინააღმდეგ). მისი ახლობლები და მეგობრები ვერ ასახელებენ მიზეზს, რის გამოც ბრკიჩს შეიძლება თავს დასხმოდნენ.

ცხადია, მთელი „პარტიზანი" შეძრა ამ ფაქტმა. მოთამაშეები და კლუბის ხელმძღვანელები საავადმყოფოში ათენ-ალამებენ. არადა, გუნდს ხუთშაბათს სტამბოლში, „ეფესის" წინააღმდეგ უნდა ეთამაშა. ბელგრადელებმა „ეფესს" და ფიბა-ს მიმართეს, თამაში გადავდოთო და თანხმობაც მიიღეს. ასე გადაიდო მატჩი, ხოლო მისი გამართვის ზუსტი თარიღი ჯერ არ დადგენილა.

ამასობაში პირველი გამარჯვება მოიპოვა შვედეთის „პლანიამ", რომელმაც პირველ მეოთხედში საშინელ დღეში ჩააგდო ნოვო მესტოს „კრკა". პლანიელებმა ნასროლი სამქულიანების 57 და საჯარიმოთა 85 პროცენტი ჩააგდო. სლოვენელები აშკარად არ ელოდნენ მასპინძელთა ამგვარ თამაშს და დაიბნენ. მათ მეოთხედნახევარი დასჭირდათ გონზე მოსასვლელად, რის შემდეგ მდგომარეობის გამოსწორებას შეუდგნენ. მეორე მეოთხედში, ხუთი წუთის განმავლობაში, „პლანიამ" ბურთი ვერ ჩააგდო და „კრკამ" სამი ქულით წააგო ტაიმი — 34:37.

მესამე მეოთხედში მძლავრად ათამაშდა პლანიელი იოჰანს ნიკოლასი და მისმა გუნდმა ერთი მონაკვეთი 7:0 მოიგო. მასპინძლებმა ვერ შეინარჩუნეს უპირატესობა, კარლ ტომასმა ზედიზედ ორჯერ დაკარგა ბურთი და „კრკა" სამი ქულით წამოეწია მეტოქეს — 67:64. ტომასმა მალევე გამოასწორა შეცდომები, როცა საჯარიმოებით ოთხი ქულა გააკეთა. „პლანია" შვიდი ქულით გავიდა წინ, ნოვომესტოელებმა კი დაწევა ველარ მოახერხეს.

არც ამ ტურს ჩაუვლია დამატებითი დროის გარეშე. ლევერკუზენში მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, საფუძვლიანად დაწინაურების ვერც „ბაიერი" ახერხებდა, ვერც სალონიკის „ირაკლისი". ძირითადი დროის დამთავრებამდე 2,47 წუთით ადრე ბაიერელმა ალექსანდრ ლოხმანჩუკმა ჩააგდო და თავისიანები 84:82 გაიყვანა წინ. ნიკოლაოს ხაძივრეტასმა უმალ გაათანაბრა. ლოხმანჩუკმა აცდენილი საჯარიმო მოსხნა და თანაგუნდელ ვებერს სამქულიანის სროლის საშუალება მისცა. ამან ვერ ივარგა, სამაგიეროდ პაპაიოაკეიმმა ორი საჯარიმოთი „ირაკლისი" დააწინაურა — 86:84. ბაიერელმა ევანსმა კვლავ გაათანაბრა, რასაც ლოხმანჩუკმა ორი ქულა დაურთო. „ირაკლისი" ხაძივრეტასმა იხსნა, რომელმაც ფარქვეშიდანაც ჩააგდო და საჯარიმოს ხაზიდანაც. „ირაკლისი" 89:88 იგებდა, ლოხმანჩუკს თამაშის დამთავრება შეეძლო, მაგრამ ბოლო წამებზე ორიდან ერთი საჯარიმო გამოიყენა და დამატებითი დროც დაინიშნა.

ოვერტაიმში მხოლოდ „ირაკლისი" თამაშობდა. ლოხმანჩუკი ხუთი პერსონალურით გავარდა და მის ნაცვლად შემოსულმა გნადმა ხეირიანი ვერაფერი გააკეთა. დაშავდა ბაიერელთა ამერიკელი ბესტი. სამაგიეროდ სალონიკელები სროლას სროლაზე აგდებდნენ და ხაძივრეტასის და ნაკიჩის წყალობით გამარჯვება მოიპოვეს.

სტამბოლის „ულქერი" ერთადერთხელ დაწინაურდა ვროცლავში (15:14). „ცეპტერი" მთელი თამაშის განმავლობაში ფლობდა ინიციატივას და ჯგუფის ლიდერს მოულოდნელად მოუგო. „ულქერი" განსაკუთრებით უფრთხოდა მასპინძელთა ლიდერ ადამ ვოიციკს და საგანგებო მეურვეობა დაუწესა. საფრთხე კი სულ სხვა მხრიდან მოვიდა — მეორე მეოთხედის ერთი მონაკვეთი „ცეპტერმა" 12:0 მოიგო, ხოლო მისმა სათადარიგო გამთამაშებელმა რობერტ კოსციუკმა ამ ხანში 9 ქულა და 3 მოხსნა გააკეთა. ეს მომენტი გადამწყვეტი აღმოჩნდა: „ულქერმა" მძიმე დარტყმა მიიღო. ერთადერთი, მეოთხე მეოთხედში ზონური დაცვა დააყენა და „ცეპტერს" ჩაგდება გაუჭირდა. სტამბოლელებმა ამით ვერ იხეირეს, რადგან თავადაც ვერ ჩააგდეს და ერთხელ მიუახლოვდნენ მეტოქეს რვა ქულით. „ულქერის" ქართველი ფორვარდ-ცენტრი ზაზა ფაჩულია მატჩის განაცხადში იყო, მაგრამ არ უთამაშია.

თელ ავივის „იად ელიაჰუს" დარბაზში ათი ათასი მაყურებელი საყვარელი „მაკაბის" იოლი გამარჯვების მოწმე შეიქნა. მაკაბელთა ცენტრმა ნათანიელ ჰაფმანმა პირველსავე მეოთხედში ოთხჯერ ჩატენა, ორჯერ კი ფრანგული „პო ორტეზის" რუმინელი გიგანტი გეორგე მურეშანი (230სმ) შეარცხვინა. თუმცა, მხოლოდ ჰაფმანი არ ყოფილა „მაკაბის" წარმატების განმსაზღვრელი — მარკ ბრისკერი, ნადავ ჰენფელდი და არიელ მაკდონალდი ერთმანეთზე უკეთ გამოიყურებოდნენ.

მეორე ებრაულმა გუნდმა, „რაანანამ" შინ ვერ გაუძლო მოსკოვის არმიელებს. ცსკა-ში საუკეთესო იყო ამერიკელი უკანახაზელი რასტი ლარუ. მის შორ სროლებს რაანანელებმა ვერაფერი მოუხერხეს — ლარუმ ხუთი სამქულიანი ჩააგდო.


პარტიზანელ ჰარის ბრკიჩს თავში ორჯერ ესროლეს



მაკაბი — პო ორტეზი. მაკაბელი ენტონი პარკერი (№8) როჯერ ესტელერის წინააღმდეგ

## საქართველოს ჩემპიონატი

# ინტრიგა მოკვდა

## აზოტი ბასკოს ტოლ-სწორი ვერ გამოდგა



ბურთი აუტისკენ, ბასკოელი ვახტანგ ნაცვლიშვილი (თეთრ ფორმაში) და ნუგზარ კოკოლიშვილი — ბურთისკენ

15 დეკემბერი. ბათუმი

**ბასკო 113:87 აზოტი**

| | |
|---|---|
| 28:10, 25:24, 26:24, 34:29 | |
| ბასკო: | ნიკოლაძე (18), როჯერსი (9), ბეჟანიშვილი (16), ვ. ნაცვლიშვილი (26), გ. კილაძე (7); ქარაბაკი (15), ორმოცაძე (5), კეშელავა (5), აბრამიძე (2), გ. ნაცვლიშვილი (6), საყვარელიძე, მ. მარკოიშვილი (4) |
| აზოტი: | ჟღენტი (20), ტურაშვილი (17), კოკოლიშვილი (2), ბაბიაშვილი (16), შენგელია (17); ბერუაშვილი (7), გაბისონია, დანელიანი (4), ჩაჩუა (2), ჯიმშელეიშვილი (2) |
| მსაჯები: | ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი |
| კომისარი: | მურმან ქურიძე |

**გოჩა ჯანაშია ბათუმიდან**

**მთლიანად** ჩემპიონატში და მით უმეტეს ბათუმში „ბასკოს“ ძნელად ვინმე თუ დაუდგება წინ. ყველაზე უფრო ეს რუსთავის „აზოტს“ ძალუძს და, აჰა, ინტრიგაც: შეძლებდა თუ არა „აზოტი“ დაუმარცხებელი ლიდერის წაქცევას.

ისევე როგორც თბილისში, ახლაც ვერ შეძლეს რუსთაველებმა ჩემპიონატის ლიდერისთვის საკადრისი წინააღმდეგობის გაწევა. ჰოდა, ზემოთ ნახსენები ინტრიგა პირველივე წუთებიდანვე ფერმკრთალდებოდა და ბოლოსკენ მისი ნატამალიც არ შერჩენილა.

ყველანაირ ასპექტში დაჯაბნეს ზურაბ ტომარაძის შეგირდებმა მეტოქე და თავიდანვე საიმედო გარჯით დიდი სხვაობით მოგებას ჩაუყარეს საფუძველი. „ბასკოს“ დებიუტშივე დაწინაურება ვახტანგ ნაცვლიშვილის დამსახურება იყო, რომელიც გაბატონდა ფარზე და მეურვე შენგელიას დიდი თავსატეხიც გაუჩინა.

სტუმართაგან ბაბიაშვილი გამოირჩა თავიდანვე და მეექვსე წუთისთვის მისი ზუსტი სროლის შედეგად „აზოტი“ ამ მატჩში უკანასკნელად დაუახლოვდა ასე ახლო მეტოქეს — 15:9. თუმცა, ეს იყო და ეს — ნაცვლიშვილის, კილაძის და ბეჟანიშვილის (სამქულიანი) შედეგიანი სროლების შემდეგ „ბასკო“ საგრძნობლად გაიჭრა წინ. დროის ამ მონაკვეთში სტუმრებმა ოდენ ქულა მოიპოვეს და ნიკოლაძის კიდევ ერთმა ზუსტმა ნასროლმა პირველ მეოთხედს საბოლოო სახე მისცა — 28:10.

მეორე მეოთხედის დაწყება და აქამდე არაფრით გამორჩეული ტურაშვილის ათამაშება ერთი იყო. მამუკამ ორი სამიანით სხვაობა კი შეამცირა, მაგრამ „აზოტს“ სხვა უბედურება დაატყდა თავს: დავით ბერეკაშვილმა ერთ-ერთი სტუმარი დააჯარიმა, რამაც რუსთაველთა თავკაცი ოთარ ხმელიძე ალაშფოთა, ნერვები ვერ მოთოკა და მსაჯს სიტყვიერი შეურაცხყოფაც მიაყენა. მწვრთნელის საქციელი მსაჯებმა მიუღებლად ჩათვალეს და ტრიბუნაზე მიაბრძანეს. მიმდინარეობდა მეორე მეოთხედის მეოთხე წუთი და აქედან მოყოლებული „აზოტი“ უმთავარმწვრთნელოდ იყო.

ასეთმა სიტუაციამ სტუმრები საბოლოოდ გატეხა და „ბასკომაც“ გეგმაზომიერად მიჰყო ხელი მეტოქის დარბევას. მატჩის პირველი ნახევრის ბოლოსთვის სხვაობა 19 ქულა იყო — 53:34.

შესვენებიდან „აზოტი“ გაცილებით დალაგებული დაბრუნდა და ტურაშვილის სამქულიანების წყალობით ერთი ხანი სხვაობაც გვარიანად შეამცირა. მას ჟღენტმაც და ბაბიაშვილმაც აუბეს მხარი, მაგრამ ჩარხის ალმა დატრიალება სტუმართ მაინც არ ეწერათ.

„ბასკოში“ კვლავ ვახტანგ ნაცვლიშვილმა გაილაღა და დროის მცირე მონაკვეთში თავისი ქულათა მონაგარი საგრძნობლად გაზარდა. მას არც ქარაბაკი ჩამორჩა და მესამე მეოთხედის დასრულებამდე ორი წუთით ადრე სხვაობა უკვე 27 ქულა იყო — 77:50. გაბრძოლება არჩილ ჟღენტმა სცადა და მისი გამოისობით მეოთხედის ბოლოსკენ სხვაობა ცოტათი შემცირდა.

თუმცა, ბოლო მეოთხედის დასაწყისმა ყველაფერი ცხადჰყო — „ბასკოს“ შეჩერება უტოპია იყო და დარჩენილ წუთებში რუსთაველები ინერციითღა ეწინააღმდეგებოდნენ მეტოქეს. გუნდები ბოლოსკენ მეორე შემადგენლობით ირჯებოდნენ. კარგა ხნის შესვენების შემდეგ „ბასკოში“ მამუკა აბრამიძეც გამოჩნდა და დიდხანს უთამაშებლობის კვალობაზე, არც თუ ურიგოდ გამოიყურებოდა.

ბოლო წუთებში გახსნილი თამაში გაჩაღდა და ტაბლოს ეს მალე დაეტყო კიდეც. იქ კი „აზოტისთვის“ სანუგეშო არაფერი ეწერა. მატჩი, რომელიც ბათუმში სტუმრებულმა სპორტის დეპარტამენტის ახალმა თავკაცმა ირაკლი მეძმარიაშვილმა დააფასა თავის მობრძანებით, „ბასკოს“ იოლი მოგებით დასრულდა — 113:87.

### მატჩის შემდეგ

***ოთარ ხმელიძე („აზოტის“ მთავარი მწვრთნელი):*** ჩემი გუნდის თამაშით უკმაყოფილო ვარ. ამას მეტოქის დამაჯერებლით თამაში და მსაჯების არაობიექტურობაც თან დაერთო და შედეგიც აქედან გამომდინარეა. ჩემს გაძევებაზე რა გითხრათ: ჩვენს მოთამაშეს ორი ხელით მაისურზე ექაჩებოდნენ და მაინც ის დაადანაშაულეს. ძალიან ცუდი მსაჯობა იყო.

***ზურაბ ტომარაძე („ბასკოს“ მთავარი მწვრთნელი):*** სიმართლე გითხრათ „აზოტისგან“ უფრო მეტს ველოდი, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ რუსთაველებს და კიდევ ორ-სამ გუნდს ჩვენთვის წინააღმდეგობის გაწევა არ ძალუძთ. მერწმუნეთ, პლეი-ოფში მძიმე ბრძოლები იქნება. ჩემმა ბიჭებმა ყველა კომპონენტში დაჯაბნეს მეტოქე და შედეგიც საკადრისი მოიმკეს.



მეორე წრის ცენტრალურ მატჩს საქართველოს სპორტის დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი (მარცხნივ) დაესწრო

# შენარჩუნებული შანსი

15 დეკემბერი. ვერის ბაღი

**შევარდენი 79:60 სსუ**

| | |
|---|---|
| 17:13, 20:19, 21:18, 21:10 | |
| შევარდენი: | ნ. ნოზაძე (16), ჩხეიძე (20), გულხადარაშვილი, ალავიძე (4), სუხიშვილი (7); გიგაური (18), ქევხიშვილი (14) |
| სსუ: | სორდია (16), ვ. ქვილითაია (6), ბერია (14), ძიძიგური (8), ბ. ქვილითაია (6); ლაცუზბაია (9), ფუნდურაძე |
| მსაჯები: | მაკა კუპატაძე, დავით ანდრიაძე |
| კომისარი: | თენგიზ ქიქოძე |

**როლანდ ლაზურიძე**

**ბოლოსწინა** ადგილზე მყოფ „ვისთან“ თბილისის „დინამოს“ მოულოდნელი დამარცხების შემდეგ მეხუთე-მეექვსე ადგილებისთვის ბრძოლა კიდევ უფრო დაიძაბა. „შევარდენს“, რომელიც დაკლებული ქულის მიუხედავად, ჯერ კიდევ ინარჩუნებს ექვსეულში მოხვედრის შანსს, მაჩანჩალა სსუ-სთან გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდა. პრინციპული შეხვედრა შეკვეცებული შემადგენლობით დაიწყო „შევარდენმა“: სხვადასხვა მიზეზის გამო არ იყვნენ კაზანჯიანი და მაჭავარიანი, ხოლო მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა ვასილ ... გიგაურისა და ქევხიშვილის ნაცვლად სასტარტო ხუთეულში ალავიძე და გულხადარაშვილი დააყენა.

სსუ პირველივე შეტევის შემდეგ დაწინაურა ვახტანგ ქვილითაიამ. მართალია, ჩხეიძემ მალე გაათანაბრა, მაგრამ სორდიამ შორეული ტყორცნით სსუ ამჯერად 3 ქულით გაიყვანა წინ — 5:2. მეხუთე წუთის ბოლოს კი სტუდენტები 7 ქულით, 9:2 უგებდნენ საავიაციოქარხნელებს. ახლა კი იკადრა „შევარდენმა“ და გულხადარაშვილისა და ალავიძის მაგივრად უფრო გამოცდილი გიგაური და ქევხიშვილი იხმო სარბიელზე. მათთან ერთად „შევარდენმა“ აზარტში შესულ სტუდენტებს პრესინგიც დაუპირისპირა და სსუ-მ მეშვიდე წუთამდე 9 ქულას ვეღარაფერი შემატა. მერე კი თამაზ გიგაურმა ორიდან ორივე საჯარიმოს გამოყენებით ქულამდე შეამცირა ანგარიში — 11:12, რამდენიმე წამის შემდეგ ლევან ქევხიშვილს ასევე საჯარიმოებით თანაგუნდელთა დაწინაურებაც შეძლო, მაგრამ „შევარდენი“ მხოლოდ ანგარიშის გათანაბრებით დაკმაყოფილდა — 12:12.

პირველად თქილისელები მერვე წუთის ბოლოს დაწინაურდნენ, როდესაც სუხიშვილმა სტუდენტების კალათში თავისი პირველი ბურთი მოათავსა — 14:12. პირველი მეოთხედის დარჩენილ დროში „შევარდენის“ 3 ქულას სსუ-მ ერთით უპასუხა. 17:13 — ასე დასრულდა პირველი მეოთხედი საავიაციოქარხნელთა სასარგებლოდ.

მეორე მეოთხედის დასაწყისში სსუ-მ მეტოქის პრესინგს ვერაფერი დაუპირისპირა და ფარიც წააგო. ძიძიგური მონდომებით კი იბრძოდა, მაგრამ ცოტა დამძიმებული ბეჟან ქვილითაია ვერაფრით ეხმარებოდა. სსუ იძულებული გახდა, აქცენტი შორეულ ტყორცნებზე გაეკეთებინა, ბერიას რამდენიმე ზუსტად შესრულებული სამქულიანის შემდეგ კი მე-7 წუთის ბოლოს მეტოქისგან ქულაღა აშორებდა — 28:29. რამდენიმე წამის შემდეგ იმავე ბერიამ ფარქვეშ ოსტატურად ითამაშა და ანგარიშიც გათანაბრდა — 30:30. პირველი ტაიმის დარჩენილ დროში უპირატესობას კვლავ „შევარდენი“ დაეუფლა და კიდეც მოიგო — 37:32.

მესამე მეოთხედი და მთლიანად შეხვედრა კარგად ჩაატარა „შევარდენის“ უკანახაზელმა ნიკოლოზ ნოზაძემ. იგი განსაკუთრებით ჩაჭრებში გამოირჩა, პასებსაც დროულად იძლეოდა და შორეული სროლებითაც ხშირად აღწევდა მიზანს. სტუდენტებიდან კი ფარზე ეულად მებრძოლი ძიძიგური იყო მოწოდების სიმაღლეზე. მესამე მეოთხედის დასრულებას 4 წუთი უკლდა, როდესაც 5 ჯარიმის გამო ძიძიგურმა სათადარიგოებში გადაინაცვლა. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო „შევარდენმა“ 8 ქულით დაწინაურება — 58:50. ძიძიგურის გარეშე დარჩენილი სსუ დასკვნით მეოთხედში მეტოქეს ველარ შეებრძოლა და სარბიელი ცალფარას დაემსგავსა. „შევარდენმა“ კი ამ მოგებით ექვსეულში მოხვედრის შანსი შეინარჩუნა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 16 | 16 | 0 | 1656:1174 | 32 |
| აზოტი | 14 | 11 | 3 | 1161:981 | 25 |
| სტუ-ჯეოსელი | 14 | 9 | 5 | 1310:1227 | 23 |
| მყაბი | 14 | 8 | 6 | 1247:1162 | 22 |
| დინამო | 15 | 5 | 10 | 1257:1356 | 20 |
| თსუ | 13 | 6 | 7 | 1109:1193 | 19 |
| შევარდენი | 14 | 5 | 9 | 1066:1157 | 18 |
| ვითა-სტუ 2 | 14 | 4 | 10 | 1173:1344 | 18 |
| სსუ | 14 | 0 | 14 | 946:1331 | 14 |

*შევარდენს დაკლებული აქვს 1 ქულა*

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ადმირალი რიფს შეასკდა

14 დეკემბერი

**გოლდენ სტეიტი 95:98 ჰიუსტონი**

გოლდენ სტეიტი: ჯეიმისონი (23 ქულა, 11 მოხსნა), პორტერი (20)

ჰიუსტონი: ტეილორი (22), მობლი (20), ფრენსისი (16 ქულა, 12 პასი, 6 მოხსნა)

**ტორონტო 70:68 ნიუ იორკი**

ტორონტო: კარტერი (24), ვილიამსონი (16)

ნიუ იორკი: სპრიუელი (18)

**სან ანტონიო 96:102 დენვერი**

სან ანტონიო: რობინსონი (23 ქულა, 12 მოხსნა), დანკანი (17)

დენვერი: ლაფრენცი (28 ქულა, 13 მოხსნა), მაკდაიესი (19 ქულა, 12 მოხსნა), ვან ექსელი (18 ქულა, 11 პასი)

ექსჩემპიონი „სან ანტონიო სფურზი“ იქამდეც კი დაეცა, რომ ისეთ გუნდთან აგებს შინ, რომელსაც ბოლო ხუთი თამაში არ მოუგია. ამას წინათ ტეხასელთა ლიდერმა ტიმ დანკანმა თქვა, გუნდების სათამაშო ტაქტიკაში ცვლილებებია, ახალგაზრდა, ნაკლებად გამოცდილ თანაგუნდელებს მეტად ვტვირთავთ, რათა ვნახოთ, მათი შესაძლებლობების ზღვარი სად გადისო. ეს ცვლილება ზოგჯერ უხდება „სფურზს“. ანდერსონი, დანიელსი და როუზი ურიგო მოთამაშეები როდი არიან, მაგრამ იმ დონეს მაინც ვერ აღწევენ, გუნდს ხშირად მოუტანონ წარმატება.

14 დეკემბერსაც „სან ანტონიომ“ ახალგაზრდებზე ააწყო თამაში, თუმც იმ დღეს თუ ვინმე გამოირჩეოდა, ეს გუნდის უხნესი კალათბურთელი, 36 წლის დევიდ რობინსონი გახლდათ. თანაგუნდელთა საცოდაობის შემყურე მრავალნაცადმა „ადმირალმა“ ლიდერობა საკუთარ თავზე აიღო და სწორედ მისი ახალგაზრდული მონდომების წყალობით „სან ანტონიო“ თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში, ასე თუ ისე, მაგრად ედგა მეტოქეს. დამშეული „დენვერი“ უდიდესი ჟინით უტევდა მასზე ერთი თავით ძლიერ მოწინააღმდეგეს და საკუთარი ფარის მისადგომების დაცვასაც დიდძალ ენერგიას ახმარდა. სტუმართა გამთამაშებლმა ნიკ ვან ექსელმა აშკარად დაჩაგრა მეურვე ლოიდ დანიელსი, ქულებიც მიითვალა და არც პასები დააკლო თანაგუნდელებს, რომლებიც უბურთოდ მასპინძლებზე გაცილებით უკეთ მოძრაობდნენ. ამის გამო სანანტონიოელები თავიანთ ნახევარზე სრულად ვერ ავსებდნენ სივრცეებს და საკუთარ კალათში ბევრ ბურთსაც ილებდნენ. ბოლო მეოთხედში კი „სფურზმა“ ის მცირე უპირატესობაც დაკარგა, რომელიც რობინსონის წყალობით მოიპოვა. მოლლილი „ადმირალი“ „დენვერის“ ახალგაზრდა ცენტრმა რიფ ლაფრენცმა ფარქვეშ ჯერ შეავიწროვა, შემდეგ კი სულ გამოაგდო. ამასთან, მან პერიმეტზეც ამოიწია და, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, აქედან უფრო მწვავედ შეუტია. ბოლო წუთზე ლაფრენცმა ერთი სამიანი ჩააგდო და მეორეს სროლისას რომ დაჯარიმდნენ, ეს ბოძებული შანსიც არ გაუშვა ხელიდან, სამივე საჯარიმო აუღელვებლად მოუთავსა მეტოქეს კალათში და თავის გუნდს დანავსული სერია შეაწყვეტინა. აღსანიშნავია, რომ „დენვერმა“ ბოლო ოთხ წელიწადში პირველად მოიგო სან ანტონიოში.

**ირაკლი ფირუზიშვილი**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ბიქონ-თეატრში

ნიუ იორკის ბიქონ-თეატრში ჟურნალ „სპორტს ილუსტრეიტიდის“ საშობაო შოუ, წლის სპორტსმენთა დაჯილდოება-ყეენობა მოეწყო. შოუს „სი-ბი-ესი“ გადასცემდა და იქ ამერიკული ყაიდის გართობაც ბევრი იყო. კინოვარსკვლავმა გარი სინეზიმ ისე კოხტად იცივნა დიდ მოკრივეებთან ჯო ფრეზერთან (შლაპით) და შუგარ რეი ლეონარდთან ერთად, რომ იქ მყოფთ მუცლები არ შერჩათ.





# მაინც უხარია

რომიდან ჰავანაში ბრაზით გამოფრენილ[...] დიეგო მარადონა დაწყნარებულა და იქ მიღე[...]ბულ საუკუნის ფეხბურთელის ჯილდოს ხალი[...]სით უჩვენებს რეპორტიორებს. მარადონა ხა[...]ლხის რჩეული შეიქნა ინტერნეტული გამოკი[...]თხვის შედეგად, მაგრამ ფიფას უნდოდა, რო[...] საუკუნის ფეხბურთელი პელე ყოფილიყო დ[...] ამიტომაც, პრიზი გაიყო.



REUTERS მადრიდიდან



REUTERS ფლორიანოპოლისიდან

## მეფესთან და პრეზიდენტთან

ახლა სამეფო მიღებაც მისაღებია. ესპანელმა ჩოგბურთელებმა დევისის თასი აართვეს ავსტრალიელებს და ქვეყნის ნამდვილი გმირები შეიქნენ. მეფე ხუან კარლოსი სარსუელას სასახლეში მასპინძლობს ალექს კორეჩას (მარცხნიდან მეორე), ხუან კარლოს ფერეროს და ალბერტ კოსტას (მარჯვნივ). ბრაზილიის პრეზიდენტი ფერნანდუ ენრიკე კარდოსო კი ეულ გმირს, თანამემამულე გუსტავო კუერტენს უმეგობრდება. გუგა ხომ მსოფლიოს პირველი ჩოგანია.



# მორიგი თასი

ინდო მოკრიკეტეთა კაპიტანი საურავ განგულ[...] მორიგ თასს იბარებს. ინდოელებს ერთდღიან[...] კრიკეტის სერიებში უძლევიათ ზიმბაბველები დ[...] დიახაც, რომ ხარობე[...].

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge